ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

აპოლონ თაბუაშვილი

ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია

გამომცემლობა „კოლორი“
თბილისი 2020

ნაშრომში განხილულია ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. ყურადღება გამახვილებულია როგორც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე, ისე ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროებზე, მათ შორის – ქალაქებზე, სავაჭრო გზებზე, ვაჭრობა-ხელოსნობაზე, მანუფაქტურული წარმოების ჩასახვაზე, გადასახადებსა და სახელმწიფო შემოსავლებზე.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი
ალექსანდრე ბოშიშვილი

სტილისტ-რედაქტორი
ქეთევან ხითარიშვილი

რეცენზენტი
აკაკი ჩიქობავა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, გრანტი № SP-19-317 – „ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია".

© აპოლონ თაბუაშვილი, 2020

ISBN 978-9941-8-2226-1

სარჩევი

შესავალი 5

წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა 7

ფეოდალური ხანის საქართველოს ფულის სისტემისა და ზომა-წონის ერთეულების ზოგადი მიმოხილვა 28

I თავი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ფეოდალური ხანის საქართველოში 44

ქინწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება. საგლეხო ყუძე და ზვარ-ხოდაბუნები 44

ბოსტნეული კულტურების წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში 52

მევენახეობა-მეღვინეობა ფეოდალური ხანის საქართველოში 73

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი ფეოდალური ხანის საქართველოში 86

საგლეხო მეურნეობა და გადასახადები ფეოდალური ხანის საქართველოში 99

ფეოდალების მფლობელობა 117

„სისხლის ფასები“ და სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების ტემპები ფეოდალური ხანის საქართველოში 127

II თავი. ქალაქები და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა ფეოდალური ხანის საქართველოში 136

ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების საქართველოში 136

ხელოსნობა, სავაჭრო გზები, ვაჭრობა და სახელმწიფო შემოსავლები XI-XV საუკუნეების საქართველოში 154

ხელოსნობა 154

სავაჭრო გზები, ვაჭრობა. 157

ერთიანი ქართული მონარქიის სახელმწიფო შემოსავლები.....165

ქალაქები და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევრის საქართველოში.....179

XVI–XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევრის ქართული სამეფო–სამთავროების სახელმწიფო შემოსავლები.....198

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება XVIII საუკუნის II ნახევარში.....202

ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებები ვაჭრობის განვითარებისათვის.....202

საგარეო ვაჭრობა.....208

მოქალაქეების კაპიტალი, სავახშო კაპიტალი და სესხების პროცენტის ოდენობა.....213

საშინაო ბაზარის ჩამოყალიბება.....215

ხელოსნური წარმოება XVIII საუკუნის II ნახევარში.....222

მანუფაქტურული წარმოების განვითარება.....225

ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწოფო შემოსავლები.....239

დასკვნის მაგიერ.....247

Economic History of Feudal Georgia. Summary.....258

შესავალი

ნაშრომში განხილულია ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესახებ ძალიან ცოტა ნაშრომი იწერება. მართალია, აკად. ივ. ჯავახიშვილმა და ქართული ისტორიოგრაფიის სხვა წარმომადგენლებმა ეკონომიკური ისტორიის შესწავლას დიდი დრო დაუთმეს, თუმცა საკვლევი თემატიკა ამით არ ამოწურულა. შესაბამისად, ნაშრომში გათვალისწინებულია როგორც ქართული ისტორიოგრაფიის ნააზრევი, ისე დამუშავებულია ახლად გამოვლენილი წყაროები და წარმოდგენილია ავტორისეული ხედვები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ გაგვაჩნია ერთიანი მწყობრი ნაშრომი, რომელშიც თემატურ და ქრონოლოგიურ ჭრილში განხილული იქნებოდა მთლიანად ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წინამდებარე პუბლიკაცია, გარკვეულწილად, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მცდელობას ისახავს მიზნად.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელთა გაცნობა მკითხველს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საერთო მდგომარეობის აღქმის საშუალებას მისცემს.

ნაშრომი დაყოფილია თემატური და ქრონოლოგიური პრინციპით. კერძოდ, წყაროების, ლიტერატურის, ფულის სისტემისა და ზომა-წონის ერთეულების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საკვლევი თემატიკა წარმოდგენილია ორ თემატურ თავად. I თავი ეთმობა სასოფლო-სამეურნეო სფეროს, II თავი – ქალაქებსა და ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას. თავის მხრივ, თითოეული თემატიკა მიმოხილულია დარგების მიხედვით. შესაბამისი დარგების განვითარების ისტორია კი ნაჩვენებია ქრონოლოგიურ ჭრილში.

I თავში ყურადღება გამახვილებულია მიწის გადანაწილებაზე, საგლეხო ფუძისა და ფეოდალთა ზვარ-ხოდაბუნების სიდიდეზე. გარკვეული ადგილი ეთმობა სახვნელი და სხვა შრომის იარაღისა და საირიგაციო სისტემების განვითარების ისტორიას. საგანგებოდაა შესწავლილი ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოების ზოგადი სურათი. ადგილობრივი მოსავლიანობა შედარებულია მეზობელ ქვეყნებში არსებულ ვითარებასთან. განხილულია ხორბლეული კულტურის როლი იმდროინდელი მოსახლეობის

კვების რაციონში, მარცვლეულთან დაკავშირებით ექსპორტ-იმპორტის საკითხი, ფასი და ა.შ. ანალოგიურად მიმოხილულია ფეოდალურ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა. გამოკვლეულია მოსახლეობის ყოფაში ღვინის როლი, ექსპორტის საკითხი, ფასი და სხვ. ასევე ნაშრომში მოცემულია სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ისტორიაც. ამავე თავში წარმოდგენილია მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ქონებრივი მდგომარეობა, გადასახადები და საუკუნეების განმავლობაში გლეხებისა და ფეოდალების „სისხლის ფასების“ დინამიკა.

II თავში ნაჩვენებია ქალაქების დაწინაურებისა თუ დაკნინების ისტორია, სავაჭრო გზები, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნობა, მანუფაქტურული წარმოების განვითარება, მოქალაქეთა კაპიტალის ოდენობა, სახელმწიფო შემოსავლები და სხვა საკითხები. ფეოდალური ხანის საქართველოს ზოგადი ეკონომიკური ვითარება, მათ შორის საქალაქო ცხოვრება, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რამდენიმე ეტაპად არის წარმოდგენილი: 1. ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების ქართული ეკონომიკის აღმავალი ხანა, როდესაც, განსაკუთრებით XI-XIII საუკუნეებში, საქალაქო ცხოვრებამ, საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ვაჭრობამ და სხვა სახის ეკონომიკურმა აქტივობამ გარკვეულ პიკს მიაღწია; 2. XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების ეკონომიკური დაკნინების ეპოქა; 3. XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციის პერიოდი, როდესაც ჩანს საქალაქო ცხოვრების ხელახალი აღორძინება, საშინაო ბაზრის ფორმირება, საგარეო ვაჭრობისა და მანუფაქტურული წარმოების განვითარება.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ისე ფართო მკითხველისათვის.

წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა

წყაროების მიმოხილვა. ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ამსახველი წყაროებიდან უპირველესად აღსანიშნავია ისტორიული საბუთები. ისტორიული საბუთები, ანუ დოკუმენტები ნარატიული ძეგლებისაგან განსხვავებულ, არათხრობით საისტორიო წყაროთა რიგს განეკუთვნება. საბუთების დიდი ნაწილი იურიდიული ხასიათისაა, ნაწილი კი – კერძო ანგარიშები, ნუსხები, ეპისტოლური და სხვა ტიპის მასალა. გამცემთა ვინაობის მიხედვით, ისინი შემდეგ ძირითად ჯგუფებად იყოფა: მეფეთა, სახელმწიფო მოხელეთა და ფეოდალთა საბუთები, სახელმწიფო სასამართლოსა და მედიატორთა, დაბალი წოდების წარმომადგენელთა (გლეხების, ვაჭარ-ხელოსნების, მოქალაქეების) და საეკლესიო საბუთები.

ისტორიული საბუთების ნაწილი ეტრატზეა შესრულებული, დიდი ნაწილი კი – ქაღალდზე. ვხვდებით მაგარ მასალაზე (ქვაზე, ხეზე, კედელზე, ლითონზე) დაწერილ საბუთებსაც.[1]

ტერმინები – საბუთი და დოკუმენტი – ქართული წარმომავლობის არ არის. „საბუთი" არაბული სიტყვაა და ნიშნავს დამტკიცებას, დამოწმებას, მოწმობას. ტერმინი ქართულ წყაროებში XVIII საუკუნიდან გვხვდება. ხოლო „დოკუმენტი" საერთაშორისო დიპლომატიკური ტერმინია. აღნიშნული ტერმინი ფეოდალური ხანის ქართულ წყაროებში არ გვხვდება.

ფეოდალური ხანის საქართველოში საბუთების აღსანიშნავად სპეციალური ტერმინოლოგია შეიქმნა, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ძველ ქართულში საბუთის ნაცვლად გვხვდება ტერმინები – „დაწერილი" და „სიგელი". მოგვიანებით, XV საუკუნიდან, მკვიდრდება „წიგნი". საბუთის, ანუ დოკუმენტის აღმნიშვნელ სხვა ტერმინებსაც ვხვდებით, ესენია: „ბრძანება", „ანდერძი", „გუჯარი", „ბარათი" და სხვ.

ყველაზე ძველ ტერმინად მიიჩნევა „დაწერილი", რომელიც X საუკუნემდე დამკვიდრდა. X საუკუნიდან კი ამ ტერმინთან ერთად გამოიყენებოდა „სიგელიც". ცოტა მოგვიანებით, XII საუკუნიდან, „სიგელი" აღნიშნავდა მხოლოდ მეფეების საბუთებს, ხოლო „დაწერილი" – იმ დოკუმენტებს, რომლებიც მეფეების მიერ არ იყო გაცემული.

XVI-XVIII საუკუნეებში, ძველი ტერმინების გვერდით, გამოიყენებოდა საბუთის აღმნიშვნელი ახალი უცხოური ტერმინები: „რაყამი" (არაბული), „ფირმანი"/„ფარმანი" (სპარსული), „დავთარი"

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 6-7.

(სპარსული), „ნუსხა“ (სპარსული), „არზა“ (არაბული), „ოქმი“ (არაბული), „დასტურლამა“ (სპარსული), „თამასუქი“ (არაბული). ასევე, მკვიდრდებოდა სხვადასხვა შინაარსის საბუთის აღმნიშვნელი ტერმინებიც: „განაჩენი“, „განჩინება“, „განწესება“ და სხვ.[2]

დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო მრავალი ისტორიული საბუთი განადგურდა. დღემდე შემორჩენილი საბუთების უდიდესი ნაწილი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ცენტრალურ საისტორიო არქივში. მათი საერთო რაოდენობა სამოც ათასს აღემატება.[3] ქართული ისტორიული საბუთების შედარებით მცირე ნაწილი დაცულია ქუთაისის მუზეუმსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. ქართული საბუთების არც თუ უმნიშვნელო ნაწილი უცხოეთის სიძველეთსაცავებშია თავმოყრილი.

ყველაზე ძველ ქართულ ისტორიულ საბუთად მიიჩნევა „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი“ („ფავნელის დაწერილი“), რომელსაც მეცნიერთა დიდი ნაწილი IX საუკუნის დოკუმენტად მიიჩნევს. შემორჩენილი საბუთების საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 4000-მდე საბუთი მიეკუთვნება IX-XVII საუკუნეებს. 15 000-მდე საბუთი კი შედგენილია XVIII საუკუნეში, ხოლო დანარჩენი – XIX-XX საუკუნეებში.[4]

ქართული ისტორიული საბუთების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია. მათი პუბლიკაცია XIX საუკუნიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. დროთა განმავლობაში ძველი ქართული საბუთების გამოცემაზე მრავალი ავტორი მუშაობდა.

1857 წელს ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ფრანგულ ენაზე გამოსცა 1020-1822 წლების ქართული საბუთების კატალოგი, რომელშიც მათი სრული, ან შემოკლებული ფრანგული თარგმანია შეტანილი.[5]

XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან „კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ“ გამოსცა დოკუმენტების სერია 12 ტომად. ჩვენთვის საინტერესო საისტორიო საბუთები მოთავსებულია გამოცემის პირველ და მეორე ტომებში.[6]

XIX საუკუნის 80-იან წლებში დ. ფურცელაძემ გამოსცა სათავადაზნაურო, საეკლესიო და საგლეხო დოკუმენტების კრებულები, რომლებშიც ტექსტები დაბეჭდილია არასრული სახით.[7]

---

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 8-9.

[3] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 11.

[4] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 10.

[5] M. Brosset. Histoire de la Georgie, depuis l' antiquité jusqu'au XIX siécle. P. 2. Histoire modern. I-II Livr. SPb. 1857.

[6] Акты, собраные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. I. Тфл. 1866; Акты, собраные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II. Тфл. 1868.

[7] Д. П. Пурцеладзе. Грузинские церковние гуджары. Тфл. 1881; Грузинские дворянские

თ. ჟორდანიამ ქართულ ენაზე იმავე წესით გამოსცა საბუთები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია სრულად დაბეჭდილი.[8]

ძველი ქართული საბუთები, ასევე გამოსცეს დ. ბაქრაძემ, ალ. ხახანაშვილმა, ალ. ცაგარელმა და სხვა ავტორებმა.

ძალზედ მნიშვნელოვანია ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული მრავალი ისტორიული დოკუმენტი, რომლებიც თავმოყრილია „საქართველოს სიძველენის“ სამ ტომში.[9]

ჩვენთვის საინტერესო საისტორიო საბუთები გამოაქვეყნა, ასევე, ს. კაკაბაძემ.[10]

ზოგადად, ისტორიული საბუთები, როგორც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესახებ, ისე ქვეყნის წარსული ცხოვრების სხვა სფეროებთან მიმართებით მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს. მათი ერთი ნაწილი კი უშუალოდ ეკონომიკური ხასიათისაა. მსგავსი სახის ისტორიული დოკუმენტების ნაწილი შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. მის მიერ გამოცემული დოკუმენტები პირველწყაროა მოხელეთა ხელფასების, იჯარების, ვაჭრობის, აღმშენებლობის, სახელმწიფო ეკონომიკისა და სხვა საკითხების შესწავლისათვის.[11] ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის ასევე სოციალური ხასიათის დოკუმენტების პუბლიკაციაც.[12] მანვე მ. ბერძნიშვილთან ერთად გამოაქვეყნა თბილისის წარსულთან დაკავშირებული ისტორიული საბუთები.[13]

ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტები გამოსცა დ. უჩანეიშვილმაც.[14]

грамоты. Тфл. 1881; Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ. Тфл. 1882.

[8] თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი პირველი. ტფილისი, 1892; წიგნი მეორე. ტფილისი, 1897; წიგნი მესამე. თბ. 1967; ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა. ტფილისი, 1896.

[9] საქართველოს სიძველენი. რედ. ე. თაყაიშვილი. ტ. I (მე-2 გამოცემა). ტფილისი, 1920; ტ. II. ტფილისი, 1909; ტ. III. ტფილისი, 1910.

[10] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წიგნი I-V. ტფილისი, 1913; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I-II. ტფილისი, 1921 და სხვ.

[11] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. ტ. I. ხელფასი, ქირა, ფასები. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. ტ. II. ვალი, იჯარა, ვაჭრობა. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1953; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. ტ. III. აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955. ასევე იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი. I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები შეადგინა მ. ბერძნიშვილმა. თბ. 1957.

[12] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940; ტ. II. თბ. 1953.

[13] ნ. ბერძენიშვილი, მ. ბერძნიშვილი. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. XVI-XIX სს. წიგნი I. თბ. 1962.

[14] დ. უჩანეიშვილი. დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. თბ. 1967.

დიდი რაოდენობით სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები შეარჩია და გამოსცა ი. დოლიძემ. მის მიერ გამოქვეყნებული საბუთები თავმოყრილია „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეულის შვიდ ტომში.[15]

ძველი ქართული საბუთების გამოცემაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პ. ინგოროყვა, შ. მესხია, შ. ბურჯანაძე და სხვა ავტორები.

1980-იან წლებში სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ისტორიული საბუთების სრული (ყოველგვარი შერჩევის გარეშე) მეცნიერული გამოცემა დაიწყო და 1984 წელს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა გამოსაცემად მოამზადეს „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ნაწილი, რომელშიც IX-XIII საუკუნეების დოკუმენტებია თავმოყრილი.[16] გეგმის მიხედვით, კორპუსის კიდევ 9 სერია უნდა გამოსულიყო, თუმცა იმხანად მათი გამოცემა ვეღარ მოხერხდა. „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ II ტომი, რომელიც მომზადებული იყო თ. ენუქიძის, ნ. თარხნიშვილის და ბ. ლომინაძის მიერ, მ. სურგულაძის რედაქტორობით, მხოლოდ 2013 წელს გამოიცა.[17] 2014 და 2016 წლებში აღნიშნული კორპუსის კიდევ ორი ტომი გამოქვეყნდა.[18]

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია დემოგრაფიული ხასიათის ძეგლები და გა-

---

[15] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1974; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1977; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. სასამართლო არზა-ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1981; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1985.

[16] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I.

[17] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. XIV-XV სს. II. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ. ტომის რედაქტორი მზია სურგულიძე. თბ. 2013.

[18] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. XV საუკუნის მეორე ნახევარი. III. შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ. თბ. 2014; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო). IV. ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ. სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ. თბ. 2016.

დასახადების გარიგების წიგნები. მოსახლეობის აღწერის დავთრები და მსგავსი ხაიათის წყაროები სხვადასხვა დროს გამოსაცემად მოამზადეს და გამოაქვეყნეს ე. თაყაიშვილმა,[19] ს. კაკაბაძემ,[20] ივ. ჯავახიშვილმა (ავტორმა გამოსაცემად მოამზადა, ხოლო გამოიცა XX საუკუნის 60-70-იან წლებში),[21] გ. ბოჭორიძემ,[22] იას. ლორთქიფანიძემ,[23] შ. ხანთაძემ,[24] ა. თაბუაშვილმა[25] და სხვა ავტორებმა.

სამონასტრო ქონების შესაფასებლად და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გამოსარკვევად საინტერესო ცნობებს ვხვდებით მოსახსენიებლებში, სულთა მატიანეებსა და აღაპებში (ტერმინი აღაპი ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს სიყვარულის ტრაპეზს, რომელიც განკუთვნილი იყო მონასტრის კრებულისათვის მიცვალებულთა მოსახსენიებლად).[26]

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის საჭ-

---

[19] მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1907; დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავლის ბეგარისა, შედგენილი 1578 წ. ტფილისი, 1915.

[20] ს. კაკაბაძე. საცაიშლოს გამოსავლის დავთარი. ტფილისი, 1913; აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ტფილისი, 1914; საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ის მეორე ნახევრისა. ტფილისი, 1925 და სხვ.

[21] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I. გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დ. მეგრელაძის და ნ. ჯავახიშვილის მიერ. თბ. 1967; საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). II. გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დ. მეგრელაძის და ნ. ჯავახიშვილის მიერ. თბ. 1974.

[22] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წიგნი III. ტფილისი, 1927, გვ. 119-204.

[23] იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწილი I-II. წყაროების გამოკვლევა და საგეოგრაფიო ცნობები. თბ. 1935; ნაწილი III-IV. მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა. თბ. 1938.

[24] შ. ხანთაძე. სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს. მასალები საქართველოსა და კავკასის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 32. თბ. 1955. გვ. 153-176.

[25] შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. XVIII საუკუნის II ნახევრი. ტექსტი გამოსცა და შესავალი დაურთო ა. თაბუაშვილმა. თბ. 2010; სტატისტიკური ცნობები XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის მოსახლეობის შესახებ (ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II თბ. 2011, გვ. 288-298; სტატისტიკური ცნობები 1794 წლის ხალხის აღწერის დავთრიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა. XIII-XIV. თბ. 2011-2012, გვ. 173-177; „მეფის სადროშოს“ აღწერის დავთარი (XVIII საუკუნის II ნახევარი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V თბ. 2012, გვ. 173-192; ქალაქ ცხივნალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი).-თბ. 2013.

[26] ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ. 1962 (ტერმინ აღაპის განმარტებისათვის იხ.: გვ. 11); ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998.

ირო ცნობებს ვხვდებით ეპიგრაფიკულ წყაროებშიც. განსაკუთრებით საინტერესოა ოშკის სააღმშენებლო წარწერა, რომელიც ტაძრის მშენებლობისათვის გაწეულ დანახარჯებსა და ხელოსან-მუშების ოდენობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის;[27] XIII საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ასევე საინტერესოა ეპიფანე კათალიკოსის 1218 წლის ანისის ქართული წარწერა[28] და სხვა ეპიგრაფიკული ძეგლები.[29]

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მრავალ დეტალს ვხვდებით ოსმალურ დავთრებსა და სხვა სახის დოკუმენტური სახის წყაროებში. მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს ს. ჯიქიამ, ნ. შენგელიამ და სხვა ავტორებმა გამოაქვეყნეს.[30]

ზემოთ დასახელებული წყაროების გარდა, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთი პირველწყაროა საკანონმდებლო ძეგლები. მათგან უპირველესად აღსანიშნავია XIII-XIV საუკუ-

---

[27] ე. თაყაიშვილი. თბზულებანი. 1. თბ. 2016, გვ. 336-338.

[28] Н. Марр. Надпись Епифания, Католикоса Грузии. Известия Академии наук. Т. IV. СПб. 1910. გვ. 1433-1442.

[29] იხ.: ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980; ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. 1 (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ. 1980; ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. III. ფრესკული წარწერები. ნაწ. 1. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბ. 1989; ა. ბაქრაძე. ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (V-XIII სს.). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1954; სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. ტ. II. თბ. 1988; ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი. ტ. I. დმანისის რაიონი. V-XVIII სს. ავტორ-შემდგენლები: გ. ოთხმეზური, ალ. ბოშიშვილი, შ. მათითაშვილი და სხვ. თბ. 2017.

[30] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. II. თბ. 1941; 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ. 2016; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბ. 2009; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. II. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბ. 2010; ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ. 1982; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. I. თბ. 1987.

ნეებში შედგენილი ე.წ. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი („წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“), გიორგი ბრწყინვალის შედგენილი „ძეგლის დება“ და XVIII საუკუნის დასაწყისის „სამართალი ვახტანგ ბატონიშვილისა“.[31] ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ვხვდებით ასევე დავით ბატონიშვილის სამართალსა[32] და სხვა მსგავსი სახის ძეგლებში.

გვიანფეოდალური ეპოქის ქართლის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი სახელმწიფო სამართლის ძეგლი – „დასტურლამალი“.[33]

საკითხის კვლევისას, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ნარატიულ წყაროებს. მათგან უპირველესად აღსანიშნავია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“[34] და „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები.[35] საქართველოს წარსულის ეკონომიკური მდგომარეობის რეკონსტუქციისათვის პირველწყაროს წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.[36]

ქართული საისტორიო თხზულებებიდან, ასევე უნდა აღინიშნოს ფარსადან გორგიჯანიძის,[37] სეხნია ჩხეიძის,[38] პაპუნა ორბელიანის,[39] ომან ხელხეულიძისა[40] და სხვა ავტორთა ისტორიული თხზულებები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ გარკვეული ინფორმაციაა დაცული აგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც. მაგალითად,

---

[31] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ IV-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963.

[32] დავით ბაგრატიონი. სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ. თბ. 1964.

[33] ქართული სამართლის ძეგლები. 1. ხელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბ. 1970; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 235-327.

[34] მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ალ. გიუნაშვილმა. თბ. 1979.

[35] ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955; ტ. II. თბ. 1959.

[36] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973.

[37] რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ. 1975.

[38] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფილისი, 1903.

[39] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981.

[40] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბ. 1989.

ხელოსნობის დარგების შესახებ ცნობებს ვხვდებით „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში";[41] თბილისის უბნების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება";[42] ასევე, სხვადასხვა მცენარეული კულტურის საქართველოში შემოსვლა-დამკვიდრების ფაქტებსა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის არაერთი საკითხის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასა"[43] და სხვა ნაწარმოებებში.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის სხვადასხვა დეტალის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, რომელსაც საკითხის შესახებ პირველწყაროს ფუნცია ენიჭება.[44]

მრავალმხრივ საინტერესოა იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „კალმასობა", რომელიც ეპოქის ცხოვრების თითქმის ყველა საკითხზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის.[45]

XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ რეალურ სურათს გვიხატავს იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი"[46] და იოანე ქართველიშვილის მემუარები.[47]

ამავე ეპოქის ეკონომიკური ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა თბილისის პოლიცმეისტერის იოსებ შაგუბატოვის რუსულ ენაზე დაწერილი ნაშრომიც.[48]

---

[41] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. თბ. 1964, გვ. 30-45.

[42] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 46-81.

[43] გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება: შრომაი და მოღუაწეობაი ღირსად ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაი, და მის თანა ხსენება მრავალთა მამათა ნეტართაი. ისტორიული ცნობები, კომენტარები, განმარტებები და ლექსიკონი დაურთო ნინო ღამბაშიძემ. თბ. 2015.

[44] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1991; ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1993.

[45] იოანე ბაგრატიონი. კალმასობა. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტ. I. თბ. 1936; ტ. II. თბ. 1948.

[46] იესე ბარათშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 28. თბ. 1950.

[47] იოანე ქართველიშვილის მემუარები. ა. იოსელიანის გამოკვლევით, წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1952.

[48] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს ა. თაბუაშვილმა და გ. ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა დროს ამა თუ იმ კულტურული მცენარის, სამუშაო იარაღის გავრცელებისა და მსგავსი საკითხების შესახებ ძვირფას მასალას გვაწვდის ძველი აღთქმის ქართული თარგმანები.[49]

საკითხის შესასწავლად, ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებთან ერთად საყურადღებოა უცხოურ წყაროთა მონაცემებიც. წინაფეოდალურ ეპოქაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ მნიშვნელოვანია სტრაბონის თხზულება „გეოგრაფია".[50] ბიზანტიური წყაროებიდან აღსანიშნავია პროკოფი კესარიელისა (VI ს.),[51] კონსტანტინე პორფიროგენეტის[52] (X ს.), გიორგი სფრანძესის და სხვა ავტორების თხზულებები.[53]

აღმოსავლური წყაროებიდან გამოსაყოფია არაბი ავტორების იაკუთის (IX ს.),[54] ისთახრის, (X ს.), უცნობი ავტორის გეოგრაფიული თხზულება „ჰოდუდ ალ-ალემი" (X ს.),[55] ალ-მასუდის, იბნ-ჰაუქალის,[56] ირანელი ავტორის ჰამდალაჰ ყაზვინისა[57] და სხვათა ცნობები, რომლებიც სოფლის მეურნეობისა თუ საქალაქო ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან. გვიანდელი სპარსული წყაროებიდან აღსანიშნავია სეფიანთა ხანის ისტორიკოსის – ისკანდერ მუნშის ნაშრომი.[58] გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ ოსმალური წყაროებიდან მნიშვნელოვანია ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი"[59] და სხვა თხზულებები.

---

[49] ბიბლია. ძველი აღთქმა. სარედაქციო კოლეგია: ილ. აბულაძე, ნ. გოგუაძე, ვ. კეკელია, ც. ქურციკიძე. ნაწილი I-II. თბ. 2017.

[50] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957.

[51] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა. თბ. 1965, გვ. 38-212.

[52] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვეთი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952.

[53] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VIII. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1970.

[54] იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ. 1964.

[55] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა. თბ. 1937.

[56] Н. А. Караулов. Сведенія арабскихъ географовъ IX-X вековъ. Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа. Вып. XXXVIII. Тфл. 1908.

[57] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი.

[58] ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ. თბ. 1969.

[59] ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. I. თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო გ. ფუთურიძემ. თბ. 1971.

სომხური წერილობითი წყაროებიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ვხვდებით გრიგოლ აკანელის,[60] კირაკოს განძაკელის[61] და სხვა ავტორთა თხზულებებში.

საქართველოს ეკონომიკური ვითარების წარმოსაჩენად გასათვალისწინებელია ევროპელი ავტორების თხზულებები და ამა თუ იმ სახის ჩანაწერები, რომლებიც XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან. მათგან უპირველესად აღსანიშნავია იტალიელი ელჩების იოსაფატ ბარბაროს და ამბროჯიო კონტარინის ცნობები.[62]

ევროპული წყაროებიდან მნიშვნელოვანია XVII საუკუნეში საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების – არქანჯელო ლამბერტის,[63] დონ კრისტოფორო დე კასტელის,[64] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის[65] და სხვათა ცნობები.

ღირებულ ინფორმაციას გვაწვდიან ევროპელი მოგზაურებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია 1670-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მყოფი ფრანგი მოგზაური – ჟან შარდენი.[66] საინტერესო ინფორმაციის შემცველია XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში მყოფი ფრანგი ბოტანიკოსის ტურნეფორის ცნობებიც.[67]

XVIII საუკუნის შუა ხანების საქართველოს ეკონომიკური ვითარებას საინტერესოდ აღწერს ყირიმში მყოფი საფრანგეთის კონსული პეისონელი.[68] ამავე ეპოქის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გერმანელი მეცნიერის

---

[60] გრიგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1961.

[61] Киракос Гандзакеци. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. Москва, 1976.

[62] იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში. მოამბე. № 11. ტფილისი, 1894, გვ. 45-61.

[63] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი. ტფილისი, 1901.

[64] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ. თბ. 1976.

[65] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა. თბ. 2014.

[66] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975.

[67] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1988.

[68] ს. კაკაბაძე. საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. I. ქუთაისი, 1940.

გიულდენშტედტის ნაშრომი. ის საქართველოში 1771-1772 წლებში იმყოფებოდა. იგი თავის ნაშრომში იმდროინდელი ყოფის თითქმის ყველა მხარეს ეხება.[69]

არანაკლები მნიშვნელობის ცნობებს გვაწვდის გიულდენშტედტის თანამემამულე იაკობ რაინეგსი, რომელიც საქართველოში XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში იმყოფებოდა.[70]

გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოში მყოფი რუსი ელჩები და სახელმწიფო მოხელეები. მათგან საყურადღებოა XVI საუკუნის მიწურულს კახეთის სამეფოში მყოფი ელჩების – ზვენიგოროდსკის და ანტონოვის,[71] XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მყოფი ელჩების – ტოლოჩანოვის და იევლიევის[72] და XVIII საუკუნის II ნახევრის მოხელეების – იაზიკოვისა[73] და ბურნაშოვის ცნობები.[74]

რაღა თქმა უნდა, ჩვენ წყაროების მხოლოდ გარკვეული ნაწილი მიმოვიხილეთ და საქართველოს ეკონომიკური წარსულის ამსახველი ცნობები სხვა სახის წყაროებშიც მოიძებნება. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის სხვადასხვა დეტალის შესასწავლად წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანია.

ლიტერატურის მიმოხილვა. საქართველოს წარსულის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის აუცილებლობაზე მსჯელობა XIX საუკუნიდანვე დაიწყო. 1880 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა: „... ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვით მოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმი-

---

[69] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962; ტ. II. თბ. 1964.

[70] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 2002.

[71] იხ.: Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел С. А. Белокуровым. Вип. I. 1578-1613 гг. Москва, 1889, გვ. 84-222.

[72] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა). რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ. 1969; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ. 1970.

[73] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I. СПб. 1891, გვ. 183-196.

[74] С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тфл. 1896.

ყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად... იარაღით ხელში იდგა... ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა... საკვირველი ეს არის, – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?". ილია ჭავჭავაძე საკითხის სირთულესაც ითვალისწინებდა და დასძენდა: „ყოველს ამა საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალა, რომელიც გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში".[75]

ქვეყნის ეკონომიკური წარსულის შესწავლას ილია პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდა და აღნიშნავდა: „აი, საგანი ღირშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა".[76]

როგორც ივ. ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავდა, „ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა".[77] ივ. ჯავახიშვილი აქვე დასძენდა, რომ ილიას მიერ წამოყენებულ საკითხზე იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიას პასუხის გაცემა არ შეეძლო.[78]

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, ისევე როგორც უამრავ სხვა საისტორიო დარგსა თუ დისციპლინას, საფუძველი სწორედ ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ჯერ კიდევ 1907 წელს დაიბეჭდა მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია". მასში მოკლედ დაისვა ის საკითხები, რომლებიც სამომავლოდ ფართო კვლევის საგანი უნდა გამხდარიყო.[79] ივ. ჯავახიშვ-

---

[75] ილია ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ (1880). ნაწერების სრული კრებული. ცხრა ტომად. შედარებული პირველ წყაროებთან და შევსებული ახალი ტექსტებით პაველ ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით. ტ. V. ტფილისი, 1927, გვ. 202; ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. ტფილისი, 1938, გვ. 8.

[76] ილია ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ (1880), გვ. 202-203; ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 8.

[77] ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 8.

[78] ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 9.

[79] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფილისი, 1907.

ილმა 1918 წელს ქართული ქალაქების შესახებ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა.[80] 1925 წელს კი გამოიცა ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“,[81] ხოლო 1930 და 1934 წლებში გამოქვეყნდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი და მეორე წიგნები.[82]

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი და მეორე წიგნებში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური ისტორიის წყაროების (დემოგრაფიული, საფინანსო და სხვა სახის ძეგლების) მიმოხილვა და უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. 1964 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოსცა მეორე წიგნისათვის განკუთვნილი მასალები, სათაურით – „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, რომელშიც წარმოდგენილია მეღვინეობისა და მეხილეობის საკითხები.[83] XX საუკუნის 40-70-იან წლებში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის მიერ შეკრებილი ეკონომიკის ისტორიასთან დაკავშირებული წყაროები და სხვადასხვა სახის გამოკვლევა.[84]

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავდა, რომ ნაშრომი ოთხ ტომად უნდა დაბეჭდილიყო. მესამე და მეოთხე ტომებში კი თავმოყრილი უნდა ყოფილიყო გამოკვლევები შემდეგ საკითხებზე: „... მოსახლეობაზე, სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობასა, საქალაქო წესწყობილებასა და ვაჭრობა-მრეწველობაზე, კერძო, საკორპორაციო და სახელმწიფო მეურნეობის წესებსა და ფინანსებზე“.[85]

სამწუხაროდ, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მესამე

---

[80] ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს. პრომეთე. № 1. თბ. 1918, გვ. 35-61.

[81] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფილისი, 1925.

[82] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი I. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფილისი, 1930; წიგნი II. ტფილისი, 1934.

[83] ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I. ნაკვეთი IV და V; მეღვინეობა და მეხილეობა საქართველოში. გამოსაცემად მოამზადა აკად. ივ. ჯავახიშვილის კაბინეტმა. რედ. ნ. ბერძენიშვილი. თბ. 1964.

[84] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. წიგნი I. თბ. 1967; წიგნი II. თბ. 1974; მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ნაკვ. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ. 1946; ნაკვ. II. საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი. თბ. 1965; ნაკვ. III-IV. ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე (ნაკვ. III), საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე (ნაკვ. IV). დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა. თბ. 1962.

[85] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. IV-V.

და მოთხე წიგნების გამოცემა ვერც ავტორის სიცოცხლეში მოხერხდა და არც შემდგომში გამოცემულა. გამოუქვეყნებელი მასალის ავტოგრაფი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში.[86] პირად არქივში პრაქტიკულად თავმოყრილია მესამე და მეოთხე წიგნების მასალები. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საკითხი ავტორის მიერ ბოლომდე დამუშავებული არ არის, თუმცა მისი სამეცნიერო ღირებულება მაინც დიდია, რადგან კვლევაში გამოყენებულია ისეთი წყაროების ერთი ნაწილი, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს და დაკარგულად ითვლება (შესაძლებელია განადგურდა პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული არქივის ჩრდილოეთ კავკასიაში ევაკუაციისას). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მრავალი საკითხი, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელ ხელნაწერში გვხვდება, დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ არის.

გარდა სპეციალურად ეკონომიკის ისტორიისათვის დაწერილი ნაშრომებისა, ივ. ჯავახიშვილი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება ზოგადისტორიული ხასიათის შრომებშიც. „ქართველი ერის ისტორიის“ სხვადასხვა წიგნში მრავლად ვხვდებით ამა თუ იმ ეპოქაში არსებული ეკონომიკური ვითარების შეფასებას.

საქართელოს ეკონომიკური ისტორიის კვლევას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ს. კაკაბაძემ. ავტორის მიერ 1922 წელს გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა“, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ვრცელ მიმოხილვას ვხვდებით.[87] 1924 წელს ს. კაკაბაძემ ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა.[88] ეკონომიკური ისტორიის თემატიკას ეხება ასევე ნაშრომი „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13 – მე-17 საუკუნე“.[89] უნდა აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძე ზოგჯერ წინააღმდეგობრივ დასკვნებს გვთავაზობს. მაგალითად, თუ ავტორი 1924 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის პირველ ნაწილში წერდა, რომ XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ეკონომიკურ ცხოვრებას თვალსაჩინო გამოცოცხლება ეტყობოდა, ქვემოთ შენიშნავდა, რომ ქვეყანა ეკონომიკურად დაუძლურებული იყო.

---

[86] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში: ხეც.). ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი.

[87] ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810). ტფილისი, 1922.

[88] ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში (ზოგადი მიმოხილვა). მნათობი. № 2, № 3. ტფილისი, 1924.

[89] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13 – მე-17 საუკ. საისტორიო მოამბე. I. ტფილისი, 1925.

საქართველოს ისტორიის სხვადასხვა თემატიკასთან ერთად ეკონომიკურ საკითხებსაც შეეხო გ. ნათაძე 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“. აღნიშნულ ნაშრომში ავტორმა ძალზე საკამათო მოსაზრება შემოგვთავაზა. მისი აზრით, საქართველოში წარმოება იმ დონეზე არასოდეს განვითარებულა, რომ მას პერიფერიები ცენტრისაკენ მიეზიდა, ხოლო ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანების მიზეზი შინაგანი განვითარება არ ყოფილა. ავტორი მიიჩნევდა, რომ XI-XII საუკუნეებში ქვეყნის კეთილდღეობის ძირითადი წყარო ხარკსა და ნადავლზე იყო დამყარებული.[90]

გ. ნათაძემ 1930 წელს გამოცემულ ნაშრომში, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ვითარებას ეხებოდა, გარკვეულწილად განსხვავებული დასკვნები შემოგვთავაზა. ავტორი აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდში ქვეყანაში განვითარდა სასაქონლო წარმოება, დაიწყო მამულების „დამრგვალება“ და მისი რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობა, ეკონომიკაში არსებობდა ზუსტი შესავალ-გასავლის აღრიცხვა და ა.შ.[91]

ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკვანძო საკითხი შეისწავლა ს. ჯანაშიამ. მის ნაშრომებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია.[92] ავტორის ძირითადი კვლევის ობიექტი ადრეფეოდალური ეპოქა იყო.

განვითარებული და გვიანი ფეოდალური ხანის ეკონომიკური ვითარების შესახებ საინტერესო დასკვნები შემოგვთავაზა ნ. ბერძენიშვილმა. გ. ნათაძის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ავტორი ასაბუთებდა, რომ XI-XII საუკუნეების ქართული მონარქიის ერთიანობის საფუძველი სწორედ სოციალურ-ეკონომიკური ბაზისი იყო.[93] მისი აზრით, XIII საუკუნეში ფეოდალური საქართველოს ზრდა-განვითარება ძირითადად დასრულებული იყო. შესაბამისად, ფეოდალურმა ურთიერთობებმა იმ პერიოდში თავისი აღმავლობის ზღვარს მიაღწია და შემდგომი განვითარება მხოლოდ ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.[94] ნ. ბერძენიშვილმა, ასევე შეისწავლა XV საუკუნის II ნახევარში საქართველოს დაშლის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები. ის სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობად ქვეყნის დეგრად-

---

90 გ. ნათაძე. საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა. ნაწილი I, II. ტფილისი, 1925.

91 Г. Натадзе. К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. Сб. История Классовой борьбы в Закавказье. Тфл. 1930, გვ. 123-152.

92 ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I. თბ. 1949; ტ. II. თბ. 1952; ტ. III. თბ. 1959.

93 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბ. 1965, გვ. 23-42.

94 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. V. თბ. 1971, გვ. 160.

აციას ასახელებდა. შედარებით ხელსაყრელი პირობები კი მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა, რასაც რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას უკავშირებდა.[95]

IV-X საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხები მოცემულია ა. ბოგვერაძის ნაშრომში,[96] ხოლო XVI-XVII საუკუნეების ვითარება განიხილა ვ. გაბაშვილმა.[97] შუა საუკუნეების ქართული ქალაქები დეტალურად შეისწავლა შ. მესხიამ.[98]

აღნიშნული პერიოდში, ანუ საბჭოთა ეპოქაში, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ამა თუ იმ საკითხით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა. ფეოდალური ქართული ქალაქები და, ზოგადად, ეკონომიკური ისტორიის სხვადასხვა ასპექტი შეისწავლეს ავტორებმა: პ. გუგუშვილმა,[99] ლ. ჭილაშვილმა,[100] ვ. გაბაშვილმა,[101] ნ. ქოიავამ,[102] დ. გოგოლაძემ,[103] კ. კუციამ,[104] თ. გამსახურდიამ[105] და სხვა ავტორებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა დასახელებული თემატიკის კვლევაში უდიდესი როლი შეასრულეს. მათ მრავალ სადავო საკითხის შესახებ არსებითად სწორი დასკვნები შემოგვთავაზეს. თუმცა საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის უდიდესი ნაკლი იყო ის ფაქტი, რომ სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევა მარქსისტულ ჭრილში წარმართეს. შესაბამისად, გადამწყვეტი უპირატესობა კლასობრივი ბრძოლის წინა პლანზე წამოწევას ენიჭებოდა. შედეგად, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი შეუსწავლელი დარჩა, ხოლო ზოგიერ-

---

[95] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. V, გვ. 161-180.

[96] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1961.

[97] ვ. გაბაშვილის. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს. თბ. 1958.

[98] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983.

[99] პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941.

[100] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I. თბ. 1968; ტ. II. თბ. 1970; კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს). თბ. 1980.

[101] ვ. გაბაშვილი. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. თბ. 1970; საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში. თსუ შრომები. ტ. 121. თბ. 1967, გვ. 201-224.

[102] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ. 1963.

[103] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა 1800-1864 წწ.). თბ. 1971.

[104] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში. თბ. 1984.

[105] თ. გამსახურდია. ქალაქები, ვაჭრობა, ხელოსნობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 339-358.

თი სადავო საკითხი კი იმდროინდელი იდეოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით გადაწყდა.

ერთ-ერთ მსგავს პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის გამართლება, რომელსაც ეკონომიკური დასაბუთებაც ესაჭიროებოდა. შესაბამისად, XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ვითარების შეფასებისას საბჭოთა ისტორიოგრაფიის, ისე როგორც რუსეთის იმპერიის ეპოქის ისტორიკოსების, მხრიდან წინააღმდეგობრივ მიდგომებს ვხვდებით. რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გამართლებისათვის საჭირო გახდა ქართლ-კახეთის სამეფო წარმოჩენილიყო, როგორც დაღუპვის პირას მყოფი სახელმწიფო, რომლის გადარჩენისათვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა რუსეთის „დახმარება". ამავე დროს, ბოლომდე ვერც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ აუარა გვერდი იმ პოზიტიურ მოვლენებს, რომლებიც ქვეყანაში შეინიშნებოდა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან ფ. გოგიჩაიშვილის და ს. ავალიანის ნაშრომებში გამოითქვა მოსაზრება, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველო წარმოადგენდა კარჩაკეტილ ქვეყანას, სადაც ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული, ხოლო საქალაქო ცხოვრება არ ვითარდებოდა.[106]

ერთ-ერთი პირველი, ვინც XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკის დაღმავალი განვითარების წინააღმდეგ გაილაშქრა, გ. ნათაძე იყო. როგორც აღინიშნა, ავტორი ყურადღებას ამახვილებდა XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის ეკონომიკურ განვითარებაზე. მისი დასკვნით, XIX საუკუნის I ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არავითარი თვისებრივი ცვლილება არ მომხდარა და გაგრძელდა XVIII საუკუნის II ნახევარში დაწყებული პროცესები.[107]

საკითხს შეეხო ნ. ბერძენიშვილიც წერილში: „სამღებროთა შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში". ავტორი ადასტურებს, რომ შუა საუკუნეების სახელოსნოების გვერდით მანუფაქტურული წარმოებაც არსებობდა, თუმცა მისი როლი ქვეყნის ცხოვრებაში მცირე იყო.[108]

დ. უჩანეიშვილი თავის ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო პერიოდ-

---

[106] იხ.: С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье. Т. I. Одесса, 1912; ფ. გოგიჩაიშვილი. რჩეული ნაწერები. აკად. პ. გუგუშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით. ტ. I. თბ. 1974.

[107] Г. Натадзе. К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, გვ. 123-152.

[108] ნ. ბერძენიშვილი. სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. ნ. ტფილისი, 1937, გვ. 431-470.

ში უარყოფს აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. მართალია, ავტორი მიუთითებს ვაჭრობის დაწინაურებაზე, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ ვაჭრობამ რადიკალური გავლენა ქვეყნის წინსვლაზე არ იქონია და იმხანად კვლავ ნატურალური მეურნეობა ბატონობდა.[109]

პ. გუგუშვილი თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მანუფაქტურული ტიპის საწარმოები არსებობდა, თუმცა ისინი ძირითადად სახელმწიფო სარეწავებს წარმოადგენდნენ. კერძო კაპიტალისტური სარეწავების წარმოქმნა კი იმ დროში შეუძლებელი იყო.[110]

შ. მესხია საკითხის შესახებ მიუთითებდა, რომ XV-XVII საუკუნეებისაგან განსხვავებით, XVIII საუკუნის II ნახევარში ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მისი აზრით, ამ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული დაქირავებული შრომა, ხოლო სავაჭრო-სავახშო კაპიტალი ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის რღვევას. თუმცა, მისი შეფასებით, მანუფაქტურული წარმოება სუსტი იყო.[111]

1954 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა დისკუსია თემაზე: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში". მომხსენებლებმა: მ. დუმბაძემ და ზ. ანჩაბაძემ თავიანთ მოხსენებებში ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ აღნიშნეს: „მე-18 საუკუნეში საქართველო წარმოადგენდა სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყანას, სადაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სათანადო პირობები, ამიტომ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური „ჩიხიდან" ქვეყნის საკუთარი ძალებით გამოყვანა შეუძლებელი იყო და მისი რუსეთთან შეერთება 1801 წელს ისტორიულად აუცილებელი მოვლენა გახდა. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებით დაიწყო მტრული გარემოცვის გარღვევის პერიოდი და არსებული „ჩიხიდან" ქვეყნის დაძვრის ხანა".[112]

მოგვიანებით ეს პოზიცია მ. დუმბაძემ უარყო ნაშრომში „თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართ-

---

[109] დ. უჩანეიშვილი. К вопросу об экономическом развитии восточной Грузии во второй половине XVIII века. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 5. თბ. 1937, გვ. 386, 427.

[110] პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941; П. Гугушвили. Развитие промышленности в Грузии и в Закавказье в XIX-XX вв. Тб. 1957.

[111] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 244-265.

[112] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის. თბ. 1977, გვ. 14.

ველოში". ავტორი აღნიშნავდა, რომ თავისუფალ გლეხთა ფენის არსებობა და მისი განვითარების პერსპექტივა ბატონყმობის რღვევის პროცესზე მიუთითებდა.[113]

ა. როგავას აზრით, იმ დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში კაპიტალისტური ელემენტები იმდენად ძლიერი იყო, რომ მან შეუტია ფეოდალურ სისტემას და დაიწყო ამ ფორმაციის რღვევა.[114]

საინტერესოა დ. გოგოლაძის ნაშრომი, რომელშიც ავტორი იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქვეყნაში კაპიტალისტური წესის საწარმოები არსებობდა.[115]

ვ. ჩანტლაძე ნაშრომში „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები" აღნიშნავდა, რომ საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წინამძღვრები ჩამოყალიბდა XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში და კიდევ უფრო განვითარდა XVIII საუკუნის II ნახევარში. ის მიუთითებდა ვაჭრობის განვითარებასა და მანუფაქტურების არსებობაზე.[116]

ასევე აღსანიშნავია გ. აკოფაშვილის კვლევები. ერთ-ერთ ნაშრომში „ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდგეგის საქართველოში" ავტორი პირველწყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ განსახილველ პერიოდში არსებობდა რაციონალურ ყაიდაზე მოწყობილი მამულები, მსგავს მამულებში კი მათი მფლობელები მკაცრი აღრიცხვის სისტემას იყენებდნენ; სოფლად დაქირავებული შრომის ფაქტები დასტურდებოდა და ა.შ.[117]

ი. ანთელავამ ერთგვარი შუალედური პოზიცია დაიკავა იმ მკვლევართა შორის, რომელთაგან ნაწილი XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში ვერავითარ პროგრესს ვერ ამჩნევდა, ხოლო ნაწილი კი გადაჭარბებით აფასებდა მოვლენებს.[118]

მ. სამსონაძე ნაშრომში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს.-ის პირველ მესამედში", მიუთითებდა რა, XVIII საუკუნის II ნახევრის ეკონომიკის განვითარებაზე, XIX საუკუნის მოვლენებს არა „რუსულ სიახლედ", არამედ წინამორბედის გაგრძელებად მიიჩნევდა.[119]

---

[113] მ დუმბაძე. თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 398.

[114] А. Рогава. Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II-го. Тб. 1974, გვ. 163.

[115] დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრენველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1966.

[116] ვ. ჩანტლაძე. სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები. თბ. 1959, გვ. 11.

[117] გ. აკოფაშვილი. ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდგეგის საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII. თბ. 1964, გვ. 93-105.

[118] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის. თბ. 1977.

[119] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს.-ის პირველ

1990 წელს გამოცემულ „თბილისის ისტორიის" I ტომში აღნიშნულია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ქვეყანა ეკონომიკურად დაწინაურდა.[120]

ა. თაბუაშვილის 2010 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის" აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკური განვითარების ფორსირება, მართალია, სამეფო ხელისუფლების ძალისხმევის შედეგი იყო, მაგრამ მანუფაქტურიზაცია კერძო წამოწყებებშიც აღწევდა. შესაბამისად, იმ პერიოდში ქვეყანა განვითარების გზაზე იდგა. ამავე ნაშრომში უარყოფილია ის მოსაზრება, რომ 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფო უკიდურესად დაუძლურდა. ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ნაჩვენებია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები სწრაფად დაუბრუნდა 1795 წლამდელ ნიშნულს და, ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, ქვეყანა აგრძელებდა პროგრესს.[121]

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიასთან დაკავშირებით არც თუ ბევრი ნაშრომი იწერება. ბოლო დროს გამოცემული გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ქ. ნადირაძის ნაშრომი „ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში",[122] ე. ავდალიანის – „საქართველო და აბრეშუმის გზები (VI-XIII სს.)[123] და ა. თაბუაშვილის – „ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში".[124]

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის სრულყოფილად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია ქართველი ეთნოგრაფების გამოკვლევები. გ. ჩიტაიას,[125] გ. ჯალაბაძის[126] და სხვა ავტორების ნაშრომებში ვხვდებით როგორც სახვნელი და სხვა სამუშაო იარაღის ევოლუციის ისტორიას, ისე მოსახლეობის ყოფის შესახებ სხვადასხვაგვარ ცნობებს. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური კავშირების შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა რ. თოფჩიშვილმა.[127]

მესამედში. თბ. 1980.

[120] თბილისის ისტორია. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თბ. 1990.

[121] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 109.

[122] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში. თბ. 2018.

[123] ე. ავდალიანი. საქართველო და აბრეშუმის გზები (VI-XIII სს.). თბ. 2019.

[124] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში (X-XVIII სს.). თბ. 2019.

[125] გ. ჩიტაია. შრომები. I. თბ. 1997; II. თბ. 2000; III. თბ. 2001; IV. თბ. 2001; V. თბ. 2001.

[126] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ. 1960.

[127] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნუმიზმატიკურ და მეტროლოგიურ მონაცემებს, რადგან აღნიშნული დისციპლინების სათანადო განვითარების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა.

ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაიწყო, როდესაც ადლერმა რომში ქართული მონეტა გამოსცა, ხოლო ქართულ ნუმიზმატიკურ მეცნიერებას საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა. ივ. ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ – წარმოადგენს ქართული საფას-საზომების უწყვეტი ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ მცდელობას. მოგვიანებით ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერება სათანადოდ განვითარდა ე. პახომიევის, თ. ლომოურის, დ. კაპანაძის, გ. დუნდუას, რ. ქებულაძის, მ. ანთაძის, გ. ჯაფარიძის, თ. ქუთელია, ც. ღვაბერიძის, თ. დუნდუასა და სხვა ავტორთა ნაშრომებით.[128] ბოლო პერიოდში თ. დუნდუას ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ- კატალოგი,[129] რომლის ბეჭდური ვერსია ოთხ ტომად გამოიცა.[130]

რაც შეეხება მეტროლოგიას, ივ. ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომის გარდა, აღსანიშნავია ს. კაკაბაძის,[131] ლ. მუსხელიშვილის[132] და გ. ჯაფარიძის[133] გამოკვლევები.

სიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია – 100. თბ. 2016, გვ. 392-421.

[128] იხ.: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006, გვ. 15-29.

[129] http://geonumismatics.tsu.ge/

[130] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. Catalogue of Georgian Numismatics. I ნაწილი. თბ. 2013; II ნაწილი. თბ. 2014; III ნაწილი. თბ. 2015; IV ნაწილი. თბ. 2015.

[131] ს. კაკაბაძე. ქართული მეტროლოგია. საისტორიო მოამბე. I. ტფილისი, 1925, გვ. 51-85.

[132] ლ. მუსხელიშვილი. ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დასავლეთ საქართველოში XVI-XVIII სს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XI-B. თბ. 1941, გვ. 20-24.

[133] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.). თბ. 1973.

ფეოდალური ხანის საქართველოს ფულის სისტემისა და ზომა-წონის ერთეულების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს, ისე როგორც ნებისმიერი ქვეყნის, ეკონომიკური ისტორიის ნიუანსების გარკვევისათვის აუცილებელია იმდროინდელი ფულისა და ზომა-წონის ერთეულების მონაცემების გათვალისწინება. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექნება".[134]

დამხმარე ისტორიული დისციპლინები – ნუმიზმატიკა და მეტროლოგია – საქართველოში სათანადოდ განვითარდა, რის შედეგადაც ძველ საქართველოში არსებული ფულისა და ზომა-წონის თითქმის ყველა ერთეულის შესახებ დღეისათვის დაზუსტებული მონაცემი გაგვაჩნია.

ამჯერად შესაბამისი დარგის მკვლევრების ნაშრომებზე დაყრდნობით მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ძირითად ფულის ერთეულებსა და საწყაოებს, რომლებიც ფეოდალური ხანის საქართველოში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული.

როგორც ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოში, ისე იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში, მიმოქცევაში იყო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ცხადია, მათ განსხვავებული ღირებულება ჰქონდა. ფეოდალური ხანის საქართველოში იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, ხოლო ოქროს მონეტები (უცხოურ ვერცხლის თუ სპილენძის მონეტებთან ერთად) სხვადასხვა ქვეყნიდან შემოდიოდა.

ვერცხლის მონეტებს საქართველოში დრამა ეწოდებოდა. დრამა, როგორც მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.[135] მიუხედავად იმისა, რომ დრამა ქართულ წერილობით წყაროებში IX-X საუკუნეებიდან ჩანს, საქართველოში ეს ტერმინი არაბთა ბატონობამდე უნდა გავრცელებულიყო და, სავარაუდოდ, მიმოქცევაში არსებულ სასანურ და VI-VII საუკუნეებში მოჭრილ ქართულ-სასანურ მონეტებსაც ეს სახელი ეწოდებოდა. დრამა მონეტის სახელწოდებასთან ერთად წონის ერთეულსაც აღნიშნავდა.[136] მისი თავდაპირველი წონა

---

[134] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 2.

[135] გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009, გვ. 54.

[136] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 33.

დაახლ. 3 გრამს (2,97 გრ.) უდრიდა.[137] უნდა აღინიშნოს, რომ დრამის დადგენილ წონას უახლოვდება როგორც ქართლის ერისმთავრების მოჭრილი ქართულ-სასანური მონეტები (საშუალო წონა – 2,88 გრამი), ისე არაბთა ბატონობის ეპოქის თბილისში მოჭრილი არაბული დირჰემები (საშუალო წონა – 3 გრამი)[138] და დავით III კურაპალატის მოჭრილი მონეტები (წონა – 3,05-3,5 გრამი).[139] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფეოდალური ხანის საქართველოს ბოლო ვერცხლის მონეტებიც – ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი სირმა-აბაზებიც – სწორედ დრამის თავდაპირველი წონის იდენტური იყო და დაახლ. 3 გრამს (≈2,93 გრ.) იწონიდა.[140]



დავით III კურაპალატის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტა ჭუშმარიტი ჯვრის გამოსახულებით (3,05–3,5 გრ.) [979 წ.]

X საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის ბოლომდე იცვლებოდა როგორც ფულის სახელწოდება, ისე მისი წონა. ერთიანი ქართული მონარქიის პერიოდში ვერცხლის ფულის აღმნიშვნელ ტერმინად თეთრიც დამკვიდრდა. წყაროებში თეთრი XIII საუკუნიდან ჩანს. წერილობით წყაროების მიხედვით, თეთრი, ზოგადად, ვერცხლის მონეტის აღმნიშვნელი ტერმინიც იყო და კონკრეტული ფულის ერთეულისაც. მაგალითად, ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) მოჭრილი ვერცხლის მონეტას „ყაზანაური თეთრი“ ეწოდებოდა, XIII-XVI საუკუნეებში დასავლურ-ქართულ ვერცხლის ფულს – „კირმანეული თეთრი“ (ტრაპიზონის იმპერიაში მოჭრილი ასპრების მინაბაძები).[141] XI საუკუნეში ქართული მონეტების წონა მცირდებოდა. შესაბამისად, ბაგრატ IV-სა (1027-1072 წწ.) და გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მოჭრილი მონეტები 3 გრამზე ნაკლები იყო. მათი წონა 1,1 გრამიდან 2,2 გრამამდე მერყეობდა, ხოლო დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მოჭრილი ვერცხლის მონეტები 1 გრამზე ნაკლებს იწონიდა.[142]

[137] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 40.
[138] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 39-40.
[139] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 9.
[140] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 39.
[141] გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 82.
[142] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 10-15.

გიორგი II-ის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტა ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებით. II ემისია (1,2-2,03 გრ.). 1074 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



დავით აღმაშენებლის ეპოქიდან მოყოლებული, XII საუკუნის განმავლობაში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფოს, ისე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის, სამონეტო ბაზარი დაფუძნებული იყო სპილენძის მონომეტალიზმზე. ეს კი განპირობებული იყო ე.წ. „ვერცხლის კრიზისით“. „ვერცხლის კრიზისი“ სხვადასხვა გარემოებას უნდა გამოეწვია. მართალია, მისი ზუსტად განმარტება რთულია, თუმცა ის ფაქტი დადასტურებულია, რომ სპილენძის მონეტებს საკრედიტო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, 1187 წელს თამარის (1184-1210 წწ.) მოჭრილ სპილენძის მონეტაზე სხვა წარწერებთან ერთად აღნიშნულია: „იქნა ჭედაი ვერცხლისი“,[143] რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სპილენძის მონეტებს ვერცხლის ფულის ღირებულება გააჩნდა.

თამარ მეფის მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტა. 1187 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



რუსუდანის (1222-1245 წწ.) მეფობიდან საქართველოში კვლავ დაიწყო ვერცხლის ფულის (დრამის/თეთრის) მოჭრა, რომლის წონა 2,35-2,70 გრამს შეადგენდა. დაახლოებით ანალოგიური წონის იყო XIII საუკუნეში როგორც ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტები, ისე თბილისის ზარაფხანის გამოშვებული მონღოლური საოკუპაციო სერიები. ამავდროულად, იჭრებოდა სპილენძის მონეტებიც, რომლებიც ხურდა ფულის როლს ასრულებდა.[144]

ყაზან ყაენის 1296 წელს გატარებული სამონეტო რეფორმის შემდეგ დირჰემის წონად 2,13 გრამი განისაზღვრა[145] და როგორც ილხანთა საყაენოში, ისე საქართველოში მსგავსი წონის ვერცხლის

[143] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 45.

[144] იხ.: ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 66-102.

[145] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 111.

რუსუდანის ვერცხლის მონეტები იესო ქრისტეს გამოსახულებით. 1230 წ. (2,35-2,70 გრ.)



ნომინალები იჭრებოდა. მოგვიანებით კი ილხანების მოჭრილი მონეტების წონა მკვეთრად დაეცა და 1 გრამს ჩამოსცდა. 1 გრამზე ნაკლები წონის იყო გიორგი VII-ის (1393-1407 წწ.) მოჭრილი ვერცხლის მონეტები, ხოლო კონსტანტინე I-ის (1407-1411 წწ.) და ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) მონეტების წონა 0,35-0,40 გრამებს შორის მერყეობდა.[146] XV საუკუნის II ნახევარში საქართველოში ბილონის (დაბალსინჯიანი ვერცხლი) მონეტები იჭრებოდა და მათი წონაც 1 გრამზე ნაკლები იყო.[147] XVI საუკუნეში იმერეთის მეფეების – ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) და გიორგი II-ის (1565-1585 წწ.) – მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტებიც 1 გრამს არ აღემატებოდა.[148]

XV საუკუნესა და XVI საუკუნის დასაწყისში ქართველ მეფეთა მოჭრილი მონეტების წონის მკვეთრი გაუარესების გამო აღმოსავლეთ საქართველოში ძირითად საგადასახადო ერთეულად შირვანული თანგა მიიჩნეოდა. თანგა თემურ ლენგის 6,2-გრამიანი მაღალსინჯიანი ვერცხლის მონეტა იყო, რომლის მიხედვითაც შირვანში იჭრებოდა მსგავსი საფასე.[149] თუმცა მისი წონა თემურ ლენგის მოჭრილ მონეტებს ჩამოუვარდებოდა, დროთა განმავლობაში კი კიდევ უფრო შემცირდა.

ქალაქ შემახაში მოჭრილი თანგა



XIII-XV საუკუნეების დასავლეთ საქართველოში კი ძირითადი საგადასახადო ერთეული ტრაპიზონული ვერცხლის ასპრები და მათი ადგილობრივი მინაბაძები – კირმანეული თეთრი – იყო.[150]

146 ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 146-147.
147 ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 147-152.
148 ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 153-157.
149 გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 79-80, 173.
150 გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 14-15, 92-93.



კირმანეული თეთრი.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი წონის ფულად ერთეულებთან ერთად ამა თუ იმ ეპოქაში სხვადასხვა ზომის ფულადი ნომინალებიც – ნახევარი ან ორმაგი დრამა/თეთრი – იჭრებოდა.

XVI საუკუნის შუა ხანებიდან აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელდა ირანული მონეტები, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ოსმალური. 1604/1605 წლებიდან თბილისის ზარაფხანაში ირანული სამონეტო სისტემის მიხედვით ვერცხლის ნომინალები იჭრებოდა, რომელთა ძირითადი ერთეული შაჰ აბას I-ის (1587-1629 წწ.) შემოღებული აბაზი იყო. მისი სტანდარტული წონა 7,76 გრამს შეადგენდა.[151] აბაზთან ერთად იჭრებოდა სხვა ნომინალებიც: შაური, უზალთუნი, მარჩილი და ა.შ. ერთი აბაზი 4 შაურისაგან შედგებოდა, უზალთუნი 2 შაურს უდრიდა, ხოლო მარჩილი 12 შაურის, ანუ 3 აბაზის ტოლფასი იყო.[152] ირანული საოკუპაციო ვერცხლის მონეტები თბილისის ზარაფხანაში XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე იჭრებოდა, თუმცა 1717 წლიდან აბაზის წონა შემცირდა. ამავდროულად, თბილისის ზარაფხანა სპილენძის მონეტებსაც უშვებდა, რომლებსაც ხურდა ფულის ფუნქცია გააჩნდა. ქართლის მმართველებმა მხოლოდ 1708 წლიდან მოიპოვეს თბილისში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე ქართული წარწერებისა და საკუთარის სახელის განთავსების უფლება.[153]



1604/1605-1717 წლებში თბილისში მოჭრილი აბაზი (დაახლ. 7,5 გრ. ვერცხლი). კონკრეტული მონეტა მოჭრილია აბას II-ის (1642-1666 წწ.) სახელით

[151] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 16.
[152] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 8.
[153] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 23-38.

თბილისის ზარაფხანაში ირანული ვერცხლის მონეტების მოჭრა დროებით 1723-1735 წლებში შეწყდა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთს დაექვემდებარა. აღნიშნულ პერიოდში თბილისის ზარაფხანაში ოსმალებმა განახორციელეს ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტების ემისია.[154]

XVIII საუკუნის II ნახევრიდან კი თბილისის ზარაფხანაში ერეკლე II თავისი სახელით ჭრიდა ვერცხლის მონეტებს – „სირმა-ვერცხლს“, რაც წმინდა, სუფთა ვერცხლს ნიშნავდა. როგორც ზემოთ ითქვა, ძირითადი ნომინალის – სირმა-აბაზის – წონა დრამის დადგენილ წონას უახლოვდებოდა და დაახლ. 2,93 გრამით განისაზღვრებოდა. აბაზთან ერთად იჭრებოდა სხვა ნომინალებიც: 1,5 სირმა-აბაზი (ნახევარი მარჩილი), სირმა-უზალთუნი (ორშაურიანი) და სირმა-შაური.[155] უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ხარისხის ლითონის გამო „სირმა-ვერცხლი“ დიდი სანდოობით სარგებლობდა და სამონეტო ცირკულაციაში დიდხანს შემორჩა. მას მოსახლეობა XIX საუკუნის II ნახევარშიც კი იყენებდა. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან, ისე როგორც XVIII საუკუნის I მეოთხედში, ქართველი მეფეები – თეიმურაზ II, ერეკლე II და გიორგი XII – სპილენძის ხურდა ფულსაც ინტენსიურად ჭრიდნენ.



ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი სირმა-აბაზი (2,93 გრ. ვერცხლი). 1780 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი სირმა-შაური (0,7 გრ. ვერცხლი). 1771/1772 წწ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი ერთ-ერთი ტიპის სპილენძის მონეტა. 1765/1766 წწ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

[154] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 13-22.

[155] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 39-54.

დასავლეთ საქართველოში კი გვიანფეოდალურ ეპოქაში ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალური საფასე – ახჩას სისტემაზე დამყარებული ოსმალური ფულადი ერთეულები.

გარდა რეალური ვერცხლისა თუ სპილენძის მონეტებისა, საქართველოში გავრცელებული იყო საანგარიშო ფულადი ერთეულები – თუმანი და მინალთუნი. მათ მონეტის სახით რეალური შესატყვისი არ ჰქონდათ და მხოლოდ საანგარიშოდ გამოიყენებოდა. თუმანი მონღოლური საანგარიშო ერთეული იყო და 10 000 ვერცხლის დინარს (60 000 დირჰემს) აღნიშნავდა. დასახელებული თანხა კი იმ ეპოქისათვის ძალიან დიდ ქონებას წარმოადგენდა (მაგალითად, 65 000 დირჰემად/თეთრად სოფელი იყიდებოდა).

XVII საუკუნის დასაწყისიდან ქართული თუმანი კვლავ 10 000 ფულად ერთეულს შეიცავდა, თუმცა ეს ფულადი ერთეული ნახევარდრაქმიანი სპილენძის მონეტა იყო.[156]

XVII-XVIII საუკუნეების თუმანი 10 მინალთუნს შეიცავდა. 1 მინალთუნი, თავის მხრივ, 5 აბაზისაგან შედგებოდა. ამდენად, თუმანში 50 აბაზი, ანუ 200 შაური იგულისხმებოდა. XIX საუკუნიდან საქართველოში რუსული რუბლის, ანუ როგორც მას უწოდებდნენ – მანეთის გავრცელების შემდეგ 1 თუმანი 10 რუბლს/მანეთს ეწოდებოდა.

აქვე მოკლედ შევეხებით ვერცხლისა და სპილენძის შეფარდებას. გვიანფეოდალურ ეპოქაში, კონკრეტულად XVIII საუკუნის II ნახევარში, დაახლ. 7,3 კილოგრამი სპილენძი იყიდებოდა 4 მინალთუნად, ანუ 20 აბაზად.[157] შესაბამისად, ვერცხლისა და სპილენძის აბსოლუტური შეფარდება ყოფილა დაახლ. 1:126. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპილენძის მონეტებს საკრედიტო მნიშვნელობა, გარკვეულწილად, ყველა პერიოდში ჰქონდა და მას ლითონის თვითღირებულებაზე მეტი ნომინალური ღირებულება გააჩნდა. რა თქმა უნდა, სპილენძის მონეტების ზოგადი საკრედიტო მნიშვნელობა, ე.წ. „ვერცხლის კრიზისის“ ეპოქასთან შედარებით, მცირე იყო, მაგრამ ფაქტობრივი მასალით დასტურდება, რომ მსგავსი ბუნება სპილენძის ხურდა ფულს მუდმივად ჰქონდა. კონკრეტულად XVIII საუკუნის II ნახევარში სპილენძის თვითღირებულებასა და მონეტების ნომინალურ ღირებულებას შორის განსხვავება, სულ მცირე, 50% უნდა ყოფილიყო.[158] ამდენად, სპილენძის ხურდა ფულის მოჭრის შედეგად სახელმწიფო ხაზინა მინიმუმ ორმაგ მოგებას ნახულობდა ლითონის თვითღირებულებისა და დადგენილი ფულის ერთეულის ღირე-

[156] გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 84.

[157] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 287.

[158] ი. ფაღავა. სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისათვის). საისტორიო კრებული. 2. თბ. 2012, გვ. 220-223.

ბულების განსხვავებით.

რაც შეეხება ოქროს მონეტებს, როგორც აღინიშნა, ფეოდალურ საქართველოში ისინი უცხოეთიდან შემოდიოდა და შედარებით მსხვილი სავაჭრო ოპერაციების დროს გამოიყენებოდა. იმის გამო, რომ XI საუკუნიდან მახლობელ და შუა აღმოსავლეთში ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ სრულიად გაქრა ვერცხლის მონეტები, საერთაშორისო ვაჭრობაში კიდევ უფრო გაიზარდა ოქროს მონეტების მნიშვნელობა. აღნიშნულ პერიოდში ოქროს მონეტები აღმოსავლეთის ბევრ მუსლიმურ ქვეყანაში იჭრებოდა და მას დინარი ეწოდებოდა. ოქროს ნომინალები – ნომისმები – ბიზანტიის იმპერიაშიც იჭრებოდა. საქართველოში ტრიალებდა როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოჭრილი დინარები, ისე ბიზანტიური ნომისმები, რაც საერთაშორისო სავაჭრო კონტაქტების შედეგი უნდა იყოს.[159]

საქართველოში XIII საუკუნის ჩათვლით ოქროს ფულის აღმნიშვნელად ტერმინი დრაჰკანი გამოიყენებოდა.[160] XI-XIII საუკუნეებში საქართველოში დრაჰკანი შეესატყვისებოდა როგორც აღმოსავლურ დინარს, ისე ბიზანტიურ ნომისმას.[161]



ბაღდადში მოჭრილი დინარი (4,4 გრ. ოქრო).

აღმოსავლური დინარი და ბიზანტიური ნომისმა დაახლ. 4,4 გრამს იწონიდა და მაღალი ხარისხის ოქროსაგან იჭრებოდა. ბიზანტიური ოქროს მონეტები 24-კარატიანი იყო. ბიზანტიაში სრულწონიანი ოქროს მონეტის – ჰისტამენონ ნომისმას და ვერცხლის მონეტების – 3-გრამიანი ვერცხლის მილიარისის შეფარდება 1:13/14-ზე იყო.

XI საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ჰისტამენონ ნომისმას (4,4 გრ.) სინჯის შემცირება. 24 კარატიდან სინჯი XI საუკუნის 70-იან წლებში 8 კარატამდე დაეცა.[162] შესაბამისად, ქართულ წერილობით

[159] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1976. № 3, გვ. 84-85.

[160] გ. დუნდუა, ი. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 55.

[161] იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები ნინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 14; გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 89-92.

[162] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 89-92.

წყაროებში ოქროს მონეტების, დრაჰკანების, აღსანიშნავად გვხვდება ტერმინები: კონსტანტინატი, მიხაილატი, დუკატი, ბოტინატი და სხვ. (ხშირად – დრაჰკანი კონსტანტინატი, დრაჰკანი დუკატი და ა.შ.), რაც მათ შორის ღირებულებით განსხვავებაზე უნდა მეტყველებდეს.



კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ჰისტამენონ ნომისმა (20-22$^{1/2}$ -კარატიანი ოქრო. 4,4 გრ.). ქართული ზედსახელით: დრაჰკანი კონსტანტინატი

დაახლოებით 1092 წელს ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) სამონეტო რეფორმის შემდეგ, ბიზანტიაში იჭრებოდა ჩაღრმავებული ფორმის ოქროს მონეტები, რომლებსაც ჰიპერპერონი ეწოდებოდა. ქართულ წერილობით წყაროებში აღნიშნული ფულადი ერთეული პერპერად (დრაჰკანი პერპერად, პერპერატად, პელპელად) მოიხსენიება.[163]



ჰიპერპერონი (20-21-კარატიანი ოქრო). ქართული ზედსახელით: პერპერა

ივ. ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნეში ოქროსა და ვერცხლის ღირებულებათა თანაფარდობა 1:13-ს უდრიდა, თუმცა აღნიშნავს, რომ მოცემული შეფარდება ცვალებადი იყო და მეზობელ ქვეყნებში მერყეობდა 1:10-დან 1:15-მდე.[164] ამ შემთხვევაში საუბარია პერპერასა და აღმოსავლური დინარების 3-გრამიან ვერცხლის მონეტებთან შეფარდებაზე. ოქროსა და ვერცხლის აბსოლუტური (წონითი) შეფარდება კი 1:9-ს უდრიდა.

XIV საუკუნის II ნახევრიდან ოქროს ფულის აღმნიშვნელ ტერმინად მკვიდრდება ფლური, რომელსაც ხშირად სადაურობის აღმნიშვნელი მითითებაც ერთვოდა (მაგ. ვენეტიკური ფლური, ე.ი ვენეციური დუკატი, ოთმანური ფლური, ე.ი ოსმალეთშო მოჭრილი ოქროს მონეტა). ფლური XVII-XVIII საუკუნეებში დრაჰკანის

[163] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 92.

[164] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 40-41.

მნიშვნელობით იხმარებოდა. თავად ტერმინი წარმოიშვა იტალიური ფულის – ფლორინისაგან. XIV საუკუნიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოჭრილი ოქროს მონეტები – დუკატები – სწრაფად გავრცელდა ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში და საერთაშორისო ფულადი ერთეული გახდა. XV-XVIII საუკუნეებში საქართველოში მიმოქცევაში იყო ვენეციური, ჰოლანდიური, უნგრული და სხვა ქვეყნებში მოჭრილი დუკატები. განსაკუთრებით დიდი ოდენობით გავრცელდა მაღალსინჯიანი ჰოლანდიური ოქროს დუკატები, რომლებიც ქვეყანაში ძირითადად ოსმალეთიდან შემოდიოდა. მსგავსი სახის ოქროს მონეტების წონა საშუალოდ 3,5 გრამი იყო.[165]



ჰოლანდიური ოქროს დუკატი (3,5 გრ.). 1588 წ. საქართველოში მსგავს მონეტებს ფლური ეწოდებოდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



ჰოლანდიური ოქროს დუკატი (3,5 გრ.). 1762 წ. ფლური. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ევროპულ მონეტებთან შედარებით ოსმალური და ირანული ოქროს მონეტები მოკრძალებულ ადგილს იკავებდა.

გვიანფეოდალურ ეპოქაში როგორც მსოფლიო ბაზარზე, ისე საქართველოში ოქროსთან მიმართებით ვერცხლის კურსი, გარკვეულწილად, შემცირდა და მისი აბსოლუტური შეფარდება 1:14-1:15 იყო (განსხვავებით XI-XIII საუკუნეების კურსისაგან, როდესაც ოქროსა და ვერცხლის აბსოლუტური შეფარდება 1:9-ს უდრიდა).

[165] რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1971, გვ. 19-27.

***

ამჯერად ფეოდალური ხანის საქართველოში გავრცელებულ ძირითად ზომა-წონის ერთეულებს განვიხილავთ. როგორც აღინიშნა, დრამა არა მხოლოდ ფულის სახელწოდება იყო, არამედ – 3-გრამიანი წონის ერთეულიც. დრამაზე მცირე წონის ერთეული იყო დანგი, რომელიც 0,74-0,77 გრამს იწონიდა.[166] დრამა (წონის ერთეულიც და მონეტაც) 4 დანგისაგან შედგებოდა.[167]

შუა საუკუნეების საქართველოში უმთავრეს წონის ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა. შესაბამისად, შედარებით დიდი საწყაოებიც ლიტრის სისტემაზე იყო დამყარებული. ტერმინი ბერძნულია და როგორც საწონი ერთეული თავდაპირველად რომაულ მეტროლოგიაში (Libra) გვხვდება. ლიტრა, როგორც წონის ერთეული, გამოიყენებოდა ბიზანტიის იმპერიაშიც, საიდანაც საქართველოშიც გავრცელდა. ქართულ წერილობით წყაროებში ის IX საუკუნიდან იხსენიება, თუმცა მისი არსებობა მანამდეცაა სავარაუდებელი.[168]

რომაულ-ბიზანტიური ლიბრა/ლიტრა 327,45 გრამს იწონიდა. თავდაპირველად საქართველოშიც ანალოგიური საწონი ერთეული უნდა ყოფილიყო, თუმცა დროთა განმავლობაში მისი მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. IX საუკუნიდან ის უკვე 406,25 გრამს იწონიდა,[169] ხოლო XIII საუკუნის მიწურულს მისი წონა 1 კილოგრამამდე (950 გრ.) გადიდდა.[170]

XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში ლიტრა უკვე 1,780 კილოგრამს იწონიდა, XVIII საუკუნის I ნახევარში კი – 3 კილოგრამს.[171] ამავე საუკუნის II ნახევარში ლიტრის მოცულობა 3,6 კილოგრამამდე გაიზარდა.[172]

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში ლიტრა, თავის თავდაპირველ წონასთან შედარებით, დაახლ. 11-ჯერ გადიდდა. ლიტრასთან ერთად სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებოდა ქსანი, ასთირი, სტილი, თუხტი, კვერცხი და სხვა, თუმცა ძირითადი წონის ერთეულად

---

166 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 36, 47.

167 შესაბამისად, დაახლ. 4-დანგიანი იყო დავით კურაპალატის დრამაც და ერეკლე II-ის სირმა-აბაზიც.

168 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 48-49.

169 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 48-60.

170 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 68-69.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯაფარიძე ლიტრის 950 გრამამდე გაზრდას XIII საუკუნის I ნახევრში ვარაუდობს (გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 51-52).

171 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 48-60.

172 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 41.

ყოველთვის ლიტრა რჩებოდა. გვიანფეოდალურ ეპოქაში სითხის, კერძოდ, ღვინის საწყაოდ სპილენძის თუნგი (სიტყვა სპარსულია და თიხის მაღალყელიან ჭურჭელს აღნიშნავს) გამოიყენებოდა. XVIII საუკუნის II ნახევარში თუნგი ლიტრის იდენტური წონის იყო.[173] თუნგის მეოთხედს ჩარექი ეწოდებოდა.[174]



სპილენძის თუნგი.
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა საწყაოს ვხვდებით, რომლებიც ძირითადად ლიტრის სისტემაზე იყო დამყარებული. განსხვავებული სახელწოდებისა და მოცულობის საწყაოებიდან (გობი, გოდორი, გოზაური, გუდა, დორა, დოქი, თაღარი და სხვ.[175]) შედარებით ადრეულ ეპოქაში ყველაზე ფართოდ კაბიწი, კოკა, გრივი და საპალნე იყო გავრცელებული, ხოლო მოგვიანებით – კოდი, კოკა, ხარვალი და საპალნე. ასევე ყველა სახის ტვირთის საზომად იყენებდნენ ურემს, ხოლო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოსა და დასავლეთ საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში ვხვდებით ოყასა და ქილის გამოყენების ფაქტებს.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, კაბიწი ფართოდ გამოიყენებოდა VI-XVI საუკუნეების საქართველოში, ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში – იშვიათად.[176] კაბიწი XV საუკუნემდე დაახლ. 10 კილოგრამს იწონიდა.[177] XIII საუკუნის მიწურულამდე კაბიწი 24-ლიტრიანი უნდა ყოფილიყო,[178] ხოლო ლიტრის 1 კილოგრამამდე გაზრდის შემდგომ – 10-ლიტრიანი. შესაბამისად, XV საუკუნის II ნახევარში, როდესაც ლიტრა 1,780 კილოგრამამდე გაიზარდა, კაბიწის წონაც 17,8 კილოგრამი გახდა.[179]

---

173 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 91-92.

174 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 124.

175 ვრცლად იხილეთ: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 78-128.

176 ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. ნიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 70.

177 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 93.

178 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 26-29.

179 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 93.

XVI საუკუნიდან კაბიწი კოდით ჩანაცვლდა. ამავე საუკუნეში კოდი იწონიდა 18 კგ.-ს, XVIII საუკუნის I მესამედში კი 10-ლიტრიანი კოდი მიიჩნეოდა „სწორ“ კოდად და იტევდა 30 კილოგრამს,[180] ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში – 36 კილოგრამს.[181]

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავდაპირველ წონასთან შედარებით, ლიტრა დაახლ. 11-ჯერ გადიდდა, მარცვლეულის ძირითადი საწყაოები – კაბიწი და კოდი – XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე მხოლოდ 3,6-ჯერ გაიზარდა. ლიტრისა და კაბიწის/კოდის გადიდების კოეფიციენტებს შორის სხვაობა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ საუკუნეების განმავლობაში კაბიწსა და კოდში ლიტრების რაოდენობა იკლებდა. შესაბამისად, თუ XI-XIII საუკუნეების კაბიწი 24-ლიტრიანი იყო, XV საუკუნიდან ძირითადად 10-ლიტრიან კაბიწთან და კოდთან გვაქვს საქმე.



კოდი.
ქუთაისის სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმი

შედარებით დიდი საწყაო იყო გრივი, რომელიც 10 კაბიწისაგან შედგებოდა და XI-XIV საუკუნეებში დაახლ. 100 კილოგრამს იტევდა.[182] XVI საუკუნის მიწურულიდან კი გვხვდება 10 კოდის მოცულობის საწყაო – ხარვარი, რომელსაც გრივი უნდა ჩაენაცვლებინა. ხარვარი შეიცავდა 10 კოდს, ანუ 100 ლიტრას, შესაბამისად, XVIII საუკუნის I მესამედში იწონიდა 300 კგ.-ს,[183] ხოლო იმავე საუკუნის II ნახევარში – 360 კოლოგრამს.

ერთი სიტყვით, XI საუკუნიდან XVIII საუკუნის II ნახევრამდე მარცვლეულის შედარებით დიდი საწყაოს – გრივის/ხარვარის – მოცულობაც 3,6-ჯერ გაზრდილა.

---

180 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 96-99.

181 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 41.

182 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 82-84; ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 26-29.

183 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 114-115.

რაც შეეხება სითხის საწყაოს – კოკას, XIII საუკუნეში უმთავრეს საგადასახადო საწყაოდ გამოიყენებოდა 24-ლიტრიანი (ლიტრა=406,25 გრ.) კოკა, რომელიც დაახლ. 10 ლიტრს (თანამედროვე მეტრული სისტემით) იტევდა. XVI საუკუნიდან კი გადასახადის გადახდა წარმოებდა ძირითადად 10-ლიტრიანი კოკით.[184] შესაბამისად, XVI საუკუნის დასაწყისში კოკა 17,8 ლიტრს იტევდა, XVIII საუკუნის დასაწყისში – 30 ლიტრს, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში 36 ლიტრს. ამგვარად, XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნის II ნახევრამდე კოკაც 3,6-ჯერ გაიზარდა. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს კოკაში ლიტრების კლების ტენდენცია. ისიც აღსანიშნავია, რომ XVI-XVIII საუკუნეებში არსებობდა 8, 9, 10, 12, 15, 16 და 24 ლიტრიანი კოკები, თუმცა კანონიკური კოკა სწორედ 10-ლიტრიანი იყო.[185]



კოკა.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

სითხის, უმთავრესად ღვინის, ტრანსპორტირებისათვის ხარისა და კამეჩის ტყავისაგან დამზადებულ ტიკებს იყენებდნენ. ტიკები 30-დან 100 თუნგამდე, ანუ დაახლ. 110-360 ლიტრამდე, სითხეს იტევდა. ტიკები ცხვრის ტყავისაგანაც მზადდებოდა, რომელთა მოცულობა შედარებით მცირე (25 თუნგამდე) ყოფილა.[186]

როგორც სითხის, ასევე სხვა სახის საქონლის (მაგალითად, აბრეშუმის, ბამბის, მარილის, ბრინჯის და ა.შ.) საზომი ერთეული იყო საპალნეც. სულხან საბა ორბელიანი „საპალნეს“ განმარტავს, როგორც „ულაყის სატვირთავი“.[187] არსებობდა ცხენის, ჯორის, აქლემის და ა.შ. საპალნეები.

---

[184] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 101-102.

[185] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 101.

[186] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29; ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 67.

[187] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, გვ. 47.



ცხენის საპალნე დაახლ. 150 კილოგრამს იწონიდა, ხოლო აქლემის საპალნე – საშუალოდ 270 კილოგრამს.[188]

დიდი მოცულობის საზომებიდან ერთ-ერთი უძველესია ურემი. ურმით იზომებოდა ყველა სახის ტვირთი, სითხეც და მყარი საქონელიც. XVIII საუკუნის მონაცემებით, ურემი დაახლ. 820 კილოგრამს იტევდა.[189]

რაც შეეხება ოყასა და ქილას, სტამბულის ქილა იწონიდა 18-20 ოყას, ოყა კი – 1,28 კილოგრამს. შესაბამისად, 1 ქილის წონა, მცირე დამრგვალებით, 24 კილოგრამი იყო.[190]

სიგრძის საზომი ერთეულებიდან ყველაზე გავრცელებული იყო ადლი, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში XVI საუკუნიდან გვხვდება. მისი სიგრძე, მცირე დამრგვალებით, 1 მეტრს (101,15 სმ.) შეადგენდა.[191] ადლი ორი წყრთისაგან შედგებოდა. ამდენად, წყრთა დაახლ. 50-51 სანტიმეტრი იყო. სიგრძის საზომად მტკაველსაც იყენებდნენ, რომელიც ადლის მეოთხედს (დაახლ. 25,3 სანტიმეტრს) უდრიდა.[192] საზომად გამოიყენებოდა ნაბიჯიც.

გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოში ქსოვილის საზომად გამოიყენებოდა თოფი და ტანი. ტერმინი თოფი თურქულია და 8-10 მეტრის ნაჭერს აღნიშნავდა. 1 თოფი ქსოვილი 2 ტანისაგან შედგე-

188 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 110-114.
189 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 119.
190 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 32.
191 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 129-134.
192 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 134-136.

ბოდა. შესაბამისად, ტანი, ანუ ერთი ადამიანის სამოსლის დასამზადებლი ქსოვილი, 4-5 ადლს/მეტრს უდრიდა.[193]

წყაროებში დიდი მანძილის საზომად სხვადასხვა ერთეულს ვხვდებით. მათგან აღსანიშნავია ეჯი, რომელიც ფარსანგის (სპარსული) შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ეჯის სიგრძე 6-7,5 კილომეტრს უდრიდა.[194]

მანძილის საზომად IX საუკუნიდან გვხვდება უტევანიც, რომელიც სტადიონს შეესატყვისებოდა და მისი სიგრძე დაახლ. 200 მეტრით (198 მ.) განისაზღვრებოდა.[195]

ფართობის საზომი ერთეულებიდან კი გამოსაყოფია „დღის მიწა“, იგივე „დღიური“. 1 დღიური მიწა დაახლ. 0,5 ჰექტარ მიწას შეესაბამებოდა.[196]

[193] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 141-142.
[194] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 143-145, 150-151.
[195] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 148.
[196] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 157-158.

I თავი.
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ფეოდალური ხანის საქართველოში

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება. საგლეხო ფუძე და ზვარ-ხოდაბუნები

შუა საუკუნეებში ფეოდალური ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს საქართველოსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებობდა ქალაქები, სადაც ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და ძირითადად მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს. ასეთ პირობებში მიწის დამუშავება და იქიდან მოწეული მოსავალი სიმდიდრის დაგროვების უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, შუა საუკუნეების საქართველოში მიწა იყო წარმოების ძირითადი საშუალება.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მიწა მთლიანად მეფეს, საერო ფეოდალებსა და ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნოდა. მიწისმფლობელები, ანუ ფეოდალური ფენის წარმომადგენლები მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლ. 2-5 პროცენტს შეადგენდნენ.[197] მათვე ექვემდებარებოდა ქვეყანაში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი. ქვედა ფენების პირად მფლობელობაში მიწების მხოლოდ უმნიშვნელო ფონდი იყო დარჩენილი. გლეხთა მცირე ნაწილს ჰქონდა „ნასყიდი“ ან სხვა საშუალებით მიღებული თუ შენარჩუნებული მიწის მცირე სავარგულები, თუმცა დროთა განმავლობაში მსგავსი კატეგორიის მიწებიც ფეოდალთა ხელში გადადიოდა. განსხვავებული მდგომარეობა იყო ქვეყნის მაღალმთიან ზოლში, სადაც ფეოდალური ურთიერთობები ნელი ტემპით მკვიდრდებოდა. აღნიშნულ მხრეებში თავისუფალი მეთემეები ცხოვრობდნენ, თუმცა, გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, მათ განკარგულებაში სახნავ-სათესი მიწების უმნიშვნელო ოდენობა შედიოდა. პირადი თავისუფლების მიუხედავად, მაღალმთიანი ზოლის მცხოვრებლებიც იურიდიულად სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ და მეფის მოხელეებს ემორჩილებოდნენ.[198]

---

[197] გვიანფეოდალური ხანის ქართულ სამეფო-სამთავროებში ქვედა ფენების რიცხვის შემცირების, ოსმალეთის დაპყრობილი ტერიტორიებიდან თავად-აზნაურების მიგრაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით საერთო მოსახლეობაში ფეოდალების პროცენტული შეფარდება მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულ ეპოქაში ფეოდალების რიცხოვნობა 5%-ზე მაღალი იყო.

[198] მ. ლორთქიფანიძე. ნ. შოშიაშვილი. ძირითადი საზოგადოებრივი ფენები და სოციალური ბრძოლა. საქართველოს ისტორია. I. თბ. 2006, გვ. 467-471.

სახელმწიფოს ხელში არსებულ მიწებსა და იქ მოსახლე ყმა-გლეხებს, ანუ სახასო მფლობელობას ფეოდალური ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სახასო მამულები, ერთი მხრივ, სამეფოს შემოსავლებთან იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრივ, მეფეები ერთგული სამსახურის სანაცვლოდ აზნაურებს აღნიშნული მიწის ფონდიდან აჯილდოვებდნენ. შესაბამისად, სახასო მფლობელობის შენარჩუნება ცენტრალური ხელისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ სახელმწიფოში სახასო მიწები სამხედრო და სხვა სახის სამსახურის სანაცვლოდ მუდმივად გაიცემოდა ფეოდალებზე დროებით თუ მუდმივ მფლობელობაში, ასევე მეფეები ხშირად ეკლესია-მონასტრებსაც სწირავდნენ ყმა-მამულებს, სამეფო ხელისუფლება გარკვეულ ბალანსს ყოველთვის ინარჩუნებდა. სახასო მიწის ფონდის შევსება კი სხვადასხვა დანაშაულისათვის ფეოდალური მამულების კონფისკაციით, ამოწყვეტილი სახლების ქონებით, ქვეყნის საზღვრების გაფართოებითა და სხვა გზებით იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საგარეო და საშინაო გართულებების შედეგად შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფოს სახასო მიწის ფონდის შესავსებად რადიკალური ნაბიჯების გადადგმაც უხდებოდა. მაგალითად, XIII საუკუნის 60-იან წლებში სამეფო კარმა ეკლესიისათვის შეწირული მიწების ერთი ნაწილის გამონირვა დაიწყო, რასაც ეკლესიის მესვეურების დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა.[199] მეფემ და ფეოდალებმა საეკლესიო მამულების გამოწირვას XV საუკუნის II ნახევარშიც მიმართეს.[200] მიუხედავად იმისა, რომ სახასო მამულების დადგენილი ნორმა არ არსებობდა და მისი ოდენობა მუდმივად იცვლებოდა, ერთიან ქართულ მონარქიასა თუ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში მიწებისა და ყმა-გლეხების ყველაზე დიდი მფლობელი სახელმწიფო იყო.

თავის მხრივ, ფეოდალები დიდი ოდენობით მიწებსა და ყმებს ფლობდნენ. მართალია, ცალკე აღებულ ფეოდალს, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებთან შედარებით, მცირე მამული ჰქონდა, მაგრამ ყველა ფეოდალის ერთობლივი მფლობელობა აჭარბებდა სახასო საკუთრებას. ფეოდალის მდგომარეობასა და ადგილს მის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი და ამ მიწაზე დასახლებულ ყმა-გლეხთა სიმრავლე განსაზღვრავდა. დიდებულები (შემდ-

[199] ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40-XIV ს. 10-იანი წწ.). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 591-594.

[200] ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 747.

გომში თავადები) დიდი რაოდენობით ყმა-მამულების მესაკუთრეები იყვნენ, ხოლო საშუალო და წვრილი აზნაურები შედარებით ნაკლებ ქონებას ფლობდნენ.

როგორც აღინიშნა, ეკლესიაც დიდი ოდენობით მიწებისა და გლეხების მფლობელი იყო. ეკლესიის საკუთრებაში ასობით სოფელი და ათასობით ყმა-გლეხი ირიცხებოდა. მაგალითად, XI-XIII საუკუნეებში მხოლოდ სვეტიცხოვლის ტაძარი ათობით სოფელს და იქ მოსახლე ასობით გლეხს ფლობდა.[201]

ყმა-გლეხები მფლობელების მიხედვით იყოფოდნენ სახასო, ანუ სახელმწიფო, საფეოდალო და საეკლესიო გლეხებად. სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი მათვე ეკავათ მუდმივი სარგებლობის უფლებით. გლეხების სარგებლობაში არსებული მიწების მესაკუთრედაც, რაღა თქმა უნდა, მეფე, ფეოდალები და ეკლესია გვევლინება. მიწის სოლიდური ნაწილი მეფის, საერო ფეოდალების და ეკლესია-მონასტრების პირად მეურნეობას წარმოადგენდა, რომელსაც გლეხთა შრომითი ბეგარის საშუალებით ამუშავებდნენ. ამდენად, სახნავ-სათესი მიწის ფონდი ძირითადად წვრილ საგლეხო ფუძესა და ფეოდალთა პირად მეურნეობაში იყო თავმოყრილი.

გლეხის ძირითად სამეურნეო ერთეულს ფუძე, იგივე საკომლო ეწოდებოდა. საგლეხო მეურნეობის მოცულობის განსაზღვრას ქართულმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ივ. ჯავახიშვილის, დ. გვრიტიშვილის, გ. აკოფაშვილის, დ. მეგრელაძის, ე. ორჯონიკიძის, ი. ანთელავას და სხვათა ნაშრომები.[202]

საგლეხო ფუძის ოდენობას ეხება 1195/1196 წლის თამარ მე-

---

[201] სატაძრო მფლობელობის შესახებ იხილეთ: ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები. თბ. 1966; საქართველოს საპატრიარქო და მისი მინათმფლობელობა. თბ. 2010.

[202] იხ.: დ. გვრიტიშვილი. მასალები ქართული გლეხობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნე). თბ. 1979, გვ. 17; გ. აკოფაშვილი. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. № 5(14). თბ. 1963, გვ. 124-141; გ. აკოფაშვილი. გლეხური და საბატონო მეურნეობის განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 533-539; დ. მეგრელაძე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII-XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. მაცნე. № 5 (26). თბ. 1965, გვ. 193-204; ე. ორჯონიკიძე. მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 33. თბ. 1960, გვ. 217-232; დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967; ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის; ზ. ჯამბურია. საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2. 1989, გვ. 9-25.

ფის მღვიმისადმი დაწერილი სიგელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ანტონ ჭყონდიდელმა ერთ ფუძეზე მსახლობელ ქოსაისძეების ორ კომლ გლეხს ჯამში 12 დღიური მიწა და ვენახი გამოუყო: „და ამათ გლეხთა ორთავეს სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას, სახელდებით: ბოტკოს და დიდველს დღისა ათისაი და წყაროისა სათავესა ორისა დღისაი და ვენაჭი, რ(ომე)ლ საკრებულოი იდვა სხალტბას".[203] თამარ მეფის სიგელზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა სრული ფუძის შემადგენელად 12 დღიური სახნავ-სათესი და ერთი ვენახი მიიჩნია.[204] საბოლოოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ გლეხის სრული ფუძე, ანუ საკომლო საშუალოდ 12 დღიურ მიწას და ერთ ვენახს უდრიდა. ვენახი დაახლოებით ერთ დღიურ მიწაზე იყო გაშენებული. ამდენად, 12-13 დღიური, ანუ 6-6,5 ჰა. მიწის ფართობი საშუალო შეძლების გლეხების ნორმას წარმოადგენდა.

ცხადია, ყველა გლეხის ოჯახს თანაბარი ოდენობის მიწა არ ჰქონდა. მოყვანილი საბუთის მიხედვით, ერთ საგლეხო ფუძეზე ორი კომლი სახლობდა. სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ერთ ფუძეს ზოგჯერ ორზე მეტი კომლიც ფლობდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ყველა კომლს ვენახი არ ჰქონდა. ასევე იყვნენ უმიწო გლეხებიც. ზოგიერთი გლეხი კი სრულ ფუძეზე გაცილებით დიდი ფართობის მიწებს ამუშავებდა.

სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდეს ნაწილზე მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ, რაც აღნიშნული პროდუქციის დიდმა მოთხოვნილებამ განაპირობა. ვინაიდან, შუა საუკუნეებში როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე ევროპაში მოსახლეობის კვების რაციონში ძირითადი პროდუქტი პური იყო, ქალაქებში მცხოვრები ქვედა ფენების წარმომადგენლები შემოსავლის ნახევარს მის შესაძენად ხარჯავდნენ.[205] შესაბამისად, პურის, ანუ ხორბლის ფასის მიხედვით განისაზღვრებოდა სხვა პროდუქტების ფასები.[206]

წყაროებიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში ერთი ადამიანის გამოსაკვებად დღეისათვის მიღებულ ნორმაზე გაცილებით მეტი პური იყო საჭირო. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა დავით აღმაშენებლის ანდერძზე შიომღვიმისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საზრდელი ძმათა პური, – ხილი ფურნისაჲ – ხუთასისა დრა-

---

[203] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 103.

[204] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფილისი, 1907, გვ. 16-17.

[205] E. Ashtor. The Diet of Salaried Classes in the Medieval Near East. Journal of Asian History. 4. Wiesbaden, 1970, გვ. 2-3, 17-19; მ. ნურნუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 2013-2014, გვ. 139-140.

[206] A. E. Laiou. C. Morrisson. The Byzantine Economy. Cambridge, 2007, გვ. 135

მისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების“ („ხილი ფურნისაჲ“ ავტორს განმარტებული აქვს, როგორც „{ც}ხ{ობ}ილი ფურნისაჲ“). მისი დაკვირვებით, ერთი ადამიანისათვის გათვალისწინებული იყო არანაკლებ 500 დრამა პური.[207] თავის მხრივ, ერთი დრამა დაახლ. 3 გრამს უდრიდა,[208] რომლის მიხედვითაც, ცხადი ხდება, რომ ერთი ადამიანის გამოსაკვებად დავით აღმაშენებლის ანდერძში ნაგულისხმევია 1,5 კგ. „ცხობილი“ პური. 1,5 კგ. გამომცხვარი პურისათვის კი 1 კგ.-ზე მეტი ხორბალი იქნებოდა საჭირო.

კვების რაციონში ხორბლის ოდენობის განსაზღვრისათვის, ასევე საინტერესოა XVIII საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი „მორიგე ლაშქრის განჩინებაც“. „განჩინების“ მიხედვით, ერთი ადამიანისთვის თვეში 1 კოდი ხორბალია ნაანგარიშები.[209] კოდი კი ამ დროს 36 კგ.-ს იწონიდა.

XVIII საუკუნის ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი ისტორიული საბუთების მიხედვითაც, მუშების თუ ხელოსნების კვებით რაციონში დაახლოებით ანალოგიური ოდენობის ხორბალია განსაზღვრული. ბერბუკის გალავნის მშენებლობაზე (1749 წ.) მუშების და „გალატოზთა“ კვებისათვის ერთ ადამიანზე ნახევარი ლიტრა (ლიტრა იმ პერიოდში დაახლ. 3,3 კგ.-ს იწონიდა) პური იყო გათვალისწინებული,[210] რაც თანამედროვე მეტრული მონაცემებით, 1,65 კგ.-ს ტოლფასია.

როგორც ვხედავთ, ფეოდალური ხანის საქართველოში ერთი სრულწლოვანი ადამიანის გამოსაკვებად დღეში საშუალოდ 1 კგ. ან ცოტა მეტი ხორბალი იყო საჭირო.[211] შესაბამისად, ქვეყანას შიდა მოხმარებისათვის დიდი რაოდენობით მარცვლეული ესაჭიროებოდა. ამიტომაც, მარცვლეულ კულტურებს მიწის სავარგულების დაახლ. 60-70% ეკავა.

გლეხურ მეურნეობაშიც ძირითადად აღნიშნული პროდუქცია მოჰყავდათ. საშუალო შეძლების გლეხის 12-13 დღიური მიწიდან, როგორც აღინიშნა, 1 დღიურზე ვენახი იყო გაშენებული; დაახლ. 1 დღიური კარ-მიდამოსა და რიგ შემთხვევაში ხეხილის მცირე ბაღს ეკავა; სახნავ-სათესი მიწიდან 1 ან 2 დღიურზე ბოსტნეული და პარ-

---

[207] ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 304, ფ. 184.

[208] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 34.

[209] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 443.

[210] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). II, გვ. 94.

[211] XVII-XVIII საუკუნეებში ერთი ადამიანის ხორბლის დღიურ ნორმად დაახლოებით ანალოგიურ ოდენობას ასახელებენ დ. მეგრელაძე და გ. ჯალაბაძე. იხ.: დ. მეგრელაძე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVII-XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. მაცნე. № 5. თბ. 1965, გვ. 202.

კოსანი კულტურები (ცერცვი, მუხუდო, ოსპი, მოგვიანებით ლობიო და სხვ.) მოჰყავდათ; 8-9 დღიური სახნავ-სათესი მიწა კი ძირითადი საკვები პროდუქტის – პურეული კულტურების დასათესად იყო განკუთვნილი.

აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ სახნავ-სათესი 8-9 დღიურიდან ყოველწლიურად შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 4-5 დღიურის დამუშავება, რადგან იმდროინდელი ტექნოლოგიების პირობებში სრულფასოვანი მოსავლის მისაღებად აუცილებელი იყო მიწის ყოველწლიური დასვენება.

როგორც აღინიშნა, ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული თუ სხვა კულტურები მოჰყავდათ როგორც გლეხურ მეურნეობებში, ისე ფეოდალთა მამულებში, რომლებსაც მებეგრე გლეხები ამუშავებდნენ. სახნავ-სათეს მიწას, ზოგადად, ყანა ეწოდებოდა. ყანა ეწოდებოდა გლეხის ფუძეში, ანუ საკომლოში შემავალ რამდენიმე დღიურ სახნავ-სათეს იმ ფართობსაც, სადაც მარცვლეული კულტურების მოსავალს იღებდნენ. საბუთებში ასევე მოხსენებულია „სასეფონი ყანანი“, „სეფე ყანა“, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, საკუთარ ყანას, საუკეთესოს, „თავნი მიწანის“ ნიშნავდა. „თავ-მიწის“ გავრცელებული ტერმინი იყო „ხოდაბუნი“, რომელიც, ჯავახიშვილისავე აზრით, სპარსულიდანაა შემოსული და დიდი ფართობის საბატონო (მეფის, ეკლესიის ან ფეოდალის) ყანებს ეწოდებოდა.[212]

ამრიგად, მარცვლეული კულტურები ითესებოდა როგორც გლეხების საკომლოებზე, ისე მეფის, ფეოდალებისა და ეკლესია-მონასტრების ხოდაბუნებზე.

საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში ასევე



ყანაში მუშაობის სცენა, მინიატურა ჯრუჭის II ოთხთავიდან. XII ს. ხელ. H-1667. 87r

[212] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 152.

თესვის სცენა, მინიატიურა ვანის ოთხთავიდან. XII ს. ხელ. A-1335. 4r



მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ღვინოს.[213] შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობა, მარცვლეული კულტურების წარმოებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგად ითვლებოდა. ქვეყნის მასშტაბით ვენახები მრავლად იყო გაშენებული.

როგორც აღინიშნა, ვენახი მცირე ზომის მიწის ფართობზე, დაახლ. ერთ დღიურ მიწაზე, გაშენებულ ვაზის ნარგაობას ეწოდებოდა. სრულფუძიანი გლეხის მფლობელობაში ერთი ვენახი იყო. გარდა ამისა, თითქმის ყველა ფეოდალს დიდ ფართობზე გაშენებული ვენახები ჰქონდა. ზედა ფენების (მეფის, ფეოდალების, ეკლესია-მონასტრების) საკუთრებაში არსებულ მსგავსი სიდიდის ვაზის ნარგაობას ზვარი ეწოდებოდა. ზვრების სიდიდე ფეოდალის შეძლებაზე იყო დამოკიდებული.

ვაზის მოვლის სცენა, მინიატიურა ჯრუჭის II ოთხთავიდან. XII ს. ხელ. H-1667. 52v



ამდენად, ფეოდალურ საქართველოში სოფლის მეურნეობის უმთავრესი პროდუქტები – მარცვლეული და ღვინო – საგლეხო ფუძესა და ფეოდალურ ზვარ-ხოდაბუნებში მოჰყავდათ.

[213] მოსახლეობის ყოველდღიურობაში ღვინის როლი დეტალურად განხილილია ქვემოთ.

როგორც ვხედავთ, ძველ საქართველოში, ისევე როგორც თანადროულ სხვა ქვეყნებში, სამეურნეო მიწებიდან ყველაზე დიდი ფართობი მარცვლეულ კულტურებს ეკავა. მარცვლეული კულტურებიდან კი ძირითადად ხორბლეული ითესებოდა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობა-მეღვინეობას. შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების" თხზულებათა ავტორები ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლოდ პურისა და ღვინის სიუხვეს მიიჩნევდნენ: „და იყო ქართლს პური და ღვინოჲ ფრიადი";[214] „ესრეთ დამშჳდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშჳდობა. მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა. და იყო უხუებაჲ პურისა და ღჳნისა".[215] ღვთის სასჯელად კი „პურისა მოკლება" ითვლებოდა – „რამეთუ ესოდენთა სიბილწეთა, სოდომურთა ცოდვათა შემოსრულთათჳს განრისხნა ღმერთი და ვიქმნენით პირველად მწარესა ტყუეობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ჴოცასა, მესამედ იქმნა პურისა მოკლება".[216]

ზოგადად, ფეოდალური ხანის საქართველოში განვითარებული იყო ინტენსიური მეურნეობის ყველა დარგი: მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მესაქონლეობა-მეფრინველეობა და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ შუა საუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ყოფაში ყველაზე მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურების წარმოება და მევენახეობა-მეღვინეობა იყო, თავდაპირველად სწორედ დასახელებულ სფეროებს მიმოვიხილავთ.

[214] მატიანე ქართლისაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 291.

[215] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ. ქართლის ცხოვრება, გვ. 615.

[216] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 641.

მარცვლეული კულტურების წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში

ათასწლეულების განმავლობაში თავისუფლების დასაცავად თუ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ქართველ ხალხს მედგარი თავდაცვითი ბრძოლების წარმართვა უწევდა, რაც უზარმაზარ რესურსებს მოითხოვდა. აგრესორ სახელმწიფოთა სამხედრო თუ ეკონომიკური შესაძლებლობები რამდენჯერმე აღემატებოდა მცირე მასშტაბის ქვეყნის რესურსებს. შესაბამისად, ძირითადი საკვები პროდუქტის – ხორბლის ხშირი დეფიციტი და მისი სიძვირე, ცხადია, მკვეთრად უარყოფით როლს შეასრულებდა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების საქმეში. ისტორიული წყაროებით არ დასტურდება ფეოდალური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის ან სხვა მარცვლეულის დიდი ოდენობით იმპორტის ფაქტები. არ არის გამორიცხული, რომ სხვადასხვა დროს ქვეყნის სამხრეთით მდებარე მეზობელი ქვეყნებიდან მარცვლეული პერიოდულად შემოეზიდათ კიდეც, მაგრამ ეს იქნებოდა მცირე მასშტაბების. თეორიულადაც კი წარმოუდგენელია, დამპყრობლების მუდმივი შემოსევების ფონზე პატარა ქვეყნის ეკონომიკა ამ მხრივ საგარეო ვაჭრობაზე ყოფილიყო დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში პროდუქციაზე ფასები მკვეთრად გაიზრდებოდა, შიმშილობა და საკვების ნაკლებობა სისტემურ სახეს მიიღებდა, რაც, ბუნებრივად გამოიწვევდა შინაგანი რესურსების მნიშვნელოვან შემცირებას.

შესაბამისად, მოსახლეობის გამძლეობის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი განვითარებული მეურნეობა, მათ შორის ხორბლეულის დიდი ოდენობით წარმოება, იყო. ამდენად, საქართველოს წარსულის ანარეკლად არა მარტო მუდმივი ომების ისტორიას უნდა ვხედავდეთ, არამედ მაღალგანვითარებული მეურნეობის საფუძვლებსაც. სწორედ დიდ დოვლათს უნდა უზრუნველეყო პატარა ქვეყნის თავდადებული ბრძოლა, რათა შეენარჩუნებინა ეროვნული იდენტობა და გადარჩენა მოეხერხებინა უზარმაზარ სახელმწიფოთა აგრესიის პირობებში.

როგორც ცნობილია, საქართველო მიწათმოქმედების უძველეს კერადაა მიჩნეული, რასაც ხელს უწყობდა ნაყოფიერი მიწები და წყალუხვი მდინარეები. როგორც აკად. გ. ჩიტაია აღნიშნავს, დღემდე ცნობილი ხორბლეულის 16 სახეობიდან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 11 და მათგან 6 ენდემურია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორია ხორბლის კულტურის ერთ-ერთ პირველ კერად მიიჩნევა.[217]

[217] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 30.

საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლეულის თუ სხვა მარცვლეულის წარმოება ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა. რა თქმა უნდა, ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი ოდენობით ხორბლეული არ მოდიოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქვეყნის მთიანეთსა და დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე. შესაბამისად, დანაკლისი ივსებოდა უხვმოსავლიანი რეგიონებიდან. „ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის უაღრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა. სწორედ აქ იყო საუკეთესო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბეღელს ჯავახეთი, შიდა-ქართლი, ქვემო-ქართლი, შემდგომ ბორჩალოდ, საბარათიანოდ და საორბელოდ წოდებული თემი წარმოადგენდა. უამათოდ თვით საქართველოს დედაქალაქ ტფილისსაც არსებობა უჭირდა“, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.[218] აქვე უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილ მხარეებთან ერთად აუცილებლად აღსანიშნავია კახეთიც, სადაც მევენახეობის პარალელურად დიდი რაოდენობით მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ.

ვახტანგ VI-ის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი „დასტურლამალის“ მიხედვით, ერთ დღიურ მიწაზე (დაახლ. 0,5 ჰა.) ითესებოდა 2,5 კოდი, ანუ 75 კგ. ხორბალი, მოსავალიანობა კი 8-ჯერადი იყო.[219] შესაბამისად, ერთი დღიური მიწიდან იღებდნენ 20 კოდს, ანუ 600 კგ. ხორბალს. სავარაუდებელია, რომ ვახტანგ VI-მ საკანონმდებლო ძეგლში მოსავლიანობა მინიმალური ოდენობით განსაზღვრა, რათა გადახდისუნარიანობას საფრთხე არ დამუქრებოდა. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს XIX საუკუნის 10-იან წლებში თბილისის პოლიცმეისტერის იოსებ შაგუბატოვის ცნობები, რომელთა მიხედვითაც, დღიურ მიწაზე თესავდნენ 2,5 კოდ ხორბალს ან 3 კოდ ქერს. აღებისას კი მოიწევდნენ 25 კოდ ხორბალს და 30 კოდ ქერს.[220] როგორც ვხედავთ, მისი მონაცემებით, მოსავალი 10-ჯერადი ყოფილა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში კოდის წონა შეადგენდა 36-37 კგ.-ს. შესაბამისად, შაგუბატოვის თანახმად, ერთი დღიური ხორბლის ყანის მოსავლიანობა უდრიდა 900-925 კგ.-ს, ხოლო ქერის ყანის – 1080-1110 კგ.-ს. შესაძლებელია, შაგუბატოვი გამორჩეული, საუკეთესო მიწების მოსავლიანობაზე მიუთითებდა, მაგრამ აღნიშნული ცნობა, სულ ცოტა, იმას მაინც ადასტურებს, რომ 8-ჯერადი მოსავლიანობა XVIII საუკუნის ბოლომდე და XIX საუკუნის დასაწყისშიც შენარჩუნებულა.

---

[218] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 421.

[219] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 379.

[220] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

მ. სვანიძის დაანგარიშებით, რომელიც დაფუძნებულია 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემებზე, დაახლოებით ანალოგიური მოსავლიანობა ყოფილა XVI საუკუნის მიწურულს სამცხე-საათაბაგოში.[221] გვიანფეოდალურ ეპოქაში მოსავლიანობის ხარისხით აღმოსავლეთ საქართველო აშკარად აღემატებოდა ბევრ ქვეყანას. მაგალითად, ოსმალეთის ცენტრალურ პროვინციებში მოსავალი მხოლოდ 3-ჯერადი იყო.[222] მ. სვანიძე ასევე შენიშნავს, რომ მოსავლიანობის ოდენობა სამცხე-საათაბაგოში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც იმდროინდელ მოწინავე ევროპულ ქვეყნებში, სადაც XVI-XVIII საუკუნეებში იწერებოდა უამრავი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატი, იბეჭდებოდა სპეციალური სახელმძღვანელოები და წერილები, რომლებშიც მოცემული იყო რჩევა-დარიგებები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. პარიზსა და სხვა ქალაქებში არსებული აგრონომიული საზოგადოებები დიდად ზრუნავდნენ მეურნეობის უკეთ განვითარებასა და, შესაბამისად, მოსავლიანობის გაზრდაზე. ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული ქართული მეურნეობის მდგრადობა და მაღალმოსავლიანობა.[223]

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმოსავლიანობა მხოლოდ ნაყოფიერი მიწების დამსახურება არ იყო და მეურნეობის გავნითარების შედეგად უნდა მიღწეულიყო. ეს კი სახვნელი იარაღის მუდმივი გაუმჯობესებითა და სარწყავი სისტემის შესაბამისი განვითარებით იყო შესაძლებელი.

ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ფოლკლორულ და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გ. ჩიტაია საქართველოში უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე სახვნელი იარაღის ხუთ ტიპს გამოყოფს,[224] რაც ევოლუციური პროცესის დამადასტურებელია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში ძელის სახნისი რკინის სახნისით უძველესი დროიდანვე ჩანაცვლდა. ხოლო გაუმჯობესებული სახვნელი – ერქვანი, რომელიც რთულ სახნის-საკვეთელიან და ფრთიან სახნავ იარაღს წარმოადგენდა, V საუკუნიდან, ან უფრო ადრე დამკვიდრდა.[225] მასში რამოდენიმე ხარ-კამეჩს აბამდნენ.[226]

---

221 მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ. 1984, გვ. 45.

222 მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 39.

223 მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 45-46.

224 გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 22-24.

225 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 201-204.

226 ა. ბოგვერაძე. ეკონომიური და სოციალური ვითარება IV-V საუკუნეების აღმოსავლეთ

XIII საუკუნიდან კი წყაროებში გვხვდება გუთანი.[227] გუთნის დამკვიდრებას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა თვისობრივად უნდა შეეცვალა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „... ცხოვრებასა და ენაში „გუთანმა" სწორედ იმიტომაც გაიმარჯვა „ერქუანზე" და სასაუბრო ენის სალაროთგან იმის წყალობით განდევნა, რომ სახნავი იარაღის ისეთი გაუმჯობესების გამომხატველი იყო, რომელიც ამ იარაღის განვითარების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენდა".[228] ავტორის ვარაუდით გუთანი XII საუკუნიდან დამკვიდრდა.[229]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში აღნიშნული სახვნელი იარაღი IX-X საუკუნეებში უნდა შემოსულიყო.[230] გამომდინარე იქიდან, რომ წყაროებში გუთანი მხოლოდ XIII საუკუნიდან არის დამოწმებული, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია მისი IX-XI საუკუნეებში არსებობა. შესაბამისად, გუთანს ერქვანი XII საუკუნის მიწურულს ან XIII საუკუნეში უნდა ჩაენაცვლებინა. გუთანი, ანუ როგორც მას უწოდებდნენ – დიდი ქართული გუთანი შედგებოდა მრავალი დეტალისაგან. ესენია: რვილი, მანჭები, ფრთა, ხმალა, კბილა, სახნისი, საკვეთელი, კაკაბა, საჯამბრი და ფამფალაკი.[231] მიწის მოხვნის დროს სახნის-საკვეთელთან და გუთნის სხვა დეტალებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფამფალაკს, რომლითაც დიდი ქართული გუთანი განსხვავდებოდა წინამორბედი სახვნელი იარაღისაგან. ფამფალაკი გუთნის წინა ნაწილს, ანუ „წინა-საზიდს" ეწოდებოდა, რომელსაც ორი თვალი – გოგორები ჰქონდა. კლასიკურ ქართულ გუთანზე ორ არათანაბარ ზომის გოგორას ვხვდებით, დიდ გოგორას კვალის გოგორა ეწოდებოდა, პატარას – ველის გოგორა.[232] ველის გოგორას ღირღიტასაც უწოდებდნენ.[233] სწორედ ამ არათანაბარი თვლების გამო, მძიმე ქართული გუთანი ეფექტური ხდებოდა და ძალზე მოხერხებულად შეიძლებოდა მისი გამოყენება. იგი ღრმად, 35 სანტიმეტრზე, ხნავდა და 50-60 სანტიმეტრის ზომის ბელტს ჭრიდა, აბრუნებდა და შლიდა.[234]

ივ. ჯავახიშვილი ევროპული სახვნელი იარაღის ქართულ გუთან-

საქართველოში. ადრეფეოდალური სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა გაბატონება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 109.

227 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 92, 113, 140, 151.

228 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 191.

229 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 159, 204.

230 მ. ლორთქიფანიძე. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 323-325.

231 გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 43.

232 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 259-261.

233 გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 142.

234 ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2011, გვ. 610.

თან შედარებისას, აღნიშნავდა, რომ XII-XIII საუკუნეებში და ცოტა მოგვიანებითაც დასავლეთ ევროპაში საზიდი თვლები ერთსა და იმავე ზომის იყო, რაც მის ეფექტურობას ამცირებდა, შესაბამისად, ქართული გუთანი ამ მხრივ ევროპულზე დაწინაურებულიც კი ყოფილა.[235] გ. ჩიტაიაც მიუთითებდა, რომ ევროპაში არასწორფარდოვანთვლებიანი სახვნელი იარაღი XVII-XVIII საუკუნეებიდან არის ცნობილი. ავტორი დასძენდა, რომ ევროპულ სახვნელს ამავე პერიოდიდან დაემატა კიდევ ერთი დეტალი – ოვალური ფრთა, რომელიც გაუმჯობესებული სახვნელი იარაღის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენდა. გ. ჩიტაიას აზრით, საქართველოში ყველა ჩამოთვლილი დეტალით აღჭურვილი გუთანი უკვე XII საუკუნიდან გვხვდება.[236]

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, საქართველოში ფამფალაკის ორი ტიპი დასტურდება – ერთ შემთხვევაში თანატოლი, ხოლო მეორე შემთხვევაში არათანატოლი გოგორებით.[237] საინტერესოა, ასევე, ის ფაქტიც, რომ წალკაში არსებულ საფლავის ქვაზე შესრულებულ მხატვრობაში მცირე განსხვავება შეიმჩნევა გოგორების სიდიდეს შორის.[238] აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გუთნის არათანაბარი გოგორები დამკვიდრდა არა XII-XIII საუკუნეებიდან, არამედ მოგვიანებით. შესაბამისად, დიდი ქართული გუთანი დროთა განმავლობაში უნდა დახვეწილიყო. მის ეტაპობრივ ევოლუციაზე მიუთითებს, ასევე სოფელ ნაჭივჭავებში აღმოჩენილი საფლავის ქვა, რომელზეც გამოსახულია 3-უღელიანი გუთანი.[239] ნასოფლარი და დასახელებული საფლავის ქვის გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ყოფას უნდა ასახავდეს. ამდენად, აღნიშნული პერიოდისათვის გუთანი, ან როგორც გ. ჯალაბაძე ვარაუდობს ერქვანიდან გუთანზე გარდამავალი სახვნელ იარაღი, მხოლოდ 3-უღელიანი (6 ხარ-კამეჩი) იყო. XVIII საუკუნეში კი დიდ ქართულ გუთანში 8-12 უღელ (16-24) ხარ-კამეჩს აბამდნენ. როგორც „დასტურლამალიდან" ირკვევა, XVIII საუკუნეში ყველაზე მეტად 10-უღელიანი გუთანი ყოფილა გავრცელებული: „...ერთი გუთანი არის ჴარი უღელი 10".[240] ერთი სიტყვით, გუთანის დეტალების გაუმჯობესება და, შესაბამისად, გამწევი ხარ-კამეჩების რიცხოვნობის ზრდა XVII-

---

[235] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 228-231, 259; გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 51.

[236] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 144.

[237] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 50-51.

[238] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 51.

[239] ი. გძელიშვილი. რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი. საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 1966, გვ. 191.

[240] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 312.



გუთნით ხვნა. კოტე კვალიაშვილის ნახატი.
გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

XVIII საუკუნეებამდე უნდა გაგრძელებულიყო.

საერთოდ, დიდი ქართული გუთნის სახნის-საკვეთელი 20 კგ. რკინისაგან მზადდებოდა. 8-უღელიანი გუთნის ღვედებისათვის 4 ხარისა და 2 კამეჩის ტყავი იყო საჭირო. ხარ-კამეჩებით გაწყობილ გუთანს გუთნეული ეწოდებოდა, რომელსაც ხვნის დროს გუთნისდედა, 5 მეხრე და კიდევ ერთი დამხმარე ესაჭიროებოდა. მათგან უმთავრესი იყო გუთნისდედა, რომელიც ხვნის პროცესში გუთანს მიმართულებას აძლევდა.[241]

ამრიგად, ქართული გუთანი, სამეურნეო თვალსაზრისით, ძალიან ეფექტური იყო. ჰრ. აჭარიანის მოსაზრებით, ტერმინი „გუთანი“ ქართულიდან უნდა იყოს შესული თითქმის ყველა კავკასიელი ხალხის ენაში.[242] ეს კი მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ, სულ მცირე, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ამ მხრივ მოწინავე ქვეყანა იყო.

დიდი ქართული გუთანი გამოიყენებოდა ბარის რაიონებში, მთიან ზოლსა და მთისწინეთში კი – უფრო მსუბუქი და გარემოზე მორგებული „აჩაჩა“ და სხვა სახვნელები.

როგორც ვხედავთ, სახვნელი იარაღი საქართველოში მუდმივად

241 გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 23, 141-142.

242 მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ეკონომიკური და სოციალური ვითარება IV-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორია. I, გვ. 272.

ვითარედებოდა. სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ მისი გაუმჯობესების შედეგი უნდა იყოს მოსავლიანობის ეტაპობრივი გაზრდაც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ XIII საუკუნეში ძირითად საწყაოს – ლიტრის – მკვეთრ ზრდას (406 გრამიდან დაახლ. 1 კგ.-მდე) საქართველოში წინ უსწრებდა გუთანის დამკვიდრება. ჩვენი აზრით, ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ტექნოლოგიის გაუმჯობესების ფონზე მოსავლიანობის ზრდამ ლიტრის გადიდება განაპირობა. როგორც აღინიშნა, იმ სახის დიდი ქართული გუთანი, რომელშიც 8-12 უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ, გვიანფეოდალური ეპოქის რეალობას უნდა წარმოადგენდეს. ამ პერიოდში კი ლიტრის მოცულობა მკვეთრად იყო გაზრდილი (XVIII საუკუნის დასაწყისში – 3 კგ.-მდე, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოს – 3,6 კგ.-მდე), რაც, ასევე მეურნეობის განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო.[243] ერთი სიტყვით, სახვნელი იარაღის მუდმივი გაუმჯობესება მარცვლეულის წარმოების გარკვეულ პროგრესს განაპირობებდა და ეს პროცესი არ შეჩერებულა XVI-XVIII საუკუნეებშიც კი, მაშინ როდესაც ქვეყანა პოლიტიკურად დაშლილი და დაუძლურებული იყო.

რაც შეეხება ირიგაციას, საქართველოში უძველესი დროიდანვე სარწყავად იყენებდნენ მთის ნაკადულებს, ხევებს, მდინარეებს, საიდანაც მარტივი რუები გაჰყავდათ. ანტიკური ეპოქიდანვე დადასტურებულია ქსნის, ურბნისის, უჯარმის, ნინოწმინდა-მანავისა და სხვა უამრავი დიდი თუ მცირე მასშტაბის არხისა და რუს არსებობა. დიდი არხებისა თუ მცირე რუების გაყვანის მნიშვნელობა საქართველოში კარგად ჰქონდათ გააზრებული. როგორც ვახტანგის სამართლის წიგნშია აღნიშნული, „წყალი ასრეა, რომე სადაც ჰელმწიფე წყლისა და რუს გატანას მოინდომებს, ქვეყნის შენებისა და პურის მოსავლისათვის იქს, რომე კოდის პური არ დააკლდეს, და სადაც ეპრიანების, რუს თავს ვერავინ დაუშლის; სადაც რუ მოიჭდენს, ვენაჯი თუ ხოდაბუნი, რაც დახუდების, გასჭრის და გაატარებს...“.[244]

აღმოსავლეთ საქართველოში სამეურნეო საქმიანობა დიდწილად სწორედ სარწყავი არხების არსებობაზე იყო დამოკიდებული, რადგან სახნავ-სათეს სავარგულებად უმეტეს რაიონებში მხოლოდ ის მიწის ფართობი გამოიყენებოდა, რომლის გასარწყავებაც შესაძლებელი იყო.

ფეოდალურ ეპოქაში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების დონის განსაზღვრისათვის საკმარისია გავიხსენოთ XII საუკუნეში

[243] ქართულ ისტორიოგრაფიაში ლიტრისა და სხვა სანყაოების გადიდების შესახებ განსხვავებული მოსაზრებაა დამკვიდრებული. ამ შემთხვევაში პროცესი შეფასებულია უარყოფითად. საკითხს დანერილებით ქვემოთ შევეხებით.

[244] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 523.

გაყვანილი სამგორისა და ალაზნის არხები. ალაზნის არხის სიგრძე 119 კილომეტრია და მორწყვის ფართობი 53 000 ჰექტარს უდრის. „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს მოქმედი არხების დიდი უმეტესობა დასაბამს ელინისტური და ფეოდალური ხანიდან იღებს და სარწყავი ფართობით ფეოდალური საქართველო არც თუ ისე ჩამორჩებოდა დღევანდელ დღეს", – აღნიშნავდა ი. კიკვიძე 1963 წელს გამოცემულ ნაშრომში.[245]

საირიგაციო ნაგებობების მშენებლობა თუ უკვე მწყობრიდან გამოსული ძველი არხების აღდგენა ყველა ეპოქაში მიმდინარეობდა. მაგალითად, XVIII საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ VI-ის მმართველობის დროს, გაიყვანეს ყარაიას არხი, რომლის საშუალებითაც უნაყოფო მინდვრების მორწყვა გახდა შესაძლებელი. არხები გაიყვანეს მდინარე მტკვრიდან სოფელ ქვიშხეთამდე, ასევე სურამისაკენ და ა.შ.[246]

დიდ საირიგაციო ნაგებობებს სახელმწიფო აშენებდა. შედარებით მცირე მასშტაბის არხებს თავის მამულებში ფეოდალებიც აგებდნენ. არხების მშენებლობაზე ძირითადად ყმა-გლეხების შრომით ბეგარას იყენებდნენ.

ფეოდალური ეპოქის ეკონომიკისათვის საირიგაციო არხებს რადგან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგჯერ მათ ასაგებად სამხედრო მობილიზაციის დროს შეკრებილ მოლაშქრეების შრომასაც იყენებდნენ. ამის ნათელი მაგალითია 1792 წლის ერეკლე II-ის ბრძანება იოანე ამილახვრიშვილისადმი შიდა ქართლიდან ჯარის დაბარების შესახებ – ბრძანებაში განმარტებული იყო, რომ დაღესტნიდან მოსალოდნელი შემოსევის აღსაკვეთად მოკლე ხანში მოლაშქრეები ლილოში უნდა გამოცხადებულიყვნენ, მეფე იქვე დასძენდა: „... არ გეგონოსთ, ამ ჯარს ივრის არხის სამუშაოდ ვიბარებდეთ. არა, ჭეშმარიტათ ღმრთით, ივრის არხის წყალი მინდორში გამოსული არის, იმ მინდორში რაც სამუშაო არის დარჩენილი, იმას თავის დროზე ყველას ადლობით გაუყოფთ და ისე გავაკეთებთ...".[247] კონტექსტიდან ჩანს, რომ შიდა ქართლიდან გაწვეულ ჯარს წარსულში ივრის არხის მშენებლობასა თუ აღდგენაზე უკვე უმუშავია, არხი 1792 წლისათვის ფუნქციონირებდა, ხოლო დარჩენილი სამუშაოები, მეფის განმარტებით, სხვა მხარეების მოსახლეობაზე გადანაწილდებოდა.

სახვნელი იარაღის გაუმჯობესებისა და ირიგაციის განვითა-

---

[245] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. თბ. 1963, გვ. 126.

[246] მ. ქიქოძე. სამეურნეო ცხოვრების წინსვლა XVIII ს. პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 386.

[247] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 529.

რების პარალელურად მოსავლიანობის გაზრდისთვის საქართველოში სხვადასხვა მეთოდი არსებობდა. მსგავსი მეთოდებიდან აღსანიშნავია მიწის ერთი წლით დასვენების პრაქტიკა. ზოგიერთ ადგილას მიწას ორი და მეტი წლითაც ასვენებდნენ. მოსავლიანობის გასაზრდელად აგრეთვე მიმართავდნენ ნიადაგის გაპატივებას, ღრმად მოხვნას, თესლმონაცვლეობას და ა.შ.[248] გავრცელებული ყოფილა შერეული თესლის გამოყენებაც. თესავდნენ ქერისა და დიკას შერეულ თესლს, რომელსაც გვალვის ატანა შეეძლო. დიკა ქერზე მაღალი იზრდებოდა, ჩრდილავდა ქერს და გვალვიან, ურწყავ ადგილებში კარგ მოსავალს იღებდნენ. ასეთ ნარევს ქერ-დიკას ან ქერ-ჭრელს ეძახდნენ.[249] საქართველოში ითესებოდა როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო მარცვლეული.

ერთი სიტყვით, სახნავი იარაღისა თუ საირიგაციო სისტემების გაუმჯობესებით და სხვა უამრავი მეთოდის გამოყენებით მოსავლიანობა იზრდებოდა, რაც დარგის მაღალგანვითარებულობაზე მეტყველებს.

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ძველ საქართველოში წარმოებული, როგორც ხორბლეული, ისე სხვა კულტურების სახეობები. ავტორი სულხან-საბა ორბელიანის ცნობებზე დაყრდნობით, გვთავაზობს მარცვლოვანი კულტურების კლასიფიკაციას, რომლის ერთ ჯგუფს „ხუარბალთაგანნი" ეწოდებოდა, ხოლო მეორე ჯგუფს – „ცერცუთაგანნი".[250] ამჯერად ყურადღებას „ხუარბალთაგანნი" მარცვლეულზე შევაჩერებთ.

თავდაპირველად ყველა საკვები მარცვლეული მცენარის აღსანიშნავად „ხუარბალი" გამოიყენებოდა, მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. ვახუშტი ბაგრატიონი ამ ტერმინში ქრთილს, ქერს, შვრიას და ფეტვს აღარ გულისხმობდა. ხორბალი მხოლოდ პურეულს აღნიშნავდა.

პურეული კულტურებიდან გამოსაყოფია იფქლი, რომელიც მოხსენებულია როგორც პირველ ნათარგმნ ძეგლებში, ისე ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებში. ზოგადად, იფქლი გარკვეულ დრომდე პურის აღმნიშვნელი ტერმინიც იყო. ძველ ნათარგმნ ძეგლებშივე გვხვდება ხორბლეულის კიდევ ერთი სახეობა – დიკა, რაც მის უძველესი პერიოდიდან გავრცელებაზე მეტყველებს. დიკა გაზაფხულზე ითესებოდა.[251] ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ყველაზე გვიან, IX საუკუნიდან და, სავარაუდოდ, უფრო ადრეც, დოლის პურიც და

[248] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 139-158.

[249] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 11.

[250] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 318.

[251] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 325-329.

მისი ქვესახეობებიც გავრცელებულა. უძველესი დროიდანვე ჩანს ასლი და მისი ნაირსახეობები – მახა და ზანდური. XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოში შემოვიდა ხორბლის ახალი ჯიში – თავთუხი.[252]

ვინაიდან ძველ ეპოქაში ადამიანის გამოსაკვებად ხორბლის შემდეგ ქრთილი, ქერი და სხვა მარცვლეულიც გამოიყენებოდა, მოკლედ მიმოვიხილავთ აღნიშნულ კულტურებსაც. ქრთილი და ქერი ერთი და იგივე მცენარის ორი სხავადასხვა ჯიშის სახელწოდებები იყო. ქრთილი შემოდგომით ითესებოდა, ქერი კი – გაზაფხულზე. გვიანფეოდალური ეპოქის წყაროებში ქრთილი იშვიათად არის ნახსენები, რაც მისი ქერით და სხვა კულტურებით ჩანაცვლებაზე მეტყველებს.

შედარებით გვიან უნდა შემოსულიყო შვრია და ჭვავი, რომლებსაც მეურნეობაში არცთუ დიდი ადგილი ეკავა. შვრიის კულტურა უფრო მთიან ადგილებში იყო გავრცელებული.

რაც შეეხება ფეტვს, ის ძველ ნათარგმნ ძეგლებსა და ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებშიც იხსენიება. ასევე გვხვდება ქურიმა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ქვრიმა ღომსა ჰგავს, ფეტვია“. ის ფეტვისნაირ მცენარეთა შორის, ყველაზე დაბალხარისხიანი ყოფილა. რაჭაში „ქვრიმა-ჭადი“ ან „ქვრინოფა-ჭადი“ იყო ცნობილი, რითაც დასტურდება, რომ ამ მცენარეს საკვებადაც იყენებდნენ.[253]

ფეოდალური ეპოქის დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მცენარე ღომი. რადგან ღომი XIII საუკუნეზე ადრინდელ წყაროებში არ არის ნახსენები, ჯავახიშვილის აზრით, შედარებით გვიან უნდა შემოსულიყო. ღომის კულტურის დამკვიდრებამდე კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი, სავარაუდოდ, პროკოფი კესარიელის ნახსენები „ელუმოსით“ იკვებებოდა, რომელიც ფეტვზე უმდაბლესი მარცვლეული უნდა ყოფილიყო. „ელუმოსი“ შესაძლებელია, „ქურიმა/ქვრიმასაც“ ეწოდებოდა.[254] მოგვიანებით, XVII საუკუნეში, დასავლეთ საქართველოში სიმინდი შემოვიდა.[255]

როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლეულისა და სხვა მარცვლეულის დიდ მოსავალს იღებდნენ. ყანების დაახლ. 2/3-მდე ხორბალს ეკავა, ხოლო დანარჩენ ფართობზე ქრთილი/ქერი ან სხვა მარცვლეული ითესებოდა.

---

252 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 332-351.

253 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 351-359, 361-362, 365-366.

254 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 366-372.

255 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 362-363.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, რაჭასა და იმერეთში ხორბალი მოჰყავდათ, ხოლო სამეგრელოსა და, ზოგადად, ზღვისპირა რეგიონებში – ღომი, რასაც ადგილობრივი კლიმატი განაპირობებდა. ამ ადგილებში ხორბალი ნაკლებად ითესებოდა. აღნიშნულ გარემოებას ხაზს უსვამდნენ როგორც XV საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფი იტალიელი ელჩები იოსაფატ ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი, ისე მოგვიანო ხანის ავტორებიც. იოსაფატ ბარბაროს გადმოცემით, სამეგრელოში „გარდა ღომისა აქ სხვა ჭირნახული არ მოჰყავთ";[256] XVII-XVIII საუკუნეების უცხოელი ავტორებიც – არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, გიულდენშტედტი და სხვ. – აღნიშნავდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, ღომის კულტურას ეკავა წამყვანი ადგილი.[257] ვახუშტის სიტყვებით, დასავლეთ საქართველოში თესავენ „...ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით".[258] სავარაუდებელია, რომ XVII-XVIII საუკუნეების ვითარებისგან განსხვავებით, ერთიანი ქართული მონარქიის პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოდან ხორბლეული დიდი რაოდენობით შეჰქონდათ დასავლეთ საქართველოში და აღნიშნული პროდუქციით მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი იკვებებოდა.

ამდენად, როდესაც ხორბლეულის მოსავლიანობაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ აღმოსავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს.

საქართველოში მოყვანილი ხორბლეულის უხვმოსავლიანობასა და საუკეთესო თვისებებს ყოველთვის აღნიშნავდნენ უცხოელი ავტორები. მაგალითისათვის მოვიხმობთ სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ზოგიერთი ავტორის ცნობას. X საუკუნის I ნახევარის არაბი ავტორი ალ-ისთახრი გადმოგვცემს, რომ თბილისის შემოგარენი „სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი".[259] ჰამდალაჰ ყაზვინის XIV საუკუნის I ნახევარში დაწერილ ნაშრომში („გულთა სიამე") აღნიშნულია, რომ საქართველოში „მოდის მეტად კარგი პურეული".[260] XV საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფი იტალიელი ელჩი იოსაფატ ბარბარო მოგვითხრობს, რომ „ეს ქვეყანა მშვენიერია და ნაყოფიერი. ბლომად მოდის პური...".[261] XVII საუ-

---

256 იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 45-46.

257 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი, გვ. 55-59; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 111-112, 120-122; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 157, 297.

258 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 743-744.

259 ისთაბრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 4.

260 ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 23.

261 იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 47.

კუნის 70-იან წლებში ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი მიუთითებდა, რომ „მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორიც აქ" (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო).[262] XVIII საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელეები, იაზიკოვი და ბურნაშოვი ასევე აღნიშნავდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ხორბალი ყუათიანობითა და მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.[263]

ძალიან საინტერესო და საგულისხმოა თეიმურაზ ბატონიშვილის აზრი ქართველთა სამიწათმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებით. ბატონიშვილი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავდა: „მოუთხრობენ ჩვენნი და სხვათაცა მემატიანენი: ვინაიდგმნ მცხოვრებნი გიორგიისანი არიან მხნენი და დაუშრომელნი მუშაკობასა შინა მიწისასა და მრავლისა ნაყოფისა შემკრებელობისათვის უაღმატებულესისა შრომისა, და უგანრჩეულესისა სახვნელთა მიწისათა, ვითარ იგი აქვსთ ჩვეულება უმეტეს ზემოთა ქვეყანათა გიორგიისათა რვითა ანუ ცხრითა უღლეულითა ჴართათა და დიდ-დითთა კამბეჩთა მიერ ჴვნისა, რომელნიცა მრღვეველნი უმტკიცესისა ქვეყანისა, კნინღა გულადმედ ქვეყნისა სახნის საკვეთნი გადმოაბრუნებენ ბელტთა ზრქელთა, ვითარცა რა ლოდთა უმძიმესთა. ეგრეთვე სხვათაცა შინა მუშაკობათა: მკათა, ლეწვათა, წნეხათა ყურძნისათა და ფერად-ფერადთა შინა მუშაკობითა განესხვავებიან სხვათა ყოველთა ნათესავთა აზიურთა, გინა ევროპიისათა".[264] შესაძლებელია, თეიმურაზ ბატონიშვილი გადაჭარბებულად აფასებდეს ქართველთა სამეურნეო საქმიანობას, მაგრამ საერთო მონაცემები ნათლად ადასტურებს ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების წარმოების მაღალ დონეს.

იმის გამო, რომ ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების საქართველოში მარცვლეულის საერთო მოსავლიანობაზე ინფორმაცია არ გვაქვს, ამიტომ შედარებით გვიანდელ რამდენიმე მონაცემებს მიმოვიხილავთ.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში ხორბლისა და, ზოგადად, მარცვლეული კულტურების ყოველწლიური მოსავლის ოდენობის შესახებ ერთგვარი წარმოდგენის შესაქმნელად ძალიან საინტერესოა 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში არსებული

---

[262] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.

[263] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I. გვ. 185; С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, გვ. 4.

[264] თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დანყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა. ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან. სანკტპეტერბურღი, 1848, გვ. 16-17.

მონაცემები, რომლებიც მ. სვანიძემ დააჯამა. ავტორის დაანგარიშებით, XVI საუკუნის დამლევს დავთარში აღწერილ 711 სოფელში მცხოვრებ 12 633 კომლს ყოველწლიურად მოჰყავდა 36 182 715 კგ. ხორბალი.[265]

მ. სვანიძემ ხორბლის მოსავალთან ერთად სამცხე-საათაბაგოში ქერის, ჭვავის და ფეტვის წლიური მოსავლის ოდენობაც გამოთვალა. რეგიონში მოჰყავდათ 34 010 218 კგ. ქერი, 2 885 014 კგ. ჭვავი და 1 514 370 კგ. ფეტვი. სულ რეგიონში მოყვანილი ხორბლის, ქერის, ჭვავისა და ფეტვის მოსავალი 74 630 478 კგ.-ს შეადგენდა.[266]

აღნიშნული მონაცემებით კიდევ ერთხელ ხაზი ესმევა იმ ფაქტს, რომ სამცხე-საათაბაგო ქართული ეკონომიკური სხეულისათვის ნამდვილ „ხორბლის ბელტს" წარმოადგენდა. ისიც აღსანიშნავია, რომ დავთარში მთელი სამთავროს მოსახლეობა არ არის შეყვანილი. ამ შემთხვევაში აღწერილი და დაბეგრილია ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩრდილის, ფოცხოვის, პერტეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი (თორთუმის, ოლთის, ანუ ოლთისის, დიდი არტაანისა და არტანუჯის ლივები) ოსმალებმა ჯერ კიდევ 1574 წელს აღწერეს[267] და იქ მოწეული მოსავლის დიდი ნაწილი 1595 წლის დავთარში არ არის გათვალისწინებული.

ხორბლის უხვმოსავლიანობა დასტურდება ქართლ-კახეთშიც. XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო კარი მარცვლეულის ნატურალური გადასახადებით, რომლებსაც „კოდი პური" და „სურსათი" ეწოდებოდა,[268] კრეფდა დაახლ. 45 000 კოდ ხორბალსა და ქერს,[269] ანუ 1 620 000 კგ.-ს, რაც სამეფო კარის გამოსაკვებად, მუდმივი ჯარის ნაირსახეობების, სახელმწიფო მოხელეების „სარგოსა"[270] და სხვა საჭიროებისათვის გამოიყენებოდა. ამასთანავე,

---

265 მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 12-17.

266 დაანგარიშება დაფუძნებულია ოსმალური გადასახადების ოდენობაზე. დავთრის კანონ-ნამე გვამცნობს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის ქაფირები (ქრისტიანები) რეგისტრირებულნი არიან როგორც ხუმსი". ხუმსი არაბული სიტყვაა და მეხუთედს ნიშნავს. შესაბამისად, მოსახლეობა გადასახადის სახით მოსავლის მეხუთედს იხდიდა. ამდენად, შენერილი გადასახადის ხუთმაგი მოცულობა საერთო მოსავლის რაოდენობას წარმოადგენდა. მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 19-42.

267 იხ.: 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016.

268 ბარის რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა კომლზე იხდიდა 3 კოდ მარცვლეულს – 2 კოდ ხორბალს და 1 კოდ ქერს.

269 ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 109.

270 „სარგო" – მოხელების ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა, გაცემული საკვები

ქმნიდნენ გარკვეულ მარაგებს მოუსავლიანი წლებისათვის.

გლეხთა გადასახადებიდან და საბატონო მიწებიდან (ხოდაბუნებიდან) დიდი ოდენობით მოსავალს იღებდნენ ფეოდალებიც. მაგალითად, საყაფლანიშვილოს ფეოდალური სახლის მარცვეულის საერთო შემოსავალზე წარმოდგენის შესაქმნელად საინტერესოა 1690-1691 წლების საჩივრის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დმანისის ხეობიდან (დმანისის ხეობა საყაფლანიშვილოს მამულების ნახევარზე მეტს მოიცავდა) 12 000 კოდი ხორბლისა და ქერის მოსავალი მიიღეს.[271] 12 000 კოდი კი 360 000 კგ.-ს იწონიდა.[272]

ზოგადად, XVII-XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთში წლიურად მოყვანილი მარცვლეულის ოდენობის გამოსარკვევად საინტერესოა XIX საუკუნის დასაწყისის მონაცემების გათვალისწინება. არასრული სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ქართლ-კახეთში 1807 წელს დაუთესავთ 84 559 ჩეტვერტი პურეული, ხოლო 1813 წელს – 83 300 ჩეტვერტი.[273] სტატისტიკური ცდომილების გათვალისწინებით, დათესილი მარცვლეულის რეალურ ოდენობად 100 000 ჩეტვერტი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ქართლ-კახეთში დათესილ 100 000 ჩეტვერტზე, 8-ჯერადი მოსავლიანობის პირობაზე, საშუალოდ 800 000 ჩეტვერტის ოდენობის მოსავალს მიიღებდნენ. ჩეტვერტი კი იწონიდა 9 ფუთს[274], ანუ, მცირე დამრგვალებით, დაახლ. 145 კგ.-ს. შესაბამისად, ქართლ-კახეთში ყოველწლიურად 115 მილიონ კგ.-ზე მეტი მერცვლეული მოჰყავდათ.

მოცემული ოდენობის პურეულის (ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი) უმეტეს ნაწილს მოიხმარდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა – დაახლ. 270 000/300 000 ადამიანი.[275] ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერთი სრულწლოვანი და შრომისუნარიანი ადამიანის გამოსაკვებად დღიურად დაახლ. 1 კგ. ხორბალი იყო საჭირო. ცხადია, მთელი ქვეყნის მოსახ-

---

პროდუქტების სახით.

[271] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები). თბ. 1955, გვ. 100-103.

[272] როგორც ზემოთ აღინიშნა, კოდი XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I მესამედში 30 კგ.-ს იტევდა.

[273] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა 1800-1864 წწ.), გვ. 251.

[274] Б. Н. Миронов. Хлебные цены в России за два столетия (XVIII—XIX вв.). Ленинград. 1985, გვ. 214; დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება, გვ. 251.

[275] განსახილველი ეპოქის ქართლ-კახეთის მოსახლეობის შესახებ დაზუსტებული მონაცემები არ გაგვაჩნია. ამ შემთხვევაში მოყვანილია მიახლოებითი რიცხვი. საკითხის შესახებ იხილეთ: ვ. გამრეკელი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით. მაცნე. ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სამართლის სერია. № 3. თბ. 1976, გვ. 57-75; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 100-101.

ლეობა საუკეთესო ხარისხისა და მიღებული ოდენობის პურით ვერ გამოიკვებებოდა, რადგან ღარიბ, უმიწო გლეხებს მწირი შესაძლებლობები ექნებოდათ, რაც მათ კვებაზეც აისახებოდა. ასევე გასათვალისწინებელია მთის რეგიონების მოსახლეობა, რომელსაც ნაკლები მოსავალი ჰქონდა და დანაკლისის შესავსებად ბარში იძენდა მარცვლეულს. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „პურეულის ნაკლებობის შესავსებად გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა უნდა ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც: იქ, სადაც ხორბლეული საკმარისი არ მოდიოდა, ქრთილ-ნარევი პური უხმარიათ... რომელსაც ქერზე უკეთესი ღირსება ჰქონია და ხორბლის და ქერის შუალედი ადგილი სჭერია... საქართველოს ზოგ თემში ქრთილ-ნარევი პურის ჭამა გასაკვირველი არც არის: ქერის პურს ძველად საბერძნეთსა და რომშიც სჭამდნენ".[276] ერთი სიტყვით, ზემოთ დასახელებული გამონაკლისების, ასევე ბავშვების, ქალებისა თუ ხანდაზმულების კვების რაციონის გათვალისწინებით, რაშიც შრომისუნარიან მამაკაცებთან შედარებით, პურეულის ნაკლებ მოხმარებას ვგულისხმობთ, მიახლოებითი გათვლით, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები 270 000/300 000 ადამიანისათვის წელიწადში, საშუალოდ, 75-80 მილიონი კგ. პურეული იქნებოდა საჭირო.

მოწეული მოსავლიდან დაახლ. 14-15 მილიონი კგ. მარცვლეული ფეოდალების, ეკლესია-მონასტრების, სახელმწიფოს სავარგულებისა (ხოდაბუნები) და გლეხების საკომლოებში დასათესად იყო საჭირო.

ქერის, ჭვავის და ფეტვის მნიშვნელოვანი ნაწილი (რამდენიმე მილიონი კილოგრამი) ცხენების და სხვა შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების გამოსაკვებად გამოიყენებოდა.

ხორბლეულის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში შედიოდა. ნაწილს კავკასიელი მთიელებიც იძენდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ჭარბმოსავლიან წლებში სხვა მეზობელ ქვეყნებშიც განხორციელებულიყო მარცვლეულის ექსპორტი.

ყოველწლიურად მოწეული მოსავლის ნაწილით კი მარაგებს ქმნიდნენ. რა თქმა უნდა, მარცვლეულის წლიური მოსავალი მოსახლეობაზე თანაბრად არ ნაწილდებოდა და მარაგების სოლიდურ ნაწილს ძირითადად ზედა ფენის წარმომადგენლები ქმნიდნენ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებებისა, როგორც ჩანს, ქვეყანას განსაკუთრებულ ვითარებაში დამატებითი რესურსებიც გამონახვაც შეეძლო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში შემოსულ რამდენიმე ათასკაციან

[276] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 420.

რუსეთის ჯარს შეუფერხებლად მიეწოდებოდა ხორბალი. ხშირად ვხვდებით დაღესტნელებისა და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელების დაქირავების შემთხვევებს, რომელთა გამოკვებასაც, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფო უზრუნველყოფდა.

ხორბლის მოსავლის საერთო ოდენობის შესახებ ერთიანი საქართველოს მონარქიის პერიოდის მონაცემები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. თუმცა, XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის ცნობებიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რამდენიმე მილიონი მოსახლეობის პირობაზე თუ რა მასშტაბებთან გვექნებოდა საქმე.

ამდენად, ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოება მაღალ დონეზე იყო განვითარებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVI-XVIII საუკუნეებშიც კი, მაშინ როდესაც ქვეყანაში საგარეო და საშინაო გართულებების ფონზე მოსახლეობა მცირდებოდა, სოფლის მეურნეობის დასახელებული დარგი განვითარებას განაგრძობდა და პროდუქციის მოსავლიანობით იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე საფეხურზე იმყოფებოდა.

***

ფეოდალური ხანის საქართველო, როგორც აღინიშნა, მარცვლეული კულტურების მხრივ თვითკმარ ქვეყანას წარმოადგენდა. შესაბამისად, შუა საუკუნეების საქართველოში ხორბალის ფასი მაღალი არ იყო. XI საუკუნის 70-80-იან წლების ერთ-ერთი საბუთში – „ნიკორწმინდელის დაწერილში“ მოცემული ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2 გრივი, ანუ 300 კგ. ხორბალი ღირდა 2 დრაჰკანი კონსტანტინატი ან დაახლ. 30-33 ვერცხლის 2-გრამიანი დრამა, რაც შედარებით ნაკლებია ბიზანტიაში, დასავლეთ ევროპასა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებულ ფასებზე.[277]

თუ შევაჯერებთ XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით არსებულ მონაცემებს, გარკვეული გამონაკლისების გარდა, როდესაც შეინიშნებოდა დროებითი გაძვირების ფაქტები, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი დაახლოებით თანაბარი იყო და 1 კგ.-ის ღირებულება მერყეობდა 0,17-0,21 გრამი ვერცხლის არეალში. შესაბამისად, 3-გრამიანი ვერცხლის დრამით შესაძლებელი იყო 14-17 კგ. ხორბლის შეძენა,

[277] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 18-31.

ხოლო ვახტანგ VI-ის ეპოქაში მოჭრილი ერთი ვერცხლის აბაზით, რომელიც 7,5 გრამს იწონიდა, ყიდულობდნენ დაახლ. 1,5 კოდ, ანუ 45 კგ.-მდე ხორბალს.[278]

XVIII საუკუნის II ნახევარში კი ხორბლის ფასი 30-40%-ით გაძვირდა და 1 კგ.-ის ღირებულებამ დაახლ. 0,28 გრამი ვერცხლი შეადგინა. აღნიშნულ ეპოქაში ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი სირმა-აბაზი იწონიდა 2,9 გრამს. შესაბამისად, ერთი კოდი, ანუ 36 კგ. ხორბალი ღირდა 3-4 სირმა-აბაზი. XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლისა და სხვა პროდუქტების ფასების მატება რამდენიმე მიზეზის ერთობლიობამ, მათ შორის ფულის მასის ზრდამ გამოიწვია.[279]

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ რამდენადმე განსხვავებულ სურათს ვხედავთ. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ხორბლის ღირებულება დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო საქართველოს სხვა მხარეებში არსებული საბაზრო ფასებისაგან, რაც „ნიკორწმინდელის დაწერილში" მოცემული ცნობებითაც დასტურდება. საპირისპირო სურათს ვაწყდებით გვიანი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს ფასთან შედარებით, ხორბალი სულ მცირე 2-ჯერ ძვირად ფასობდა.[280] ეს პროცესი უმთავრესად გამოწვეული უნდა ყოფილიყო საქართველოს ამ ორი ორგანული ნაწილის ეკონომიკური გახლეჩვით – აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის. ასეთ პირობებში უხვმოსავლიან აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი სტაბილურ ფასს ინარჩუნებდა, თუმცა, ჩანს, ძალზე შემცირდა დასავლეთ საქართველოში ხორბლის შეტანა, რამაც გამოიწვია ქვეყნის ორ ნაწილს შორის ძირითადი საკვები პროდუქტის ფასთა შორის დიდი განსხვავება.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ხორბლის ღირებულება უკვე დაუახლოვდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ფასს. ამ შემთხვევაში ფასების გათანაბრება ქვეყნის ორ რეგიონს შორის კავშირ-ურთიერთობის აღდგენას უნდა გამოეწვია.[281]

ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოში XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით ხორბლის ფასის მხრივ ინფლაცია პრაქტიკულად არ ჩანს. საქართველოს არ შეხებია ე.წ.

[278] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 31-37.

[279] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 41-43.

[280] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 39-41.

[281] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 43-44. საკითხს დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

„ფასების რევოლუცია“, რადგან განსახილველ საუკუნეებში ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არ მომხდარა რადიკალური გარღვევა. შესაბამისად, საწარმოო და ტექნოლოგიური საშუალებების მცირე პროგრესისა და ფეოდალური მეურნეობის პირობებში ნორმალურ ვითარებაში ინფლაციის მაჩვენებელი მაღალი არც უნდა ყოფილიყო.

ამდენად, XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ფასები ძირითადად სტაბილურობით ხასიათდება, მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში ვხედავთ 30-40%-იან ინფლაციას.

როგორც აღინიშნა, ეს, ერთი მხრივ, ეკონომიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, თუმცა, მეორე მხრივ, მტრის ინტენსიური შემოსევების და ქვეყნის ხშირი დახარკვის პირობებში მსგავსი მდგრადობის შენარჩუნება სხვაგვარი დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს – ამ მონაცემებით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ფეოდალურ ეპოქაში, საქართველოს მოსახლეობის მუდმივი თავდაცვითი ბრძოლების მიუხედავად, ინტენსიური მეურნეობის ხარისხი უწყვეტად მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც განაპირობებდა კიდეც ძირითადი საარსებო წყაროს, ხორბლის, საჭირო მოსავლიანობას. საუკუნეების განმავლობაში ქართული მეურნეობა იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ დამპყრობლებთან მუდმივი ბრძოლისა და დროდადრო დიდი ხარკის გადახდის მიუხედავად, ხორბლის ფასი არათუ სტაბილურობას ინარჩუნებდა, არამედ ხშირ შემთხვევაში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, დაბალიც კი იყო.

ზემოთქმულის მიუხედავად, ვხვდებით გამონაკლის შემთხვევებსაც. ცხადია, საბრძოლო მოქმედებების დროს ქვეყანაში დროდადრო ხორბლის დეფიციტი იქმნებოდა, რაც შიმშილობას იწვევდა. ასეთი ფაქტები წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, ჯალალ ედ-დინის შემოსევის (1225 წ.) ახლო ხანებში, როგორც აბუსერიძე ტბელის ნაწარმოებშია აღნიშნული, პური გაძვირებულა: „ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი და სიძჯრე პურისაჲ“.[282] როგორც ჩანს, ხვარაზმელთა შემოსევამ ქვეყანაში პურის დეფიციტი გამოიწვია;

ჟამთააღმწერლის გადმოცემით, დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) აჯანყების დროს „...არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე... იქმნა პურისა მოკლება, ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განძჯნდა შიმშილი, მძორსა არაწმიდასა ურიდოდ ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა, ყრმანი

[282] აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბ. 1941, გვ. 60.

მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშთა სწოვდიან. და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად".[283] როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ქართლში სამხედრო მოქმედებების გამო ხორბლის დეფიციტი შექმნილა, რასაც ფასის ზრდა გამოუწვევია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში არსებული დეფიციტის აღმოფხვრა მეორე რეგიონის დახმარებით მოხერხდა – „უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად". აღნიშნული ცნობიდან კარგად ჩანს სხვადასხვა დროს ქვეყნის შიგნით შექმნილი სასაქონლო კრიზისის დაძლევის გზები;

XIV-XV საუკუნეებში ხორბლის გაძვირების ან გაიაფების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ თემურლენგის შემოსევები და გამუდმებული სამხედრო კამპანიები დროდადრო პროდუქციის დეფიციტს გამოიწვევდა;

XVIII საუკუნის 40-იან წლების აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი მკვეთრად გაიზარდა, რაც ნადირ-შაჰის (1736-1747 წწ.) პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული – დაღესტანში მიმდინარე ბრძოლების დროს შაჰმა ქართლიდან დიდი რაოდენობით ხორბალი მოითხოვა, რომლის ტრანსპორტირებაც ქართველებსვე ევალებოდათ. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, ერთდროულად ქართლიდან ჯერ 3000 ურემზე დატვირთული ხორბალი წაუღიათ დაღესტანში, მოგვიანებით კი 2000 ურემი მოუთხოვიათ. თითო ურემზე ორ-ორი ხარვალი, ანუ 200-200 ლიტრა ხორბალი დაუტვირთავთ. რადგან ლიტრა იმ პერიოდში დაახლ. 3,3 კგ.-ს იტევდა, ერთ ურემზე დაუტვირთავთ 660 კგ. ხორბალი. აღნიშნული კამპანიის დროს 5000 ურმით ქვეყნიდან გაუზიდავთ 3 300 000 კგ. ხორბალი. შაჰი ამით არ დაკმაყოფილებულა და, როგორც პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს, 1741 წელს მისი ბრძანებით ქართლი აღუწერიათ და მოსახლეობა მძიმე გადასახადებით დაუხარკავთ. ამასთან ერთად, ქართლის ყველა გადასახადის სანაცვლოდ შაჰს ხორბალი მოუთხოვია და ფასიც თავად დაუწესებია. წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანის შაჰმა ხორბალი საბაზრო ფასზე ნაკლებად შეაფასა, რათა გაზრდილი შემოსავალი მიეღო. მოუსავლიან 1741-1742 წლებში ნადირ შაჰმა 3 000 000 ლიტრა, ანუ 10 000 000 კგ. ხორბალი მოითხოვა.[284] შედე-

[283] ჟამთააღმწერელი. ასნლოვანი მატიანე, გვ. 641.

[284] მოუსავლიანობასთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში არ შედიოდა ყაზახ-ბორჩალო და სხვა სამხრეთის პროვინციები, სადაც დიდი ოდენობით ხორბალი მოდიოდა. 1742 წელს კი შაჰმა კახეთი გაათავისუფლა ხარკისაგან. ამდენად, დასახელებული გადასახადი მხოლოდ ქართლს უნდა გაეღო, რასაც აჯანყებები მოჰყვა.

გად, ხორბალის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. იგივე ავტორი გადასახადის დაწესების შედეგებს ასე გადმოგვცემს: „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ... თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ჴელით შვილებს აძლევდენ...“.[285] ირანის ბატონობისაგან ქართლ-კახეთის გათავისუფლების შემდეგ ხორბლის ღირებულება კვლავ დასტაბილურდა;[286]

ძირითადი საარსებო საშუალება – ხორბალი ძალიან გაძვირებულა XIX საუკუნის დასაწყისშიც, რაც რუსეთის იმპერიის მიერ დაწესებული მძიმე გადასახადებითა და მოუსავლიანობით იყო გამოწვეული. 1810-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რუსული ჯარის რიცხვი 30 000 აჭარბებდა, დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა კიდევ უფრო იზრდებოდა. რუსული ჯარის გამოკვება ქართლ-კახეთის მოსახლეობას ევალებოდა, თუმცა ქვეყანაში, სადაც დაახლ. 60 000 შრომისუნარიანი მამაკაცი ცხოვრობდა საკმარისი ხორბალი არც იყო და თეორიულადაც ვერ იქნებოდა. მართალია, დანაკლისის შესავსებად რუსეთიდანაც დაიწყეს გარკვეული ოდენობის ხორბლის შემოზიდვა, თუმცა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან ამოღებულ ხორბალს მოიხმარდნენ. ჯარისკაცების გამოსაკვებად მხოლოდ 1806-1809 წლებში რუსეთის მთავრობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში 242 000 ჩეტვერტზე მეტი მარცვლეული შეკრიბა, რაც, თანამედროვე მეტრული სისტემით, 35 მილიონ კგ.-მდე აღწევს. შედეგად, მოუსავლიან 1811-1812 წლებში პურზე ფასები მკვეთრად გაიზარდა და 1 კოდის ღირებულებამ მანამდე არნახულ ნიშნულს – 4-5 რუბლს, ანუ 20-25 აბაზს მიაღწია. ცხადია, გაუსაძლის მდგომარეობას მოსახლეობა ვერ შეეგუებოდა. შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, 1812 წელს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ კახეთსა და მთიანეთში მოსახლეობის მძლავრი პროტესტი გამოიწვია, რაც აჯანყებაში გადაიზარდა. მოგვიანებით ვითარება დარეგულირდა და ხორბლის ფასმა კლება დაიწყო, თუმცა XVIII საუკუნის II ნახევრის საშუალო ნიშნულამდე აღარ ჩამოსულა.[287]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტრის ყოველი შემოსევა მსგავს შიმშილობას არ იწვევდა და დასახელებული ფაქტები გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელია 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობა, რასაც თბილისის განადგურება

---

285 პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 48-49, 102.

286 ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 437-39.

287 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 44-45.

მოჰყვა. დიდი ზარალის მიუხედავად, ირანის მმართველის შემოსევას ქვეყანაში შიმშილობა არ გამოუწვევია და არც ხორბლის ფასი გაზრდილა.[288]

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, მოსავლის განადგურებისა და დეფიციტის შექმნის წინაპირობა სეტყვა, წყალდიდობა და ა.შ. შეიძლება გამხდარიყო. „ოდესცა დასეტყოს და არაი მოვიდეს", – აღნიშნულია „რკონის დაწერილში", თუმცა აქვე მითითებულია, რომ რომელ წელსაც კარგი მოსავალი იქნებოდა, მოუსავლიანი წლისათვის მარაგს „დაიგულებდენ".[289] ასევე, საინტერესოა კირაკოს განძაკელის ცნობა 1252 წელს სომხეთში ირანიდან შემოსეული კალიების მიერ ნათესის სრულად განადგურების შესახებ.[290] მსგავსი მოვლენები დროდადრო საქართველოსთვისაც იქნებოდა დამახასიათებელი.

ამდენად, როგორც ფასების დინამიკა, ისე სხვა ფაქტორები ცხადყოფს, რომ ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით ხობლეულის წარმოება მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რაც საუკუნეების განმავლობაში მრავალრიცხოვან დამპყრობლებთან ბრძოლაში ქართველთა გამძლეობას განაპირობებდა.

---

288 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 42-43.

289 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 150.

290 Киракос Гандзакеци. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. Москва, 1976, გვ. 219-220.

მევენახეობა-მეღვინეობა ფეოდალური ხანის საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის კულტურის გავრცელება პრეისტორიულ ეპოქას უკავშირდება. სპეციალისტების მოსაზრებით, აქ ვაზის კულტურული ფორმების ადრე ჩამოყალიბების ყველა პირობა არსებობდა, რადგან ვხვდებით როგორც ვაზის გარეულ, ადგილობრივ ჯიშებს, ისე კულტურული ვაზის უძველეს ნიმუშებს. ერთ-ერთ ნამოსახლარზე ნაპოვნი ყურძნის წიპწა ველურიდან კულტურულ ჯიშზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება. შულავერის გორაზე კი ამ მცენარის კულტურული სახეობაა აღმოჩენილი.

კულტურული ვაზისა და ღვინის უძველესი კვალი აღმოჩენილია ნეოლითური ხანის ნამოსახლარებზე – შულავერის გორაზე, ხრამის დიდ გორაზე, არუხლოს გორასა და სხვა ადგილებში. ვაზის წიპწებთან ერთად აღმოჩენილია თიხის საღვინე ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებზეც დალექილი ღვინის მჟავაა შემორჩენილი. აღმოჩენების შედეგად დადასტურებულია, რომ საქართველოში ღვინის კულტურა 8000 წელს მოითვლის, ხოლო საქართველოს ტერიტორია ღვინის სამშობლოდ მიიჩნევა.

ივ. ჯავახიშვილმა დეტალურად გამოიკვლია ძველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ვაზის ჯიშები, რომელთა ოდენობა 420-ს აღწევდა. მათ შორის აღსანიშნავია საფერავი, მწვანე, რქა-წითელი, ძელშავი, თავკვერი, ხარისთვალა, ციცქა, ანუ ციცქო, ცოლიკაური, ალექსანდროული, უსახელაური, ჩინური, კრახუნა, ჩხავერი და სხვა მრავალი ჯიში. მევენახეობა განვითარებული იყო კახეთსა და ჰერეთში, ქვემო და შიდა ქართლში, მესხეთში, იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, შავშვეთ-კლარჯეთში, ანუ, მაღალმთიანი ზონის გარდა, პრაქტიკულად მთელ საქართველოში.[291] გავრცელებული იყო როგორც დაბლარი, ისე მაღლარი ვაზი. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად დაბლარი ვენახები იყო, დასავლეთში კი – მაღლარი. ფეოდალურ საქართველოში განსხვავებული ნიადაგისა და კლიმატური პირობების შესაბამისი მრავალი ჯიში გამოიყვანეს, რათა ვაზის მოშენება შესაძლებელი ყოფილიყო ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე. ქართულ ენაში 1200 ლექსიკური ერთეულია, რომლებიც დაკავშირებულია ვაზის ჯიშებთან, მის ნაწილებთან, ვაზის მოვლასა და მსგავს საქმიანობასთან.[292]

---

[291] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 400-471.

[292] მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ეკონომიკური და სოციალური ვითარება IV-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორია. I, გვ. 268.

ქრისტიანობამდელ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის წარმართული კულტი უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ქართულ ყოფაში ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ვაზს განსაკუთრებული და დიდი ადგილი ეკავა, რაც დასტურდება წერილობითი წყაროებითა და ხალხის წეს-ჩვეულებებით.[293] ფეოდალური ეპოქის საქართველოში ვაზის და, ზოგადად, მევენახეობა-მეღვინეობის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ქართველთა განმანათლებლის – წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც ვაზისგან იყო დამზადებული. ტაძრების ფასადებზე ვხვდებით ვაზისა და მტევნების გამოსახულებებსაც.

შუა საუკუნეებში, ქართველების წარმოდგენით, ვაზი და ვენახი იმდენად დიდ მნიშვნელობას ატარებდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკა ვენახის გაშენებას და სარწყავი რუს გამოღებას ეპოქის ყველაზე დიდ პიროვნებას – ალექსანდრე მაკედონელს მიაწერდა: „და შემდგომად რაოდენისა-მე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფჱ ყოვლისა ქუეყანისაჲ... დადგა სარკინეს დასავლეთით კერძო და დაასხა ვენაჯი და რუჲ გამოიღო ქსნით, დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუისაჲთა; და ჰრქუან ადგილსა ნასტაგისი".[294]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფეოდალური ეპოქის საქართველოში ღვინო ხორბალთან ერთად სიმდიდრის დაგროვების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: ძველ საქართველოში ღვინოს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი ეკავა. იგი არა მარტო დღესასწაულებსა და სალხინო თუ სამგლოვიარო სუფრაზე გამოიყენებოდა, არამედ პირველადი მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ღვინო იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას მოიხმარდნენ სამხედრო მობილიზაციის პირობებშიც კი. უფრო მეტიც, სახელმწიფო ავალდებულებდა მოსახლეობას, რომ სალაშქროდ სურსათ-სანოვაგის მარაგთან ერთად გარკვეული რაოდენობის ღვინო აუცილებლად წაეღოთ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საუბარია ყოველდღიურ მინიმალურ ოდენობაზე.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ღვინის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ საინტერესოა 1774 წელს შედგენილი „მორიგე ლაშქრის განჩინების" ის მუხლები, რომლებშიც საუბარია ჯარში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამნაშავეების დასჯაზე. დარღვევის შემთხვევაში თავად-აზნაურებს ეკისრებოდათ ფულადი გადასახადი, ხოლო თუ თანხის გადახდა არ შეეძლოთ, მათი მამული უნდა გაეყიდათ. „განჩინებაში" გათვალისწინებული იყო ისეთი გარემოებაც, როდესაც

[293] გ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ეკონომიკური და სოციალური ვითარება IV-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორია. I, გვ. 268-269.

[294] მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ალ. გიუნაშვილმა, გვ. 320.

დამნაშავეს არც თანხა და არც დადგენილი ჯარიმის ღირებულების მამული არ ექნებოდა. ასეთი შემთხვევისათვის აღნიშნულია: „ქ. რომელსაც თავადიშვილს მამულისა და საქონლის ილაჯი არა ჰქონდეს, ის სატუსაღოში ერთი თვე დაებას ბორკილით და ცარიელის პურის, წყლისა და ღვინის მეტს ნურას მიაღებინებ ჭამითა და სმითა, ზედამდგომელნი. და თუ იმ ზედამდგომელთ შეუტყევით, რომ ამისი მეტი, რაც არ დაგვიწერია სასმლისა და საჭმლისაგან, მიუტანინებიათ რამე, იმის გარდასაჯდევინებელს ზედამდგომელს გარდავაჯდევინებთ“. ანალოგიური კვების რაციონია გათვალისწინებული აზნაურის დაპატიმრების შემთხვევაშიც.[295]

როგორც ვხედავთ, ღვინის ყოველდღიური ნორმა დამნაშავის მკაცრი დასჯის პირობებშიც კი იყო გათვალისწინებული.

თუ რა ოდენობის ღვინოს მოიხმარდა საშუალოდ დღეში ერთი ადამიანი, ამის შესახებ წყაროებში გარკვეული ინფორმაცია მოგვეპოვება. XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლი „განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ“ ასევე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ღვინო ყოველდღიური სასმელი იყო მოსახლეობის ყველა ფენისათვის, მათ შორის სასულიერო პირებისათვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოძღვარს უნდა მიეცეს სამი საპალნე ღვინო, იკონომოსს – ორი, „ხოლო უთავადესთა ძმათა, რომელთა: გ˙ :გ˙ :დუკატი აქუს საჩოჯედ, ამათ პური ორი გრივი წმიდაჲ და ერთი ქრთილი მიეცემოდის და თჳთო საპალნე ღუნოჲ.

და მეორისა დასისათა, რომელთა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს, ღუნოჲ თჲთოჲ ცალი მოიცემოდის, გარნა პური ვითა თავადთა ძმათათჳს დაგუწესებია, ეგრეთვე {ამ}ათთჳს.

ხოლო მწირთა პური თჳთოჲ გრივი წმინდაჲ და თჳთოჲ ქრთილი და ღუნოჲ ოთხთა და ოთხთა თჳთოჲ საპალნე“.[296]

„უთავადესთა ძმათათვის“ მისაცემი ღვინის წლიური მარაგი აღებული უნდა იყოს დღიური ნორმის გათვალისწინებით. ამდენად, იერარქიულად დაბალ საფეხურზე მყოფი სასულიერო პირებისათვის წლის ნორმად ითვლებოდა ერთი საპალნე ღვინო.

შარდენის ცნობით, საპალნე დაახლ. 150 ლიტრს იტევდა,[297] შესაბამისად, სამღვდელო პირების ყოველდღიური ნორმა ყოფილა დაახლ. 0,4 ლიტრი ღვინო.

ყოველდღიურად მოსახმარი ღვინის ოდენობის შესახებ „მორიგე ლაშქრის განჩინებაც“ გვაწვდის ცნობას. „განჩინების“ მიხედ-

---

[295] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 439-442.

[296] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ 141.

[297] ზოგიერთი ცნობით საპალნე გაცილებით დიდიც ყოფილა. ზოგადად, არსებობდა ცხენის, აქლემის და ვირის საპალნე, რომლებიც განსხვავებული მოცულობებს იტევდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 110-116.

ვით, თუ გლეხს უკიდურესი სიღარიბის გამო „მორიგე ჯარში“ სურსათ-სანოვაგის წაღების საშუალება არ ექნებოდა, „იმ კაცს იმისმა მებატონემ, რომლისაც იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს და საყოფი მარილი ერთის თვისა და ისე გამოგზავნოს შეუძლებელი, თავისი მემკვიდრეცა და ჴიზანიცა“.[298]

თუნგი XVIII საუკუნის II ნახევარში იწონიდა 3,6 ლიტრს. მაშასადამე, 5 თუნგი იტევდა 18 ლიტრს. როგორც ვხედავთ, ერთი მამაკაცისათვის თვის განმავლობაში განკუთვნილი ყოფილა 18 ლიტრი ღვინო. შესაბამისად, დღიური ნორმა გამოდის 0,6 ლიტრი.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ღარიბ გლეხებზე. შედარებით შეძლებულები კი, სავარაუდოდ, ყოველდღიურად უფრო მეტ ღვინოს მოიხმარდნენ. ბერბუკის გალავნის მშენებლობაზე დასაქმებული ხურო-კალატოზებისათვის 3 კაცზე დაახლ. 3,3 ლიტრი ღვინო იყო გათვალისწინებული.[299] შესაბამისად, ხელოსნის კვების რაციონში დღიურად 1 ლიტრზე ცოტა მეტი იანგარიშებოდა, რომელსაც, ცხადია, 2-3-ჯერადი კვების დროს მიირთმევდნენ.

იესე ოსეს ძე თავის თავგადასავალში აღნიშნავდა: „ღვინის სმა შეზომილ და ერთს ჩარექს ღვინოს არც დავიკლებდი და არც იმის მეტს ვიჴუმევდი ნებით ჩემით, და თუ ლხინსა მიწოდიან, დავლევდი, მარა ჩემს ჟამში კაცს მთვრალი არ უხილავარ“.[300] როგორც ვხედავთ, იესე ოსეს ძე ღვინის დღიურ ნორმად 1 ჩარექს,[301] ანუ დაახლ. 0,9 ლიტრს ასახელებს.

ერთი სიტყვით, სასულიერო პირებისათვის დღეში ყველაზე ცოტა 0,4 ლიტრი ღვინო იყო გათვალისწინებული, ხოლო საერო პირები 0,6 ლიტრიდან 1 ლიტრს და ცოტა მეტ ღვინოს მოიხმარდნენ.

ძველ საქართველოში ღვინის კულტურასთან კავშირის გარეშე თითქმის არ არსებობდა არცერთი საქმიანობა. მაგალითად, ოშკის სამშენებლო წარწერა გვამცნობს ტაძრის მშენებლობისათვის გაწეულ დანახარჯებს, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ღვინოს უკავია. მშენებლობაზე დასაქმებული ხელოსნების კვების რაციონში პურთან ერთად გათვალისწინებული იყო ღვინოც.[302]

ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებულ „საქართველოს ეკო-

---

[298] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ 443.

[299] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). II, გვ. 94.

[300] ს. კაკაბაძე თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 4.

[301] ჩარექი XVIII საუკუნის II ნახევარში დაახლ. 820 გრამს უდრიდა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში 920 გრამს, ანუ ლიტრის მეოთხედს ნიშნავდა. იხ. გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 61-62.

[302] ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. 1. თბ. 2016, გვ. 338.

ნომიური ისტორიის მასალების" სამივე წიგნიდან კარგად ჩანს, რომ ძველ საქართველოში ღვინო კვების რაციონის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა და ღვინის დანახარჯები გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ ლხინის დროს, არამედ მუშის და ხელოსნის დაქირავების, სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურების, სამხედრო მობილიზაციის და სხვა უამრავი საქმიანობის დროს.

წყაროებით დასტურდება ის ფაქტიც, რომ ყოველდღიურად თუ არა, კვირაში რამდენჯერმე მცირე ოდენობით ღვინოს ქალებიც მიირთმევდნენ. 1790 წლის დანახარჯის ნუსხაში, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი უცნობი პირის მიერ ყოველდღიურად თბილისის ბაზარში შეძენილი პროდუქცია, რამდენჯერმე ვხვდებით შემდეგ ფრაზას: „გოგოებისათვის ვიყიდე ღვინო".[303] ყოველ ჯერზე „გოგოებისათვის" ნაყიდია 2 შაურის, ანუ უზალთუნის ღვინო, რაც იმდროინდელი ნახევარი ლიტრაა. თანამედროვე მეტრული სისტემით კი უდრის 1,8 ლიტრს, რომელსაც დაახლოებით კვირაში ორჯერ ყიდულობდნენ. საბუთში არ არის მითითებული რამდენი გოგოსთვის იყო ნაყიდი დასახელებული ოდენობის ღვინო, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისსა და, ზოგადად, საქართველოში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა კვების რაციონში მცირეოდენი ღვინოც შედიოდა.

რაღა თქმა უნდა, დღესასწაულებსა და სალხინო სუფრებზე გაცილებით დიდი რაოდენობით ღვინოს მოიხმარდნენ. თბილისის პოლიცმაისტერი იოსებ შაგუბატოვი XIX საუკუნის დასაწყისში თბილისური ქორწილის შესახებ აღნიშნავდა, რომ „კაცები აუცილებლად სვამენ 5-6 გირვანქა (2-2,5 ლიტრი – ა. თ.) ღვინოს; მათ ამ საქმეში არც ქალები უდებენ ტოლს".[304]

როგორც ვხედავთ, სალხინო სუფრებზე ერთი ადამიანი მიირთმევდა საშუალოდ 2-2,5 ლიტრ ღვინოს. გაცილებით მეტ ღვინოს მოიხმარდნენ ცალკეულ შემთხვევებში. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ქართული ღვინის ხარისხსა და გამოყენების ოდენობას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამენ, როგორც აქ".[305] სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ, „მეგრელები და მათი მეზობლები ღვინოს ბევრს სვამენ. ისინი ღვინის სმაში აჭარბებენ გერმანელებს და ყველა ჩრდილოელს". ხოლო ქუთაისში მცხოვრები ერთ-ერთი აზნაურის ლხინის აღწერისას დაუჯერებელი

---

[303] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 100-119.

[304] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 43.

[305] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.

ოდენობის ღვინის დალევაზე მიუთითებდა.[306] დიდი ოდენობით ღვინის მოხმარების მიუხედავად, ძველ საქართველოში, როგორც იესე ოსეს ძის თავგადასავალიდან ვიგებთ, სიმთვრალე საძრახის ქცევად მიიჩნეოდა.

მოხმარების დიდი მასშტაბებიდან გამომდინარე, საქართველოში ღვინო, როგორც აღინიშნა, სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ითვლებოდა. ადგილობრივი მოხმარების გარდა, დადასტურებულია ღვინის ექსპორტის შემთხვევებიც. შარდენისავე ცნობით, თბილისიდან ღვინო გაჰქონდათ სომხეთში, მიდიასა და ისპაჰანში.[307] საუკეთესო ღვინოს ქართველები სხვადასხვა ეპოქაში ხარკის სახითაც იხდიდნენ, თუმცა ხარკის გადახდას მაინც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რეალურად მცირე მოცულობასთან გვაქვს საქმე.[308]

ექსპორტის დადასტურებული შემთხვევებისა და ხარკის სახით გარკვეული ოდენობის გადახდის მიუხედავად, საქართველოში დაყენებული ღვინო, ძირითადად, მაინც შიდა მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი. გლეხების ვენახებსა და ფეოდალების ზვრებში მოყვანილი ღვინის ნახევარზე მეტი პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებოდა. ღვინო უმთავრესად თბილისსა და სხვა ქალაქებში იყიდებოდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში თბილისის 23 000 მცხოვრები ყოველწლიურად მოიხმარდა 700 000-მდე ვედრო, ანუ 7,7 მილიონ ლიტრ ღვინოს. სტატისტიკურ მონაცემში აღნიშნულია, რომ მოცემულ ოდენობაში არ იყო გათვალისწინებული თბილისში მყოფი 9080 რუსი სამხედრო პირი და ჩინოვნიკი, რომლებიც ძირითადად არაყს სვამდნენ.[309] ღვინის დაახლოებით იდენტური ოდენობის მოხმარება უნდა ვივარაუდოთ XVIII საუკუნის II ნახევარში, რადგან 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდე თბილისში საშუალოდ 30 000-მდე ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ღვინის არც თუ უმნიშვნელო რაოდენობა იქნებოდა საჭირო სხვა ქალაქების მოსახლეობისათვის. მაგალითისათვის მოვიყვანთ, ქალაქ თელავში

---

306 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 122.

307 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.

308 ტურნეფორის ცნობით, 1700 წლის ახლო ხანებში ქართლიდან სპარსეთის შაჰის კარზე ხარკის სახით ყოველწლიურად მხოლოდ 24 საპალნე ღვინო იგზავნებოდა (იხ.: ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 64). 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლე II-ის მიერ ეკატერინე II-ისადმი გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტში კი აღნიშნულია, რომ ირანზე დამოკიდებულების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოდან ირანში გაგზავნილი ღვინის ოდენობა 50 საპალნეს, ანუ 2000 ვედროს (დაახლ. 22 000 ლიტრი) შეადგენდა (იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბ. 1983, გვ. 59-60).

309 Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях, произведенное и изданное по высочайшему соизволению. Ч. I. СПб. 1836, გვ. 52-53.

ღვინის რეალიზაციის ოდენობას – თელავის მოურავი თავადი ბარამ გურგენიძე 1803 წლის სიგელში მიუთითებდა: „რაც თელავის ბაზარში ღვინო გაიყიდებოდა, ურემზე ერთი ჩაფი ჭაშნიკი ჩვენი იყო, აქედამაც მერგებოდა წელიწადში ხუთასი თუნგი“.[310] როგორც ვხედავთ, თელავის ბაზარში წლის განმავლობაში იყიდებოდა 500 ურემი ღვინო. XVIII საუკუნის მიწურულის მონაცემებით, ურემი საშუალოდ 820 ლიტრს იტევდა.[311] გამოდის, რომ ქალაქი თელავი 400 000 ლიტრზე მეტ ღვინოს მოიხმარდა. ასევე დიდი რაოდენობით ღვინო იყიდებოდა გორში, სადაც სპეციალური ღვინის დუქნები ყოფილა მოწყობილი.[312] წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, XVIII საუკუნის ქართულ ქალაქებში, სულ ცოტა, 10-12 მილიონი ლიტრი ღვინის რეალიზაციაა სავარაუდებელი.[313] ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ოდენობის ღვინის მომხმარება იქნებოდა XI-XIII საუკუნეების ქართულ ქალაქებში.

ღვინოს ყიდულობდნენ ან სხვა პროდუქტებზე ცვლიდნენ საქართველოს მთიანეთისა და ქვეყნის იმ რეგიონების მოსახლეობაც, სადაც ვაზი არ ხარობდა და მევენახეობას არ მისდევდნენ. მაგალითად, XV საუკუნის თავისუფალი სვანეთის მოსახლეობისა და ჯაფარიძეთა საგვარეულოს დავის ამსახველ საბუთში აღნიშნულია, რომ „... აღარც გაგვიშვით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგვიშვით, შვიდს წელიწადსა ასე ვიყუენით, რომე სრულიად სვანეთის ქუეყანასა საზიარებელს ველარ ვიშოვებდით და არცა ვის მარილის გემო გვინახავს. მერმე მიგვჭირდა და აღარა ღონე გექონდა. შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თჳთოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით. ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გვახლდა, გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავკიდეთ ღვინო და წამოვედით... წინათ თქუენ დაგვხვდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყენიძე მოგვეწივნეს, გავიყავით წინა უკანა და დაგვჴოცეთ და ამოგვწყვიტეთ. რვაასის კა-

---

[310] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 48.

[311] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 118-119.

[312] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში. თბ. 1980, გვ. 51.

[313] XVIII საუკუნის II ნახევარში, თბილისის გამოკლებით, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა მიახლოებითი ოდენობა ასე ნაწილდება: გორი – 500 კომლი, სურამი 200 კომლი, თელავი – 740 კომლი, სიღნაღი – 100 კომლი, ანანური – 100 კომლი, ახალგორი – 140 კომლი, ცხინვალი – 130 კომლი, დუშეთი – 100. სულ – 2010 კომლი, ანუ დაახლ. 12 ათასი ადამიანი. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 420; ვ. გამრეკელი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით, გვ. 57-75; ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 18.

ცისგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცნი დაგვჴოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღვინო ეკიდა, მისის საპალნით წაგვართვით...“.[314]

როგორც ვხედავთ, გარდაუვალი საფრთხის მიუხედავად, სვანები ლეჩხუმში ჩასულან და ერთ ჯერზე 400 საპალნე ღვინო შეუძენიათ, რაც 150 ლიტრიანი საპალნის პირობაზე 60 000 ლიტრის ტოლფასია.

როგორც აღინიშნა, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის გარდა, ღვინოს (ცხადია, მათთვის საჭირო სხვა პროდუქციასაც) იმ კუთხეების მოსახლეობაც იძენდა, სადაც მევენახეობა არ იყო განვითარებული. მაგალითად, იოსებ შაგუბატოვის ცნობით, ქართლ-კახეთის სამხრეთით ბამბაკისა და სხვა პროვინციების მოსახლეობა თბილისში ჩამოტანილი საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად აღებული თანხით ყიდულობდა ნაბდებს, ტანსაცმელს, ღვინოს და არაყს.[315]

ერთი სიტყვით, ღვინო, ისევე როგორც ხორბალი და სხვა მარცვლეული, ძირითადად, ადგილობრივი მოხმარებისათვის გამოიყენებოდა და უმთავრესად საშინაო ბაზრებზე იყიდებოდა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებით ქართველი ფეოდალების კონსერვატიული მიდგომის მიუხედავად, ღვინის რეალიზაცია მიუღებელ საქმიანობად არ ითვლებოდა. იესე ოსეს ძის თავგადასავალში აღნიშნულია: „მამულები რაც მიყიდია, დამიწერია და წელიწადში ხუთასი და ექვსასი კოდი პური მერგება ხოლმე... ვენაჴს ვყრი და ღუთის ნება იყოს, გაისარჯენით და დარჩით... ქართველები ვართ, პური საჭმლად და სამოსლად უნდა ვიყოფინოთ, ღვინო სამოსლად და სასმლად, ცხვარი, ღორი საკლავად, ძროხა საჴნავად და ასე უნდა დავრჩეთ... ქართველის კაცის რჩომა ასე ყოფილა და ასე იქნება“,[316] – ასეთ დარიგებას აძლევდა თავადი საკუთარ შვილებს. სხვა ადგილას ავტორი შენიშნავდა: „ჩემგან პური არ გაისყიდებოდა, თუნდ ათასი კოდი მომსვლოდა“.[317] როგორც ვხედავთ, ფეოდალური საზოგადოების შეხედულებით, ხორბლის რეალიზაცია არცთუ მიღებულ საქმიანობად ითვლებოდა, ხოლო ღვინის შესახებ ცალსახადაა აღნიშნული, რომ მას „სამოსლად“ და პირადი მოხმარებისათვის იყენებდნენ. ღვინის „სამოსლად“ გამოყენება სწორედ

[314] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. I. თბ. 1914, გვ. 126-128.

[315] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 37.

[316] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 129.

[317] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 126.

რეალიზაციას გულისხმობდა.

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სადაც შესაფერისი ნიადაგი და ჰავა იყო, როგორც ზემოთ აღინიშნა, საგლეხო ფუძეში ერთი ვენახი (დაახლ. 0,3-0,5 ჰა.) შედიოდა. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მოცემული პირობა ეხება საშუალო შეძლების და მდიდარ გლეხებს, ხოლო გლეხების სოლიდურ ნაწილს – ბოგანოებს, ღარიბებს არათუ ვენახი, არამედ სამყოფი ოდენობის სახნავი მიწაც არ გააჩნდათ. სრული საკომლოს მფლობელ გლეხებსაც კი, თანაბარი ოდენობის ვენახები არ ჰქონდათ. გლეხთა მცირე ნაწილი ორ და მეტ ვენახს ფლობდა, გარკვეული ნაწილი – ვენახის ნახევარს ან მეოთხედს. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით კახეთში ვენახებს მეტი ფართობი ეკავა.

მცირე ფართობის საგლეხო ვენახების გარდა, ვაზი გაშენებული იყო საბატონო ზვრებშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზვარი, ვენახთან შედარებით, დიდი ზომის ფართობზე გაშენებულ ვაზის ნარგაობას ეწოდებოდა. ზვრები არათანაბარი ფართობის იყო. სოფლის ზვრებიდან ზოგჯერ იმავე სოფლის გლეხების ვენახების საერთო ოდენობის ან უფრო მეტ მოსავალს იღებდნენ.

ქვეყნისთვის სამეფო ზვრების და, ზოგადად, მევენახეობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს XIV საუკუნის I ნახევარში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“. აღნიშნული ძეგლიდან ვიგებთ, რომ ზვრებზე ზედამხედველობას სამეფო კარის დიდი მოხელე – მანდატურთუხუცესი ახორციელებდა. ამავე დროს, სახელმწიფო მმართველობის აპარატში ცალკე უწყება იყო შექმნილი, რომელსაც მეღვინეთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მას ექვემდებარებოდნენ „მეღვინენი“, „მეზვრენნი“, „საღვინის მოლარე“, „მემარნე“ და ა.შ.[318]

ივ. ჯავახიშვილმა „დასტურლამალში“ მოცემული ცნობების საფუძველზე რთველის დროს შულავერის და თეთრი სოფლის ზვრებში მომუშავეთა რიცხვი გამოთვალა. ავტორის აზრით, აღნიშნულ ზვრებში ყურძნის მოსაკრეფად, სულ ცოტა, 50, საშუალოდ კი 100-მდე მუშახელი ყოფილა ჩაბმული,[319] რაც დასახელებული ზვრების სიდიდეზე მეტყველებს.

ზვრებში მომუშავეთა ოდენობის შესახებ XVIII საუკუნის შუა ხანების ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ შიდა ქართლში ფეოდალების კუთვნილ შვიდ ზვარში 930 ადამიანი მუშაობდა.[320]

---

[318] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 82, 88; ბ. ლომინაძე. საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 661-662.

[319] ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 19-20.

[320] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 3.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1620 წელს ორბელიანებს ერთ-ერთი ზვარიდან, კერძოდ მუხრანის ზვარიდან, 300 საპალნეზე მეტი ტკბილის მოსავალი მიუღიათ.[321] 300 საპალნე მოსავლის მიღება კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დაახლ. 30-33 დღიურ, ანუ 15-17 ჰა. ვენახიდან იყო შესაძლებელი. აქედან ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი შეიძლება ყოფილიყო ფეოდალის, ეკლესიის თუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული თითოეული ზვარი.

ვენახების საერთო ფართობზე წარმოდგენის შესაქმნელად საინტერესოა XIX საუკუნის დასაწყისის მონაცემების გაცნობა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მთლიანად კახეთში 10 000 დესეტინამდე,[322] ანუ დაახლ. ამავე ოდენობის ჰექტარ (20 000 დღიური) ფართობზე ყოფილა ვენახი გაშენებული, აქედან 7000 დესეტინა – თელავის მაზრაში, 3000 დესეტინა – სიღნაღის მაზრაში.[323] ცხადია, კახეთში გაშენებული ვაზის ნარგავების საერთო ფართობში არა მხოლოდ გლეხების ვენახები, არამედ ფეოდალთა ზვრებიც იგულისხმება. მოცემული რიცხვები შეგვიძლია თავისუფლად გავავრცელოთ, ზოგადად, გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოზე, რადგან XIX საუკუნის 20-30-იან წელში, წინა პერიოდთან შედარებით, ქართული მეურნეობის არსი პრაქტიკულად არ შეცვლილა. ქართლისა და დასავლეთ საქართველოში არსებული ვაზის ნარგავების ჩათვლით XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ვენახები დაახლ. 20 ათას ჰექტარზე იქნებოდა გაშენებული.

ერთი ვენახიდან (0,3-0,5 ჰა.) მოწეული მოსავლის ოდენობის შესახებ საინტერესოა 1630 წლის 25 დეკემბრის ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი და ხუცია აღაიანელების მიერ შერმაზან სუმბულაძისადმი. მასში აღნიშნულია: „... რადგან თქვენი ყმა შევიქმენ, პური ორმოთი მამეცი სამოცი კოდი, ფეტვი მოსამკალი მოგვეც, ვენაჯი მოსაკრეფი – ცხრა საპალნე ტკბილი გამამივიდა...“.[324]

როგორც ვხედავთ, ვენახიდან 9 საპალნე ტკბილი მოიწიეს. თუ საპალნეს ვიანგარიშებთ 150 ლიტრად, მაშინ ვენახიდან მიუღიათ 1350 ლიტრი ტკბილი, რომლის დამზადებას 2 ტონაზე მეტი ყურძენი ესაჭიროებოდა. 1350 ლიტრა ტკბილიდან კი დაახლ. 1200 ლიტრა ღვინო დამზადდებოდა.

დარეჯან დედოფლის ერთ-ერთი წერილის მიხედვით, კახეთში,

---

321 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილის და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მეორე, გვ. 442-443.

322 დესეტინა უდრის 1,09 ჰექტარს.

323 დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში. გვ. 368.

324 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 22.

სოფელ ხოდაშენში 5 დღის ზვრიდან 60 საპალნე ღვინო მიუღიათ,[325] შესაბამისად, ერთი დღიური ვენახიდან 1800 ლიტრი ღვინო მოუწევიათ. ცხადია, ამ შემთხვევაში სრული ერთი დღიური ვენახი, ანუ 0,5 ჰა. იგულისხმებოდა, ისიც შესაძლებელია, რომ ზემო ხოდაშენი განსაკუთრებული მოსავლიანობით გამოირჩეოდა.

XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემებით, 7000 დესეტინა (დაახლ. 7 000 ჰა.) ვენახიდან 1 960 000 ვედრო ღვინოს იღებდნენ.[326] ამ შემთხვევაში 1 ჰა. ვენახიდან დაახლ. 3000 ლიტრა ღვინოს აყენებდნენ, ხოლო 1 დღიურიდან – 1500 ლიტრს.

ერთი სიტყვით, გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოში ერთი ვენახი (1 დღიური – 0,3-0,5 ჰა.) საშუალოდ 1200-1500 ლიტრ ღვინის მოსავალს იძლეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ფეოდალურ ხანაში არსებული მოსავლიანობის შესახებ პირდაპირი მონაცემი არ მოგვეპოვება. თუმცა, ქვემო ქართლის ნასოფლარ ნაჭივჭავებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ერთი ვენახიდან მიღებული მოსავლის ოდენობის შესახებ. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადასტურდა, რომ XI-XIII საუკუნეების სოფლის თითქმის ყველა ოჯახის მარანში დაახლოებით 600 ლიტრის ქვევრები იყო განთავსებული.[327] თუ მოცემულ ინფორმაციას განვაზოგადებთ, გამოდის, რომ ერთი კომლი საშუალოდ იღებდა 600 ლიტრ ღვინოს. ვენახის მფლობელი გლეხის მიერ მოწეული ღვინის საერთო მოცულობის გამოსათვლელად დასახელებულ 600 ლიტრთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ფეოდალური გადასახადის – კულუხის ოდენობაც, რომელიც დიდი ალბათობით, ტკბილის სახით იკრიბებოდა. ყველა მონაცემის გათვალისწინებით XI-XIII საუკუნეებში ერთი ვენახიდან მიღებული ღვინის სავარაუდო ოდენობად 700-800 ლიტრი უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე საქართველოში ერთი ვენახიდან ღვინის მოსავლიანობა დაახლოებით 700-800 ლიტრიდან სულ მცირე 1200 ლიტრამდე გაზრდილა.

ამჯერად მოკლედ გავადევნოთ თვალი იმ მონაცემებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ღვინის მოსავლის საერთო ოდენობები. 1619-1620 წლებში ორბელიანების ფეოდალურმა სახლმა, რომელთა მამულებიც ქვემო ქართლში მდებარეობდა, შემდეგი ოდენობის ღვინის მოსავალი მიიღო: 1619 წელს 10 ზვრიდან – 616 საპალნე ტკბილი, კულუხიდან – 117 საპალნე; 1620 წელს კი 11 ზვრიდან – 828 სა-

[325] საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 297.

[326] Обозрение российских владений за Кавказом. გვ. 375.

[327] ი. გძელიშვილი. რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი. საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 193.

პალნე, ხოლო 7 სოფლის კულუხიდან – 130 საპალნე.[328] საპალნის 150 ლიტრით განსაზღვრის პირობით, ორბელიანების ფეოდალური სახლის ტკბილის მოსავალი 1619 წელს 110 000 ლიტრამდე ყოფილა, ხოლო 1620 წელს – 143 700 ლიტრი. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ორბელიანების მამულებში მევენახეობა წამყვანი დარგი არ იყო და არც ქვემო ქართლი ითვლებოდა მეღვინეობის მთავარ კერად.

ფრანგი ბოტანიკოსის ტურნეფორის ცნობით, XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფის ყოველწლიური ღვინის შემოსავალი დაახლ. 1 200 000 ლიტრს შეადგენდა.[329]

გვიან ფეოდალურ ხანაში ქვეყნის მასშტაბით ღვინის საერთო მოსავლის ოდენობის გასარკვევად საინტერესოა XIX საუკუნის დასაწყისის მონაცემები. XIX საუკუნის I მესამედის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს გამოკლებით, მთელ კავკასიაში აწარმოებდნენ 3 888 000 ვედრო ღვინოს და 140 000 ვედრო არაყს. აქედან მხოლოდ თელავის მაზრაში აყენებდნენ 2 მილიონ ვედრო ღვინოს და 75 ათას ვედრო არაყს.[330] სულ საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში 4-5 მილიონ ვედრო, ანუ 44-55 მილიონ ლიტრ ღვინოს ამზადებდნენ.[331] დასახელებული ოდენობის მოსავლიანობაა სავარაუდებელი XVII-XVIII საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებშიც.

ღვინის უდიდეს ნაწილს თავად ვენახისა და ზვრების მეპატრონეები მოიხმარდნენ, ნაწილს კი გლეხები და მემამულეები ყიდდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ თბილისში ყოველწლიურად 8 მილიონ ლიტრამდე ღვინის რეალიზაცია ხდებოდა.

ფეოდალურ ეპოქაში ღვინო, ხორბალთან შედარებით, 2-3-ჯერ ძვირად ფასობდა და 1 ლიტრის ფასი დაახლ. 0,4-0,5 გრამ ვერცხლს შეადგენდა. ისევე როგორც ხორბლის შემთხვევაში, XVIII საუკუნის II ნახევარში მისი ფასიც გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში თბილისში 1 ლიტრა ღვინო 0,8 გრამი ვერცხლი ღირდა, შესაბამისად, 1 თუნგის, ანუ 3,6 ლიტრის ღირებულება 1 აბაზს უდრიდა. სოფლად კი მისი ფასი შედარებით დაბალი იყო და 1 ლიტრის ღირებულება 0,4-0,6

---

328 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დანყობილის და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ნიგნი მეორე, გვ. 442-443; ივ. ჯავახიშვილს გამოთვლა მცირედით განსხვავდება ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრებისაგან. ჯავახიშვილს მითითებული აქვს, რომ 1619 წელს ორბელიანებმა მიიღეს ზვრებიდან 758 საპალნე, კულუხი – 117, ხოლო 1620 წელს ზვრებიდან – 828, კულუხი – 130. ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I. გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის კაბინეტმა. რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი, გვ. 77-78; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. V. თბ. 1986, გვ. 677-678.

329 ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

330 Обозрение российских владений за Кавказом, გვ. 53.

331 დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 269.

გრამ ვერცხლს შეადგენდა.[332]

სახნავ-სათეს მიწასთან შედარებით ვენახის ფასიც დიდი იყო. ეს კი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ერთი ვენახიდან მოწეული მოსავლის ღირებულება 5,5-8-ჯერ აღემატებოდა ერთი დღიური ყანიდან მიღებულ ხორბლის ფასს.[333]

XVIII საუკუნის მონაცემებით, საქართველოში ღვინოსთან ერთად დიდი ოდენობით არაყსაც ამზადებდნენ. „დასტურლამალიდან" ჩანს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოში, შემოსავლების გაზრდის მიზნით, არაყის გაყიდვაზე სახელმწიფო მონოპოლია იყო დაწესებული. არყის მონოპოლია XVIII საუკუნის II ნახევარში გაუქმდა.[334]

როგორც ცნობილია, საქართველოში ყურძენს წურავდნენ საწნახელში და ათავსებდნენ თიხის ქვევრებში. შაგუბატოვის ცნობით, დიდი ქვევრები იტევდა 330-მდე თუნგს,[335] ანუ დაახლ. 1200 ლიტრ ღვინოს.

ღვინო, ძირითადად, ურმით და ცხენის საპალნეებით გადაჰქონდათ. გადასაადგილებლად ღვინოს ასხამდნენ ტიკებში. ტიკებს სპეციალური ხელოსნები – კუპრავები ხარისა და კამეჩის ტყავისაგან ამზადებენ. ტყავს ბეწვი შიგნით ჰქონდა მოქცეული და მას ნავთით ან ფისით პოხავდნენ.[336]

როგორც მოხმობილი მასალიდან ჩანს, ღვინოს ძველ საქართველოში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, შესაბამისად, სავსებით გასაგები ხდება, თუ რატომ ითვლებოდა ის სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ. სწორედ ამიტომ საქართველოს ეკონომიკის ხელყოფის მიზნით უცხოელი დამპყრობლები – თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი და სხვები – ვაზის ნარგაობას ხშირად ანადგურებდნენ, რაც ქართულ წყაროებში სათანადოდ აისახა კიდეც.

ამდენად, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება იყო. ფეოდალურ ხანაში ქვეყნის მასშტაბით მოსავლიანობა ეტაპობრივად იზრდებოდა, რაც დარგის მაღალგანვითარებასა და მუდმივ პროგრესზე მეტყველებს.

---

[332] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 55-77.

[333] ბიზანტიაში ვენახის ღირებულება მინიმუმ 6-10-ჯერ აღემატებოდა ამავე ფართობის სახნავი მინის ფასს, ხოლო დაბეგვრის ინდექსის გათვალისწინებით, ეს განსხვავება 8-12-ჯერადი იყო. იხ.: A. E. Laiou. The Agrarian Economy. Thirteenth-Fifteenth Centuries. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. გვ. 360; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 154.

[334] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, 136-137, 181-182.

[335] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29.

[336] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 33.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი ფეოდალური ხანის საქართველოში

საგლეხო ფუძესა თუ ფეოდალის პირად მეურნეობაში მარცვლეულისა და ღვინის გარდა, რაღა თქმა უნდა, სხვა კულტურებიც მოჰყავდათ, ასევე განვითარებული იყო მეცხოველეობა და მეფრინველეობა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში მარცვლეულიდან გავრცელებული იყო როგორც ხორბლის რამოდენიმე ჯიში (იფქლი, დიკა, ასლი, დოლის პური, თავთუხი და სხვ.), ასევე ქრთილი, ქერი, შვრია, ჭვავი, ფეტვი, ღომი და სხვა კულტურები.

გარდა დასახელებული მცენარეებისა, საქართველოში ბრინჯიც მოჰყავდათ. აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურა IX საუკუნიდან ირანიდან უნდა შემოსულიყო, დასავლეთ საქართველოში კი – უფრო ადრე.[337] ბრინჯი ითესებოდა სამეგრელოში, გურიაში, ქვემო ქართლის დაბლობში – დებედას, ალგეთისა და ქციის ხეობებში, კახეთში – ივრის ნაპირებსა და ელისენში.[338]

არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, სამეგრელოში ბრინჯის უხვ მოსავალს იღებდნენ – „ოდიშის მრავალ ნაწილებში, სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ღომის დათესვა, სთესავენ ბრინჯს, რომელიც ისე ბლომად მოდის, რომ არამც თუ აქაურებს ყოფნის, არამედ მიაქვთ ოსმალეთის გემებს".[339] სამეგრელოსგან განსხვავებით, იოსებ შაგუბატოვის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯის არც თუ დიდი მოსავლიანობა ყოფილა და დათესილი მარცვლეულის მხოლოდ სამმაგ ოდენობას მოიწევდნენ.[340]

ცხადია, მემინდვრეობა დასახელებული კულტურებით არ შემოიფარგლებოდა და გავრცელებული იყო ე.წ. „ცერცუთაგანნი" მცენარეებიც. პარკოსანი კულტურებიდან საქართველოში მოჰყავდათ ცერცვი, ოსპი, ბარდა და მუხუდო.[341] დასახელებული მცენარეები მარცვლეულთან შედარებით, ნაკლებ ფართობზე ითესებოდა. მაგალითად, 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში მოჰყავდათ დაახლ. 45 500 კგ. მუხუდო, 57 500 კგ. ოსპი და 49 000 კგ.-მდე ცერცვი,[342] მაშინ,

---

337 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 359-360.

338 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 312.

339 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 59.

340 მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღნერა, გვ. 54.

341 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 8-29.

342 მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 47-49.

როდესაც რეგიონში მარცვლეულის მოსავლიანობა 74 მილიონ კგ.-ს აჭარბებდა.[343]

XVII საუკუნიდან საქართველოში ფართოდ გავრცელდა ლობიო, რომელმაც პარკოსან კულტურათა შორის უპირატესი ადგილი მალევე დაიკავა. ლობიოს გავრცელების შედეგად სხვა პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობები ძალიან შემცირდა, რაც ამ კულტურის უხვმოსავიანობით იყო განპირობებული. ლამბერტის ცნობით, „ლობიო აქ იძლევა ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში, ისე რომ ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოს სჭამენ; შემდეგ კი გაახმობენ და საზამთროდ შეინახევენ".[344] ლობიო, ისევე როგორც სხვა პარკოსანი კულტურები, მოჰყავდათ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

აქვე შევეხებით სამრეწველო დანიშნულების მცენარეებსაც. საქართველოში უძველესი დროიდან ინტენსიურად მოჰყავდათ სელი, რომლისგანაც ქსოვილიც მზადდებოდა, ძირითადად კი ზეთს ხდიდნენ. სელის ზეთი საკვებადაც გამოიყენებოდა და გასანათებლადაც.[345] ქვეყანაში სელის კულტურა მრავალ ადგილას იყო გავრცელებული. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით სელი უმთავრესად ქართლის სამხრეთ პროვინციებში მოჰყავდათ. მაგალითად, ტაშირის მოსახლეობის შესახებ აღნიშნულია: „სელისაგან ჴდიან ზეთსა მრავალსა, იჴმევენ, სწვენ და ჰყიდიან".[346] სელი მოჰყავდათ სამცხე-საათაბაგოშიც, სადაც, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, წელიწადში 80 000 ლიტრ ზეთს ამზადებდნენ.[347] იოსებ შაგუბატოვის გადმოცემით, ერთი დღიური ნაკვეთიდან 7,5 კოდ მოსავალს იღებდნენ, რომლისაგან 27 თუნგ, ანუ დაახლ. 100 ლიტრამდე ზეთს ხდიდნენ.[348] ზეთს, ზოგადად, სოფლებში არსებულ ზეთსახდელებში ამზადებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალურ საქართველოში სელის ზეთზე მეტად მოსახლეობა საკვებად ნიგვზის, ნუშის და ქუნჟუთის ზეთს იყენებდა. შაგუბატოვის გადმოცემით, ნიგვზისა და ნუშის ზეთის დასამზადებლად შემდეგ მეთოდს მიმართავდნენ: „კაკალს დაანვრილებენ და სპილენძის სინით დებენ ნაკვერჩხალზე, ზედ აყრიან ცოტა მარილს, როცა მოიხალება, დაყრიან თეფშზე და დასრე-

---

[343] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 41.

[344] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 59.

[345] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 372-374.

[346] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 313.

[347] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 65.

[348] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 55.

სენ. 1 ლიტრადან (3,6 კგ.) გამოდის 4 გირვანქა (დაახლ. 1,6 ლიტრი) ზეთი. ნუშისაგან იგივე წესით გამოდის 1 ლიტრადან 2 გირვანქაზე მეტი".

რაც შეეხება ქუნჯუთს (ბალახოვანი მცენარე), იმავე ავტორის ცნობით, 1 დღიური მიწიდან 6 კოდ მოსავალს იღებდნენ, რომლისგანაც ზეთსახდელში 15 თუნგ სუფთა ზეთს ხდიდნენ. დასახელებული მცენარე კი მხოლოდ განსაკუთრებით ცხელ ადგილებში ხარობდა. მისივე მონათხრობით, გემოთი საუკეთესო ქუნჯუთისა და ნუშის ზეთები ყოფილა; კაკლისა და სელის ზეთები კი ღირსებით მათ ჩამორჩებოდა, რომელსაც ეკლესიებსა და სახლებში გასანათებლადაც იყენებდნენ.[349]

საქართველოში კანაფი და ბამბაც მოჰყავდათ. კანაფის კულტურა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში იყო გავრცელებული და მისგან ძირითადად თოკებს ამზადებდნენ. ვახუშტის გადმოცემით, მდინარე ბერდუჯის ხეობაში კანაფი „უმუშაკოთ" ხარობდა.[350]

რაც შეეხება ბამბას, რომლისგანაც ქსოვილები მზადდებოდა, გავრცელებული იყო სამეგრელოში, გურიაში, ქვემო ქართლსა და კახეთში (ივრის ნაპირებზე, ელისენში).[351] შაგუბატოვის ცნობით, ბამბა წყალუხვ ადგილებში ითესებოდა და დღიური ნაკვეთიდან 15 ლიტრა, ანუ დაახლ. 55 კგ. მოსავალს იღებდნენ.[352]

ვახუშტის ცნობით, მდინარე ბერდუჯის ხეობაში თამბაქოს კულტურაც ყოფილა გავრცელებული.[353]

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დიდი რაოდენობით ენდროსაც მოიპოვებდა. მისგან წითელი საღებავი მზადდებოდა. შესაბამისად, ენდრო საექსპორტო საქონელი იყო, გარკვეული ნაწილი კი ადგილობრივ წარმოებას ხმარდებოდა.[354]

ქართულ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბოსტნეულსა და ხილს. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, უძველესი ეპოქის საქართველოში ბოსტნეულიან და ხეხილიან მიწის ფართობს „მტილი" და „სამოთხე" ეწოდებოდა.[355] რაც შეეხება ტერმინ წალკოტს, ის ყვავილნარის და ბაღის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ძველ ქა-

---

[349] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 55.

[350] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 306-307.

[351] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 312.

[352] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 56.

[353] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 306.

[354] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 38, 58-59.

[355] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 98-103.

რთულში ტერმინ წალკოტში დეკორატიულ ხეებთან ერთად ხეხილი, ვაზი და ბოსტნეულიც იგულისხმებოდა. X საუკუნიდან კი, როდესაც ვენახი და ზვარი მკვიდრდება, ჩნდება სპარსულიდან შემოსული „ბოსტანი“ და „ბაღი“. ამდენად, ვენახი, ბაღი, ბოსტანი ცალკე ტერმინებით აღინიშნებოდა, „წალკოტი“ კი უკვე მხოლოდ ყვავილებისა და საჩრდილობელი ხეების ბაღს ეწოდებოდა.[356]

XVIII საუკუნის საქართველოში ბოსტნეულიდან გავრცელებული იყო ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, პრასი, ბოლოკი, ოხრახუში, სტაფილო, მაკედონი, კიტრი, კომბოსტო, ლახანა, წიწაკა, ძირა, მდოგვი, ცერეცო, ჭარხალი, კვახი, პიტნა, თალგამი, მხალი, სატაცური, ღანძილი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი და სხვ.[357] დასახელებული კულტურებიდან ზოგიერთი უძველესი ეპოქიდანვე მოჰყავდათ საქართველოში, ზოგი კი შედარებით გვიან შემოსულა. მაგალითად, ისპანახი და ბადრიჯანი დაახლოებით X საუკუნეში ან შემდგომ პერიოდში შემოვიდა საქართველოში,[358] კომბოსტო VIII-IX საუკუნეებისათვის უკვე დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო, რადგან გიორგი მერჩულე მოიხსენიებს კალნაბს, რომელიც განსაკუთრებული ჯიშის კომბოსტოს ეწოდებოდა,[359] XII საუკუნეზე ადრე უნდა გავრცელებულიყო კიტრიც.[360]

ბოსტნეულის მრავალი სახეობა, მათ შორის სტაფილო, ნიორი, ხახვი, პრასი, ძირა, ცერეცო, ქინძი და სხვა, უძველესი დროიდანვე მოჰყავდათ.

გლეხურ მეურნეობაში ბოსტნეულს მცირე ფართობი ეკავა. თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები, ძირითადად, ქალაქის განაპირას არსებული საბოსტნე ბაღებიდან მარაგდებოდა. მსგავსი ბაღები თბილისის გარშემო განლაგებული იყო ორთაჭალაში, დირსიჭალაში, სეიდაბადში, სოლოლაკსა და სხვა ადგილებში. აღნიშნულ ტერიტორიებზე მიწა საკმაოდ ძვირად ფასობდა, ხოლო ბაღის მეპატრონე დიდ მოგებას ნახულობდა. 1757 წლის საბუთში მოცემულია სეიდაბადის ერთ-ერთი ბაღის გაშენების ხარჯები, საიდანაც ზოგადი წარმოდგენა გვექმნება ქალაქისპირა ბაღების შესახებ. როგორც საბუთიდან ჩანს, ბაღის გაშენების საერთო დანახარჯი 32 თუმანს აღემატებოდა. ბაღის მეპატრონეს დაუქირავებია ქანის მჭრელი ოსტატები და მუშები. მათ კლდე გაუჭრიათ, თიხის მილებით ბაღში წყალი შეუყვანიათ. ბაღი კი კედლით შემოუზღუდავთ. მეპატრონეს შეუძენია შრომის იარაღები, დაუქირავებია მებაღე და დარაჯები.

---

356 საქართველოს ისტორია. I, გვ. 270.

357 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 141-143.

358 საქართველოს ისტორია. I, გვ. 270.

359 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 168.

360 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 254.

ბაღში კი დაუთესავს ნიორი, ხახვი, პრასი, ქონდარი, ჭარხალი, ქინძი, კიტრი, ნიახური, რეჰანი, წიწმატი, ბადრიჯანი, კომბოსტო, სტაფილო, სიმინდი, ლობიო, „კახური ლობიო“, ნესვი და საზამთრო.[361]

ქვეყანაში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახეობის ხილი, მათ შორის ატამი, კომში, ვაშლი, ბროწეული, ხურმის ხე, თუთა, ყურძენი, ლელვი, მსხალი, ნიგოზი, ნუში, ალუჩა, ქლიავი, ბალი, შინდი, ბროწეული, მაყვალი, ზღმარტლი, ფინიკი, თურინჯი, ნარინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, წაბლი, თხილი, უნაბი, მარწყვი, ნესვი, საზამთრო და ა.შ.[362] ამასთან, ვაშლის, მსხლის, ატმის და სხვა ხილის მრავალი ადგილობრივი ჯიში იყო ცნობილი.

ხილის ზოგიერთი სახეობა უძველესი დროიდანვე მოჰყავდათ, ზოგიერთი კი გვიან შემოსულა. მაგალითად, ნესვი უძველესი პერიოდიდან ყოფილა გავრცელებული, ხოლო საზამთრო XIII საუკუნის დასაწყისში ნათარგმნ „სააქიმო წიგნში“ არის მოხსენებული, რაც მიანიშნებს ამ კულტურის დამკვიდრებაზე. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი საზამთროს არ ახსენებს და ამის მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ძველ საქართველოში აღნიშნულ კულტურას, სულხან-საბას მიხედვით, „მელსაპენონი“ ეწოდებოდა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საზამთრო საქართველოში XII-XVII საუკუნეებში „უკვე ყოფილა, მაგრამ მართლაც ამის მსგავსი სრულებით შეუფერებელი სახელი, როგორიც საზამთროა ამ მხილისათვის, იშვიათია. მისი შენახვა არამცთუ საზამთროდ, საზოგადოდ დიდ ხანს ძნელია და სწორედ გაუგებარია, თუ რატომაა, რომ მას და არა ნესვს ეწოდება ასეთი სახელი, როდესაც სწორედ ნესვს ინახავენ ხოლმე უფრო ხანგრძლივ და არა საზამთროს“.[363]

ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა, რომ საქართველოში ნესვის დიდხანს შენახვა შეეძლოთ, დასტურდება წყაროებითაც – 1794 წლის საბუთში აღნიშნულია: „ნესვი განჯური ქრისტიშობისთვეში“. როგორც ჩანს, საქართველოში ნესვის ზამთრამდე შენახვა სცოდნიათ. იოსებ შაგუბატოვის აღწერილობიდან კი ირკვევა, ნესვის მსგავსად, თბილისელ ვაჭრებს საზამთროს დიდი ხნით შენახვის სპეციალური ცოდნა და გამოცდილებაც ჰქონიათ: „... ისინი (ალაფები – ა. თ.) ყველაფერ ამას ყიდულობენ ბითუმად და დიდი მოგებით ყიდიან ცალობით. ამგვარად ვაჭრობენ ბაყლები; თუმცა ყველაზე მეტად ნესვითა და საზამთროთი ვაჭრობენ, მათ იციან მთელი ზამთრით, ახალი მოსავლის შემოსვლამდე შენახვა“.[364] ამდენად, ხილის აღნიშ-

[361] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 29-44.

[362] იხ.: ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვ. 89-137.

[363] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 265.

[364] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 35.

ნული სახეობის სახელწოდება ზამთრამდე მისი შენახვის ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს.

უცხოელი მოგზაურები ხაზს უსვამენ საქართველოში ბაღების სიმრავლეს და მოწეული ხილისა თუ სხვა პროდუქციის გემოვნურ თვისებებს. მაგალითად, ფრანგი ბოტანიკოსი ტურნეფორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აქაურ ბაღებში მშვენიერი მცენარეები ხარობს და მათ უკეთ უვლიან, ვიდრე თურქეთის ბაღებში".[365] შარდენის მიხედვით, „არსად ევროპაში არ მოდის ასეთი გემრიელი და ლამაზი მსხალი და ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბროწეული".[366]

როგორც ვხედავთ, ფეოდალური ხანის საქართველოში მრავალი საკვები პროდუქტი მოჰყავდათ. ცხადია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კულტურა არ მოდიოდა. მაგალითად, ბრინჯის მოსავალს მოიწევდნენ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილას, ქვემო ქართლში – ალგეთისა და დებედას ხეობაში, ასევე კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში. სუბტროპიკული კულტურები – ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი და ზეთისხილი, ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო ზოლში იყო გავრცელებული.[367]

***

ამჯერად განვიხილავთ მესაქონლეობას, რომელიც ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო. ძველ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ცხენების, ისე სხვა შინაური ცხოველების მოშენებას.

შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ცხენს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. განვითარებული ფეოდალური ეპოქის ძირითად სამხედრო დანაყოფებს კავალერია ქმნიდა და, ამდენად, კარგი საბრძოლო ცხენი მეომრისათვის და, ზოგადად, ფეოდალური საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. მხედრის განკარგულებაში იყო საბრძოლო ცხენის შემცვლელი – მარქაფა ცხენიც. ნაკლები ღირსების ცხენი ტვირთის საზიდად გამოიყენებოდა. ასეთი იყო საბარგო, ანდაც სასაპალნე[368] ცხენი. კარგი ჯი-

[365] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 66.

[366] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.

[367] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 175-176.

[368] ასეთ ცხენებზე საპალნეებით ჰკიდებდნენ ტვირთს.

შის ცხენები ფეოდალური საზოგადოების წევრებს ჰყავდათ. იშვიათ შემთხვევაში ცხენის მეპატრონეებად გლეხებიც გვევლინებიან, მაგრამ მათი ცხენები ნაკლები ღირსებით გამოირჩეოდნენ.[369]

საქართველოში გავრცელებული იყო ქართული ჯიშის ცხენები – თუშური და მეგრული.[370] ეჭვგარეშეა, რომ აშენებდნენ არაბულ და სხვა საუკეთესო ჯიშის ცხენებსაც. საქართველოში რომ მეცხოველეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული და დიდი რაოდენობით ცხენი იყო მოშენებული, ამას არაერთი წყარო ადასტურებს. IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ხალიდ იბნ-იეზიდის მეთაურობით არაბთა ჯარს წანარების წინააღმდეგ ბრძოლისას ხელში ჩაუგდია საქონლის ჯოგები, ხოლო საზავო პირობების მიხედვით, კახეთის სამთავროს 3000 ფაშატის და 20 000 ცხვრის გადახდა დაჰკისრებია.[371]

საქართველოს მოსახლეობას გვიანფეოდალურ ეპოქაშიც მრავლად ჰყავდა ცხენები. უცხოელი ავტორები ერთხმად მიუთითებენ ცხენებისა და სხვა შინაური ცხოველების სიმრავლეზე. ეს განსაკუთრებით ითქმის დასავლეთ საქართველოზე. კასტელი მოგვითხრობს, რომ სამეგრელოში „ნესტიან ნიადაგზე ყოველთვის ხშირი ბალახია ამოსული; იქვე მრავალრიცხოვანი ცხვარი ძოვს, უმთავრესად კი ულაყი და ფაშატი ცხენები. მართალს ვამბობ, საძოვარზე უამრავი პირუტყვი იყო ერთად. ასე რომ, თითოეული წარჩინებულის (დიდებულის) მამულში მათი დაახლოებითი რიცხვი ხუთასია, მთავარს კი ჰყავს დაახლოებით ხუთი ათასი“;[372] ჯუდიჩეს ცნობით, „[სამეგრელოში] ...მრავლადაა საძოვრები, რომლებიც გაპატივეულია მსხვილფეხა საქონლისა და ჯოგის [ნაკელით], უპირატესად ცხენების, რომლებიც დიდი რაოდენობითაა და ცხვრის ფარასავით ძოვენ...“.[373] იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ „ტყეებში 4 ათასზე მეტი მისი (ლევან დადიანის – ა. თ.) ცხენი ბალახობს“;[374] შარდენი გადმოგვცემს, რომ „სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი რაოდენობით აშენებენ, რადგან მათი გამოკვება არაფერი

---

[369] ზოგადად, საქართველოში არც ურემსა და არც გუთანში ცხენებს არ აბამდნენ. ამ საქმიანობისთვის ხარ-კამეჩს იყენებდნენ, რაც ცხენის სიძვირით, უფრო მეტად კი ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, მთაგორიან ქვეყანაში გამწევ საშუალებად მეტი ძალის მქონე ხარ-კამეჩი უფრო ეფექტური იყო.

[370] ნ. ჩხეიძე, დ. კობალავა. საქართველოს ადგილობრივი ცხენის ჯიშები. თბ. 1950, გვ. 17.

[371] იხ.: მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გვ. 328.

[372] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 53.

[373] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე, გვ. 13.

[374] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე, გვ. 14.

უჯდებათ";[375] ლამბერტის ცნობით, „ცხენები აქ ისე ბლომად არის, რომ ყველა კაცს, რაც უნდა ღარიბი იყოს, ჰყავს თავისი ცხენი, – ახტა თუ ჭაკი. თვითეულს მოსახლეს, თავისი შეძლებისამებრ, ჰყავს ბევრი თუ ცოტა. დაბალ ხალხს ჰყავს: ვის სამი, ვის ოთხი და ვის ხუთი ცხენი; ხოლო კეთილ-შობილებს: ვის ორმოცდა-ათი, ვის ასი და ვის ორასი. მთავარს კი ათასობით ჰყავს. სულ ეყოლება ხუთი ათასი ახტა და ჭაკი".[376]

მეცხენეობა განვითარებული იყო დასახელებული ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოშიც. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1819 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 30 000 ცხენი ჰყოლიათ.[377] საქართველოდან მეზობელ ქვეყნებში ცხენების ექსპორტიც ხორციელდებოდა.[378]

XI-XIII საუკუნეებში კარგი საბრძოლო ცხენი 15-23 ოქროს მონეტად (დრაჰკანად/პერპერად) ფასობდა.[379] რაც შეეხება საუკეთესო ცხენებს, მათი ფასი კიდევ უფრო მაღალი იყო. ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ცხენის საფასურად სოფელი და ციხეა გადახდილი – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" უცნობი მემატიანე დავით სოსლანის შესახებ გადმოგვცემს: „მაშინ აღიჭურა და შეიჭურა მეფე, შეჯდა ზერდაგსა, რომელი სახელგანთქმულობისათჳს ეყიდა ვახტანგ ხაჩენელისაგან, მბოძებელსა ციხისა და სოფლისასა, რომელ არიან ჭარმანი".[380] ნაკლები ღირსების ცხენის (მარქაფა და საბარგო ცხენი) ღირებულება, საბრძოლო ცხენის ფასთან შედარებით, დაბალი იყო. სამარქაფო ცხენი დაახლ. 5-6 დრაჰკანი ღირდა, ხოლო საბარგო ცხენი – 2 დრაჰკანი. ცხენი მაღალ ფასს ინარჩუნებდა გვიანფეოდალურ ეპოქაშიც. საშუალო ღირსები საბრძოლო ცხენების ღირებულება XVIII საუკუნის II ნახევარში 3-4 თუმნიდან 10 თუმნამდე მერყეობდა.[381]

ძველ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხარკამეჩისა და სხვა შინაური ცხოველების მოშენებას. გარდა იმისა, რომ მესაქონლეობით, მოსახლეობა იღებდა ხორცს, რძეს, ტყავს,

---

[375] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 115.

[376] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 202-203.

[377] იხ.: დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 273.

[378] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29.

[379] უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული თანხით გლეხის ოჯახის ყიდვა იყო შესაძლებელი.

[380] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება, გვ. 439.

[381] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 78-85.

მატყლს და ა.შ., მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, კერძოდ, ხარ-კამეჩს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედებისათვის, რადგან გუთანსა და სხვა სახვნელ იარაღებში სწორედ ხარ-კამეჩს აბამდნენ. მისი საშუალებით გადაადგილდებოდა ურემი და, ამდენად, ტვირთის ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა.

ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში სამინათმოქმედო კულტურის ჩასახვისთანავე ხარმა საკრალური მნიშვნელობა შეიძინა, რის გამოც ხარის კულტს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართულ წარმართულ პანთეონში. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგაც ხარს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.[382] შესაბამისად, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ხარის გამოსახულებებს ვხვდებით.

გარდა მთიანი ზოლისა და ქვეყნის ზოგიერთი კუთხისა, სადაც მეურნეობაში წამყვანი როლი აღნიშნულ დარგს ეკავა (ყაზახი, ბორჩალო-ბაიდარი, შამშადილუ, ბამბაკი), მეცხოველეობა ბარის რაიონებშიც ფართოდ იყო გავრცელებული.[383]

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარდა, მისდევდნენ ცხვრების, თხების და ღორების მოშენებას. ასევე განვითარებული იყო მეფრინველეობა. საოჯახო მეურნეობაში მრავლად ჰყავდათ ქათამი. „დასტურლამალის" მიხედვით, მოსახლეობას სახელმწიფოსათვის მარცვლეულთან ერთად ქათმის გადახდაც ევალებოდა.[384] ქათმების გარდა, ჰყავდათ ბატები და სხვა ფრინველები. XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ინდაურებიც შემოუყვანიათ, რომელსაც „ინდოურ ქათამს" უწოდებდნენ.[385]

ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში „ყველას თავ-თავისი ხარები ჰყავს მინის სახნავად და ძროხები ყველისათვის. ცხვარი კი ცოტა ჰყავთ... სამაგიეროდ ბლომად ჰყავთ თხები და ღორები, რომელთა ხორცს მუდამ სჭამენ, თვით ზაფხულის სიცხეშიც".[386] რუსი ელჩების იევლევის და ტოლოჩანოვის გადმოცემით, იმერეთში „... აუარებელი თახვი და წავია, წაბლის ფერი და ყვითელი მელიები... თხები,

---

[382] იხ.: ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ. 1953; დ. ბერძენიშვილი. ხარის კულტი წარმართული ხანის საქართველოში. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. XVIII. ქუთაისი, 2008, გვ. 6-9.

[383] გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოში, ზოგადად, თუ რა ოდენობის პირუტყვი იყო მოშენებული, ამის შესახებ ძალიან საინტერესოა XIX საუკუნის მონაცემები – 1819 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 203 300 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 347 500 ცხვარი და თხა. არ არის ნაჩვენები ღორების ოდენობა. იხ.: დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 273. არანაკლები ოდენობის შინაური ცხოველი იქნებოდა დასავლეთ საქართველოში.

[384] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 274-276.

[385] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 391.

[386] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 202-203.

ღორები და კამეჩებია. რაც შეეხება შინაურ საქონელს, ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს და ასეთ პირუტყვებს, მათ მრავალი ჰყავთ.[387] „ყოველგვარი ცხოველი ბევრია: ძროხები, კამეჩები, ცხვარი, ღორი, ბატები, ქათმები და იხვები“;[388]

შარდენის გადმოცემით, „საქონელი აქ დიდი რაოდენობითაა და ძალიან კარგი ჯიშისა, იქნება ეს მსხვილფეხა თუ წვრილფეხა. ნადირი შესანიშნავი და მრავალნაირია. ბევრია ფრინველიც. დიდი რაოდენობითაა აგრეთვე გარეული ღორიც, რომლის ხორცი ისეთივე გემრიელია, როგორც კოლხეთში. უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ღორის ხორცით იკვებება. მთელი სოფლები ღორებითაა სავსე. უნდა ითქვას, რომ ამ ხორცზე უკეთესს ვერაფერს იგემებ“.[389]

XI-XIII საუკუნეებში ხარ-კამეჩი საშუალოდ 2-3 დრაჰკანად ფასობდა, ძროხა – 1 დრაჰკანად,[390] ხოლო ცხვარი – 3 ვერცხლის დირჰემად/დრამად. XVIII საუკუნეში კი ხარ-კამეჩის ფასი იყო 1 თუმანი, ძროხის – 3-6 მინალთუნი, ანუ 15-30 ვერცხლის აბაზი, ხოლო ცხვრის – 4-6 აბაზი. ამავე ეპოქაში ქათმის ღირებულება 1 აბაზს უდრიდა.[391]

ქვეყანაში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მეფუტკრეობაც. X საუკუნის I ნახევრის ავტორი ალ-ისთახრი გადმოგვცემს, რომ რანის, არმენიის და საქართველოს ტერიტორიაზე თაფლის ფასი ძალიან დაბალი იყო,[392] რაც ამ პროდუქციის სიჭარბეზე მიუთითებს. ანალოგიურ სურათს ვხვდებით გვიანფეოდალურ ეპოქაშიც. არქანჯელო ლამბერტი ვრცლად მოგვითხრობს სამეგრელოში თაფლის თვისებებისა და ოდენობის შესახებ: „შემიძლია გაბედულათ ვთქვა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი კოლხიდისა არის. ამას ვამბობ იმიტომ, რომ კოლხიდის ჩვეულებრივი თაფლი ჰგავს ესპანიის თაფლს... გარდა ჩვეულებრივი თაფლისა, არის კიდევ ერთნაირი თაფლი, რომლის მსგავსი არსად სხვაგან ამ მოიძებნება: იგი ფრიად თეთრია და მაგარი, როგორც შაქარი, ისე რომ ხელით თუ მოტეხავთ რომელსამე მარცვალს, თაფლი ხელს როდი ეკვრის და გატეხილ ადგილზე გამოჩნდება თეთრი და მეტად რბილი ცვილი... ამნაირი თაფლი დიდათ მოსწონთ ოსმალებს. როგორც საუკეთესო ძღვენს, უგზავნიან ამ თაფლს მახლობელ ფაშებს, რადგან კონსტანტინეპოლში ვერ გზავნიან იმის მიზეზით, რომ სკები-

[387] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170.

[388] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

[389] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.

[390] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 78-85.

[391] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 78-85, 91-94.

[392] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 5.

დან იღებენ ამ თაფლს ზამთრობით, როცა გემები არ დადის შავ ზღვაში. სამაგიეროდ, როცა ოდიშში მოდიან ოსმალების გემები, სხვათა საქონელთა შორის ჩვეულებრივს თაფლს, როგორც საუკეთესო საქონელს, ბლომად ყიდულობენ, მიაქვთ კონსტანტინეპოლში და დიდის მოგებით ჰყიდიან იქ".[393] დასავლეთ საქართველოს თაფლის განსაკუთრებულ თვისებებს ხაზს უსვამს ჟან შარდენიც.[394] ვახუშტი ბატონიშვილი კოლხეთის თაფლის შესახებ აღნიშნავდა: „ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლითა და ცჳლთა სიმრავლითა; და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა".[395] ოსმალური საგადასახადო დავთრებით ირკვევა, რომ მეფუტკრეობას ასევე ინტენსიურად მისდევდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სოფელში.[396]

საქართველოში განვითარებული იყო მეთევზეობაც. თბილისის ბაზარში იყიდებოდა სხვადასხვა სახეობის თევზი. თევზეულის სიმრავლეს შარდენიც უსვამს ხაზს: „საქართველოსთან ახლო მდებარე კასპიის ზღვა და მასზე გამდინარე მტკვარი იმდენი თევზითა და მტკნარი წყლით ამარაგებს ქვეყანას, რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, წლის არც ერთ დროს შეიძლება აქაურზე უკეთესი ჭამოს და სვას ადამიანმა".[397] შესაძლოა, შარდენი აჭარბებს კიდეც შეფასებებისას, თუმცა ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოში ინტენსიური მეურნეობა სრულად პასუხობდა იმდროინდელ მოთხოვნილებებს და ქვეყანა ადგილობრივად წარმოებული მრავალფეროვანი საკვები პროდუქციით გამოირჩეოდა.

აქვე შევეხებით მეაბრეშუმეობასაც. აბრეშუმი შუა საუკუნეებში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ნაწარმი იყო. საქართველოში მეაბრეშუმეობის გავრცელებას ადასტურებს XIII საუკუნის II ნახევრის სიგელი „დაწერილი იაკობ დეკანოზისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი", რომელშიც „თეთრი საყაჭობოი", ანუ მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული ფულადი გადასახადია ნახსენები. აღნიშნული გადასახადი იმერეთის სოფლების – „მაღლაკელთა და ფარსმანყანეველთა" გლეხებს უნდა გადაეხადათ.[398] ქვეყანაში მეაბრეშუმეობის

---

393 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 214-215.

394 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 124.

395 ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 745.

396 იხ.: 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. I; მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 100-106.

397 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296-297.

398 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 143; რ. მეტრეველი. სოფლის

განვითარებას იმავე ეპოქის ავტორი მარკო პოლოც უსვამს ხაზს. მისი ცნობით აღნიშნული პროდუქციით საქართველო გენუელებთან ვაჭრობდა.[399]

შედარებით გვიანდელი ცნობებით მეაბრეშუმეობა განვითარებული ყოფილა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, მათ შორის სამეგრელოში,[400] იმერეთსა[401] და კახეთში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილი. ვახუშტის ცნობით, „ჰერეთის ქუეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმა-მჴარსა შინა და უმეტეს ელისენში".[402] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მეაბრეშუმეობის მხრივ ქართული სამეფო-სამთავროები მეტოქეობას ვერ უწევდნენ შირვანს, შაქს და ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე სხვა პროვინციებს.[403]

ცხადია, საქართველოში ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ადგილობრივ კლიმატთან შეუსაბამობის გამო არ მოდიოდა და ქვეყანაში იმპორტის გზით ვრცელდებოდა. გვიანფეოდალურ ეპოქაში იმპორტირებულ პროდუქციას წარმოადგენდა მარილი, შაქარი, ყავა, ჩაი, ზოგიერთი სუნელი, თევზის გარკვეული სახეობები და სხვ. აღნიშნული პროდუქტების უმეტესობა მაღალი ფასით გამოირჩეოდა და მისი მომხმარებლები, ძირითადად, ზედა ფენების წარმომადგენლები იყვნენ. ქვეყანაში შემოჰქონდათ ის პროდუქტებიც, რომლებიც ადგილზე მცირე ოდენობით იწარმოებოდა და ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარს. მაგალითად, ადგილობრივი მცირე მოსავლის გამო თბილისის ბაზარზე წარმოდგენილი იყო ერევნიდან და განჯიდან შემოტანილი საზამთრო და ნესვი. ასევე მეზობელი ქალაქებიდან შემოჰქონდათ გამოყვანილი და შებოლილი თევზი, ზურგიელი, ხიზილალა, ბრინჯი და სხვ.[404]

უნდა აღინიშნოს, რომ საკვები პროდუქტების მრავალფეროვნების მიუხედავად, ქვედა ფენებისათვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მათ მიერვე წარმოებული პროდუქცია. გლეხებს ზოგიერ-

---

მეურნეობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 97-98. ნ. აბესაძე. მეაბრეშუმეობა ძველ საქართველოში. თბ. 1957.

399 ბ. ლომინაძე. XIII-XV სს. ისტორიის წყაროები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 30.

400 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 169.

401 ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

402 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 551.

403 ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 171.

404 მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29.

თი პროდუქტის შეძენაც უწევდათ, თუმცა, ცხადია, იაფფასიანის. გლეხები იმპორტირებული პროდუქტებიდან, ძირითადად, მარილს ყიდულობდნენ. მათი კვების რაციონი, პურისა და ღვინის გარდა, სავარაუდოდ, მწვანილეულობის, ასევე მცირე ოდენობის სხვა ბოსტნეულისაგან, რძის პროდუქტებისა და იშვიათად ხორცისაგან შედგებოდა.

მრავალფეროვანი და ძვირადღირებული საკვები პროდუქტებით, როგორც წესი, მოსახლეობის შეძლებული ნაწილი იკვებებოდა. როგორი სახის საკვებს მიირთმევდნენ ზედა ფენის წარმომადგენლები ძველ საქართველოში, ეს კარგად ჩანს XVIII საუკუნის ერთ-ერთი საბუთიდან, რომელიც წარმოადგენს თბილისში ფეოდალის ქორწილისათვის გაწეული დანახარჯების დავთარს. დავთრის მიხედვით ირკვევა, რომ საქორწინო სუფრისათვის შეუძენიათ ძროხისა და ცხვრის ხორცი, ქათამი, ქათმის მუჟუჟი, ბატი, ხოხობი; თევზეული – ზურგიელი, ზუთხი, ხრამის ფიჩხული, ორაგული; ყველი, მუხუდო, ბრინჯი, ლობიო, ცერცვი, ზეთისხილი, ჯონჯოლი, ისპანახი, ხახვი, მწვანილი, ერბო; სხვადასხვა სუნელი (კოჭა, ძირა, დარიჩინი, ზაფრანა და სხვ.). ხილი და ტკბილეული – ნუში, ჭანჭური, ქიშმიში, ხილის ჩირი, ჩაი, შაქარი, თაფლი; პური; სპირტიანი სასმელები: ღვინო, არაყი და ა.შ.[405]

ამდენად, ფეოდალური ხანის საქართველოში განვითარებული იყო როგორც მემინდვრეობა, განსაკუთრებით ხორბლეული კულტურების წარმოება, ისე მევენახეობა-მელვინეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XVI-XVIII საუკუნეებში, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების განსაკუთრებული გაუარესების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი არათუ მოიშალა, არამედ გარკვეული პროგრესიც კი განიცადა.

[405] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 69-75.

საგლეხო მეურნეობა და გადასახადები ფეოდალური ხანის საქართველოში

ფეოდალურ ხანაში გლეხებობა საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვან და, ამავე დროს, სოციალურად ყველაზე დაბალ ფენას წარმოადგენდა. პირად თავისუფლებას მოკლებული და ფეოდალის საკუთრებაში მყოფი ყმა-გლეხების მეურნეობა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ოჯახის გამოკვებისა და გადასახადების გადახდის საშუალებას იძლეოდა. შესაბამისად, ისინი ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. მათი კვების რაციონიც მოკრძალებული იყო და, ძირითადად, ოჯახში მოყვანილი მოსავლით შემოიფარგლებოდა. მცირე შემოსავლებიდან გამომდინარე, ისინი იაფფასიანი ტანისამოსით იმოსებოდნენ. გლეხების ღარიბულ სახლებს უმთავრესად თავშესაფრის ფუნქცია ჰქონდა. საცხოვრებელი სახლის კომპლექსში სამეურნეო დანიშნულების მცირე ნაგებობებიც – საქონლის სადგომი, სათონე, მარანი, საბძელი და ბეღელი – შედიოდა.[406]

გლეხების ყოველდღიური საქმიანობა, ძირითადად, მიწაზე მუშაობით განისაზღვრებოდა. მოსავლის მისაღებად უპირველესი საქმიანობა მიწის მოხვნა იყო. როგორც ცნობილია, გლეხების უმეტესობას სახნავი იარაღი არ ჰქონდა. პატარა სოფელში ერთი გუთანი იყო და ის გუთნისდედას ეკუთვნოდა, რომელიც, დიდი ალბათობით, ფეოდალისაგან ჰქონდა მიღებული. სოფელში მცხოვრები გლეხების მიწები და ფეოდალთა ხოდაბუნები ამ გუთნით მუშავდებოდა. მართალია, ხვნის პროცესს გუთნისდედა უძღვებოდა, თუმცა მასში საკუთარი ხარ-კამეჩით (იმ შემთხვევაში თუ გლეხს აღნიშნული შინაური ცხოველი ჰყავდა) იმ კონკრეტული გლეხის ოჯახიც იყო ჩართული, რომლის ყანაშიც გუთნეული მუშაობდა.

ყანაში მუშაობასთან დაკავშირებით „დასტურლამალი“ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის: „... გუთანი... უხნავს, და უფარცხავს, მოურწყავენ, მოუმკიან, გამოუზიდავენ, გაულეწავენ“.[407] დასახელებულ საქმიანობებთან ერთად, მოსავლის მისაღებად, რაღა თქმა უნდა, თესვაც აუცილებელი იყო. მარცვლეული მოჰყავდათ ისეთ სავარგულებზეც, რომლებსაც გასარწყავება არ ესაჭიროებოდა,[408] თუმცა მსგავსი სახის ყანიდან ნაკლებ მოსავალს იღებდნენ.

ვაზის მოვლასთან დაკავშირებით „დასტურლამალში“ აღნიშნულია: „ზვრის მუშაობა: კომლზედ სამი კონა სარი, ნეხვი სამი ჯინი,

---

[406] მ. ბერძნიშვილი. ქართული სოფელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 85.

[407] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 302.

[408] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 303.

სამი დღე ბარვა და წიდნა".[409] როგორც ვხედავთ, სარით მომარაგების, ბარვისა და „წიდნის" (ვაზის გასხვლა და მსგავსი სამუშაოები) გარდა, ვაზის სასუქით გაპოხიერებაც ყოფილა საჭირო.

ცხადია, გლეხები ბოსტანსა და ხეხილის ბაღშიც შრომობდნენ, ასევე უვლიდნენ შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, იმარაგებდნენ შეშას და მსგავსი სახის სხვა სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. მათვე ბატონის ზვარ-ხოდაბუნებში მუშაობაც ევალებოდათ. ყმა-გლეხები ფეოდალების სასარგებლოდ სხვა სამუშაოებსაც (ციხეების, სასახლეების მშენებლობა და ა.შ.) ასრულებდნენ.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, XV საუკუნიდან გლეხებს „ლაშქრობა-ნადირობაში" მონაწილეობაც დაეკისრათ.[410] იმის გამო, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში მეფე-მთავრების განკარგულებაში მცირე ადამიანური რესურსი იყო, საომარი მოქმედებების დროს გლეხები მასობრივად გაჰყავდათ.[411] შედეგად, გლეხები არა მხოლოდ ფეოდალებისა თუ მეფის დაგეგმილ ნადირობაში მონაწილეობდნენ, რასაც სამხედრო წვრთნის ფუნქცია ჰქონდა, არამედ საომარ მოქმედებებშიც იყვნენ ჩართული. ზოგჯერ გლეხების სამხედრო მობილიზაცია ნელინადში რამდენჯერმე ხდებოდა.[412]

მიუხედავად მძიმე ყოფითი პირობებისა, გლეხების ცხოვრებაშიც იყო განტვირთვის დღეები – ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, კვირა დღეს შრომა იკრძალებოდა. ასევე უქმე დღეებად ითვლებოდა რელიგიური დღესასწაულები.[413] საეკლესიო და სახალხო დღესასწაულების დროს მოლხენა ქართულ გლეხურ ოჯახებში ტრადიციად იყო ქცეული.

ამჯერად მოკლედ განვიხილავთ მეურნეობის წლიურ შემოსავ-

---

[409] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 305.

[410] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II, გვ. 117; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III, გვ. 66; ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1979, გვ. 156.

[411] მ. ნურნუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბ. 2016, გვ. 50.

[412] განვითარებულ ფეოდალურ ეპოქაში გლეხები სამხედრო საქმისაგან, ძირითადად, დისტანცირებული იყვნენ (იხ.: მ. ნურნუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 27-84). ერთი სიტყვით, მოქმედებდა შუა საუკუნეების ცნობილი ფორმულა – „სამღვდელოება ლოცულობს, რაინდები ომობენ, ერი მუშაობს", რომლის მსგავსს ქართულ რეალობაშიც ვხვდებით – „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს" (შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი". ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. თბ. 2009, სტრ. 11).

[413] „... ჯამი ამ თვისა: დ (4) დღე კვირე და უქმე ყოფილა... ბ (2) თიბათვეს უქმე იყო წმინდის დავითისა...", – აღნიშნულია XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ სიგელში (იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 28). როგორც ვხედავთ, კვირა დღეს და რელიგიური დღესასწაულების დროს მუშაობა დაუშვებელი იყო.

ლებს. რადგან გლეხური მეურნეობის ოდენობის შესახებ შედარებით თვალსაჩინო მონაცემები XVIII საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება, თავდაპირველად სწორედ აღნიშნული ეპოქის ვითარებას მიმოვიხილავთ.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოში არსებობდნენ უმიწო („ბოგანო"), მცირემიწიანი, სრული საკომლოს მფლობელი და შედარებით დიდი მიწის ფართობის მქონე გლეხური ოჯახები. გლეხთა ნაწილს „ნასყიდი" მიწაც ჰქონდა. სრული საკომლოს მფლობელ ოჯახებს პირობითად შეიძლება საშუალო შეძლების გლეხები ეწოდოთ. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არსებობდა გადაუნაწილებელი სათემო მიწებიც, რომლებსაც, რა თქმა უნდა, გლეხები ამუშავებდნენ. ამ პერიოდში ვხვდებით ფეოდალების მიწების „საღალედ" აღების პრაქტიკასაც. „საღალედ" მიწებს იღებდნენ ის გლეხები, რომლებსაც საკომლოში შემავალი სახნავ-სათესი ფართობი არ ჰყოფნიდათ და ზედმეტი მიწის დამუშავების ფიზიკური შესაძლებლობა ჰქონდათ. „საღალედ" იღებდნენ მიწას „ხიზანი" და უმიწო გლეხებიც. უმიწო გლეხთა ნაწილი, როგორც წყაროებიდან ჩანს, ფეოდალებისა და შეძლებული გლეხების მამულში ყოველდღიური შრომით ირჩენდა თავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გლეხის სრული ფუძე საშუალოდ 12 დღიური (6 ჰა.) მიწისა და ერთი ვენახისაგან (0,3-0,5 ჰა.) შედგებოდა. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ გლეხთა დაახლ. 35-45% მცირემიწიანი ან უმიწო იყო.

სრულფუძიანი გლეხების სარგებლობაში არსებული 12 დღიური სახნავ-სათესი ფართობიდან დაახლოებით 1 დღიურ მიწაზე გლეხის საცხოვრებელი სახლი, მარანი, საქონლის სადგომი და სხვა მცირე სამეურნეო ნაგებობები იყო განთავსებული. ბოსტნეულისა თუ პარკოსანი კულტურებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გათვალისწინებით, ძირითადი საკვები პროდუქტის – მარცვლეულის მოსაყვანად გლეხების განკარგულებაში 8-9 დღიური მიწა იყო. იმის გამო, რომ გლეხები მიწის ყოველწლიური დასვენების პრაქტიკას მიმართავდნენ, მარცვლეული, მაქსიმუმ, 4,5 დღიურ მიწაზე ითესებოდა.

რადგან 1 დღიურ მიწაზე 2,5 კოდს თესავდნენ, ხოლო მოსავალი 8-ჯერადი იყო, 1 დღიური მიწიდან 20 კოდ მარცვლეულს მოიწევდნენ. შესაბამისად, 4,5 დღიური ყანიდან დაახლ. 90 კოდ მოსავალს იღებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ქართლისა და კახეთის ბარში, საჭიროებიდან გამომდინარე, საერთო სახნავ-სათესი ფართობის დაახლოებით მესამედზე ქერი (ზოგჯერ შვრია/ჭვავი/ფეტვი) ითესებოდა,[414] გამოდის, რომ სრული საკომლოს მფლობელი გლეხ-

[414] სახელმწიფო გადასახადიც შესაბამისი შეფარდებით იყო განერილი – ორი წილი ხორ-

ები ყოველწლიურად დაახლოებით 60 კოდ ხორბალსა და 30 კოდ ქერს იღებდნენ. რადგან XVIII საუკუნის II ნახევარში კოდი 36 კგ.-ს იტევდა,[415] გლეხის ყოველწლიური მოსავალი საშუალოდ 2200 კგ. ხორბალს და 1100 კგ. ქერს შეადგენდა.[416]

XVIII საუკუნის II ნახევარში 1 კოდი ხორბალი საშუალოდ 3-3,5 აბაზად, ხოლო ქერი 2-2,5 აბაზად ფასობდა.[417] თუ ჩვენ საშუალო შეძლების გლეხის მოსავალს საბაზრო ფასებში გადავიყვანთ, გამოდის, რომ მის მიერ წლიურად მიღებული ხორბლის ღირებულება დაახლ. 200 აბაზს, ანუ 40 მინალთუნს შეადგენდა, ხოლო ქერის მოსავალი – 12-15 მინალთუნს.

გლეხის მიერ მოყვანილი დაახლ. 90 კოდი მარცვლეულის დიდი ნაწილი ოჯახის გამოკვებასა და ფეოდალურ გადასახადებს ხმარდებოდა. მარცვლეულის ნაწილი – 10-12 კოდი დასათესად იყო განკუთვნილი. შესაბამისად, სრული საკომლოს მფლობელ გლეხს ყოველწლიურად მხოლოდ რამდენიმე კოდის მარაგის შექმნა ან გაყიდვა შეეძლო.[418]

რაც შეეხება ვენახს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკომლოში შემავალი ვენახიდან გლეხი წელიწადში დაახლ. 1200 ლიტრ ღვინოს იღებდა. აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში არსებული ფასის გათვალისწინებით, 1200 ლიტრი ღვინის ღირებულება დაახლ. 40 მინალთუნი იყო.[419]

ბალი, ერთი ნილი ქერი.

[415] როგორც აღინიშნა, თბილისის პოლიცმაისტერ იოსებ შაგუბატოვის ცნობით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, კოდის მოცულობის გაზრდის პირობებშიც, დღიურ მინაზე ითესებოდა 2,5 კოდი ხორბალი, მოსავლიანობა კი 10-ჯერადიც ყოფილა. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

[416] მართალია, 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, მ. სვანიძემ ივარაუდა, რომ სამცხე-საათაბაგოში ერთ ოჯახს წლიურად 6 ტონამდე მარცვლეული მოჰყავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოთვლა ეფუძნება აბსოლუტურ ციფრებს და საგლეხო ფუძის რეალურ მოსავლიანობას არ ასახავს. კერძოდ, მ. სვანიძემ მარცვლეულის საერთო მოსავლიანობა რეგიონში მცხოვრებ ოჯახების რაოდენობაზე გაყო და ამ გზით მიიღო დასახელებული ციფრი (იხ.: მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 37-41). როგორც ჩვენთვის ცნობილია, მარცვლეული კულტურები არა მხოლოდ გლეხების საკომლოებზე ითესებოდა, არამედ მემამულეთა ხოდაბუნებშიც, რომლებიც საგლეხო ყანების საერთო მოცულობაზე არანაკლები იყო. შესაბამისად, ფეოდალების ხოდაბუნებიდან მოწეული მარცვლეულის გათვალისწინებით, სრულფუძიანი გლეხის მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავლიანობა სამცხე-საათაბაგოშიც დაახლ. 3 ტონით უნდა განისაზღვროს.

[417] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 41-43.

[418] ზოგიერთ შეძლებულ გლეხს გაცილებით დიდი მოსავალი ჰქონდა. მათი ნაწილი ყოველწლიურად 15-30 დღიურ მიწასაც ამუშავებდა. იხ.: ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 162-163.

[419] XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისში ერთი თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი ღვინო 1 აბა-

მევენახეობა-მეღვინეობის განხილვისას დამოწმებული წყაროების მიხედვით, ერთი სრულწლოვანი მამაკაცი ყოველდღიურად 1 ლიტრამდე ღვინოს იყენებდა. შესაბამისად, ოჯახში მყოფი ორი მამაკაცი საშუალოდ 700 ლიტრამდე ღვინოს მოიხმარდა, ხოლო დღესასწაულებისა თუ სამგლოვიარო სუფრებისათვის ღვინის დამატებითი რაოდენობა ესაჭიროებოდათ. თუ დასახელებულ ოდენობასთან ერთად ვენახზე დაწესებულ ფეოდალურ გადასახადსაც გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ გლეხს მხოლოდ რამდენიმე მინალთუნის ღვინის გატანა შეეძლო ბაზარზე.[420] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბაზარზე გატანილი პროდუქტების გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრებიც ხშირ შემთხვევაში დამატებით დაწესებულ სახელმწიფო ან საბატონო ფულად გადასახადებს ხმარდებოდა.

გლეხებს ბოსტნეული, ხილი და სხვა საჭირო პროდუქტებიც მოჰყავდათ. ამ პროდუქციის მოცულობა უმნიშვნელო იყო და მათი დიდი ნაწილიც პირადი მოხმარებისა თუ გადასახადებისათვის იყო განკუთვნილი. შესაბამისად, ბაზარზე მცირე ოდენობით გადიოდა. თუმცა იყო გამონაკლისებიც, მაგალითად, გიულდენშტედტი გადმოგვცემს, რომ კახეთის ზოგიერთ სოფელში „ყოველი ოჯახი წლიურად იღებს 2-4 ფუთ აბრეშუმის პარკს, ხოლო გირვანქას ყიდიან 60-90 კაპიკად".[421] დასახელებული ოდენობის აბრეშუმი 100 მინალთუნზე მეტი ღირებულების იყო. ქვეყნიდან საექსპორტოდ დიდი რაოდენობით ენდროც გაჰქონდათ,[422] რომელსაც გლეხები მოიპოვებდნენ. თუმცა ასეთი დამატებითი შემოსავალი ყველა სოფლის მოსახლეობას არ ჰქონდა.

გლეხთა ოჯახების დიდ ნაწილს ჰყავდა ძროხა ან ხარ-კამეჩი, ცხვარი, ქათამი, იშვიათად ცხენი და ა.შ.,[423] რაც გარკვეული შემოსავლის წყარო იყო.

ერთი სიტყვით, XVII-XVIII საუკუნეებში სრულფუძიანი გლეხის

ზი ღირდა, თუმცა სოფლად 2-3 შაური. ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 73-77.

[420] აღნიშნულ ეპოქაში გლეხების მიერ თბილისში ღვინის და სხვა პროდუქციის რეალიზაციის ფაქტები ნყაროებით დასტურდება. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 37-38.

[421] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 35.

[422] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 38-39, 58.

[423] 1730-იანი წლების მიწურულის და 40-იანი წლების დასაწყისის ქართლის საკათალიკოსო ყმების დავთრის მიხედვით, საშუალო შეძლების გლეხების უმეტესობას 1 ფური, იშვიათად ხარ-კამეჩი, ცხენი და ვირი, ასევე რამდენიმე ცხვარი და 1 ღორი ჰყავდა. რაც შეეხებათ არცთუ მცირე რაოდენობის ღარიბ კომლებს, მათ უმეტესობას შინაური ცხოველები არ ჰყავდათ. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 776-788.

ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის მოცულობა დაახლოებით 3,3 ტონა მარცვლეულს (უმეტესად ხორბალს და ქერს, რიგ შემთხვევაში ჭვავს, ფეტვს და შვრიას), 1200 ლიტრ ღვინოს, მცირე რაოდენობის პარკოსან კულტურებს, ბოსტნეულს, ხილს, მეცხოველეობის, მეფრინველეობის და სხვა პროდუქტებს მოიცავდა. დასახელებული პროდუქციის საერთო ღირებულება XVIII საუკუნის II ნახევარში 100 მინალთუნს, ანუ 10 თუმანს აღემატებოდა.[424] თავის მხრივ, ერეკლე II-ის დროინდელი 10 თუმანი, ანუ 100 მინალთუნი ვახტანგ VI-ის ეპოქის 7,5-გრამიანი აბაზების კვალობაზე 4 თუმანს, ანუ 40 მინალთუნს უდრიდა.[425]

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ხორბლეულისა და ვაზის ნაცვლად სხვა კულტურები ითესებოდა, მოსახლეობას არანაკლები შემოსავალი ჰქონდა. მაგალითად, თრიალეთში, ტაშირსა და სხვა ადგილებში მოჰყავდათ დიდი რაოდენობით სელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1 დღიურ მიწაზე 7,5 კოდი სელი მოდიოდა. დასახელებული ოდენობის სელიდან კი 27 თუნგ ზეთს ხდიდნენ.[426] XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისში 1 თუნგი ზეთი 3,75-4 აბაზად ფასობდა.[427] მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ზეთი 2 აბაზზე მეტი არ ეღირებოდა, 1 დღიური მიწიდან მოწეული მოსავლის ღირებულება მაინც სოლიდური ყოფილა და საშუალოდ 10 მინალთუნს შეადგენდა.

ანალოგიურ სურათს ვხვდებით ბამბასთან დაკავშირებით, რომელიც კახეთსა და ქვემო ქართლის გარკვეულ ადგილებში მოჰყავდათ. 1 დღიური მიწიდან 15 ლიტრ, ანუ დაახლ. 55 კგ. ბამბის მოსავალს იღებდნენ,[428] სოფლად ლიტრი ბამბის ღირებულება კი 1,4-1,5 მინალთუნი იყო.[429] შესაბამისად, 1 დღიური მიწიდან მოწეუ-

---

[424] XVIII საუკუნის II ნახევრის გლეხური მეურნეობის ყოველწლიური შემოსავლების შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. მასალები XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI. თბ. 2016, გვ. 155-166.

[425] უნდა აღინიშნოს, რომ გვიანფეოდალური ეპოქის დასავლეთ საქართველოში, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, ნლიურად მოწეული მოსავლის ღირებულება შედარებით ნაკლები იყო.

[426] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 55.

[427] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 93.

[428] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 56.

[429] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 255; ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 283.

ლი მოსავლის ფასი 20 მინალთუნს აჭარბებდა.

რაც შეეხება ბრინჯის მოსავალს, მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში მოსავლიანობა მხოლოდ 3-ჯერადი იყო, თუმცა მისი ღირებულება 3-4-ჯერ აღემატებოდა ხორბლის ფასს.[430]

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სელს, ბამბას, ბრინჯს და სხვა მსგავს პროდუქციას მოიწევდა, ბაზართან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

ამჯერად ყურადღებას განვითარებულ ფეოდალურ ეპოქაში გლეხების წლიური მოსავლის ოდენობაზე გავამახვილებთ. როგორც მეღვინეობა-მევენახეობის მიმოხილვისას აღინიშნა, გარკვეული არაპირდაპირი მონაცემების გათვალისწინებით, XI-XIII საუკუნეებში საგლეხო ფუძეში შემავალი ვენახის მოსავლიანობა 800 ლიტრამდე ღვინით უნდა განისაზღვროს. დასახელებული ოდენობა, სულ მცირე, 35%-ით ნაკლებია XVII-XVIII საუკუნეებში 1 ვენახიდან მიღებულ მოსავალთან შედარებით. ანალოგიურ დასკვნამდე მივედით მარცვლეულის მოსავლიანობასთან დაკავშირებით.

მარცვლეულის წარმოების განხილვისას აღინიშნა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში არსებული 8-ჯერადი მოსავლიანობა სახვნელი იარაღის ეტაპობრივი პროგრესისა და სხვა მსგავსი ფაქტორების შედეგი უნდა იყოს. შესაბამისად, მოსავლიანობა XI-XIII საუკუნეებში, დიდი ალბათობით, XVII-XVIII საუკუნეების მონაცემებთან შედარებით, მცირე იქნებოდა. თუ XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე ღვინის მოსავლის ოდენობებს შორის სხვაობას მარცვლეულ კულტურების მოსავლიანობაზეც გავავრცელებთ, განვითარებულ ფეოდალურ ეპოქაში დღიური ყანიდან 400 კგ.-მდე მარცვეულის მიღებაა სავარაუდებელი.

ამდენად, XI-XIII საუკუნეებში, ჩვენი გამოთვლით, სრულფუძიანი კომლი ყოველწლიურად მოიწევდა დაახლ. 1600-1700 კგ. მარცვლეულსა და 800 ლიტრამდე ღვინოს. მარცვლეულთან და ღვინოსთან ერთად, ცხადია, მოჰყავდათ მცირე რაოდენობით პარკოსანი კულტურები, ბოსტნეული და ხილი. ასევე მისდევდნენ მეცხოველეობასა და მეფრინველეობას.

ასეთ სურათს ვიღებთ სრულფუძიანი, სრული საკომლოს მფლობელი გლეხების მეურნეობის რეალური მოცულობის შესახებ. თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ უმიწო და მცირემიწიან გლეხებს გაცილებით რთულ ეკონომიკურ ვითარებაში უწევდათ ცხოვრება. რაც შეეხება მცირერიცხოვან მდიდარ გლეხებს, მათ მიერ მოწეული ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება ზოგ შემთხვევაში 5-ჯერ და მეტჯერ აჭარბებდა საშუალო შეძლების

[430] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 96.

გლეხის მოსავლის ოდენობას.

როგორც აღინიშნა, გლეხის მოყვანილი მოსავალით მხოლოდ ოჯახის გამოკვება და გადასახადების გადახდა იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ გლეხს გასაყიდად მოწეული მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩებოდა, ბაზართან კავშირი ყველა ეპოქაში მეტ-ნაკლებად იკვეთება. გლეხების ბაზართან კავშირის პირდაპირ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ როგორც განვითარებულ ფეოდალური ეპოქის საქართველოში, ისე XVII-XVIII საუკუნეებში, გარკვეულ შემთხვევებში, ზოგიერთი ფეოდალური და სახელმწიფო გადასახადი ფულადი იყო. უცხოელი დამპყრობლების სასარგებლოდ დაწესებული ხარკიც ხშირად ფულის სახით იკრიბებოდა. გლეხების მიერ ფულადი გადასახადების გადახდა კი ბაზართან კავშირის გარეშე შეუძლებელი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდთან შედარებით, XVI საუკუნიდან გვხდება ზოგიერთი ფულადი გადასახადის ნატურალური გადასახადით ჩანაცვლების ფაქტები. მიუხედავად ამისა, ფულადი გადასახადები მოგვიანო პერიოდშიც ხშირად იკრიბებოდა. XVIII საუკუნის II ნახევარში კი საერთო გადასახადებში ფულადი გამოსაღების ხვედრითი წილი უკვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.[431] შესაბამისად, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ბაზართან კავშირი საკმაოდ ინტენსიური იყო – XIX საუკუნის დასაწყისის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობასთან ერთად, სავაჭრო საქმიანობას (ანუ ბაზარზე პროდუქციის გატანას) ეწეოდა გორის მაზრის გლეხების 77%, სიღნაღისა და თელავის მაზრების გლეხების 80%-ზე მეტი და ანანურის მაზრის გლეხების 50%-მდე.[432]

ფეოდალურ ეპოქაში გლეხი და მის სარგებლობაში არსებული საგლეხო ფუძე, ანუ საკომლო ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა. „ნიკორწმინდელის დაწერილის“ მიხედვით, XI საუკუნის II ნახევარში მიწის გარეშე გლეხის ოჯახის ღირებულება საშუალოდ 18 დრაჰკან დუკატს შეადგენდა, რაც დაახლ. 200 დრამის (დრამა=3 გრ.), ანუ 600 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო.[433]

---

[431] გ. აკოფაშვილი. ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგის საქართველოში, გვ. 93-105.

[432] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 164.

[433] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 44.
გლეხის ღირებულების ფასად, ანუ დაახლ. 18-20 დრაჰკანად იმავე ეპოქაში შესაძლებელი იყო ერთი საშუალო ზომის ხელნაწერი წიგნის შეძენა. ანალოგიური ფასი ჰქონდა საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენსაც. ასევე დასახელებულ თანხად იყიდებოდა 9-10 დღიური მინა ან 18-20 ძროხა. ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 78-88, 166-183, 186-190.

სხვადასხვა მონაცემის გათვალისწინებით, XI-XIII საუკუნეებში გლეხის ოჯახი საგლეხო ფუძის ჩათვლით (ანუ სახნავ-სათეს ფართობთან, ვენახთან, საცხოვრებლ სახლთან, მცირე სამეურნეო ნაგებობებთან და ა.შ.), ფასობდა დაახლ. 500-600 ვერცხლის დრამად (დრამა=3 გრ.), ანუ 1500-1800 გრამ ვერცხლად.

რაც შეეხება გვიანდელ მონაცემებს, XVII-XVIII საუკუნეების საბუთების მიხედვით, გლეხისა და მის სარგებლობაში არსებული საკომლოს ღირებულება შეადგენდა დაახლ. 3800-5200 გრამ ვერცხლს, ანუ 7,5-გრამიანი აბაზის ბრუნვის პირობებში – 10-14 თუმანს, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში, 2,9-გრამიანი სირმა-აბაზის წონის გათვალისწინებით, – 25-35 თუმანს.

შედარებით მდიდარი გლეხების ღირებულება ზოგჯერ საშუალო შეძლების გლეხების ფასს სამჯერაც აღემატებოდა, ხოლო მცირემიწიანი და უმიწო გლეხების ფასი მცირე იყო.[434]

ამდენად, გლეხის და მის სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი მიწების საბაზრო ღირებულებამ XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე საშუალოდ 2,5-3-ჯერ მოიმატა, რაც, ზოგადად, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან იყო დაკავშირებული.[435] თუ გლეხებისა და მიწის ღირებულების ზრდას ცალ-ცალკე დეტალურად გავაანალიზებთ, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონკრეტულად საგლეხო ფუძის (ანუ სახნავ-სათესი მიწების და ვენახის) ღირებულება XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე დაახლ. 2-ჯერ გაძვირდა, მაშინ, როდესაც გლეხის (ოჯახის წევრებთან ერთად) ღირებულებამ 3,5-ჯერ მოიმატა. საგლეხო ფუძის ფასის ზრდის კოეფიციენტიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შრომის ნაყოფიერება XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე დაახლ. 2-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება გლეხების ღირებულების უფრო მაღალი ტემპით (3,5-ჯერ) მატებას, ეს პროცესი XIII საუკუნიდან მწარმოებელი მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირებასა და XV-XVI საუკუნეებიდან გლეხებისათვის სამხედრო ვალდებულების დამატებას უნდა გამოეწვია.[436]

ერთი სიტყვით, გლეხური მეურნეობა XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე დაახლ. 2-3-ჯერ გაიზარდა, რაც დასტურდება

---

434 უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის მიერ დანესებული ეკონომიკური იზოლაციის პირობებში XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული ფასების დაახლოებით ნახევარს შეადგენდა. ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 218-222.

435 ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 184-222.

436 ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 250-255.

როგორც შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესებით, ისე გლეხებისა და მიწების ფასების მომატებით.

გადასახადები. ამჯერად მოკლედ შევეხებით სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ გადასახადებს. ფეოდალური ხანის საქართველოში გლეხები იხდიდნენ როგორც ბატონყმურ, იგივე საბატონო, ისე სახელმწიფო გადასახადებს. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევებში მოსახლეობას უცხოელი დამპყრობლების მიერ დაწესებული ხარკის გადახდაც უწევდა.

თავდაპირველად შევეხებით ფეოდალურ ბატონყმურ გადასახადებს. საბატონო გადასახადებს იხდიდნენ როგორც ფეოდალების, ისე მეფისა და ეკლესიის საკუთრებაში მყოფი ყმა-გლეხები, თუმცა სახასო და საეკლესიო გლეხები, ამ მხრივ, გარკვეულწილად, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ფეოდალურ გადასახადს, ზოგადად, ბეგარა ეწოდებოდა. გადასახადებს გლეხები ძირითადად ნატურალური პროდუქტებით იხდიდნენ, მცირე ნაწილს კი – ფულის სახით. ასევე მნიშვნელოვანი იყო შრომითი ბეგარა. როგორც აღინიშნა, შრომითი ბეგარა საკმაოდ მძიმე გადასახადი იყო და ფეოდალის პირად მეურნეობაში მუშაობას გულისხმობდა.

მიწის დამუშავებასთან დაკავშირებულ ძირითად ბეგარას ღალა და კულუხი ეწოდებოდა. ღალა მოწეული მარცვლეულიდან გარკვეული ოდენობის გადასახადი იყო, კულუხი კი – ღვინის გადასახადი. რაკი ფეოდალური ხანის მეურნეობაში სწორედ მარცვლეულის წარმოებასა და მევენახეობა-მეღვინეობას ეკავა დიდი ადგილი, ამიტომ სწორედ ღალა და კულუხი მიიჩნეოდა ძირითად ბეგარად.

ღალასა და კულუხის გარდა, გვიანფეოდალურ ეპოქაში ვხვდებით სხვა გადასახადებსაც: „ძღვენს" („საშობაო", „სააღდგომო", „საყველიერო" და ა.შ.), „სამასპინძლოს", „საქვრივოს", „საჩექმეს", „საქორწილოს" და სხვ.[437] ჩამოთვლილი გადასახადებისგან რეგულარულად „ძღვენი" და „სამასპინძლო" იკრიბებოდა, ხოლო სხვა გადასახადებს გლეხები პერიოდულად იხდიდნენ. მაგალითად, „საქვრივო" გადასახადი ერთჯერადად ქვრივი ქალის გათხოვების შემთხვევაში წესდებოდა.

რთულია იმის განსაზღვრა, ესა თუ ის გადასახადი რა პერიოდიდან დამკვიდრდა, თუმცა ისტორიული საბუთების მიხედვით, ძირითადი საბატონო გადასახადები – ღალა და კულუხი განვითარებულ ფეოდალურ ეპოქაშივე არსებობდა.[438] შესაბამისად, სავარაუდებელია, რომ XVII-XVIII საუკუნეების სხვა საბატონო გადასახადებიც

---

[437] გ. აკოფაშვილი. გლეხთა ბეგარა-გადასახადების ზრდა. გლეხთა კლასობრივი ბრძოლა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 562-564.

[438] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 83, 90, 135, 149-150, 153.

ძველი დროიდან უნდა მომდინარეობდეს.

XII საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ საბუთში – „დაწერილი მღვიმისა კრებულისა ტოხაისძეებისადმი" – აღნიშნულია: „და ედვას {ღა}ლაი ნაოთხალი თქ(უე)ნთ(ჳ)ს მოსახუწდრებლ(ა)დ".[439] „ნაოთხალ", ანუ მეოთხედ ღალაში შესაძლებელია საერთო მოსავლის მეოთხედი იგულისხმებოდეს. აღინიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში ფეოდალების კუთვნილი გლეხებისათვის ღალა სწორედ მოწეული მოსავლის 1/4-დან 1/8-მდე (საშუალოდ, მოსავლის 1/6-ით[440]) განისაზღვრებოდა.[441] ღალას ოდენობა მიწის მოსავლიანობაზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, სარწყავ და უხვ მოსავლიან ადგილებში გადასახადი მაღალი იყო, ხოლო ურწყავი, ნაკლებმოსავლიანი მიწები შედარებით მცირე გადასახადით იბეგრებოდა.[442] ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღალას მოცულობა XI-XIII საუკუნეებშიც მოსავლის 1/4-დან 1/8-მდე, საშუალოდ კი 1/6-ით განისაზღვრებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულფუძიანი კომლი XVII-XVIII საუკუნეებში დაახლ. 90 კოდ მარცვლეულის (ხორბალი, ქერი/შვრია/ჭვავი) მოსავალს იღებდა. დათესილი მარცვლეულის (დაახლ. 12 კოდი) გამოკლებით, გლეხის რეალური წლიური მოსავალი დაახლ. 78-80 კოდით განისაზღვრებოდა. აღნიშნული ოდენობის 1/6 კი დაახლ. 12-14 კოდს შეადგენდა. შესაბამისად, სრული საკომლოს მფლობელი გლეხები ღალას სახით საშუალოდ 12-14 კოდ, ანუ დაახლ. 450 კგ. მარცვლეულს იხდიდნენ.

რადგან XI-XIII საუკუნეებში სრულფუძიანი გლეხების მარცვლეულის ერთი წლის მოსავალი დაახლ. 1600-1700 კგ.-ით განვსაზღვრეთ, ღალას მოცულობად საშუალოდ 250 კგ. უნდა მივიჩნიოთ.

ამდენად, XI-XIII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ღალას მოცულობა (და არა მოსავლიანობის ჯერადობა) 250 კგ.-დან 450 კგ.-მდე გაიზარდა.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში კულუხის

---

[439] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 83.

[440] დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 140.
უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში სახასო გლეხები ღალას უფრო ნაკლები ოდენობითაც – მოსავლის 1/10 ნაწილს იხდიდნენ. იხ.: ი. ანთელავა. სახელმწიფო გლეხთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ. 1970, გვ. 144.

[441] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 120.

[442] „ღალა სარწყავზე ხუთზე ერთი ბატონისა არის და ურწყავში შვიდზე ერთი", – აღნიშნულია სოფელ დილომის გლეხების გადასახადების შესახებ „დასტურლამალში". იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 303.

ოდენობის შესახებ შედარებით დეტალური მონაცემები მოგვეპოვება: „კულუხი ძუელი თორმეტი კოკაი იყო და ოცდაოთხლიტრითა კოკითა თუთო მინასა ზედა. აწ, ექუს-ექუსისი გამიშუია და მის ექუს-ექუსისათუს სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა: თუთოი მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს", – აღნიშნულია „რკონის დაწერილში".[443]

როგორც ვხედავთ, გადასახადის განახევრებამდე თითოეულ მიწას (ანუ სრულფუძიან კომლს) 12 ოცდაოთხლიტრიანი კოკის გადახდა ევალებოდა. იმ პერიოდში 24-ლიტრიანი კოკა დაახლ. 10 ლიტრ სითხეს იტევდა.[444] შესაბამისად, ერთი სრულფუძიანი გლეხის გადახდილი კულუხის მოცულობა, თანამედროვე მეტრული სისტემით, 120 ლიტრს შეადგენდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XI-XIII საუკუნეებში საგლეხო ფუძეში შემავალი ვენახის მოსავალი, სავარაუდოდ, 800 ლიტრამდე ღვინოს შეადგენდა. რადგან იმდროინდელი გადასახადი 12 კოკით, ანუ 120 ლიტრით განისაზღვრებოდა, გამოდის, რომ კულუხი მოწეული მოსავლის დაახლ. 1/6 ყოფილა.

გვიანფეოდალურ ეპოქაშიც კულუხი საშუალოდ მოსავლის 1/5-დან 1/10-მდე მერყეობდა,[445] მისი მოცულობა კი საშუალოდ 200 ლიტრი იყო.

ამრიგად, ისევე როგორც ღალას შემთხვევაში, XIII-XVIII საუკუნეებში კულუხიც საშუალოდ მოსავლის 1/6-ით განისაზღვრებოდა. მოსავლიანობის გაზრდის შედეგად კი მისი მოცულობაც იმატებდა.

ფეოდალის ყმებთან ერთად ღალასა და კულუხს ძველი პერიოდიდანვე სახასო და საეკლესიო გლეხებიც იხდიდნენ – „მისსა ნაცვალსა სტ(ე)ფ(ა)ნეძე გარდაიჴდის საეკლ(ე)სიოსა და სამეფოსა სამსახურსა: კულუხსა, ღალასა და ყ(ოვე)ლსავე გამოსაღებელსა", – აღნიშნულია 1200 წლის ახლო ხანებში შედგენილ სიგელში.[446]

მიუხედავად იმისა, რომ ძირითად საბატონო გადასახადს ღალა და კულუხი წარმოადგენდა, საკმაოდ მოცულობითი სახე ჰქონდა „ძღვენსაც". დასახელებული გადასახადის ოდენობის გასარკვევად საინტერესოა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე შედგენილი საყაფლანიშვილოს „ძღვენისა" და „სამასპინძლოს" გარიგების დავთარი. დავთარში აღნიშნულია, რომ ეს გადასახადები არა კონკრეტულ ოჯახებზე, არამედ სოფლებზე იყო გაწერილი. მაგალითად,

---

[443] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.

[444] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 67-69.

[445] დ. გოგოლაძე. ცვლილებები ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 899; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 305.

[446] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 83; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ. 1998, გვ. 263.

სოფელი წყაურთი ბატონის სასარგებლოდ „ძღვენის“ გადასახადს შემდეგი ოდენობით იხდიდა: „სააღდგომოს“ – 7 ცხვარი, 5 ბატკანი და 40 კვერცხი; „საშობაოს“ – 7 ცხვარი, 5 მოზრდილი ბატკანი და 7 ქათამი; „საყველიეროს“ – 2 ლიტრა (6 კგ.) ერბო, 3 ლიტრა (9 კგ.) ყველი და 40 კვერცხი; „სამარხოს“ – 3 ლიტრა (9 კგ.) მუხუდო და 3 ლიტრა (9 კგ.) ოსპი; „საბაზიეროს“ – 6 ქათამი; „სასვიანო“ – მთელ საკომლოზე 1 მარჩილი, ნახევარ საკომლოზე 6 შაური, „ამის უმცროსს“ 3 შაური“.

იმავე დავთრით ირკვევა, რომ „სამასპინძლო“ გადასახადი ეკისრებოდათ სოფელში მცხოვრებ თარხნებს, ანუ სხვა გადასახადისგან გათავისუფლებულ პრივილეგირებულ გლეხებს.[447]

განვითარეული ფეოდალური ეპოქის საქართველოში „ძღვენისა“ და „სამასპინძლოს“ მსგავსი გადასახადების ოდენობის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია, თუმცა მათი მოცულობა ცალსახად ღალასა და კულუხზე ნაკლები იქნებოდა.

XIII საუკუნის შუა ხანებში, „რკონის დაწერილის“ მიხედვით, მთლიანი კულუხის საფასური 16 თეთრი ყოფილა. შესაბამისად, ღალასა და შედარებით მეორეხარისხოვანი სხვა გადასახადების ჩათვლით, ერთი სრულფუძიანი გლეხის მიერ ფეოდალისათვის გადახდილი პროდუქტების ფასი, მაქსიმუმ, 38-40 თეთრამდე უნდა ვიგულისხმოთ. XIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მოჭრილი თეთრი 2,7 გრამს იწონიდა. 3-გრამიანი ვერცხლის მონეტების ანგარიშით კი საერთო ფეოდალური გადასახადების ოდენობა XII-XIII საუკუნეებში დაახლ. 35 ვერცხლის მონეტის ტოლფასი იქნებოდა.

როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში სრული საკომლოს მფლობელი გლეხები ფეოდალების სასარგებლოდ დაახლ. 450 კგ. მარცვლეულსა და 200 ლიტრ ღვინოს იხდიდნენ. დასახელებული პროდუქტების ღირებულება 1 თუმანს აჭარბებდა. „ძღვენის“, „სამასპინძლოს“ და სხვა გადასახადების ჩათვლით, გლეხების გადახდილი პროდუქტების ღირებულება, სულ მცირე, 10-12 მინალთუნს, ანუ 50-60 აბაზს შეადგენდა. მოცემულ თანხას თუ XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოჭრილ 7,5-გრამიანი აბაზების კურსზე გადავიყვანთ, გამოდის, რომ საშუალო შეძლების გლეხების საერთო ბატონყმური გადასახადების ფულადი გამოხატულება 4 მინალთუნს აჭარბებდა.[448]

მოხმობილი მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ღალა და კულუხი XI-XIII საუკუნეებში, ისევე როგორც გვიანფეოდალურ ეპო-

---

447 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 56-82.

448 ვრცლად იხილეთ : ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 214-218.

ქაში, საერთო მოსავლის 1/4-დან 1/8-მდე მერყეობდა. ცვალებადი იყო მხოლოდ ამ გადასახადის მოცულობა, რომელიც მოსავლიანობის ზრდის პარალელურად დიდდებოდა და თუ XII-XIII საუკუნეებში ფეოდალური გადასახადების საერთო ფულადი გამოხატულება დაახლ. 35 ვერცხლის 3-გრამიან მონეტას შეადგენდა, XVIII საუკუნეში 50-60 ერთეულამდე გაიზარდა.[449]

როგორც ზემოთ აღინიშნა, გლეხთა ფეოდალურ გადასახადებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა შრომამიგებითი ბეგარა, რომელიც არანაკლებ მძიმე გადასახადი იყო.

გარდა საბატონო გადასახადებისა, გლეხები სახელმწიფო გადასახადებსაც იხდიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დიდი ფეოდალი და ეკლესია-მონასტრები ნაწილობრივი თუ სრული საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდნენ. შედეგად, მათ მფლობელობაში მყოფი გლეხები აღნიშნული გამოსაღებისაგან ნაწილობრივ ან სრულად თავისუფლდებოდნენ.

ივ. ჯავახიშვილი ძირითად სახელმწიფო გადასახადად 1057/1058 წლების ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მღვიმის ლავრისადმი შედგენილ საბუთში მოხსენებულ „საჯელმწიფოის" მიიჩნევს. მისი აზრით, სახელმწიფო გადასახადს „სასეფო გამოსავალი" და ხარაჯაც ეწოდებოდა.[450] „სასეფო გამოსავალი" დავით აღმაშენებლის ანდერძში მოიხსენება,[451] ხოლო ხარაჯას თამარის უცნობი მემატიანის თხზულებაში („თავისუფალ-ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან") ვხვდებით.[452]

სახელმწიფო გადასახადს წარმოადგენდა სხვადასხვა მოხელის სასარგებლოდ დანესებული გადასახადებიც. რა თქმა უნდა, სახელმწიფო გადასახადების დიდი წილი სახასო გლეხებზე მოდიოდა. მ. ბერძნიშვილი ყურადღებას ამახვილებს „ფავნელის დაწერილის" მეორე ნაწილში არსებულ ცნობაზე, რომელშიც ფისკალურ მოხელეთა ჩამონათვალს ვხვდებით: „მითავისუფლებიან ყოველთავე ჴელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა ყოველთა დარბაზით გამოსულთა ჴელოსანთაგან". ავტორი მიუთითებს, რომ მოლარე, მეულუფე, მეჯინიბე,

---

[449] აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით გარკვეულწილად განსხვავებული სახის საბატონო გადასახადები იკრიბებოდა დასავლეთ საქართველოში. XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში გლეხები იხდიდნენ რამდენიმე კოკა ღვინოს, 1 საკლავს (ამ შემთხვევაში მოზრდილ ხბოს), საკმაო ოდენობის ღომს, იშვიათად პურს, ქათამს, კვერცხს, მცირე ოდენობის ფულად გადასახადს, „სამასპინძლოს" და ა.შ. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-474.

[450] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII, გვ. 263.

[451] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 55.

[452] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, გვ. 409.

მესაბანჯრე, მეგოდრე, მეჯამე „დარბაზით გამოსულ ჴელოსანთა“ რიცხვში შედიან.[453] უნდა აღინიშნოს, რომ საბუთის მიხედვით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, დასახელებულ „დარბაზით გამოსულ ჴელოსანთა“ მიერ შეკრებილი გადასახადები მთელ მოსახლეობას ეკისრებოდა თუ მხოლოდ სახასო ყმებს.

ბაგრატ IV-ის სიგელში, „საჴელმწიფოის“ გარდა, ვხვდებით „საერისთვო“, „სა{ციხის}თვო“, „საჴევისუფლო“, „საბანჯრო“, „საჴიდე“ და „საკოშრე“ გადასახადებსაც[454].

სიგელში მოხსენებული „საერისთავო“, „საციხისთავო“ და „სახევისუფლო“ სამოხელეო გადასახადებს წარმოადგენდა. ხოლო „საბანჯრო“ საძოვრებისა და საბალახოების სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი იყო, „საკოშრე“ სასწორის (სასწორის გამოყენებასთან, ანუ ყიდვა-გაყიდვასთან იყო დაკავშირებული), „საჴიდე“ კი ხიდით სარგებლობისას აიღებოდა.[455] დიდი ალბათობით, ყველა დაწესებულ სახელმწიფო გადასახადს, მათ შორის საქალაქო გადასახადებსაც, „დარბაზით გამოსულ ჴელოსანნი“ (მოლარე, მეულუფე, მეჯინიბე, მესაბანჯრე, მეგოდრე, მეჯამე) კრებდნენ.

დასახელებული სახელმწიფო გადასახადების ოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ალექსანდრე I დიდის მიერ დაწესებული მალის გადასახადი, რომელიც 1425 წლიდან 1440 წლამდე კომლზე 40 თეთრის ოდენობით იკრიბებოდა. განსახილველ ეპოქაში 40 თეთრი იწონიდა 14 გრამ ვერცხლს, რომელიც X საუკუნის მიწურულს მოჭრილი დაახლ. 5 დრამის ან XVIII საუკუნის II ნახევრის 5 აბაზის, ანუ 1 მინალთუნის ტოლფასი იყო.[456] დასახელებული თანხით დაახლ. 70 კგ.-მდე ხორბალის ყიდვა იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მალს, როგორც ფულად სახელმწიფო გადასახადს, სხვა ეპოქებშიც ვხვდებით.

რაც შეეხება გვიანფეოდალურ ეპოქას, XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც „დასტურლამალიდან“

---

[453] მ. ბერძნიშვილი. სახელმწიფო წყობილება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 367.

[454] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 36.

[455] „საკოშრო“ და „საჴიდე“ გადასახადები გლეხებისათვის დაწესებულ მუდმივ გადასახადს არ უნდა წარმოადგენდეს. ორივე გადასახადი, დიდი ალბათობით, ვაჭრობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და გლეხს სასწორისა თუ ხიდით სარგებლობის შემთხვევაში უნდა გადაეხადა. მსგავსი სახის გადასახადს – „საშურტაოს“ – ეხვდებით გიორგი III-ის მიერ 1170 წელს გაცემულ სიგელშიც. ამავე სიგელში მოცემულია ქალაქის მოსახლეობისათვის დაწესებული სამოხელეო გადასახადები: „საამირო“ (თბილისის მმართველის – ამირას სასარგებლოდ დანესებული გადასახადი), „საამიდო“, „სარაისო“, „სამუსტასიბო“. იხ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 68.

[456] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 303-304.

ირკვევა, გლეხები იხდიდნენ ძირითად სახელმწიფო გადასახადს – „კოდის პურს“, რომელიც მოიცავდა 2 კოდ, ანუ 60 კგ. ხორბალს, ამავე ოდენობის (2,5 რვალიტრიანი კოდი) ქერს, 1 ქათამს და გარკვეული ოდენობის ბზეს.

„კოდის პურის“ გარდა, სამეფო საძოვრების სარგებლობისათვის დაწესებული იყო „საბალახე“, „პირისთავი“ და „ნახირისთავი“. ერთ შემთხვევაში ას ცხვარზე 3 ცხვარი აიღებოდა, მეორე შემთხვევაში – ასზე ერთი, ხოლო მესამე შემთხვევაში – დიდ სოფელზე ხარი, საშუალო სოფელზე ძროხა და ა.შ.

მოსახლეობას მეფის სასარგებლოდ ეკისრებოდა „სამასპინძლო“ გადასახადის გადახდაც, რაც მეფის და მისი ამალის კონკრეტულ რეგიონში მისვლის შემთხვევაში სურსათ-სანოვაგისა და ცხენების საკვების სახით იკრიბებოდა.[457]

სახასო, ანუ სახელმწიფოს კუთვნილ გლეხებს მალიც შეეწერებოდათ, რომელიც ფულადი (22 შაური) გადასახადი იყო. იგივე კატეგორიის გლეხები სამოურავო (სამოხელეო) გადასახადსაც იხდიდნენ.[458]

„კოდის პურის“ გადასახადის ოდენობა XVIII საუკუნის II ნახევარში მცირედით შეიცვალა და 2 კოდ (კოდი – 36 კგ.) ხორბალსა და 1 კოდ ქერს, სულ 110 კგ.-მდე მარცვლეულს, შეადგენდა. აღნიშნულ ეპოქაში ფეოდალურ სახლებს საგადასახადო შეღავათები გაუუქმდათ და დასახელებული ოდენობის მარცვლეულს თითქმის ყველა სრულფუძიანი გლეხი იხდიდა.[459] XVIII საუკუნის II ნახევარში 3 კოდი ხორბლისა და ქერის ღირებულება დაახლ. 1,8 მინალთუნს უდრიდა. გარდა „კოდის პურის“ გადასახადისა, წყაროებში თითქმის მუდმივად ვხვდებით დამატებით ე.წ. „დებულებას გარდა“ დაწესებულ სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადს. ამ გადასახადების ფულადი გამოხატულება წელიწადში დაახლ. 1 მინალთუნს უტოლდებოდა.[460]

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში ფეოდალებისა და ეკლესიის საკუთრებაში მყოფი გლეხები სახელმწიფოს სასარგებლოდ 3 მინალთუნამდე (15 აბაზამდე) გადასახადს იხდიდნენ. სახასო ყმაგლეხებს სახელმწიფოს სასარგებლოდ გაცილებით მეტი გადასახადის გადახდა ეკისრებოდათ, თუმცა, ზოგადად, ფეოდალების კუთვნილ გლეხებზე ნაკლებად იბეგრებოდნენ. ფეოდალების კუთვნილ გლეხებთან შედარებით, ასევე ნაკლებ გადასახადებს იხდიდნენ

[457] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 274-276.

[458] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 303-304.

[459] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 125-133.

[460] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 109-110.

საეკლესიო გლეხებიც.

ნატურალურ და ფულად გადასახადებთან ერთად, გლეხებს სახელმწიფოს სასარგებლოდ შრომითი ბეგარაც ეკისრებოდათ, რაც გზების, ხიდების, სარწყავი არხების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-იმაგრეების და ა.შ. აგებას უკავშირდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გვიანფეოდალურ ეპოქაში გლეხები საომარ მოქმედებებშიც სისტემატურად მონაწილეობდნენ.

გარდა ფეოდალური და სახელმწიფო გადასახადებისა, მოსახლეობის ქვედა ფენებს ხშირ შემთხვევაში უცხოელი დამპყრობლებისათვის ხარკის გადახდაც ეკისრებოდათ, რაც ძალიან ართულებდა საერთო მდგომარეობას. მსგავსი მოვლენებიდან გამოსაყოფია შემდეგი ფაქტები: VII საუკუნის შუა ხანებიდან X საუკუნის ჩათვლით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა დროგამოშვებით არაბულ ხარკს – ჯიზიას (კომლზე 1 დინარი) და ხარაჯას (საადგილმამულო გადასახადი) – იხდიდა;[461] 1083 წლიდან მოსახლეობას მძიმე სელჩუკური გადასახადის – ხარაჯას გადახდა დაეკისრა.[462] სელჩუკური ხარკის გადახდა 1099 წელს დავით IV აღმაშენებლის ძალისხმევით შეწყდა;[463] 1254-1256 წლებში მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერის შემდგომ საქართველოს მოსახლეობას, მძიმე სამხედრო ბეგარის გარდა, მრავალი სახის გადასახადი დაეკისრა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მალი, რომელიც მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდას (ნატურით და ფულით) ითვალისწინებდა. მონღოლებმა დააწესეს სხვა გადასახადებიც, მათ შორის ყაფჩერი („საბალახე" გადასახადი), ულუფა („ძღვენის" მსგავსი გადასახადი) „თაღარი" (ჯარის პროდუქტების მომარაგებასთან დაკავშირებული გადასახადი) და სხვა, რომელთა ნაწილს სოფლის მოსახლეობა, ნაწილს კი ქალაქებში მცხოვრებლები იხდიდნენ.[464] მონღოლური ხარკისაგან ქვეყანა XIV საუკუნის I მესამედში განთავისუფლდა; საქართველოს სახელმწიფო უცხოელი დამპყრობლების სასარგებლოდ პერიოდულად XIV-XV საუკუნეებშიც იხდიდა ხარკს;[465] XVI საუკუნის მიწურულს ოსმალთა მიერ სამცხე-საათა-

---

[461] ა. ბოგვერაძე. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გვ. 286, 289.

[462] მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 205-206.

[463] რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. თბ. 1986, გვ. 80-83.

[464] ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40- XIV ს. 10-იანი წწ.). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 559-569.

[465] ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 744-748.

ბაგოს დაპყრობის შემდგომ თითქმის ყველა ქართული გადასახადი გაუქმდა და დაწესდა საოსმალო გადასახადი, რომელიც მოწეული მოსავლის მეხუთედს მოიცავდა;[466] XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ხშირად ოსმალების სასარგებლოდ იხდიდა ხარკს, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა კი – ირანელთა სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში ირანული ხარკი – „საური" – არცთუ დიდი იყო და ერთ კომლზე 14 შაურს, ანუ 3,5 აბაზს (აბაზი=7,5 გრ.) შეადგენდა;[467] 1724-1735 წლებში ქართლის სამეფოს მოსახლეობა ოსმალებმა დახარკეს;[468] XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იან წლებში კი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ნადირ-შაჰის მიერ დაწესებულ დიდ ხარკს იხდიდა.[469]

ამდენად, საუკუნეების განმავლობაში უცხოელი დამპყრობლების სასარგებლოდ გადახდილი ხარკი საგრძნობლად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უცხოური ხარკისაგან საბოლოოდ 1749 წლიდან განთავისუფლდა, ხოლო იმერეთის სამეფო – XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

---

[466] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 12.

[467] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 273.

[468] იხ.: 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. I; II.

[469] დ. მეგრელაძე. ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 447-453.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის დიდებულებისა თუ აზნაურების მფლობელობის შესახებ დეტალური ცნობები არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემების საფუძველზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა მაინც შესაძლებელია.[470]

„რკონის დაწერილის" მიხედვით, XIII საუკუნის შუა ხანებში დაახლ. 65-70 კომლით[471] დასახლებული სოფელი 65 000 თეთრად გაიყიდა. ამ შემთხვევაში სოფლის ღირებულებაში არა მხოლოდ იქ მცხოვრები ყმა-გლეხები და მათ სარგებლობაში არსებული მიწები იგულისხმებოდა, არამედ – ზვარ-ხოდაბუნები, სათიბ-საძოვარი მინდვრები, ტყე, მდინარე, წისქვილები, მარანი, ბეღელი, სასახლე და ა.შ.

აღნიშნული საბუთის შემდგენლის – კახა თორელის სიტყვით, მონღოლური ხარკის სიდიდის გამო იმ პერიოდში „ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად". მონღოლთა ბატონობით გამოწვეულ დევალვაციამდე ყმა-მამულის ფასი დაახლ. 20-30%-ით ძვირი მაინც უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში დასახელებული სოფლის ღირებულება 80 ათასი თეთრის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ. ამდენად, 60-70 კომლით დასახლებული 1 სოფლის მფლობელი ფეოდალის ქონების ღირებულება 65-80 ათას თეთრს უტოლდებოდა. ხოლო 10-15 მსგავსი სიდიდის სოფლისა და ამ სოფლებში მოსახლე 600-1000 კომლი გლეხის მფლობელი დიდებულის ქონება დაახლ. 600 ათასიდან 1 მილიონზე მეტ თეთრად იქნებოდა შეფასებული.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში ზოგიერთი დიდებული გაცილებით დიდი ოდენობის ყმა-მამულის მფლობელად გვევლინება. მაგალითად, დიდი ქონების მფლობელები იყვნენ მხარგრძელთა საგვარეულოს წევრები. საინტერესოა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ქართველთა ჯარის მიერ ხლათის გარემოცვის დროს ტყვედ ჩავარდნილი ივანე ათაბაგის გამოხსნა დიდძალი ტყვეების გათავისუფლების, ციხეების დაბრუნების და 100 000 ოქროს

---

[470] ქართული საფეოდალოების შესახებ იხილეთ: დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1955; ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. I-II; გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სომხით-საბარათიანოს სათავადოები. თბ. 1955; მ. ქიქოძე. ქართული სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII სს. საამილახვრო. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკე. 35. თბ. 1963, გვ. 97-113; ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ. 1966; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003 და სხვ.

[471] დასახელებული სოფლის მოსახლეობის ოდენობის შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 196-200.

დინარის გადახდის შემდეგ მოხერხდა.[472] აღნიშნულ ეპოქაში 100 000 ოქროს დინარი 1 200 000-ზე მეტ დრამას (დრამა=3 გრ.) შეიცავდა. ამდენად, ივანე ათაბაგის გამოსახსნელად მხოლოდ 60-70 კომლით დასახლებული 15-20 სოფლის ღირებულების თანხა გადაუხდიათ. ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად მხარგრძელთა ფეოდალურმა სახლმა გაიღო აღნიშნული თანხა, თუ ქართულმა სახელმწიფომ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში დიდძალ გამოსასყიდთან გვაქვს საქმე, რაც ხაზს უსვამს ივანე ათაბაგის, როგორც ფეოდალის და სახელმწიფო მოხელის, სიდიადესა და ქონებრივ შესაძლებლობებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი რაოდენობით სოფლებსა და ყმა-გლეხებს ფლობდა ეკლესიაც.[473]

შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა გვაძლევს საშუალებას, რომ XVII-XVIII საუკუნეების ფეოდალების მფლობელობას უფრო დეტალურად გავეცნოთ. თავდაპირველად სხვადასხვა ეპოქაში ფეოდალების ქონების შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ XIII საუკუნეში სოფლის დადასტურებული ღირებულება – 65 000 თეთრი, XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისის საფასის გათვალისწინებით, 465-470 თუმნის ეკვივალენტური იყო. ხოლო ივანე ათაბაგის გამოსახსნელად გადახდილი დაახლ. 1 200 000 დრამა (დრამა=3 გრ.)[474] XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისის დაახლ. 9600 თუმანს უტოლდებოდა.

დასახელებული ეპოქის თავადების ქონების შეფასება, ერთი მხრივ, XVI საუკუნეში არსებულ ვითარებასაც წარმოაჩენს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენას შეგვიქმნის XI-XV საუკუნეების დიდებულის თუ აზნაურის მფლობელობაზეც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გლეხისა და საგლეხო ფუძის ფასი XI საუკუნიდან ეტაპობრივად იზრდებოდა და XVII-XVIII საუკუნეებისათვის დაახლოებით 2,5-3-ჯერ აღემატებოდა X-XIII საუკუნის ფასებს. ამდენად, პირობითად XI საუკუნეში 1000 კომლი ყმა-გლეხის მფლობელი ფეოდალის ქონება დაახლ. 1,5-1,7-ჯერ ნაკლები ფულადი თანხით შეფასდება XV საუკუნეში იმავე ოდენობის ყმების მფლობელი ფეოდალის ქონებასთან, ხოლო 2,5-3-ჯერ

---

[472] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. № 2. თბ. 1974, გვ. 178.

[473] სატაძრო მფლობელობის შესახებ იხილეთ: ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები. თბ. 1966; საქართველოს საპატრიარქო და მისი მინათმფლობელობა. თბ. 2010.

[474] უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ეპოქის ქართული წყაროების მიხედვით საფასეს ენოდებოდა თეთრი და არა დრამა, თუმცა, რადგან თეთრის წონა, ზოგადად, 3 გრამზე ნაკლები იყო, ხოლო XII საუკუნეში „ვერცხლის კრიზისის“ გამო მხოლოდ სპილენძის მონეტები იჭრებოდა (რომელსაც ვერცხლის მონეტების კურსი უნდა ჰქონოდა), ვერცხლის ფულს ჩვენ პირობითად დრამად მოვიხსენიებთ.

ნაკლებად – XVII-XVIII საუკუნეებში 1000 კომლის მფლობელი თავადების ქონებასთან შედარებით.

გვიანფეოდალური ეპოქის ქართლის სამეფოში ვახტანგის სამართლის მიხედვით, ფეოდალების შემდეგი კატეგორიებია გამოყოფილი: 1. დიდებული თავადი, 2. „შუა თავადი", 3. „მესამე თავადი", 4. „გადიდებული აზნაური", 5. „შუა აზნაური", 6. „ცალმოგვი, ანუ მესამე აზნაური".

დიდებული თავადები დიდ სათავადო სახლებს ხელმძღვანელობდნენ. ქართლის სამეფოში ასეთი დიდი სათავადოები საამილახვრო, სამუხრანბატონო, საციციანო, საყაფლანიშვილო, ქსნის საერისთავო და არაგვის საერისთავო იყო.

აღნიშნული ექვსი სათავადო სახლის უფროსი პირველი ხარისხის, ანუ „დიდებული თავადის" რანგში გადიოდა. მათ ქვემოთ მდგომი თავადები წარმოადგენდნენ მეორე ხარისხის, ანუ „შუა თავადის" კატეგორიას, ხოლო „შუა თავადზე" ნაკლები შეძლებისანი – „მესამე თავადს".

ანალოგიურ დაყოფას ვხვდებით აზნაურების შემთხვევაშიც.[475]

მოსახლეობის აღწერის დავთრებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია დიდი სათავადო სახლების უძრავი ქონებისა და ყმა-გლეხების მიახლოებითი ღირებულების გამოთვლა. თავდაპირველად განვიხილავთ ქართლის ერთ-ერთი დიდი სათავადოს – საამილახვროს საერთო მფლობელობას.

XVII საუკუნის II ნახევრის აღწერის დავთრის მიხედვით, საამილახვროში ცხოვრობდა 901 კომლი გლეხი. სათავადოში ყმა-მამულები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: ყმა-გლეხების ნაწილი ამილახვრებს დაქვემდებარებულ სამთავისის ეპისკოპოსს (სამთავნელს), ასევე ნათლისმცემლის მონასტერსა და შიო-მღვიმეს, ნაწილი კი ამილახვრის რამდენიმე ათეულ ყმა აზნაურს ეკუთვნოდა. 400 კომლი გლეხი კი საამილახვროს საერთო საკუთრებას[476] წარმოადგენა, საიდანაც 350-ზე მეტი „მესაურე", ანუ გადასახადის გადამხდელი „მამულიანი" გლეხი იყო, დანარჩენი – „ბოგანოები".[477] სათავადოს კუთვნილი ყმების მრავალმხრივი შიდა განაწილების მიუხედავად, ყმა-მამულების მთელი ფონდი ამილახვრების საკუთრებად ითვლებოდა. რადგან ჩვენ ვიცით გლეხისა და მისი „საქონებელის"

---

[475] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[476] დიდ სათავადოებში ქონების ძირითადი ნაწილი ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობაში იყო მოქცეული და მას „სახლის უფროსი" (თავადი) განაგებდა. საერთო ყმა-მამულების გარდა, „სათავისთავო" და „საუფლისწულო" ქონებაც არსებობდა. „სათავისთავო" ოჯახის ცალკეული წევრების (თავადიშვილის) პირად საკუთრებას, ხოლო „საუფლისწულო" დროებით სარგებლობაში არსებულ ქონებას წარმოადგენდა.

[477] იხ.: ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს.-ნის II ნახევრისა.

ფასი, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია საამილახვროს ყმების ღირებულების განსაზღვრა. როგორც აღინიშნა, საშუალო შეძლების გლეხი XVII-XVIII საუკუნეებში 10-14 თუმნად ფასობდა, ამდენად, ამილახვრების სათავადოში მცხოვრები 901 გლეხისა და მათ სარგებლობაში არსებული მიწების მიახლოებითი ღირებულება 10-12 ათასი თუმნის ფარგლებში იქნებოდა.

დიდი სათავადოს ქონება, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ყმა-გლეხების „საქონებელით" არ შემოიფარგლებოდა. ამილახვრებს ყმები 30-მდე სოფელსა და ქალაქებში – გორსა და თბილისში ჰყავდათ.[478] რადგან ამილახვრების ყმა-მამული ორ ათეულზე მეტ სოფელში (სოფლების ერთი ნაწილი მხოლოდ ამილახვრების მფლობელობაში იყო, ხოლო სოფლების ნაწილს სხვა მემამულეებთან ერთად ფლობდნენ) იყო გადანაწილებული, ცხადია, აღნიშნული სოფლების ველ-მინდვრები, ტყეები, მდინარეები, წისქვილები, ზვარ-ხოდაბუნები და სხვა სავარგულები მათ საკუთრებაში იყო და მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სათავადოში რამდენიმე დიდი თუ მცირე ციხესიმაგრე, ეკლესიები და სასახლეები მდებარეობდა, ასევე ამილახვრების რამდენიმე ათეული ყმა აზნაური ცხოვრობდა, უხეში გამოთვლით, სათავადოს მთლიანი ქონება ყმა-გლეხთა კომლების საერთო ღირებულებაზე ორჯერ მეტი მაინც უნდა ყოფილიყო. ამდენად, ამილახვართა ფეოდალური სახლის ყმა-გლეხებისა და უძრავი ქონების ღირებულება, სულ მცირე, 20 000 თუმნად მაინც უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება ყმა-გლეხებისაგან მიღებულ ყოველწლიურ შემოსავლებს, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: 901 კომლი ყმა-გლეხის მფლობელობის მიუხედავად, საამილახვროს აზნაურებისა და ეკლესია-მონასტრების ყმები საბატონო გადასახადებს თავიანთი უშუალო ბატონებს უხდიდნენ (აზნაურებს, მონასტრებს).[479] ამილახვრების ფეოდალურ სახლს კი გადასახადებს დაახლ. 400 კომლი უხდიდა, მათგან 50-ზე მეტი ბოგანო იყო.[480] მათ მიერ წლიურად პროდუქტების სახით გადახდილი გადასახადების ღირებულება დაახლ. 1400 მინალთუნი იყო. გარდა გლეხების გადახდილი გადასახადებისა, სათავადო სახლის შემოსავლებში უნდა

---

[478] დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 120.

[479] აზნაურს რთულად, თუმცა მაინც შეეძლო თავადისაგან წასვლა. ასეთ შემთხვევაში, „ნასყიდობის" გარდა, მისი კუთვნილი ყმა-მამულები თავადს რჩებოდა. იხ.: გ. აკოფაშვილი. აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 32. თბ. 1955, გვ. 85-110.

[480] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს.-ნის II ნახევრისა, გვ. III.

გავითვალისწინოთ ზვარ-ხოდაბუნებისგან მიღებული მოსავლის საფასური, ფეოდალური საბაჟოებიდან შეკრებილი გადასახადები და სხვა სახის შემოსავლები. საერთო ჯამში, ყმა-მამულებიდან საამილახვროს წლიური შემოსავალი 2500-3000 მინალთუნის, ანუ 250-300 თუმნის ოდენობით უნდა განისაზღვროს.

საამილახვროს მსგავსი სიდიდის სათავადო სახლებს წარმოადგენდა სამუხრანბატონო და საციციანო. შესაბამისად, აღნიშნული ფეოდალური სახლების მფლობელობა და შემოსავლები დაახლოებით ანალოგიური იყო.

რაც შეეხება საყაფლანიშვილოს, დასახელებული სათავადოს ყმა-მამულები საამილახვროს მფლობელობას აჭარბებდა. XIX საუკუნის მონაცემებით, ყაფლანიშვილ-ორბელიანების საკუთრებაში 180 000-მდე ჰა. ფართობი იყო, რომლის დიდი ნაწილი საძოვრებს წარმოადგენდა. ყაფლანიშვილებს სულ 164 სოფელი ეკუთვნოდათ. სოფლების ნაწილი დაუსახლებელი იყო, ზოგიერთ სოფელში კი ძალიან ცოტა მოსახლეობა ცხოვრობდა. 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერიდან ვიგებთ, რომ სათავადო სახლის საერთო ყმების რიცხვი ყოფილა 1213, მათ შორის 972 გამომღები და 241 ბოგანო. 155 კომლი კი საერთო მფლობელობაში არ შედიოდა და ყაფლანიშვილების მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების საკუთრებას წარმოადგენდა. 1213 საერთო ყმიდან დაახლ. 350 კომლი ყაფლანიშვილთა რამდენიმე ათეული ყმა-აზნაურის საკუთრება იყო.[481] შესაბამისად, სათავადოს საერთო ყმებისა და მათი საკომლოების ფასი 12 000 თუმანზე მეტი იქნება. დასახელებულ თანხას თუ დავუმატებთ ყაფლანიშვილთა სახლის წევრების კერძო მფლობელობაში მყოფ 155 ყმასა და მათ „საქონებელს“, ყმების საერთო ღირებულება დაახლ. 13 550 თუმანს გადააჭარბებს. ხოლო ზვარ-ხოდაბუნების, საძოვრების, ტყეების, სასახლეების, წისქვილების, ზეთსახდელების და ა.შ. ჩათვლით, ფეოდალური სახლის ქონება დაახლ. 27 000 თუმნის ღირებულების იქნებოდა.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სათავადო სახლს ჰქონდა ძალიან დიდი ფართობის სახნავ-სათესი მიწების „რეზერვები“ და საძოვრები. ზოგადად, ფეოდალურ ეპოქაში მიწას შესაფერისი ღირებულება იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ გლეხებით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ სათავადო სახლის სარეზერვო მიწის ფონდი იმ პერიოდში რეალურ ფასთან შედარებით, ნაკლებად ფასობდა, საყაფლანიშვილოს საერთო ქონების პოტენციური ღირებულება 27 000 თუმანზე გაცილებით დიდი იქნებოდა და 40 000 თუმანს გადააჭარბებდა. წლიური შემოსავლები კი, სულ მცირე, 4500

[481] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. I-II, გვ. 138-156.

მინალთუნით უნდა განისაზღვროს.

XVII-XVIII საუკუნეებში არაგვისა და ქსნის ერისთავები დიდი ოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ. აღნიშნულ ეპოქაში თითოეულ საერისთავოში დაახლ. 3000 კომლი ეთნიკურად ქართველი და ოსი მოსახლეობა სახლობდა. მათი დიდი ნაწილი მთიან ზოლში ცხოვრობდა, რომელთაც მწირი მეურნეობა გააჩნდა. ერისთავების საერთო ყმებიდან მხოლოდ მეოთხედი ცხოვრობდა ბარის რაიონებში.

ყველა მონაცემის გათვალისწინებით, თითოეული საერისთავოს საერთო ქონება დაახლ. 30-35 ათასი თუმნით უნდა განისაზღვროს. ყმა-გლეხთა გადასახადებიდან, ფეოდალური მეურნეობიდან და საბაჟოებიდან საერისთავოების ყოველწლიური შემოსავლები, საყაფლანიშვილოს მსგავსად, 4000-4500 მინალთუნის ფარგლებში უნდა მოვიაზროთ.

ერთი სიტყვით, ქართლის დიდი სათავადოების ყმა-მამულებისა და უძრავი ქონების ღირებულება 20-35 ათას თუმანს შეადგენდა.

ყველა კატეგორიის ფეოდალის ადგილი საზოგადოებაში ყმა-გლეხებისა და მიწის მფლობელობის შესაფერისი იყო. მაგალითად, მეორე ხარისხის თავადთა კატეგორიაში გადიოდნენ მაჩაბლების, აბაშიძეების, ჯავახიშვილების და სხვა ფეოდალური სახლის უფროსები, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი დიდი სათავადო სახლის გვერდითი შტოს წევრები – თავადიშვილები.

მეორე ხარისხის თავადები საშუალოდ 100-250 კომლ ყმა-გლეხს ფლობდნენ, ხოლო მათი ყმებისა და უძრავი ქონების ღირებულება დაახლოებით 2000-4000 თუმანს შეადგენდა. დროთა განმავლობაში აღნიშნული ფეოდალური სახლები იყოფოდა. ოჯახის გაყრის შედეგად, ყმა-მამულები რამდენიმე ფეოდალური სახლის ხელში ნაწილდებოდა.

მცირე მემამულე თავადების საკუთრებაში მხოლოდ რამდენიმე ათეული, ზოგჯერ უფრო ნაკლები ყმა იყო. მცირე მემამულეებს ციხესიმაგრეები, სასახლეები და ეკლესიები ან არ გააჩნდათ, ან მცირე რაოდენობით ფლობდნენ. მათ ხელში არც ბევრი სოფელი და მისი ველ-მინდვრები იყო. მცირე ყმა-მამულის მფლობელ თავადებს აზნაურებიც ცოტა ჰყავდათ. შესაბამისად, 50-ზე ნაკლები ყმა-გლეხის მფლობელი ფეოდალის ქონება 1000 თუმანზე ნაკლები იყო. მცირე იყო მათი ყოველწლიური შემოსავლებიც.

რაც შეეხება აზნაურების ქონებას, როგორც აღინიშნა, XV-XVIII საუკუნეებში ისინიც ყმების მფლობელობის მიხედვით იყოფოდნენ „გადიდებულ აზნაურად“, „შუა აზნაურად“ და „ცალმოგვ აზნაურად“. აზნაურები სამეფო, სათავადო და საეკლესიო საკუთრებას წარმოადგენდნენ[482] და მცირე ოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ.

[482] აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ვრცლად იხილეთ: გ. აკოფაშვილი.

XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რაც XVII-XVIII საუკუნეების ვითარებასაც უნდა ასახავდეს, მათ უმეტესობას 2-3 ყმა-გლეხი ჰყავდა. შედარებით მცირე ნაწილი 10 და მეტი კომლის მებატონედ გვევლინება. ზოგიერთი მათგანი კი 20 და 30 ყმა-გლეხსაც ფლობდა. აზნაურებს, ყმა-გლეხების გარდა, სახნავ-სათესი მიწებისა და ვენახის სახით საკუთარი მეურნეობაც ჰქონდათ. ზოგიერთი მხოლოდ რამდენიმე დღიური მიწის მესაკუთრე იყო, უმეტესი – 20-დან 150 დღიურამდე, ხოლო ერთეულები – 1000 დღიურამდე მიწას ფლობდნენ. იყვნენ უმიწო აზნაურებიც.[483]

ამდენად, 18-30 კომლი ყმა-გლეხის მფლობელი აზნაურის ქონება, რამდენიმე ათეული დღიური საკუთარი მიწის ფართობისა და ვენახის ღირებულებასთან ერთად, თანხობრივად დაახლ. 250-500 თუმანს შეადგენდა, იშვიათ შემთხვევაში კი მეტს; 6-15 ყმა-გლეხის მებატონე აზნაურის ქონება 100-200 თუმანს უტოლდებოდა, ხოლო 2-5 ყმა-გლეხის მფლობელი აზნაურის ქონება, საკუთარ მცირე მეურნეობასთან და სახლ-კართან ერთად, 40-100 თუმანს უდრიდა.

ერთი სიტყვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში (სავარაუდოდ, XVI საუკუნეშიც) ფეოდალების საკუთრებაში მყოფი ყმა-გლეხებისა და მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება ასე გამოიყურება: გაუყრელი დიდი სათავადო სახლები – 20-35 ათასი თუმანი, „შუა თავადები" – საშუალოდ, 2000-4000 თუმანი, „მესამე თავადები" – საშუალოდ, 1000 თუმანი და უფრო ნაკლები; „გადიდებული აზნაურები" – საშუალოდ, 250-500 თუმანი, „შუა აზნაურები" – საშუალოდ, 100-200 თუმანი, „ცალმოგვი აზნაურები" – საშუალოდ, 40-100 თუმანი და უფრო ნაკლები.[484]

უნდა აღინიშნოს, რომ თავად-აზნაურების ქონებრივი მდგომარეობა ნაჩვენებია ქართლის სამეფოს მაგალითზე. ამ მხრივ კახეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში გარკვეულ განსხვავებებს ვხვდებით. კერძოდ, განსახილველი ეპოქის კახეთში დიდი გაუყოფელი სათავადო სახლები პრაქტიკულად არ არსებობდა.[485] კახეთის დიდი ფეოდალების, მათ შორის ჩოლოყაშვილების, ანდრონიკაშვილების, მაყაშვილების და ა.შ. ყმები გადანაწილებული იყვნენ რამდენიმე ოჯახს შორის. შედეგად,

---

აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში, გვ. 85-110.

[483] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 40-49.

[484] ფეოდალების ქონების ოდენობის შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 223-236.

[485] ვრცლად იხილეთ: ნ. ასათიანი. საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში. თსუ-ს შრომები. ტ. 77. თბ. 1959, გვ. 27-55.

კახეთში ყველაზე გავლენიანი ფეოდალური სახლები, მაქსიმუმ, რამდენიმე ასეული (100-300) ყმის მებატონეებად გვევლინებოდნენ.[486] კახეთის ყველაზე დიდი ფეოდალები ქართლის „შუა თავადის" მსგავს ქონებას ფლობდნენ.

დასავლეთ საქართველოს სამთავროების დიდი თავადების ქონების ოდენობაც მკვეთრად ჩამორჩებოდა ქართლის სამეფოს თავადების მფლობელობის მასშტაბებს. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, ქართლის მსგავსად, დიდი სათავადოები აქაც არსებობდა. წერეთლები და სხვა გაუყოფელი ფეოდალური სახლები მნიშვნელოვანი რაოდენობის ყმა-გლეხს ფლობდნენ,[487] თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განსახილველ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გლეხი და უძრავი ქონება შედარებით იაფად ფასობდა.

რაც შეეხება მესამე ხარისხის თავადებსა და აზნაურებს, მათი მფლობელობა სხვა სამეფო-სამთავროებში დაახლოებით ქართლის სამეფოს ანალოგიური იყო.

ქართლის თავადების მფლობელობა, გარკვეულწილად, შეიცვალა XVIII საუკუნის შუა ხანებსა და ამავე საუკუნის მეორე ნახევარში. ცვლილება, ძირითადად, დიდ და, გარკვეულწილად, საშუალო სათავადო სახლებს შეეხო. აღნიშნული ცვლილებები ორმა ფაქტორმა განაპირობა: I. „ოსმალობის" და „ყიზილბაშობის" მიზეზით მკვეთრად შემცირდა ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა. არა იმავე ტემპით, მაგრამ შიდა ქართლშიც შემცირდა მოსახლეობა. შედეგად, დიდად დაზარალდა საყაფლანიშვილო, საციციანო და მათ მეზობლად არსებული შედარებით მცირე სათავადოები. ყმა-გლეხთა რიცხვი შემცირდა სამუხრანბატონოსა და საამილახვროშიც; II. ერეკლე II-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, სათავადოებმა დაკარგეს პოლიტიკური იმუნიტეტი. ქვეყანაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარება, რაციონალური მეურნეობების გაჩენა და პარალელურად ფეოდალური სახლების საერთო მამულების დეგრადაცია, ძირს უთხრიდა სათავადოთა ეკონომიკურ ძლიერებას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაიწყო სათავადო სახლების რღვევა. ამ პერიოდში თვალშისაცემია თავად-აზნაურთა ქალაქისაკენ სწრაფვაც. თბილისში XVIII საუკუნის მიწურულში 70-ზე მეტი თავადი ცხოვრობდა. მათ აღარ აკმაყოფილებდათ საერთო მამულიდან მიღებული რენტა და ცდილობდნენ ინდივიდუალური – „სათავისთავო" ქონების შექმნას. XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოში სათავა-

[486] იხ.: XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთარი. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I, გვ. 9-104.

[487] იხ.: ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). II. თბ. 1981.

დო სახლების რღვევისა და ინდივიდუალური მეურნეობის მასობრივი ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო. ვხვდებით მამულების გადანაწილების ფაქტებს ფავლენიშვილთა, ყორჩიბაშიშვილთა, აბაზაძეთა, მაჩაბელთა, გურამიშვილთა, ანდრონიკაშვილთა, ფალავანდიშვილთა, ხიმშიაშვილთა, თუმანიშვილთა, ჩოლოყაშვილთა, რატიშვილთა, დავითიშვილთა, ამირეჯიბთა, თაქთაქიშვილთა, გერმანოზიშვილთა, გარსევანიშვილთა, დიასამიძეთა, ავალიშვილთა, ბეგთაბეგიშვილთა, ჯავახიშვილთა, თარხნიშვილთა, ხერხეულიძეთა და სხვა საშუალო სიდიდის სათავადო სახლებში.[488]

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ ექვს დიდ სათავადო სახლს, ცვლილება მათაც შეეხოთ. კერძოდ, თუ, ერთი მხრივ, აღნიშნული სახლების ყმა-გლეხების ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მეორე მხრივ, იმუნიტეტის დენონსაციამ, ცხადია, დიდ სათავადოთა შიდა მფლობელობაზეც იმოქმედა. პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევის ფონზე, სათავადოთა ერთიანობა აღარ იყო ძველებურად აქტუალური. ამავე დროს, არარაციონალურად დამუშავებული საერთო მამული ველარ უზრუნველყოფდა თავადიშვილთა მოთხოვნებს და, მიუხედავად გვარის გაუყოფლობის ძირძველი ტრადიციისა, ჩანს, რომ ამ პერიოდში დიდი სათავადო მამულები, ფაქტობრივად, რამდენიმე სახლის წევრთა შორის ნაწილდება.

სათავადო სახლის ფორმალური ერთიანობის შენარჩუნების მიუხედავად, XVIII საუკუნის II ნახევარში ყაფლანიშვილების ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ფლობდნენ ყმა-მამულებს – დამოუკიდებელ მფლობელებად გვევლინებიან დავით სარდალი, ვახტანგ ყაფლანიშვილი, ზაალ ყაფლანიშვილი და ოჯახის სხვა წევრები.[489] თითოეული მათგანი ფლობდა 100-დან 250-მდე ყმა-გლეხს. შესაბამისად, ყველაზე მეტი ყმა-გლეხის მესაკუთრე ყაფლანიშვილის, ამ შემთხვევაში დავით სარდლის ქონება დაახლოებით ხუთჯერ ნაკლები ღირებულების იყო წინა ეპოქის ერთიანი ფეოდალური სახლის ქონებასთან შედარებით.

საციციანო სათავადო სახლი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაიყო ზემო და ქვემო ციციშვილებად. დროთა განმავლობაში სათავადოს ერთიანი ქონება ათზე მეტ ოჯახში გადანაწილდა. ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში თითოეულ ციციშვილთა ოჯახის ქონება მეორე ხარისხის თავადის ქონებას უტოლდებოდა.

საყაფლანიშვილოს მსგავსად, ფორმალური ერთიანობა შენარჩუნდა საამილახვროსა და სამუხრანბატონოში, მაგრამ მათი ქონე-

[488] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 179-181.

[489] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 181-187.

ბაც მკვეთრად შემცირდა. საამილახვროს ყმა-გლეხთა რაოდენობის გარკვეული შემცირება გამოიწვია „ოსმალობა-ყიზილბაშობის" დროინდელმა მოვლენებმა. ამასთან, 1765 წლის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ, ერეკლე II-მ მოახდინა დემეტრე ამილახვრიშვილის წილი ყმა-მამულის კონფისკაცია, რის შედეგადაც საამილახვროს სოლიდური ნაწილი სამეფო მამულად გამოცხადდა.[490] ასევე საამილახვროში გაძლიერდა ოჯახის წევრთა კერძო მფლობელობა და დაახლ. 150 კომლ გლეხს თავადიშვილები ფლობდნენ. აღნიშნული მოვლენების ფონზე, 1791 წლის საამილახვროს დავთრის მიხედვით, ფეოდალური სახლის „საერთო" ქონება მხოლოდ 300 კომლი გლეხით შემოიფარგლებოდა, რომელთა ნაწილი აზნაურებს, ნაწილი ეკლესია-მონასტრებს ექვემდებარებოდა.[491] ერთი სიტყვით, წინა ეპოქასთან შედარებით, XVIII საუკუნის II ნახევარში ამილახვართა ერთიანი ფეოდალური სახლის ქონება დაახლოებით სამჯერ შემცირდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში რამდენჯერმე შემცირდა მუხრანბატონების სახლის ქონებაც. ამ პერიოდში მათ მფლობელობაში დაახლოებით 250-300 კომლი ყმა-გლეხი იყო.[492]

რაც შეეხება ყმა-გლეხების სიმრავლით გამორჩეულ ქსნისა და არაგვის საერისთავოებს, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ აღნიშნული საერისთავოები გააუქმეს და სამეფო მამულად გამოაცხადეს.

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში დიდ ფეოდალთა ქონება მნიშვნელოვნად შემცირდა, სამაგიეროდ, მკვეთრად გაიზარდა სამეფო საკუთრებაში არსებული ყმა-მამულების რაოდენობა.[493] აღნიშნულ პერიოდში ქართლის დიდი თავადები ქონებრივი კუთხით, პრაქტიკულად, გაუთანაბრდნენ კახეთის თავადებს.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი საუკუნეების განმავლობაში ფეოდალები სოლიდურ ქონებას ფლობდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის დიდებულებსა და შემდგომი დროის დიდ თავადებზე. მათი ეკონომიკური მდგომარეობა ფეოდალურ ხანაში მყარი იყო. მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო დიდი სათავადო სახლების ქონების შემცირება და, შესაბამისად, მათი პოლიტიკური უფლებების შეკვეცა.

---

[490] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 519-525.

[491] იხ.: შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. ტექსტები გამოსცა და შესავალი დაურთო ა. თაბუაშვილმა. თბ. 2010, გვ. 59-100.

[492] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 195-198.

[493] ფეოდალებისა და სახელმწიფოს ყმა-გლეხთა ოდენობების შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 105-108.

„სისხლის ფასები“ და სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების ტემპები ფეოდალური ხანის საქართველოში

საგლეხო მეურნეობის განხილვამ გვიჩვენა, რომ გლეხებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების საბაზრო ღირებულებამ XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე დაახლოებით 2,5-3-ჯერ მოიმატა, რაც, დიდწილად, მოსავლიანობის ზრდით იყო განპირობებული. პარალელურად გაიზარდა როგორც საგადასახადო საწყაოების მოცულობა, ისე ფეოდალური გადასახადები. რადგან დასახელებულ საუკუნეებში საქართველოში ინფლაცია პრაქტიკულად არ შეინიშნება, აღნიშნული მონაცემები სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარებას უნდა ასახავდეს. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის შესაფასებლად საინტერესოა ფეოდალური საზოგადოების წევრების „სისხლის ფასების“ განხილვა.

ადრე შუა საუკუნეების ევროპაში დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო ფულადი კომპენსაცია, რომელიც დამოკიდებული იყო ვერგელდის (ადამიანის ფასის) ოდენობაზე. ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, დანაშაულის საზღაურად დაწესებული იყო დაზარალებულის „სისხლის“ ფასის შესაფერისი კომპენსაცია. აღნიშნული ნორმა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე შენარჩუნდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მხოლოდ „სისხლის ფასის“ ოდენობა. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში „სისხლის ფასი“ დამოკიდებული იყო სოციალურ სტატუსსა და სახელმწიფო თანამდებობაზე. სოციალური სტატუსის განსაზღვრისათვის კი უმთავრესი იყო ქონებრივი მდგომარეობა. თუ ფეოდალი ქონების დიდ ნაწილს დაკარგავდა, იცვლებოდა მისი „სისხლის“ ღირებულებაც. მაგალითად, ვახტანგის სამართლის მიხედვით, დიდებული თავადის „სისხლის“ ღირებულება 1536 თუმანს შეადგენდა, სხვა ადგილას კი კანონმდებელი ხაზს უსვამდა დიდებულის სტატუსს: „დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ორბელიშვილი. როსცა გაუყრელი ყოფილა, – ციციშვილიც ამათთან. ამათთან კი არა და, – სომხითის მელიქიც ითქმის“.[494] როგორც ვხედავთ, 1536 თუმნად შეფასებული იყო იმ დიდებული თავადების „სისხლი“, რომლებიც გაუყოფელ, ერთიან მამულს ფლობდნენ. თუ გაყოფისას ერთიანი ქონება ოჯახის წევრებს შორის დანაწილდებოდა, ქონების შემცირებით, ბუნებრივ-

[494] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 490.

ია, მათი სტატუსიც დაემცრობოდა, რაც „სისხლის ფასზეც" აისახებოდა. სწორედ აღნიშნულ გარემოებას მიუთითებდა კანონმდებელი ციციშვილთა შესახებ: „როსცა გაუყრელი ყოფილა, – ციციშვილიც ამათთან", ანუ ქონებრივი გადანაწილებით ციციშვილების სოციალური სტატუსი და „სისხლის ფასიც" შეცვლილა. ხოლო არატრადიციული ფეოდალური სახლის – სომხითის მელიქების ქონებრივ ძლიერებას მათი „სისხლის ფასი" გაუზრდია.

ანალოგიური ვითარებაა ასახული სასამართლო განჩინებებშიც. მაგალითად, გურამიშვილის სასისხლო საქმეზე 1694 წლის 4 ივნისის ერეკლე I-ის განჩინებაში აღნიშნულია: „... რადგან მაგდენის მამულის პატრონი არ იყო... გაუბჭვეს მამულის სიმცრისათვის მცირე და უკადრისი სისხლი".[495]

ერთი სიტყვით, „სისხლის ფასი" პირდაპირ დამოკიდებული იყო ქონებრივ მდგომარეობაზე. მართალია, ამა თუ იმ ფეოდალის ქონების შემცირება დაუყოვნებლივ არ აისახებოდა მის სტატუსზე, მაგრამ დროთა განმავლობაში სოციალურ იერარქიაში მისთვის შესაფერის ადგილს იკავებდა.

ორი სხვადასხვა ეპოქის „სისხლის ფასების" განსაზღვრისა და მათი შედარებისათვის საინტერესოა XIII-XIV საუკუნეებისა და XVIII საუკუნის საკანონმდებლო ძეგლების – ბექა-აღბუღას და ვახტანგის სამართლის წიგნების – მონაცემების გათვალისწინება.

რადგან ფეოდალების ქონებრივი მდგომარეობა, დიდწილად, ყმა-გლეხების მფლობელობით განისაზღვრება, თავდაპირველად გლეხების „სისხლის ფასებს" განვიხილავთ.

XIII საუკუნის II ნახევრისა და XIV საუკუნის ვითარებაა ასახული ბექა-აღბუღას სამართალში. სამართლის წიგნის მიხედვით, როგორც ცნობილია, გლეხის „სისხლი" განსაზღვრული იყო 400 თეთრად – „გლეხისა სისხლი ოთხასი თეთრი იყოს".[496] შესავალ ნაწილში აღბუღა „სისხლის ფასში" ასაღები თეთრის შესახებ აღნიშნავდა: „პატრონისა პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამა ჟამთ შიგა ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო (?). და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი. და როგორაცა აწ ჟამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდენ".[497]

როგორც ვხედავთ, კანონმდებლის განმარტებით, ერთ თეთრად უნდა ეანგარიშათ „ორიანი" ნომინალი, რომელიც 5 დანგის წონის წმინდა ვერცხლი იქნებოდა. რადგან ერთი დანგი 0,74 გრამს

[495] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 165-166.

[496] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 429.

[497] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 425.

იწონიდა,[498] 5-დანგიანი მონეტის წონა გამოდის 3,7 გრამი. XIV საუკუნის I ნახევარში მართლაც იჭრებოდა ორდირჰემიანი მონეტები, რომელთა წონა დაახლ. 3,5 გრამი იყო.[499]

თუ კანონმდებლის დაწესებული მონეტის ზუსტი წონით ვიხელმძღვანელებთ, ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, გლეხის „სისხლი" შეფასებული ყოფილა, მცირე დამრგვალებით, 1500 გრამ ვერცხლად (400X3,7=1480).

როგორც ვხედავთ, გლეხის „სისხლის ფასი" (დაახლ. 1500 გრამი ვერცხლი) XI-XIII საუკუნეებში გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულების (დაახლ. 1500-1800 გრამი ვერცხლი) თითქმის იდენტური ყოფილა.

რაც შეეხება გვიანდელ ვითარებას, ვახტანგის სამართლის წიგნში აღნიშნულია: „გლეხის კაცის სისხლი – 12 თუმანი".[500] ამდენად, XVIII საუკუნის I მეოთხედში გლეხის „სისხლის ფასი" განისაზღვრა 12 თუმნად, ანუ 600 აბაზად (აბაზი=7,5 გრ.), რაც დაახლ. 4500 გრამ ვერცხლს უდრიდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშიც „სისხლის ფასი" იმავე ეპოქაში გლეხისა და საგლეხო ფუძის საბაზრო ღირებულების (საშუალოდ, 10-14 თუმანი) ანალოგიური ყოფილა.

ერთი სიტყვით, გლეხის „სისხლის ფასი" განისაზღვრებოდა გლეხისა და საგლეხო ფუძის საბაზრო ღირებულებით.

ორი ეპოქის „სისხლის ფასების" შედარებით ირკვევა, რომ XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე გლეხის „სისხლის" ღირებულება 3-ჯერ გაზრდილა. შესაბამისად, გლეხის შემთხვევაში საბაზრო ღირებულებისა და „სისხლის ფასის" თანაბრად მატებასთან გვაქვს საქმე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გლეხის, ანუ 1 ადამიანის „სისხლის ფასი" მთლიანი კომლის, ანუ ოჯახის ყველა წევრის, სახლ-კარის, სახნავ-სათესი მიწისა და ვენახის ტოლფასი ყოფილა.[501]

---

[498] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 36.

[499] გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამართლის წიგნში „სისხლის ფასი" სწორედ აღნიშნული მონეტებით განისაზღვრებოდა. იხ.: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 42-43.

[500] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[501] ვახტანგის სამართალი განმარტავს, რომ „გლეხის კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლის საჭმარი რკინა, რვალი, – ყველა დაიჭირვის" (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486). აღნიშნული ნორმა, ერთი შეხედვით, გამორიცხავს გლეხის „სისხლის" საფასურად ადამიანისა და მიწის მოაზრებას, თუმცა პრაქტიკაში ეს ასე არ იყო. სიტყვები – „ყველა დაიჭირვის" უნდა განმარტავდეს იმ ვითარებას, რომ საჭიროების შემთხვევაში არა მხოლოდ ჩამოთვლილი ნივთები, არამედ გადახდის სხვა საშუალებებიც, მათ შორის მიწაც, გამოეყენებინათ.
რადგან ყმაც და მიწაც ფეოდალს ეკუთვნოდა, გლეხის დანაშაულზე პასუხისმგებელი

სამართალწარმოების აღნიშნული ნიუანსი საბუთებშიც დადასტურებულია. მაგალითად, 1712 წლის ნასყიდობის სიგელში გლეხი აცხადებდა: „... ერთს უბრალოს საქმეზე ცოდვა მამერია და დედაკაცი შემამაკვდა და სისხლი დამედვა მთელი და ის სისხლი თქვენ გარდამიწყვიტეთ, ან რაც ბატონის კარზე დამეხარჯა, ისიც თქვენ გარდამიწყვიტეთ. ახლა ჩემი თავი ჩემის ცოლითა და შვილითა ასრე ნასყიდათ მომიცია და დაგრჩა, რომ არას კაცს თქვენთან ჴელი არ აქვს...“.[502] როგორც ვხედავთ, ერთი ადამიანის „სისხლის“ საზღაური გლეხის ოჯახის საფასურს უდრიდა.

ამჯერად განვიხილოთ სხვა წოდების წარმომადგენელთა „სისხლის ფასები“. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, როგორც ცნობილია, ფეოდალთა სამი კატეგორიაა გამოყოფილი: 1. დიდებული, 2. „ტაძრეული“, „ციხოსან-მონასტროსანი“ აზნაური, რომელსაც „მამული დიდი [ჰქონდეს]“ და 3. „უციხო, უმონასტრო“ აზნაური. ასევე აღნიშნულია „ქოთლოსანი“, „აბჯროსანი“ და „კარვოსანი“, რომელთაც „აზნაურული სჭირს“ და მსახური.

ფეოდალების „სისხლის ფასები“ ასე გამოიყურება:

1. დიდებული – „სისხლი ორმოცი ათასი თეთრი იყოს“.

2. „ციხოსან-მონასტროსანი“ – „სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს“.

3. „უციხო, უმონასტრო“ – „თორმეტი ათასი თეთრი“.[503]

თუ აღნიშნულ თანხას ვერცხლის გრამებში გადავიყვანთ, შემდეგ ოდენობებს მივიღებთ:

1. დიდებული – 148 000 გრამი ვერცხლი (40 000 თეთრი).

2. „ციხოსან-მონასტროსანი“ – 74 000 გრამი ვერცხლი (20 000 თეთრი).

3. „უციხო, უმონასტრო“ – 44 400 გრამი ვერცხლი (12 000 თეთრი).

ვახტანგის სამართლის მიხედვით, ფეოდალების შემდეგი კატე-

საბოლოოდ მებატონე იყო. XIX საუკუნის დასანყისში ჩაწერილი „ჩვეულებითი რჯული“ მიხედვით, თუ გლეხი ვალს მებატონისაგან დამოუკიდებლად აიღებდა, ვალი მხოლოდ თავისი მოძრავი ქონებით უნდა გადაეხადა, ხოლო თუ ეს ქონება საკმარისი არ იქნებოდა, თანხის შესაგროვებლად გარკვეულ ვადას მისცემდნენ. იმ შემთხვევაში კი თუ ვალს გლეხი ბატონის თანხმობით აიღებდა და მის დასაფარად მოძრავი ქონება არ კმაროდა, მევალეს „მამულსაც მისცემდნენ და კაცსაც“. ანუ ფეოდალური სამართალი პირდაპირ მიუთითებდა, რომ გლეხის ვალის დაფარვა მისი ოჯახით და „მამულით“ უნდა მომხდარიყო (იხ.: ი. დოლიძე. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ. 1960, გვ. 51). რა თქმა უნდა, „სისხლის“ საფასურის გადასახდელად გლეხის მიერ ვალის აღება ბატონის თანხმობით იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, ბატონის სურვილის მიუხედავად, თავისი ყმის ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა მაინც მას ეკისრებოდა.

[502] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 150.

[503] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 426-427.

გორიებია გამოყოფილი: 1. დიდებული თავადი, 2. „შუა თავადი“, 3. „მესამე თავადი“, 4. „გადიდებული აზნაური“, 5. „შუა აზნაური“, 6. „ცალმოგვი, ანუ მესამე აზნაური“.[504] მათთვის შემდეგი ოდენობის „სისხლის ფასები“ განისაზღვრა:

1. დიდებული თავადი – ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი.
2. „შუა თავადი“ – შვიდას სამოცდარვა თუმანი.
3. „მესამე თავადი“ – სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი.

გრამებში გადაყვანილი ფასები ასე გამოიყურება:

1. დიდებული თავადი – 576 000 გრამი ვერცხლი (1536 თუმანი/15 360 მინალთუნი, ანუ 76 800 აბაზი).
2. „შუა თავადი“ – 288 000 გრამი ვერცხლი (768 თუმანი/7680 მინალთუნი, ანუ 38 400 აბაზი).
3. „მესამე თავადი“ – 144 000 გრამი ვერცხლი (384 თუმანი/3840 მინალთუნი, ანუ 19 200 აბაზი).[505]

როგორც ვხედავთ, XIII-XIV საუკუნებთან შედარებით, XVIII საუკუნის I მეოთხედში „სისხლის ფასი“ პირველი კატეგორიისათვის გაზრდილია დაახლ. 4-ჯერ, მეორე კატეგორიისათვის – დაახლ. 4-ჯერ, ხოლო მესამე კატეგორიისათვის – დაახლ. 3-ჯერ.

მსახურის „სისხლის ფასს“ ბექა-აღბუღას სამართალი განსაზღვრავს 1000 თეთრით, ანუ 3700 გრამი ვერცხლით,[506] ხოლო ვახტანგის სამართალი – 24 თუმნით,[507] ანუ 9000 გრამი ვერცხლით. განსხვავება ამ შემთხვევაში დაახლ. ორ-ნახევარია.

საშუალოდ, აღნიშნულ ეპოქებს შორის სამივე კატეგორიის თავადის, ასევე მსახურისა და გლეხის „სისხლის ფასების“ საერთო ზრდა დაახლოებით სამმაგია.[508]

გლეხის შემთხვევაში „სისხლის ფასი“ თითქმის აბსოლუტურ

---

[504] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში მოხსენებულ ფეოდალებს ვახტანგის ეპოქის თავადები შეესაბამება.

[505] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[506] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 429.

[507] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[508] ბექა-აღბუღას სამართალი „ქოთლოსანის“, "აბჯროსანის“ და „კარეოსანის“ „სისხლის ფასებს“ 6-12 ათასი თეთრით, ანუ 22 200-44 400 გრამი ვერცხლით განსაზღვრავს. ვახტანგის სამართალში კი სამი ხარისხის აზნაურის „სისხლის ფასები“ შემდეგი ოდენობითაა წარმოდგენილი: გადიდებული აზნაურის – 192 თუმანი, ანუ 72 000 გრამი ვერცხლი, შუა აზნაურის – 96 თუმანი, ანუ 36 000 გრამი ვერცხლი, ცალმოგვი აზნაურის – 48 თუმანი, ანუ 18 000 გრამი ვერცხლი. რადგან ამ შემთხვევაში კონკრეტული ეპოქის სოციალურ კატეგორიებთან გვაქვს საქმე, შედარებისათვის მათ „სისხლის ფასებს“ არ ვითვალისწინებთ.

თანხვედრაში მოდის „მამულიანი“ კომლის ფასთან. ცხადია, ფეოდალის „სისხლიც“ მისი ქონების შესაფერისი უნდა ყოფილიყო.[509]

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი სათავადო სახლის ქონება, საშუალოდ, 20-35 ათას თუმანს შეადგენდა, მაშინ, როდესაც გლეხისა და მისი საკომლო მამულის ღირებულება დაახლ. 12 თუმანს უდრიდა. შესაბამისად, დიდი საფეოდალო სახლის ქონების ღირებულება დაახლ. 2500-ჯერ აღემატებოდა გლეხისა და მისი საკომლოს ფასს. რაც შეეხება „სისხლის ფასებს“, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, განსხვავება 100-ჯერადია (გლეხის „სისხლი“ ფასობდა 400 თეთრად, დიდებულის – 40 000 თეთრად), ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით – 128-ჯერადი (გლეხის „სისხლის“ საფასური შეადგენდა 12 თუმანს, დიდებულის – 1536 თუმანს).

ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი მონაცემები რეალურად ეკონომიკურ კანონზომიერებას ეფუძნებოდა. საქმე ისაა, რომ ფეოდალების „სისხლის ფასის“ განსაზღვრების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა ერთი ადამიანის „სისხლისათვის“ საჭირო ქონება, არამედ მათი სახლის წევრების, ანუ „სახლისკაცების“ „სისხლის“ შესაფერისი ქონება. დიდ საფეოდალოებს, როგორც ცნობილია, განაგებდნენ სახლის უფროსები, რომელთა „სისხლი“ გვიანფეოდალურ ეპოქაში შეფასებული იყო 1536 თუმნად, ხოლო მათი „სახლისკაცები“ მეორე ხარისხის თავადთა კატეგორიაში გადიოდნენ. მეორე ხარისხის თავადების „სისხლი ფასობდა“ 768 თუმნად. ტრადიციულად, დიდი სათავადო სახლი რამდენიმე ოჯახისაგან შედგებოდა და მამაკაცების რაოდენობა პოტენციურადაც და რეალურადაც ორ ათეულს ან უფრო მეტს უტოლდებოდა. ამდენად, დიდი სათავადოს ქონება მოიაზრებოდა არა მხოლოდ სახლის უფროსის, არამედ მისი სახლის წევრების „სისხლის“ საზღაურადაც. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენის დროს საამილახვროში ხუთი სახლი იყო,[510] შესაბამისად, საამილახვროს წევრთა „სისხლის“ განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნებოდა არა მხოლოდ 1536 თუმანი, არამედ ოთხი სახლის 15-20 მამაკაცის „სისხლის“ საფასურიც – დაახლ. 12 000-15 000 თუმანი. მხედველობაში მიღებული იქნებოდა ის გარემოებაც, რომ ფეოდალური სახლის ერთი ან ორი წევრის ჩადენილი დანაშაულისათვის „სისხლის“ საზღაურის გადახდას სათავადოსათვის დრამატული შედეგი არ უნდა მოეტანა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო და მცირე სათავადოებ-

[509] როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში დიდი ფეოდალების ქონება მნიშვნელოვნად შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა ფეოდალების „სისხლის ფასებიც“. ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 260-264.

[510] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 197; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 687.

ში (ისევე როგორც აზნაურთა შემთხვევაში), დიდი სათავადოებისაგან განსხვავებით, ნაკლები ოჯახი ერთიანდებოდა. ამდენად, მათი „სისხლის ფასის" განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნებოდა არა 15-20 მამაკაცის „სისხლის" შესაფერისი ქონება, არამედ უფრო ნაკლები.

ერთი სიტყვით, საზოგადოების ყველა ფენის „სისხლის ფასი" საერთო ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრებოდა და მისი ზრდა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების შედეგად იყო შესაძლებელი. შესაბამისად, XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე „სისხლის ფასების" (ასევე გლეხისა და საგლეხო ფუძის საბაზრო ღირებულების) დაახლ. სამჯერადი ზრდა, ინფლაციის თითქმის არარსებობის პირობებში, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდის მანიშნებელია.[511] ვინაიდან ჩვენი მონაცემები ეხება მიწათმოქმედებასა და მიწის მფლობელობასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ფენებს (გლეხებსა და ფეოდალებს), მთლიან შიდა პროდუქციის ზრდაში იგულისხმება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც XIII საუკუნიდან საგადასახადო საწყაოების გაზრდამ და მომატებულმა ბატონყმურმა გადასახადებმა გლეხების გაღარიბება, შესაბამისად, ქვეყნის განვითარების შეფერხება და რეგრესი გამოიწვია.[512]

როგორც ზემოთ აღინიშნა, XII-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე საგადასახადო საწყაოების (კაბინი, კოდი, კოკა გრივი, ხარვარი და ა.შ.) მოცულობა დაახლოებით სამჯერ გადიდდა.[513] შედეგად, გაიზარდა გადასახადების მოცულობაც. თუმცა საეჭვოდ

---

[511] „სისხლის ფასების" ანალიზის საფუძველზე აღნიშნული დასკვნა შემოგვთავაზა თ. დუნდუამ. იხ.: თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 162-163.

[512] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 409-410; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბ. 1965, გვ. 69-70; ბ. ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XV სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 754; ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 744-745; გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 217-218.

[513] როგორც საწყაოების მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ლიტრის მოცულობა XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე დაახლ. 11-ჯერ გადიდდა, თუმცა მარცელეულის და სითხის საგადასახადო საწყაოები (კაბინი/კოდი, კოკა და სხვ.) – მხოლოდ 3-ჯერ. საკითხის შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 255-257.

გამოიყურება ის მოსაზრება, რომ საწყაოები მხოლოდ ზედმეტი გადასახადის მიღების მიზნით გაზრდილიყო. ეკონომიკური კანონზომიერების საწინააღმდეგო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ერთისა და იმავე შემოსავლების მქონე საგლეხო ფუძე, წინა საუკუნეებთან შედარებით, XV-XVIII საუკუნეებში სამჯერ მეტი გადასახადით დაბეგრილიყო. გლეხური მეურნეობის განვითარების გარეშე დაბეგვრის ინდექსის ასეთი ზრდა, მათ ელემენტარულ საარსებო საშუალებას მოუსპობდა.[514] ყმა-გლეხების უკიდურესად დაუძლურება კი მათი მეპატრონეების ინტერესში არ შედიოდა, რადგან ფეოდალების ქონება, დიდწილად, გადასახადის გადამხდელი ყმებით განისაზღვრებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საწყაოების 3-ჯერ გადიდება შრომის ნაყოფიერების, გლეხისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების ფასის ზრდამ განაპირობა. „სისხლის ფასების“ ანალიზმმა ასევე გვიჩვენა, რომ ამ შემთხვევაშიც ზრდა სამმაგია. შესაბამისად, საწყაოებისა და გადასახადების მატება მოსავლიანობის გადიდებისა და ეკონომიკური განვითარების პარალელურ პროცესად უნდა მივიჩნიოთ.

ამდენად, „სისხლის ფასების“, გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულების, საწყაოებისა და გადასახადების ზრდა სინქრონულ პროცესად გვევლინება, რაც მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარკვეული პროგრესის შედეგი შეიძლება ყოფილიყო.[515]

რაც შეეხება განვითარების ტემპებს, XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე „სისხლის ფასების“ დინამიკის გათვალისწინებით ეს შეიძლება ყოფილიყო მაქსიმუმ სამმაგი. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასახელებულ საუკუნეებში მინის სავარგულების ღირებულება მხოლოდ 2-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად, XIV-XVIII საუკუნეებში, სასოფლო-სამეურნეო სფეროსთან დაკავშირებული ეკონომიკა, საშუალოდ 2-3-ჯერ უნდა გაზრდილიყო.

ქვეყნის პოლიტიკური დეგრადაციის ფონზე რაიმე სახის ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი, ერთი შეხედვით, შეიძლება მიუღებელ მოსაზრებად მოჩანდეს, მაგრამ წარმოუდგენელ ვითარებასთან არ გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფო ეკონო-

---

[514] გადასახადების 8-12-ჯერ გაზრდასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ვარაუდი ყოვლად ნარმოუდგენელ მოვლენად მიგვაჩნია. იხ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. II, გვ. 69-70.

[515] ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „სისხლის ფასების“ და სხვა ინდიკატორების მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროგრესი ეხება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს. XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში განსხვავებული ეკონომიკური ვითარების გამო ფეოდალებისა და გლეხების „სისხლის ფასები“ ერთიორად დაბალი იყო. ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 259-260.

მიკურად გაცილებით უფრო მძლავრი XI-XIII საუკუნეებში (და თუნდაც XIV საუკუნეში) იყო, ვიდრე გვიანფეოდალურ ეპოქაში. XVII-XVIII საუკუნეებში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა არანაირად არ ნიშნავდა XIII საუკუნეზე დიდი ეკონომიკის არსებობას – თუ მაქსიმუმ 2-3-ჯერ გაიზარდა ერთ მოსახლეზე პროდუქცია, გაცილებით მეტჯერ შემცირდა მოსახლეობის ოდენობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროდუქციის ზრდის ფაქტი ფიქსირდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალურ ხანაში სოფლის მეურნეობის გარკვეული პროგრესის მიუხედავად, რაც გლეხებისა და ფეოდალების „სისხლის ფასებზეც“ აისახა, საპირისპირო ვითარებას ვხვდებით საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებით. დასახელებული სამართლის ძეგლების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე ვაჭრების „სისხლის ფასები“ მცირედით („დიდი ვაჭრის“ შემთხვევაში 44 400 გრამიდან 36 000 გრამამდე, ხოლო „მეორე ვაჭრის“ შემთხვევაში 22 200 გრამიდან 18 000 გრამამდე),[516] მაგრამ მაინც კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც საქალაქო ცხოვრების რეგრესის მანიშნებელია.

საბოლოო ჯამში, საქალაქო ცხოვრების შესაბამისი განვითარების გარეშე სასოფლო-სამეურნეო სფეროს პროგრესმა ვერ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისობრივ საფეხურზე გადასვლა და ფეოდალური ჩამორჩენილობის დაძლევა.

[516] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 252-253.

II თავი.
ქალაქები და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა ფეოდალური ხანის საქართველოში

ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების საქართველოში[517]

ფეოდალური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში, როგორც აღინიშნა, წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას ეკავა. შუა საუკუნეებში ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი დიდად ჩამორჩებოდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობას და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკაშიც ქალაქების ხვერდითი წილი შედარებით ნაკლები იყო. მიუხედავად ზემოთქმულისა, ფეოდალური ჩამორჩენილობის დაძლევა საბოლოოდ სწორედ ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ფეოდალურ ხანაშიც ქვეყნის განვითარება-დაქვეითების ინდიკატორად, დიდწილად, საქალაქო ცხოვრების დონე მიიჩნევა.

არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი ქალაქების უმეტესობის ადგილას ბრინჯაოს ხანიდან, ანუ მათ „გაქალაქებამდეც“, სამოსახლოები იყო. ამდენად, ქართული ქალაქების წარმოშობას წინ უსწრებდა

---

[517] ფეოდალური ეპოქის საქართველოს ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, როგორც ზემოთ აღინიშნა, სათანადოდ არის შესწავლილი. საკითხის კვლევას ყურადღება დაუთმეს ქართველმა ისტორიკოსებმა: ივ. ჯავახიშვილმა (ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს. პრომეთე. № 1. თბ. 1918, გვ. 35-61), პ. გუგუშვილმა (პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941), ლ. ჭილაშვილმა (ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I. თბ. 1968; ტ. II. თბ. 1970; კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს). თბ. 1980), შ. მესხიამ (შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II), ვ. გაბაშვილმა (ვ. გაბაშვილი. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. თბ. 1970; საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში. თსუ შრომები. ტ. 121. თბ. 1967, გვ. 201-224), მ. ლორთქიფანიძემ (მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ქალაქები. საქართველოს ისტორია. I; მ. ლორთქიფანიძე. ქალაქები, ვაჭრობა, ხელოსნობა. საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2012; ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 143-157), კ. კუციამ (კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში. თბ. 1984), მ. გაბაშვილმა (მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1981), გ. აფრასიძემ (გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XVIII სს.). თბ. 1984), თ. გამსახურდიამ (თ. გამსახურდია. ქალაქები, ვაჭრობა, ხელოსნობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გვ. 339- 358), ქ. ნადირაძემ (ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში. თბ. 2018) და სხვა ავტორებმა. აღნიშნული საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანწილად, სწორედ დასახელებულ ავტორთა კვლევებს ვეყრდნობით.

ძლიერი დასახლებული ადგილები.[518] ანტიკური ხანიდან კი კოლხეთსა და იბერიაში მრავალი ქალაქი წარმოიშვა და განვითარდა.

ფეოდალური ურთიერთობების დამკვიდრებას ანტიკური ეპოქის ქალაქების უმრავლესობის დაკნინება არ გამოუწვევია. ძველი ქალაქები – მცხეთა, ურბნისი, ქუთაისი, ციხე-გოჯი და სხვა – ისევ რჩებოდა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად. თუმცა ქალაქების ეკონომიკაში კიდევ უფრო გაიზარდა სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი, რაც ფეოდალიზმის გაბატონებით იყო გამოწვეული. ერთი სიტყვით, ფეოდალიზმის განვითარებას საქართველოში არ მოჰყოლია ქალაქების „გასოფლება".[519]

დასახელებული ქალაქებიდან ზოგიერი მათგანი მთელი ფეოდალური ეპოქის განმავლობაში არსებობდა (მაგ. ქუთაისი), უმეტესი მათგანი კი, ძირითადად, არაბთა შემოსევების, განსაკუთრებით მურვან-ყრუს ლაშქრობის შედეგად დაკნინდა და მათი ადგილი სხვა ქალაქებმა დაიკავა. IV-VI საუკუნეებში დაწინაურდა ახალი ქალაქები: თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი, ვარდციხე, მოხირისი და სხვ.[520] ელინისტური ხანის ქალაქი იყო, ასევე კასპი, რომელიც, როგორც ქალაქი, VIII საუკუნემდე არსებობდა. მოგვიანებით, IX-X საუკუნეებში, შიდა ქართლის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი უფლისციხე გახდა, ხოლო დავით აღმაშენებლის ეპოქიდან გორი დაწინაურდა.

ანტიკური ხანიდან ქვემო ქართლის ქალაქები იყო სამშვილდე, ხუნანი და გაჩიანი. ხუნანის და გაჩიანის დაკნინება მონღოლთა ბატონობის ეპოქას უკავშირდება, ხოლო სამშვილდე, როგორც ქალაქი, XV საუკუნეში ჯეჰან შაჰის შემოსევის დროს განადგურდა.

ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში ჯავახეთისა და სამცხის მთავარი ციხე-ქალაქები წუნდა და ოძრხე იყო. ორივე ქალაქი VIII საუკუნემდე ფუნქციონირებდა. მოგვიანებით დაწინაურდა თმოგვი, ახალქალაქი და ახალციხე. კლარჯეთში ძველი ეპოქიდან არსებობდა ციხე-ქალაქი – თუხარისი.

ანტიკურ ეპოქაში კახეთსა და ჰერეთში წარმოიქმნა ქალაქები: ჩელეთი, ნეკრესი, რუსთავი, ხორანთა, ხოლო ადრეფეოდალურ ეპოქაში უჯარმასა და ჭერემთან ერთად – ხორნაბუჯი, კიდევ უფრო გვიან, IX-X საუკუნეებიდან, – თელავი.

ძველი ეპოქის დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ქუთაისი, ციხე-გოჯი, ფაზისი, ცხუმი (სოხუმი).

საქართველოში საქალაქო ცხოვრება განსაკუთრებით IX-X

---

[518] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 27-28.

[519] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 276.

[520] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 278.

საუკუნეებში ე.წ. „ახალქალაქობის ეპოქაში“ დაწინაურდა. სწორედ ამ პერიოდში წარმოიქმნა ზემოთ დასახელებული ქალაქები: ჯავახეთის ახალქალაქი, თმოგვი, ოლთისი, ახალციხე, თელავი და სხვა.

ამავე ეპოქიდან განვითარდა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში დაარსებული ქალაქი არტანუჯი, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა.

V საუკუნიდან განსაკუთრებით დაწინაურდა თბილისი. ადრეშუასაუკუნეებში თბილისი ინტენსიურ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში ყოფილა ჩაბმული, რასაც ადასტურებს IV საუკუნის საგზაო რუკა – ე.წ. Tabula Peutingeriana. საგზაო რუკა გვიჩვენებს, რომ მცხეთაზე, თბილისსა და რუსთავზე სავაჭრო მაგისტრალი გადიოდა, რომელიც ქართლის ქალაქებს სომხეთის დედაქალაქ არტაშატთან აკავშირებდა.[521]

სამეფო რეზიდენციის თბილისში გადმოტანა და ქალაქის გაშენება, ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. ჯუანშერის გადმოცემით, „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა, და საფუძველი ოდენ დაედვა“. ქალაქის გაშენება კი მის მემკვიდრეს დაუსრულებია: „და ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა... განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ. და მოკუდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელ, და მეფემან მას მიათუალა მცხეთაჲ, რამეთუ ეგრეთ ებრძანა მეფესა ვახტანგს“.[522]

ჯუანშერის გადმოცემითვე, თბილისი VI-VII საუკუნეების მიჯნაზე კიდევ უფრო დაწინაურებულა: „... მცხეთას მოაკლდებოდა და აღშენდებოდა ტფილისი და განძლიერდებოდა, და არმაზი აღთხელდებოდა და კალაჲ აღეშენებოდა“.[523] მანამდე კი, გუარამ ერისმთავარს განუახლებია სიონის ტაძარი – „განააახლა საფუძველი ტფილისისა სიონისაჲ“.[524]

თბილისი ჯერ ქართლის მეფის, შემდგომ ერისმთავრების, ხოლო VIII საუკუნიდან არაბი ამირების რეზიდენციას წარმოადგენდა.

VII საუკუნეში თბილისი ორი ნაწილისაგან შედგებოდა – ციხე (ნარიყალა) და საქალაქო დასახლება (კალა). აღნიშნულ პერიოდში მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებული დასახლება, რომელსაც საღოდებელი (მერმინდელი ავლაბარი) ეწოდებოდა, სავარაუდოდ, არ შედიოდა ქალაქში, რადგან, როგორც იოანე საბანისძის ნაწარმოე-

---

[521] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 277.

[522] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება, გვ. 216, 221.

[523] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 229.

[524] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 228.

ბიდან ჩანს, აბო თბილელის გვამი ურმით გაიტანეს „გარეშე ქალაქსა, ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების“. IX საუკუნის შუა ხანებში კი, როდესაც ბუღა თურქი თბილისს მოადგა, ამირა საჰაკს გამაგრებული ჰქონდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე „საგოდებელის“ ციხე-სიმაგრე. შესაბამისად, IX საუკუნიდან თბილისი შედგებოდა ციტადელის, საქალაქო დასახლებისა და „საგოდებელისაგან“.[525]

853 წლის ბუღა თურქის შემოსევის დროს, არაბი ავტორების ცნობით, ქალაქში 50 000 ადამიანი დაღუპულა, რაც ხაზს უსვამს თბილისის მოსახლეობის სიმრავლეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგადად შუასაუკუნეების დიდი ქალაქების მოსახლეობის რიცხოვნობა, ძირითადად, 50 ათასიდან 100 ათას ადამიანამდე იყო.[526] IX-X საუკუნეების არაბი ავტორების ცნობით, თბილისი კავკასიის რეგიონში სიდიდით მხოლოდ დერბენდს ჩამოუვარდებოდა.[527]

მართალია, ქართველი მეფეების იურისდიქცია თბილისზე 1122 წლამდე არ ვრცელდებოდა, მაგრამ ქალაქი ვითარებოდა. არაბი ავტორების ალ-ისთახრის, იბნ-ჰაუკალის და სხვათა ცნობებით, ქალაქი ალიზის ორმაგი გალავნით ყოფილა გამაგრებული. თბილისს „ორი კედელი აქვს თიხისა, სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი. მრავალი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან, აქვს თბილი წყლები, მსგავსად ტიბერიისა უცეცხლოდ ცხელი... ბარდავზე, დარუბანდზე და ტფილისზე დიდი ქალაქი არ არსებობს“, – გადმოგვცემს X საუკუნის ავტორი ალ-ისთახრი.[528] იმავე საუკუნის არაბი ანონიმის მიხედვით, „ტფილისი დიდი, აყვავებული ქალაქია, მაგარი, გაშენებული და მრავალი სიმდიდრის მქონე“.[529]

ტაბარის ცნობით, თბილისის გალავანს 5 კარი ჰქონია: მეიდნის, რომელიც მეიდანზე გადიოდა, კარის (ყარსის), საიდანაც მაგისტრალი ქალაქ ყარსისაკენ მიემართებოდა, მტკვარზე ჩასასვლელი მცირე კარი, რაბათისა და სოღდებილის კარი.[530]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ XI საუკუნის განმავლობაში თბილისში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქალაქის თვითმმართველობის ელემენტები, რაც თბილისის მსხვილ ვაჭართა გავლენის ზრდით უნდა აიხსნას. მართალია, ამირები ინარჩუნებდნენ ქალაქის მფლობელობას, თუმცა ქალაქის მმართველობის სათავეში „ტფილელ ბერთა“ (ქალაქის უხუცესების) როლი იზრდებოდა და მათი საბჭო თვითმმართველობის

525 საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 289-290.

526 საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 292.

527 საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 290-292.

528 ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, გვ. 4.

529 ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 15.

530 ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 88.

სათავეში მოექცა. 1082 წლიდან კი 40 წლის განმავლობაში თბილისი ქალაქ-კომუნას წარმოადგენდა, რაც მეტად ემსგავსება დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი თვითმმართველი ქალაქები.[531]

ქალაქ-კომუნის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო და ერთიან ქართულ მონარქიას დაუქვემდებარა, 1122 წლიდან თბილისმა დაკარგა ე.წ. თვითმმართველობა და სამეფო ხელისუფლებას დაემორჩილა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისმა დაკარგა დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსი, მისი განვითარება XII საუკუნის განმავლობაში არ შენელებულა. კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, რომელთა რაოდენობა 100 ათასამდე ივარაუდება. ამდენად, ფეოდალურ ხანაში თბილისის განვითარების კულმინაციად სწორედ XII-XIII საუკუნეების მიჯნა უნდა მივიჩნიოთ.

თბილისთან ერთად XI-XIII საუკუნეების საქართველოში საქალაქო ცხოვრება კიდევ უფრო დაწინაურდა. ამ პერიოდისათვის ზოგიერთი ძველი ქალაქი უკვე აღარ არსებობდა, თუმცა განვითარდა სხვა ქალაქები. ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანაში შემდეგი ქართული ქალაქები ფუნქციონირებდა: თბილისი, რუსთავი, გორი, ატენი, უფლისციხე, ჟინვანი, სურამი, ალი, ზოვრეთი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრჴე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, ხორნაბუჯი, თელავი, ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათუმი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსე.[532]



დმანისი. განვითარებული ფეოდალური ეპოქა

[531] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 104-109.

[532] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 101.



ანისის გალავნის ნაწილი. განვითარებული ფეოდალური ეპოქა

XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების შედეგად საქართველოს სამეფოში მოექცა სომხეთის ქალაქებიც, მათ შორის ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიც იყო ანისი, დვინი და კარი, ანუ ყარსი. ერთიანი ქართული მონარქიის შემადგენლობაში, ასევე შევიდა რანისა და შირვანის ქალაქები: შამქორი, ყაბალა და სხვა, რომლებიც იმდროინდელ ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ქართული ქალაქების განვითარებისა და სომხეთის, რანის, შირვანის ქალაქების ერთი ნაწილის უშუალოდ შეერთების შედეგად ქართული სახელმწიფო ეკონომიკურად მნიშვნელოვნად განმტკიცდა. გაიზარდა ქალაქების მოსახლეობა, რის შედეგადაც ვაჭრობა-ხელოსნობა კიდევ უფრო დაწინაურდა.



შამქორის ნაქალაქარი. განვითარებული ფეოდალური ეპოქა

აღნიშნული ეპოქის მჭიდროდ დასახლებული ქალაქების ნაწილში, როგორებიცაა ქუთაისი, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი და სხვ. საშუალოდ, 20 000-მდე მცხოვრები ივარაუდება, ხოლო თბილისში, როგორც აღინიშნა, – გაცილებით მეტი.[533] თბილისის მსგავსად დიდი ქალაქების რიგს მიეკუთვნებოდა ანისი და დვინი.

ამდენად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალურ საქართველოში საქალაქო ცხოვრებამ თავისი განვითარების პიკს მიაღწია. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „არც ერთ დროს მეცხრამეტე საუკუნემდელ საქართველოში იმდენი მოქმედი, ე. ი. ცოცხალი ქალაქი არ ყოფილა, როგორც ეს იყო XII საუკუნის დასასრულისათვის".[534]

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით თამარის მეფობიდან ქალაქების ნაწილი ფეოდალების ხელში გადავიდა. მართალია, თბილისი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი და სხვა დიდი ქალაქები სახელმწიფოს საკუთრებაში რჩებოდა, მაგრამ სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა შედარებით მცირე ქალაქები (როგორებიც იყო არტაანი, ხორნაბუჯი, თმოგვი, ჟინვანი და ა.შ.), გარკვეული დამსახურების სანაცვლოდ, მათთვის დაეთმო. სამეფო კარი დიდ ფეოდალებს ქალაქებს გადასცემდა მმართველობაში მთლიანად ან ნაწილობრივ, დროებით ან სახელოდ. დიდებულები კი მუდმივად ცდილობდნენ, ეს უფლება სამემკვიდრეოდ მიეღოთ.[535]

XII-XIII საუკუნეებში თბილისს ამირათ-ამირა განაგებდა. შემოერთებული დიდი ქალაქების გამგებლებიც (მაგ., ანისი, ყარსი) ამირას წოდებულებას ატარებდნენ. ქალაქში წესრიგის დაცვა საპოლიციო სამსახურს – შურტას ევალებოდა. ამირას ხელქვეითი მუჰთასიბის საქმიანობის სფერო იყო ბაზრების ზედამხედველობა, ქუჩების კეთილმოწყობისათვის ზრუნვა და საყოფაცხოვრებო პირობების კონტროლი. ქალაქის დაცვაზე პასუხისმგებელობა კი „ციხისთავს" ეკისრებოდა.[536]

ქართული ქალაქები ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგებოდა – ციხე-ციტადელისა და სამოსახლო უბნებისაგან (რაბატი). ქალაქის უმთავრეს შემადგენელს ციხე-ციტადელი წარმოადგენდა, სადაც ქალაქის მფლობელის (მეფის, ფეოდალის, მმართველის) რეზიდენცია მდებარეობდა. ციტადელში, რა თქმა უნდა, გარნიზონი იდგა. ქალაქში შეიძლება ყოფილიყო ერთზე მეტი შიდა ციხე. სა-

533 საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 467.

534 ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ. 1966, გვ. 13.

535 საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 462.

536 საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 464.

მოსახლო უბნები კი ზოგჯერ ციხე-გალავნით იყო შემოზღუდული (თბილისი, ანისი...), გვხვდება შემოუზღუდავი ქალაქებიც (გორი, არტანუჯი...).[537] ქალაქების შემადგენელი იყო ქალაქის დაბებიც (აგარანი).[538]

ამდენად, ფეოდალური ქართული ქალაქი, ისე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქალაქები, „ციხისა“ და „ქალაქისაგან“ (სამოსახლო) შედგებოდა. „ციხე“, ანუ მმართველი არისტოკრატიის რეზიდენცია, გარკვეულ დაპირისპირებაში იყო „ქალაქთან“, სადაც ვაჭარ-ხელოსნების უბნები მდებარეობდა.[539]

თუ ციტადელი, ძირითადად, ქალაქის მმართველთა ძალაუფლების წყაროს წარმოადგენდა, შემოზღუდული გალავანი ციტადელთან ერთად ქალაქს გარეშე ძალებისაგან იცავდა. ქალაქის ზღუდეს თავდაცვით ფუნქციასთან ერთად ეკონომიკური დანიშნულებაც ჰქონდა, რადგან ფეოდალური საბაჟოები სწორედ აქ იყო განთავსებული.

ქალაქების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ბაზრები და მოედნები, სადაც სავაჭრო-სახელონო დაწესებულებები – ქულბაქები და სასტუმრო სახლები – ფუნდუკები (მოგვიანო ხანის ქარ-



ქარვასლის ნაშთი, ანისი. განვითარებული ფეოდალური ეპოქა

[537] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 130.
[538] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 281.
[539] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 458-459.

ვასლები) იყო განლაგებული.

ფეოდალურ ქალაქებში მრავლად იყო აბანოები. ანონიმი არაბი ავტორის გადმოცემით, XIII საუკუნის დასაწყისში თბილისში 65 საზოგადოებრივი აბანო ყოფილა.[540] თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა სახლებთან ერთად განთავსებული იყო დიდვაჭრების, ფეოდალების თუ მეფის სასახლეები, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი შენობა.

ქალაქებში მოსახლეობის ზრდის შედეგად გალავნის გარე დასახლებებიც წარმოიქმნებოდა. ასეთ დასახლებას გარეუბანი ეწოდებოდა. ქალაქების შემოგარენში კი ქალაქის განაპირა ბაღები იყო გაშენებული.

XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის საქართველოს სამეფოს ქალაქური ცხოვრების ზოგიერთი დეტალის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს 1218 წლის ანისის ქართული წარწერა, რომელიც ეპიფანე კათალიკოსს ეკუთვნის. წარწერიდან ჩანს, რომ ანისის მართლმადიდებელ მოსახლეობასა და სამღვდელოებას შორის სადავო გამხდარა სასულიერო პირთა მიერ საეკლესიო გადასახადების (ჯვრისწერის, ნათლობის, მიცვალებულთა წესის აგების და სხვ.) გაზრდა. ხუცესებს წესის აგების საფასურად 100 ტფილური დრამა, შესაფერისი მასპინძლობა და სხვა სახის გასამრჯელო მოუთხოვიათ, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოჰყოლია. დავის მოსაგვარებლად ეპიფანე კათალიკოსს, რომელიც ანისში ახლად აგებული ეკლესიის კურთხევის მიზნით იყო ჩასული, დაუგმია სამღვდელოების მიერ მრევლისათვის წაყენებული მოთხოვნები და თავისი განჩინებით შეუმცირებია საეკლესიო გადასახადები.[541]

ივ. ჯავახიშვილი ანისის ქართულ წარწერაში მოცემული ცნობების საფუძველზე აღნიშნავდა, რომ „მე-13 ს. მეორე ათწლეულში დაწყებულა ეკონომიკური კრიზისი, რომლის მიზეზი და გარემოება ჯერ გამოსარკვევია: ფასების მატებასთან ერთად, ცხოვრებაც საგრძნობლად გაძვირებულა. ყველგან საქართველოში ერთიდაიმავე სიმძაფრით დაიწყო იგი და დაეტყო ყოფა-ცხოვრებას, თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთს ნაწილში, სომხეთის ოდინდელს დედაქალაქს ანისში მისი სიდუხჭირე რომ ეკონომიკურ ურთიერთობას უკვე სცვლიდა, ეს 1218 წ. ეტიფანე კათალიკოზის განჩინებითგანაც ნათლად ჩანს“.[542] როგორც ვხედავთ,

[540] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 461.

[541] Н. Марр. Надпись Эпифания, Католикоса Грузии. Известия Академии наук. Т. IV. СПб. 1910. გვ. 1433-1442; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 7-8.

[542] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, გვ. 7.

ივ. ჯავახიშვილი ანისში საეკლესიო გადასახადების გადიდების ფაქტიდან გამომდინარე, ვარაუდობდა, რომ იმ პერიოდში, ზოგადად, ფასები გაზრდილა და ცხოვრებაც გაძვირებულა. ავტორს აღნიშნული მოვლენა ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად მიაჩნდა.

ჩვენი აზრით, XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს დიდ ქალაქებში პროდუქციაზე ფასების მომატება და, შესაბამისად, გადასახადების გაზრდა განსახილველი ეპოქის ლოგიკური პროცესი უნდა იყოს და ეკონომიკური კრიზისის ნიშნებს არ უნდა შეიცავდეს. საქმე ისაა, რომ ვინაიდან განსახილველ ეპოქაში ერთიან ქართულ სამეფოში ქალაქების რაოდენობამ მანამდე არნახულ ნიშნულს მიაღწია, იმდროინდელი მომარაგების სირთულეებიდან გამომდინარე, პროდუქციის გაძვირება ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მსგავსი პროცესები თანადროული ხანის განვითარებული მსოფლიოს დიდ ქალაქებშიც შეინიშნება. ამ შემთხვევაშიც სწორედ ანალოგიურ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამდენად, XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს სამეფოს ქალაქებში გაზრდილი მოსახლეობის ფონზე ფასების გარკვეული მატება უფრო საქალაქო ცხოვრების დაწინაურებაზე უნდა მეტყველებდეს, ვიდრე ეკონომიკურ კრიზისზე.

ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანაში მოქალაქეთა სავაჭრო კაპიტალის ოდენობის შესახებ პირდაპირი მონაცემები არ გაგვაჩნია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქის დიდვაჭრებს მნიშვნელოვანი ოდენობის კაპიტალი ჰქონდათ. როგორც ჩანს, მათი როლი სამეფო კარზეც იზრდებოდა, რადგან აღნიშნული ეპოქის საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლები ზოგჯერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდნენ. ზემოთქმულის დამადასტურებელია დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელისათვის ჩრდილოეთ კავკასიიდან თამარის საქმროს ჩამოყვანის დავალება.[543]

დასახელებულ ეპოქაში დიდად განვითარებული უნდა ყოფილიყო სავახშო კაპიტალი, რაც ორტაღების არსებობით დასტურდება.[544] „რკონის დაწერილიდან“ ჩანს, რომ ორტაღები, ანუ „საკრედიტო დაწესებულებები“ სესხად გასცემდნენ დიდი ოდენობით თანხას (რამდენიმე ათეულ ათას თეთრს).[545]

საქალაქო ცხოვრების დაწინაურებისა და, ზოგადად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო ყუთლუ არსლანის წამოყენებული მოთხოვნა ისანში „კარავის“, ანუ

[543] იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 411.

[544] საკითხის შესახებ იხილეთ: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 152-153.

[545] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 146-147.

საკანონმდებლო ორგანოს დაარსების შესახებ.[546]

ამდენად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლების როლი, რაც პირდაპირ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ვაჭრობა-ხელოსნობის აღმავლობასთან. შესაბამისად, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქციაში ქალაქებში წარმოებული ხელოსნური ნაწარმის ხვედრითი წილიც სათანადოდ გაიზრდებოდა, ისე როგორც გაფართოვდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა.

***

ქართული ქალაქებისა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ჯერ ჯალალ ედ-დინის 1225 წლის შემოსევის, შემდეგ მონღოლთა ქვეყანაში გაბატონების შედეგად შეფერხდა. მონღოლთა მიერ 1254-1256 წლებში ჩატარებული აღწერის საფუძველზე საქართველოში დაწესდა სხვადასხვა სახის მძიმე გადასახადი: მალი (სასოფლო-სამეურნეო გადასახადი), ყაფჩერი (საბალახე), ტამღა (სავაჭრო), საიამე (მონღოლთა მიერ გზებზე აგებული სადგურების — იამების მშენებლობა და შეკეთება) და სხვა,[547] რამაც ქვეყანა ეკონომიკურად გააჩანაგა. „მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან", – აღნიშნულია 1260 წელს შედგენილ სიგელში – „რკონის დაწერილში".[548]

მონღოლურ ხარკთან ერთად გაუთავებელი ლაშქრობები კიდევ უფრო ართულებდა ვითარებას. ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებისათვის გამანადგურებელი შედეგი ჰქონდა XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის წარმოებულ ბრძოლას. ოქროს ურდოს ჯარების შესაჩერებლად 1263 წლიდან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ააგეს სანგრები (სიბა), სადაც სხვადასხვა ქვეყნის ჯარებთან ერთად ქართველი მოლაშქრეებიც მუდმივად იმყოფებოდნენ. მსგავს ადგილებზე ხშირი იყო ეპიდემიების გავრცელება, რასაც დიდი რაოდენობით მოსახლეობა ეწირებოდა. ჟამთააღმწერელის ცნობით, ოქროს ურდოს და ილხანთა საბრძოლო დაპირისპირების ადგილას მოწყობილ სიბაზე დაავადებულა მეფე დავით ულუ – „მაშინ წარვიდა ყაენი სიბად და თანა-წარიტანა დავით

[546] იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 405-406.

[547] მონღოლური გადასახადების შესახებ ვრცლად იხილეთ: ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 558-569.

[548] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 146.

მეფე. დაყო ჟამი ზამთრისა და, რა ზაფხული მოიწია, წარმოვიდეს. და მგზავრ მომავალსა მეფესა შეედვა სალმობა მუცლისა, და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად...".[549] აღნიშნული დაავადებით მოგვიანებით (1270 წ.) მეფე გარდაიცვალა.[550] ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრებით, დავით ულუს დაავადება – „სალმობა მუცლისა" – ტიფი უნდა ყოფილიყო.[551] 1292 წელს იმავე სენს ვახტანგ II-ც (1289-1292 წწ.) შეეწირა – „... მოვიდა მუნვე ნახჭევანს, შეედვა სალმობა მუცლისა და მოკუდა შემკული გჳრგჳნითა მეფობისათა. და წარმოიყვანეს და დამარხეს დმანისს".[552]

შექმნილი ვითარება დიდ ზიანს აყენებდა ქართულ ეკონომიკას, რაც უარყოფითად მოქმედებდა საქალაქო ცხოვრებაზე. ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობა შემცირდა, ზოგიერთი მთლიანად მოისპო. მაგალითად, 1265 წელს ოქროს ურდოს ყაენის – ბერქას ლაშქრობის დროს სრულიად განადგურებულა რუსთავი და ხორნაბუჯი. 1950 წელს დაწყებულმა რუსთავის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა წერილობით წყაროებში მოცემული ცნობები მტრის თავდასხმის შედეგად ქალაქის ერთბაშად განადგურების შესახებ. კერძოდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა მჭიდროდ დასახლებული ქალაქის უკანასკნელ წუთებს აცოცხლებს: „მონღოლებს შენობები საფუძვლამდე დაურღვევიათ, სახლები გადაუწვიათ, მოსახლეობა შეუბრალებლად გაუჟლეტიათ. ნაქალაქარის ერთ-ერთი სახლის „ნანგრევის ქვეშ აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალის თავწაჭრილი ჩონჩხი, კისრის მხოლოდ სამი მალი იყო დარჩენილი. იქვე ეყარა ნახშირის ნამტვრევები, მიცვალებულის მარცხენა ხელთან ეგდო პატარა წალდი... მეორე ადგილას შუბლგაჩეხილი... მამაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა, მესამე ადგილას წინკარში ჩაკლული ძაღლის ჩონჩხი". ერთ-ერთი სახლის ჩანგრეულ ოთახში აღმოჩნდა ჭურჭლის ნამტვრევებში არეული წითლად შეღებილი კვერცხის ნაჭუჭები და ბოსტნეულის თესლები. ეს ფაქტი, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, მიუთითებს, რომ ქალაქის განადგურება აღდგომის დღეებში, გაზაფხულზე, მომხდარა. ბოსტნეულის თესლებიც ამ დროისათვის დასათესად თუ იყო მომზადებული".[553]

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) აჯანყებამ და მონღოლთა მხრიდან მოწყობილმა სადამსჯელო ლაშქრობე-

---

[549] ჟამთააღმწერელი. ასნლოვანი მატიანე, გვ. 607.

[550] ჟამთააღმწერელი. ასნლოვანი მატიანე, გვ. 608.

[551] ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 576.

[552] ჟამთააღმწერელი. ასნლოვანი მატიანე, გვ. 651.

[553] ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 578-579.

ბმა აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ჟამთააღმწერელის ცნობით, გარკვეული ხნის განმავლობაში ქვეყანაში შიმშილობაც კი ყოფილა.[554]

მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346 წწ.) მეფობის დროს, რაც საქალაქო ცხოვრებასაც დაეტყო. თბილისის ხელახალ დაწინაურებას მოწმობს რომის პაპის იოანე XXII-ის 1328 და 1329 წლების ეპისტოლეები. აღნიშნული წერილების მიხედვით, თბილისი „მეტად შესანიშნავ, ხალხმრავალ, მარჯვე და მდიდარ ქალაქად" მოიხსენება. იმავე ეპისტოლეებიდან ვიგებთ, რომ პაპმა აღმოსავლეთის სამისიონერო ცენტრად ქალაქ სმირნას ნაცვლად თბილისი შეარჩია.[555] თბილისთან ერთად, ცხადია, სხვა ქალაქების მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვან სავაჭრო ფუნქციას ასრულებდა შავი ზღვისპირეთში მდებარე ქალაქები: ცხუმი (სოხუმი), ფოთი და ბათუმი.[556]

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარება ვეღარ დაუბრუნდა XIII საუკუნის I მეოთხედის ნიშნულს. ქვეყნის ეკონომიკასა და, შესაბამისად, საქალაქო ცხოვრებაზე უდავოდ უარყოფითად აისახებოდა XIV საუკუნის 40-იან წლებში მასობრივად გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემია. მას შემდეგ, რაც 1346 წელს ოქროს ურდოს ყაენმა ჯანიბეკმა ალყა შემოარტყა შავი ზღვისპირეთში მდებარე გენუელთა სავაჭრო ფაქტორია კაფას, ქალაქში შავი ჭირის ეპიდემია დაიწყო, საიდანაც მთელ ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელდა. შავი ჭირის პანდემიამ იმდროინდელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შავი ჭირის მასობრივად გავრცელების პარალელურად, როგორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, დავით IX-ის (1346-1360 წწ.) მეფობის დროს პანდემიამ საქართველოც მოიცვა. დაავადების ქვეყანაში გავრცელების ფაქტი დადასტურებულია 1348 წელს გადაწერილი ეტრატის პარაკლიტონის ანდერძით. მისი გადამწერი ავგაროზ ბანდაისძე ანდერძში აღნიშნავდა, რომ ქორონიკონს ლვ, ანუ 1348 წელს, ქვეყანაში „დიდ სიგლახაკესთან", „ეტრატის სიძვირესთან" და „შფოთთან" ერთად „დიდი სიკუდილობა" ყოფილა,[557] რაც ცალსახად შავი ჭირის გავრცელებას აღნიშნავს. 1340-იან წლებში საქართველოში გავრცელებული მომაკვდინებელი სენი დიდხანს გაგრძელებულა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით,

---

554 ჟამთააღმწერელი. ასნლოვანი მატიანე, გვ. 641.

555 ბ. ლომინაძე. საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 658.

556 საზღვაო ვაჭრობას შედარებით ვრცლად ქვემოთ შევეხებით.

557 Ф. Д. Жордания. Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства. II. Тфл. 1902. № 575.

1366 წელს „იქმნა მომსვრელი ჟამი, სრვადა სიკუდილი ძლიერი. და მოისპნენ სულნი ურიცხუნი და მოკუდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე".[558] როგორც ვხედავთ, შავი ჭირი დავით IX-ის მემკვიდრის, ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) მეფობის პირველ პერიოდშიც ყოფილა გავრცელებული. მის მასშტაბურობაზე ისიც მეტყველებს, რომ მრავალ მოსახლესთან ერთად დედოფალიც კი გარდაცვლილა. შავი ჭირის ეპიდემია და სხვა დაავადებები საქართველოში დროდადრო მოგვიანებითაც იჩენდა თავს, რაც მოსახლეობისათვის უმძიმესი შედეგის მომტანი იყო.

ქართული ქალაქებისათვის კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა თემურ-ლენგის ლაშქრობები. 1386-1403 წლებში თემურ-ლენგის მიერ ქვეყნის 8-ჯერ დალაშქვრის შედეგად, როგორც ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, ქართულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები: „ნაქალაქარი", „ნასოფლარი", „ნაფუძარი" და ა.შ.[559]

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) გატარებულმა ღონისძიებებმა მდგომარეობა რადიკალურად ვერ გააუმჯობესა. XV საუკუნის განმავლობაში საქალაქო ცხოვრების განვითარებას მტრის შემოსევები აფერხებდა. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველო დამპყრობლებმა რამდენჯერმე დალაშქრეს, რომელთა შორის მასშტაბურობით გამოირჩეოდა ჯეჰან შაჰის (1440 წ.), უზუნ ჰასანისა (1478 წ.) და იაყუბ ყაენის (1486-1487 წწ.) შემოსევები. შედეგად, ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიც დმანისი და სამშვილდე იყო, საბოლოოდ გაქრა.[560] წინა პერიოდთან შედარებით, მოსახლეობა შემცირდა თბილისში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. ქვეყნის შემადგენლობაში აღარ შედიოდა სომხეთის, რანისა და შირვანის ქალაქები, რომელთა უმეტესობა XIV-XV საუკუნეებში ან სრულიად განადგურდა, ანდაც დაკნინდა. საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური დაუძლურების მანიშნებელია XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნეში მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტების წონისა და სინჯის მკვეთრი შემცირებაც.[561]

ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, რასაც ზოგიერთი ქართული ქალაქის განადგურება მოჰყვა, XIV-XV საუკუნეებში საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები ფუნქციონირებას ჯერ კიდევ განაგრძობდა. თბილისი კვლავ ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და, მასშტაბების შემცირების მიუხედავად,

---

[558] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 262.

[559] კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 719.

[560] ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 745-746.

[561] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 146-171.

საშინაო და საგარეო ვაჭრობაში იყო ჩართული. „12 ივლისს 1475 წ. მივედით საქართველოს მეფის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ტფილისი. ეს ქალაქი დგას მცირე გორაზე. მეორე უფრო მაღალ გორაზე აშენებულია ტფილისის ციხე, საკმაოდ მაგარი... ტფილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით და ამჟამად კი დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომლებიც აოხრებას გადარჩენია, ეხლაც კარგად არის დასახლებული", – აღნიშნავდა იტალიელი ელჩი ამბროჯიო კონტარინი.[562]

იგივე ავტორი და მისი თანამედროვე იოსაფატ ბარბარო, გარდა თბილისისა, იმყოფებოდნენ ზოგიერთ ქართულ ქალაქში, მათ შორის ქუთაისში, გორში, ფაზისში (ფოთში), ბათუმსა და სებასტოპოლში (ცხუმში).[563] კონტარინის ცნობით, ბათუმთან ახლოს შავი ზღვისპირეთში მდებარეობდა მცირე ქალაქი კალთიხეა, სადაც ყიდდნენ „აბრეშუმს, მომხო ტილოს და მცირეოდენ თაფლსაც. საზოგადოდ მკვიდრნი ღარიბნი არიან".[564] ზოგადად, მათი ცნობებიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის ქართული ქალაქები შედარებით დამცრობილი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, XIII-XV საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქები, გარკვეულწილად, განვითარებას განაგრძობდა, რაც რეგიონში საზღვაო ვაჭრობის გააქტიურებასთან იყო დაკავშირებული.

გარდა იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ქალაქებს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდა ტრაპიზონის იმპერიასთან, ვენეციელებთან და გენუელებთან საზღვაო ვაჭრობაც დასტურდება, რამაც ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ერთგვარ გამოცოცხლებას შეუწყო ხელი.[565]

შავ ზღვაზე ვენეციელების განსაკუთრებული გააქტიურება 1204-1261 წლებს უკავშირდება, როდესაც ბიზანტიის ადგილზე ლათინთა იმპერია დაარსდა. ამ პერიოდიდან დასავლეთ ევროპისა და შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ურთიერთობებში ვენეციელები მთა-

---

[562] იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 55-56.

[563] იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 45-61.

[564] იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 49.

[565] მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში" ზღვაოსნობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვხვდებით (იხ.: თ. ბერაძე. სამხედრო-საზღვაო საქმის ისტორიიდან. თბ. 2009, გვ. 23-24), ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანაში, ფეოდალური ეკონომიკის პირობებში, ქვეყანაში ზღვაოსნობა განვითარებული არ უნდა ყოფილიყო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზღვისპირეთში მცხოვრები ქართველები მცირე გემებს არ იყენებდნენ და ტრაპიზონიდან თუ ბიზანტიიდან პერიოდულად სავაჭრო გემები არ შემოდიოდნენ, თუმცა ზღვაოსნობის რეალური განვითარება სავარაუდებელი არ არის. XIII საუკუნის II ნახევრიდან კი, როგორც აღინიშნა, შავი ზღვისპირეთში მდებარე ქართული ქალაქები მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებში ჩაება.

ვარ როლს ასრულებდნენ. XIII-XV საუკუნეებში ქართველი ვაჭრების ვენეციელებთან ერთეული კავშირების მიუხედავად, ზოგადად, არცთუ ინტენსიური ურთიერთობები იკვეთება.[566]

სრულებით განსხვავებული ვითარებაა გენუელებთან მიმართებით. გენუელებმა ბიზანტიის იმპერიისაგან ჯერ კიდევ XII საუკუნეში მიიღეს შავ ზღვაში ნაოსნობის უფლება, რაც მოგვიანებით ლათინთა იმპერიამაც დაადასტურა. 1270-1275 წლებში კი ფეოდოსიის ყურეში დააარსეს ახალშენი კაფა, რომელიც მალევე შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ცენტრი გახდა.[567]

საქართველოსთან, უმეტესად ცხუმთან (სოხუმი), გენუელები XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ვაჭრობდნენ. ქალაქში მათ სავაჭრო კვარტალიც გააჩნდათ. გენუელებს საზღვაო-სავაჭრო კავშირები ბათუმთან და ფოთთანაც ჰქონდათ. თავის მხრივ, ქართველი ვაჭრებიც ცხოვრობდნენ კაფაში.[568]

საზღვაო ვაჭრობის შედეგად განსაკუთრებით დაწინაურდა ცხუმი. როგორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, ქალაქში ადგილობრივი მონეტებიც იჭრებოდა, რომლებსაც „ცხუმური თეთრი“ ეწოდებოდა.[569]

XIII-XV საუკუნეებში ქართულ ქალაქებში გენუელებს კაფადან შემოჰქონდათ მარილი და თევზი, ევროპიდან კი მდიდრული ხელოსნური ნაწარმი, მათ შორის დიდი რაოდენობით შალის ქსოვილები. საქართველოდან კი გაჰქონდათ ცვილი, ტილოს ნაწარმი, აბრეშუმი, ბეწვეული, ტყავი, ხე-ტყე, ასევე – მარცვლეული, მათ შორის ღომი.[570]

კავკასიიდან მონებიც გაჰყავდათ. გენუელები მონებს, ძირითადად, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში იძენდნენ, იშვიათ შემთხვევებში წყაროებში ქართველი მონებიც მოიხსენიება. XV საუკუნის შუა ხანებიდან კი საქართველოდან გაყიდული ადამიანების რიცხვი გაიზარდა,[571] რაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მანიშნებელია.

1475 წლიდან, მას შემდეგ რაც ოსმალეთმა ყირიმზე კონტროლი დაამყარა, ქართული ზღვისპირა ქალაქები ეტაპობრივად დაკნინდა.

საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, XV საუკუნის II ნახევარში ერთგვარად სტაბილური ვითარება იყო

---

[566] თ. ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2. თბ. 1983, გვ. 22-23.

[567] თ. ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, გვ. 23.

[568] თ. ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, გვ. 24-31.

[569] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II, გვ. 23-27.

[570] თ. ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, გვ. 33-34.

[571] თ. ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, გვ. 34-36.

კახეთში, სადაც მნიშვნელოვან სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდა ქალაქები: ზაგემი, ყარაღაჯი, გრემი და თელავი. ამ პერიოდში კახეთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული შირვანთან, რომელიც დიდი ოდენობით აბრეშუმს აწარმოებდა. ცხადია, აბრეშუმის წარმოებასა და ვაჭრობაში კახეთის ქალაქებიც იყო ჩართული. შირვანისა და კახეთის ეკონომიკური კავშირების ერთ-ერთი დამადასტურებელია ლაგოდეხის რაიონის სოფ. საქობოს განძი, სადაც ათეულობით შირვანული თანგა აღმოჩნდა.[572]

კახეთის მსგავსად, XV საუკუნის II ნახევარში, გარკვეულწილად, ნორმალური ეკონომიკური ვითარება იყო სამცხე-საათაბაგოში. მართალია, XIII-XV საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქალაქებიც დაზარალდა, თუმცა ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, თმოგვი და სხვა ქალაქები არსებობას განაგრძობდა.

XV საუკუნეში საქართველოში ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა შემდეგი მოქმედი ქალაქები: თბილისი, გორი, ატენი, ალი, მძოვრეთი, ჟინვანი, გრემი, ყარაღაჯი, ბაზარი, თელავი, ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, არტაანი, თმოგვი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, სოხუმი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს ქალაქში მცირე მოსახლეობა ცხოვრობდა, XV საუკუნისათვის მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო.

XV საუკუნეში ქვეყნის ეკონომიკური აქტივობისა და სავაჭრო ოპერაციების მანიშნებელია ყაზბეგის რაიონის სოფ. მნაში, გორში, ლორეში, ალსა და სხვა ადგილებში აღმოჩენილი სამონეტო განძები. მნას განძში თავმოყრილი იყო 926 მონეტა, ხოლო გორის განძში – 10 000.[573]

სამონეტო განძებით ირკვევა, რომ იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდა შირვანთან, ირანის პროვინციებთან, ოსმალეთთან და სხვა ქვეყნებთან. მდინარე ლეხურის ხეობაში (შიდა ქართლი) აღმოჩენილ განძში კი ოსმალურ ოქროს მონეტებთან ერთად ვენეციური ოქროს დუკატებიც იყო, რაც შავი ზღვისპირეთში მდებარე იტალიური სავაჭრო ფაქტორიებიდან (ტანა და კაფა) უნდა შემოსულიყო.[574]

დუშეთის რაიონის სოფ. დიდხორხის განძი იმ პერიოდში ჯერ კიდევ მოქმედ ქალაქ ჟინვანთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან დასახელებული სოფელი სწორედ ამ ისტორიული ქალაქის მახლობლად მდებარეობს. ჟინვანზე, რომელიც XV საუკუნის ბოლოს

[572] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II, გვ. 83-87.
[573] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II, გვ. 67-68.
[574] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II, გვ. 82-87.

კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი გადიოდა. ქალაქი, ერთი მხრივ, კახეთზე გამავალი გზით შაქსა და შირვანს უკავშირდებოდა, მეორე მხრივ, კი საქართველოს ჩრდილოეთთან აკავშირებდა. სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო 66 შირვანული თანგა სოფ. დიდხორხის განძში.[575]

საბოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო ცხოვრების ერთგვარი პიკური განვითარების შემდეგ, XIII საუკუნის შუა ხანებიდან საგარეო შემოსევებისა და სხვა უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. აღნიშნული პროცესი უპირველესად საქალაქო ცხოვრებაზე აისახა, თუმცა XV საუკუნისათვის ქართული ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ აგრძელებდა არსებობას.

[575] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II, გვ. 84-86.

ხელოსნობა, სავაჭრო გზები, ვაჭრობა და სახელმწიფო შემოსავლები XI-XV საუკუნეების საქართველოში

ხელოსნობა

საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის სხვადასხვა დარგი ადრინდელი ეპოქიდანვე იყო განვითარებული. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" ნახსენებია „მეჯადაგენი" და მეხამლენი",[576] რომლებიც ფეხსაცმლის დამამზადებელი ოსტატები იყვნენ. ადრეფეოდალური ეპოქიდან მოყოლებული წერილობით წყაროებით დასტურდება „ხუროების", „გალატოზთა", „კირითხუროთა", „ჭურჭელთა მჭედელთა" და სხვა „საქმის მოქმედთა" არსებობა.[577]

საქალაქო ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ, ქართულ ქალაქებში ხელოსნობა განსაკუთრებით X-XII საუკუნეებში დაწინაურდა. აღნიშნული ეპოქის ქართულ ქალაქებში ხელოსნობის მრავალი დარგი იყო განვითარებული.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში ხელოსნობის ერთ-ერთ დარგს საფეიქრო საქმიანობა წარმოადგენდა. ქსოვილის დამზადებას და ტანისამოსის შეკერვას უზრუნველყოფდნენ „მქსოველნი", ანუ „მბეჭველნი" და „მკერვალნი". „მეხამლენი" კი, როგორც აღინიშნა, ფეხსაცმელს ამზადებდნენ.[578] X-XII საუკუნეებში საქართველოს ქალაქებში ქსოვილების, ტანისამოსის და ფეხსაცმლის დამამზადებელი ხელოსნები რამდენიმე სპეციალიზებულ დარგად იყვნენ წარმოდგენილი. როგორც შ. მესხია აღნიშნავდა, „წყაროებში ცალკე მოიხსენიება „საფენთა და საგებელთა მქსოველნი"; „სამოსთა მქსოველნი" და ძვირფას შესამოსელთა – „ოქროქსოვილითა" თუ „ოქრონემსულთა" მქსოველნი. ამის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო ქსოვის ხელობაც; წყაროებში მოიხსენიება „ჭრელად", „შერთულად" და „ლარულად", „ორხაულად" ქსოვა... წყაროებში სხვადასხვაგვარ სამოსთა მოხსენიება, მაგ., „სადიაცო" და „სამამცო", „სამოსელი სამღვდელო", „სამოსელი ვაჭართა", „სამოსელი საფილოსოფოსო", „სამოსელი საქორწინე" და სხვ., მათი მრავალგვარობა გვაფიქრებინებს, რომ მკერვალობის ხელობაც სხვადასხვა სპეციალობად უნდა ყოფილიყო დანაწილებული. ცხადია, ცალ-ცალკე ხელობას წარმოადგენდა ტყავის დამუშავება, „ტყავის სამოსისა" და თავსაბურავების კერვაც; მეფეხსაცმელეობაც, როგორც წყაროებიდან ჩანს, სხვადასხვა ნაწილებად იყოფოდა: ცალკე

---

576 მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ტ. I. რედაქტორი ლ. აბაშიძე. თბ. 2008, გვ. 240, 242.

577 იხ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 15-198.

578 რ. მეტრეველი. ხელოსნობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 104-106.

იყვნენ მოგვისა, ჩაფლას და სხვა მსგავსთა მკერვალნი, ქალამნების მკერვალნი".[579] ქსოვილები იღებებოდა სამღებროებში. სამღებროში მომუშავე პერსონალს „მღებარი" ეწოდებოდა.

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ცნობები დასახელებულ ეპოქაში საფეიქრო წარმოების დეტალების შესახებ, არ ვიცით წარმოების მოცულობა და ა.შ. მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში საფეიქრო საქმის ხელოსნებს დიდი რაოდენობით ქსოვილი და ტანისამოსი უნდა დაემზადებინათ, რადგან, სულ მცირე, მოსახლეობის ქვედა ფენები მაინც ადგილობრივად შეკერილ სამოსს მოიხმარდნენ.

ძვირადღირებული ქსოვილებისა და ტანისამოსის უცხოეთიდან იმპორტის მიუხედავად, საქართველოშიც უნდა დაემზადებინათ მსგავსი სამოსი. როგორც შ. მესხია აღნიშნავდა, არა მხოლოდ შემოდიოდა ქვეყანაში ქსოვილები და ტანისამოსი, არამედ გაჰქონდათ კიდეც – „საქართველოდან გადიოდა ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ნაწარმი, სხვადასხვა ქსოვილები, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები... და სხვ."[580]

აღნიშნული ეპოქის ქართული ქალაქების ხელოსნური და სავაჭრო საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია აღმოსავლური წყაროები, რომლებშიც საუბარია საქართველოდან გატანილი მაღალი ხარისხის ქსოვილების, ტყავის ნაწარმისა და სხვა საქონლის შესახებ. თბილისური ქსოვილების მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, არაბი ავტორის იბნ ისფანდიარის ცნობით, ტაბარისტანის გამგებელს ხორეზმშაჰისათვის ძღვნად ბიზანტიურ და ბაღდადურ ქსოვილებთან ერთად თბილისური ნაწარმიც გაუგზავნია.[581]

მინისა და კერამიკის ადგილობრივი ნაწარმი აღმოჩენილია თბილისში, დმანისში, ჟინვალში, რუსთავში, ბოლნისსა და სხვა ადგილებში. ვინაიდან მზა ნაწარმის გარდა, ნაპოვნია მინის წიდანადული, წუნი ნაწარმი, ეს მიუთითებს ადგილობრივი სახელოსნო ცენტრების განვითარებაზე. თბილისშივე, 300 არაგველის ბაღთან აღმოჩენილია 6 ქურა-სახელოსნო, სადაც კერამიკული ჭურჭელი გამოიწვებოდა.[582]

ქვეყანის სხვადასხვა კუთხეში მოიპოვებდნენ რკინის მადანს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვემო ქართლში რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა რკინის მადნის გამოსაწვავი ქურის ნაშთი,

---

[579] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 103.

[580] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 112.

[581] მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, გვ. 89-92; ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 156.


[582] იხ.: მ. მიწიშვილი. მოჭიქული კერამიკის სანარმო შუა საუკუნეების თბილისში, XI-XIII სს. თბ. 1979; ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 154-159.

რომელთა შორის თავისი მასშტაბით გამორჩეულია დაბა კაზრეთთან არსებული XI-XII საუკუნეების დიდი ქურა.[583] ასევე მოიპოვებდნენ სპილენძისა და ვერცხლის მადანს. რკინისა და სპილენძისაგან „მჭედელნი რკინისა და რვალისანი“[584] მრავალი სახის ნაწარმს, მათ შორის დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღს ამზადებდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბრძოლო საჭურველს ქვეყნის მთიან ნაწილშიც ამზადებდნენ, რასაც მოწმობს „ნიკორწმინდელის დაწერილში“ ნახსენები „ჩაბალახი გუდამაყრული“,[585] ანუ გუდამაყარში დამზადებული ლითონის საბრძოლო თავსარქველი.

მაღალ დონეზე იყო განვითარებული ოქრომჭედლობა, რისი დამადასტურებელია ბექა და ბეშქენ ოპიზრების თუ სხვათა მიერ შესრულებული დღემდე მოღწეული მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ჭედურობის ნიმუშები – ხახულის კარედი, წყაროსთავის სახარების ჭედური ყდა და სხვ.



ხახულის ღმრთისმშობლის კარედი ხატი. X-XII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



წყაროსთავის ოთხთავის ჭედური ყდა. XII ს. ხელ. Q-907

583 იხ.: ი. რძელიშვილი. რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია. მაცნე. № 5. თბ. 1966, გვ. 187-192; რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია ახალი აღმოჩენების სინათლეზე. რკებ. შოთა რუსთაველი. თბ. 1968.

584 რ. მეტრეველი. ბელოსნობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 106.

585 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40.

ქართულ ქალაქებში განვითარებული უნდა ყოფილიყო ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, რომლებიც ზოგადად, იმ ეპოქის ფეოდალურ სახელმწიფოებში არსებობდა.[586] სხვადასხვა დარგის ხელოსნობის მაღალგანვითარებაზე მეტყველებს „გალატოზთუხუცესის“, „მხატვართუხუცესის“, „მკერვალთუხუცესის“ და სხვა ტერმინების არსებობა, რომლებიც ამა თუ იმ დარგის ხელოსანთა ხელმძღვანელ პირებს უნდა წარმოადგენდნენ.[587]

ამგვარად, დასახელებული ეპოქის საქართველოში ხელოსნური წარმოება სათანადოდ იყო განვითარებული. ადგილობრივი ხელოსნური წარმოება არათუ აკმაყოფილებდა შიდა მოთხოვნილების დიდ ნაწილს, არამედ მრავალი პროდუქცია საექსპორტოდაც მზადდებოდა.

რაც შეეხება XIV-XV საუკუნეების ვითარებას, საქალაქო ცხოვრების უკუსვლისა და მოსახლეობის ოდენობის კლების პარალელურად, ბუნებრივია, შემცირდებოდა ხელოსნური ნაწარმის ხვედრითი წილიც.

სავაჭრო გზები, ვაჭრობა

საქართველოზე გამავალ გზებს ანტიკური ეპოქიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსოფლიო ვაჭრობაში. ელინისტურ ეპოქაში კოლხეთი და იბერია დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ქართული ქალაქების ერთი ნაწილის აღმოცენება და განვითარება სწორედ ამ გზების არსებობასთან იყო დაკავშირებული.

ფეოდალური ურთიერთობების დამკვიდრების შემდეგ საქართველოზე გამავალ გზებს თავისი ფუნქცია არ დაუკარგავს. X-XIII საუკუნეებში საქართველოს ქალაქები ჩართული იყო არა მხოლოდ საშინაო ვაჭრობაში, არამედ საქარავნო გზებით უკავშირდებოდნენ ბიზანტიას, ირანს, რუსეთს და სხვა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებს.

ბიზანტიასთან დამაკავშირებელი გზები გადიოდა არტანუჯზე. არტანუჯზე გამავალი გზა, ასევე სომხეთის ქალაქებს შავ ზღვასთან აკავშირებდა. კონსტანტინე პორფიროგენეტის (913-920; 945-959 წწ.) გადმოცემით, „... ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ (ციხის გარეუბანი, სადაც ვაჭარ-ხელოსნები სახლობდნენ – ა. თ.) და დაბა ქალაქიც; იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან;

[586] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 459.

[587] რ. მეტრეველი. ხელოსნობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 108.

და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. ადრანუჯის ციხის მინა-წყალი, ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს".[588]

საქართველო ირანს საქარავნო მაგისტრალებით უკავშირდებოდა, ხოლო ჩრდილოეთის ქვეყნებთან ვაჭრობა დარიალის, დარუბანდისა და სხვა გადასასვლელების საშუალებით ხორციელდებოდა.[589]

XI-XIII საუკუნეებში ქართული სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონში არსებულ ეკონომიკურ ვითარებასა და სავაჭრო-საქარავნო გზებს. საქართველოს სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე არანის, შირვანისა და სომხეთის ქალაქები აღნიშნულ ეპოქაში მნიშვნელოვნად განვითარდა. თანადროულ წყაროებში დასახელებული რეგიონები მახლობელი აღმოსავლეთის ერთერთ უმდიდრეს ტერიტორიებად მოიხსენიება.[590]

არანისა და შირვანის დაწინაურებული ქალაქებიდან გამოირჩეოდა ბარდავი, რომელსაც ეკონომიკურთან ერთად, სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ბარდავი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ ირანის ქალაქებთან – არდებილთან, თავრიზთან და ა.შ. აქედან კი აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებთან მყარდებოდა სავაჭრო ურთიერთობები. ასევე ბარდავიდან მიემართებოდა გზები როგორც დვინისაკენ, ისე თბილისისა და დარუბანდისაკენ. ამდენად, ბარდავი საქართველოს სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მთავარ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. ქალაქის ეკონომიკურ აქტივობაზე იქ არსებული გამორჩეულად დიდი სავაჭრო ბაზარიც მეტყველებს.[591]

საქართველოდან ბარდავისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა ქალაქი განჯა, სადაც აბრეშუმს, ბამბას და სხვა სავაჭრო საქონელს აწარმოებდნენ. ქალაქი განსაკუთრებით XII საუკუნეში დაწინაურდა და მთელი არანის ძირითად ცენტრად იქცა. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში განჯის საამიროს ექვემდებარებოდა ბარდავი და არანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი – ბაილაყანიც.

რეგიონში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ დარუბანდსა და შირვანის ქალაქებს: ყაბალას, შემახას და სხვ.

საქართველოს სამხრეთით მდებარე ქალაქი ნახჭევანიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის მატარებელი იყო, სად-

---

588 კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა. ტ. IV. ნაკვ. 2. თბ. 1959, გვ. 278-279.

589 ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 9, 54-65.

590 ე. ავდალიანი. საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.), გვ. 100.

591 ე. ავდალიანი. საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.), გვ. 116-120.

აც ადგილობრივ ნაწარმთან ერთად, ფართოდ მოიპოვებოდა იმპორტირებული, მათ შორის ჩინური პროდუქცია.[592]

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით კი X-XIII საუკუნეებში განსაკუთრებით დაწინაურდა სომხური ქალაქები: დვინი, ანისი, ყარსი, ხოლო უფრო სამხრეთით – ხლათი.

გარდა იმისა, რომ დვინიდან ერთი გზა თბილისისაკენ მიემართებოდა, აღნიშნულ ქალაქს კიდევ უფრო დიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის დაკავშირებული იყო როგორც ირანის ქალაქებთან, ისე ჩრდილოეთ მესოპოტამიასთან. ჩრდილოეთ ირანის ქალაქებიდან ბარდავზე გამავალი გზა დვინიდან მიემართებოდა ტრაპიზონისაკენ, რომელიც ანისზე, ყარსსა და არზრუმზე, ანუ კარნუ ქალაქზე გადიოდა. ტრაპიზონი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და იქ ბევრი უცხოელი ვაჭარი ჩადიოდა, საიდანაც პროდუქცია გემებით შავი ზღვის გარშემო ქალაქებისაკენ გადაჰქონდათ.

ამდენად, ჩრდილოეთ ირანიდან ბარდავი-დვინი-ანისი-ყარსი-არზრუმზე გამავალი გზა, რომელიც ტრაპიზონისაკენ მიემართებოდა, შეიძლება აბრეშუმის გზის ერთ-ერთ განშტოებად მივიჩნიოთ. აბრეშუმის გზის ძირითადი საქარავნო მაგისტარალები კი, რაღა თქმა უნდა, შედარებით სამხრეთით მდებარეობდა.

არსებული რეალობა ნათელს ჰფენს იმ საკითხს, თუ რატომ ცდილობდა XII საუკუნეში გაძლიერებული საქართველოს სამეფო ასე გამალებით ქვეყნის სამხრეთით მდებარე არაქართული მიწების დაუფლებას. აღნიშნულ ტერიტორიების კონტროლი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე სავაჭრო მაგისტრალებზე გაბატონებას ნიშნავდა.

განსახილველ პერიოდში ქართველმა მეფეებმა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მოაქციეს ქალაქები: დვინი, ანისი, ყარსი, ყაბალა, შამქორი და სხვ. ხოლო განჯის საამირო (ქალაქებით: განჯა, ბარდავი, ბაილაყანი), არზრუმის საამირო, შირვანი, ნახიჭევანი და დარუბანდი საქართველოს მოხარკე და ვასალური (ყმადნაფიცი) ქვეყნები გახდნენ. ქართველ მეფეთა გავლენის სფეროში მოექცა XIII საუკუნის დასაწყისში დაარსებული ტრაპიზონის იმპერიაც.[593]

ამდენად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის ზოგიერთი ქალაქის უშუალოდ ქართული სამეფოს შემადგენლობაში შეყვანით, ხოლო ზოგიერთ მათგანზე გავლენის მოპოვებით, ქართველმა მეფეებმა რეგიონის

---

[592] ე. ავდალიანი. საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.), გვ. 126.

[593] ქვეყნის სამხრეთით მდებარე სავაჭრო გზების დაუფლებისათვის ქართველი მეფეების ძალისხმევის შესახებ იხილეთ: ე. ავდალიანი. საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.), გვ. 160-193.

მასშტაბით არსებული საქარავნო გზების გაკონტროლება შეძლეს. ვ. გაბაშვილის აზრით, პოლიტიკური ძლიერების ფონზე, ამ მხრივ საქართველოს სამეფოს ამბიციები კიდევ უფრო მზარდი ყოფილა. ავტორი მიიჩნევს, რომ სამხრეთით მდებარე ქალაქების, მათ შორის ხლათის დამორჩილებით, საქართველოს სამეფო ესწრაფოდა ირანიდან ლევანტისაკენ მიმავალი მთავარი სავაჭრო-საქარავნო გზების ხელში ჩაგდებასა და მის გაკონტროლებას, რათა შუამავლის როლი შეესრულებინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში.[594] მართალია, იმხანად ქართულმა მონარქიამ დვინი-ანისი-ყარსის სამხრეთით არსებული გზების გაკონტროლება ვერ მოახერხა, რადგან მას მზარდი წინააღმდეგობა შეხვდა აიუბიანთა სახელმწიფოს მხრიდან,[595] მაგრამ კავკასიის რეგიონის მასშტაბით ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

მსგავს პირობებში თბილისელი და ქვეყნის სხვა ქალაქების ვაჭრები შორეულ ქვეყნებამდე მოგზაურობდნენ. XII-XIII საუკუნეებში შორეულ ქვეყნებთან კავშირების გამოსარკვევად მეტად საინტერესოა რუსთაველის თანამედროვე ქართველი პოეტის ჩახრუხაძის პოემა „თამარიანი", რომელშიც მოცემულია მისი ვირტუალური მოგზაურობა. საქართველოდან წასულმა „მოვლის" ერანი, იქიდან კი ინდოეთში გადასულა, შემდეგ „ამოვლის" ინდოეთი, ჩინეთი, გადაიარა ხატაეთი, საიდანაც მივიდა ხაზარეთს (ყივჩაღეთი). ხაზარეთიდან რუსეთში გადადის, ხოლო რუსეთიდან – კონსტანტინეპოლში. შემდეგ კი „მაღრიბს" მიაღწია, მოიარა ქალაქები, მოინახულა ეგვიპტე, იემენი, ბაღდადზე გამოვლით კი „ბარდავს მოვიდეს", საიდანაც დაბრუნდა საქართველოში.[596] ჩარხრუხაძის პოემაში წარმოდგენილი მარშრუტები, ცხადია, საქართველოდან მიმავალ ვაჭრებს კარგად ექნებოდათ ათვისებული. სწორედ სავაჭრო კავშირების შედეგად მიღებული ცოდნა უნდა იყოს ასახული დასახელებულ პოემაში.

ერთი სიტყვით, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობები ძალიან შორს იყო წასული. წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართულ ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ირანთან, არაბეთთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან, ეგვიპტესთან, ჩინეთსა და სხვა შორეულ თუ მახლობელ ქვეყნებთან.

ექსპორტის საგანი იყო, როგორც სასოფლო-სამეურნეო პრო-

---

[594] ვ. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, გვ. 205.

[595] ვრცლად იხილეთ: თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. № 2. თბ. 1974, გვ. 168-189; ნ. შენგელია. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 335-336.

[596] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 7.

დუქტები – თაფლი, ღვინო, კაკალი, აბრეშუმი, ბამბა, ცხენები და სხვა, ისე ხელოსნური ნაწარმი – კერამიკა, შალის და აბრეშუმის ქსოვილები, ტანისამოსი, ხალიჩები, ბეწვეული, საბრძოლო, იარაღი და ა.შ.[597]

მრავალფეროვანი იყო იმპორტული პროდუქციაც. ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ქსოვილები, მათ შორის ოქროქსოვილი, სამღვდელმსახურო ნივთები და სხვ.; მაღალხარისხოვანი მატყლი – სხვადასხვა ადგილიდან, მათ შორის ალექსანდრიიდანაც; ქვეყანაში შემოდიოდა ჩინური ქსოვილები და კერამიკა; ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან შემოჰქონდათ მდიდრული სამოსი, ნელსაცხებელი, ცხენის აღკაზმულობა, შაქარი, თვალ-მარგალიტი და სხვ.[598]

***

XIII საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოს სამეფოს ვითარება ამ მხრივაც შეიცვალა. მონღოლთა გაბატონების შედეგად ქვეყანამ დაკარგა მნიშვნელოვან სატრანზიტო გზებზე კონტროლი. ეტაპობრივად, ქართულ ქალაქებთან ერთად, სომხეთის, რანისა და შირვანის ბევრი ქალაქი დაკნინდა ან საერთოდ განადგურდა. მიუხედავად ამისა, XIII-XV საუკუნეებში საქართველო საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული იყო. მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები იყო დამყარებული ირანის ქალაქებთან, ტრაპიზონთან და ა.შ. როგორც აღინიშნა, გენუელთა სავაჭრო ცენტრ კაფასთან ეკონომიკური კავშირის შედეგად გამოცოცხლდა შავი ზღვისპირეთის ქართული ქალაქები, რომელთა საშუალებით სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან აბრეშუმი და სხვა საქონელი გადიოდა. ქართული ზღვისპირა ქალაქებიდან შირვანული აბრეშუმის ევროპაში გატანის ფაქტები სხვადასხვა ცნობით დასტურდება. მაგალითად, 1444 წელს ბათუმს თავს დასხმია ბურგუნდიელთა ფლოტი, რომლის მიზანი იქ მყოფი აბრეშუმით მოვაჭრე შემახელების ძარცვა ყოფილა. გურიელის მეთაურობით ქართველებს მომხდურები მოუგერიებიათ და მათი მეთაური ჟოფრუა დე ტუაზი დაუტყვევებიათ კიდეც, რომელიც მოგვიანებით ტრაპიზონის იმპერატორის შუამავლობით გაუთავისუფლებიათ.[599] ამდენად, საქართველოს სამეფოს XV საუკუნის ბოლომდე მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან.

---

[597] საქართველოს ისტორია. ტ. I, გვ. 465.

[598] შ. მესხია. ვაჭრობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 108-109.

[599] თ. ბერაძე. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, გვ. 38.

***

გარდა საერთაშორისო სავაჭრო გზებისა, ქვეყნის მხარეები ერთმანეთთან შიდა გზებით იყო დაკავშირებული. მაგალითად, შიდა ქართლი და იმერეთი ერთმანეთს უკავშირდებოდა როგორც სურამიდან და ალიდან ქუთაისისაკენ მიმავალი გზებით, ისე ცხინვალი-წონა-ყვირილას გზით.[600] თბილისიდან არტანუჯისაკენ სამშვილდე-ახალქალაქი-არტაანზე გამავალი გზა მიემართებოდა და ა.შ.[601]

გზების აგებასა და კეთილმოწყობაზე სახელმწიფო ზრუნავდა. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფის აღმშენებლობით საქმიანობის აღწერისას გადმოგვცემს: „... და ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ჴიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ-ყვნა".[602] მსგავსი სახის ღონისძიებები ხელს უწყობდა როგორც საგარეო ვაჭრობას, ისე ქვეყნის სხადასხვა კუთხის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ეპოქის წერილობითი წყაროები ქვეყნის სხადასხვა მხარის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებზე დეტალურად მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, ცხადია, მსგავსი სახის ურთიერთობა შორს იყო წასული. ამის საფუძველს კი საქალაქო ცხოვრების განვითარება წარმოადგენდა. ქალაქების მზარდი მოსახლეობის გამოსაკვებად საჭირო იყო რეგიონებიდან დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეტანა, რაც კიდევ უფრო აკავშირებდა ქვეყანის სხვადასხვა კუთხეს. როგორც მარცვეულის წარმოების მიმოხილვისას აღინიშნა, ქვეყნის მასშტაბით ხორბლის თანაბარი ფასები მხარეებს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირის შედეგი უნდა იყო. ჩანს, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებიდან დიდი რაოდენობით ხორბალი შედიოდა დასავლეთ საქართველოში. ცხადია, დასავლეთ საქართველოში არსებული ჭარბი პროდუქცია საქართველოს სხვა კუთხეებში რეალიზდებოდა.

XI-XIII საუკუნეებში ქართული სახელმწიფო, რომ ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმს წარმოადგენდა და ქვეყნის სხვადასხვა მხარე ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ამას ნათლად აჩვენებს ფულადი ერთეულების მოძრაობაც. გარდა იმისა, რომ ქართველი მონარქების მოჭრილი ფული მთელი ქვეყნის მასშტაბით გადახდის კანონიერ საშუალებას წარმოადგენდა, უცხოური მონე-

---

600 ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 29-37.

601 ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 110-111.

602 ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. ქართლის ცხოვრება, გვ. 337.

ტების უმეტესობაც გავრცელებული იყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნული ეპოქის სამონეტო განძები სწორედ ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბიზანტიური თუ რუმის სასულთნოში მოჭრილი მონეტები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე იყო მიმოქცევაში.[603]

XIII საუკუნის II ნახევრიდან კი ქვეყნის ეკონომიკური ერთიანობის რღვევა დაიწყო. აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლების გაბატონების შემდგომ ქვეყანა ორად გაიყო, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში შესუსტდა ეკონომიკური კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) მოახერხა ქვეყნის გაერთიანება, ეკონომიკური რღვევის პროცესი ვერ შეჩერდა. შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი და მონღოლური საოკუპაციო მონეტები იყო მიმოქცევაში, დასავლეთ საქართველოში კი – კირმანეული თეთრი. თავის მხრივ, ქვეყნის რეგიონებს შორის კავშირის შესუსტებას ხელს უწყობდა როგორც XIII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ისე საქალაქო ცხოვრების დაცემა.

მიუხედავად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის შესუსტებისა, საქართველოს კუთხეები XV საუკუნეშიც ინარჩუნებდნენ გარკვეულ კავშირებს. ამის საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია ზემოთ დამონმებული ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ეკონომიკური კავშირების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს. მხედველობაში გვაქვს XV საუკუნის თავისუფალი სვანეთის მოსახლეობისა და ჯაფარიძეთა საგვარეულოს დავის ამსახველი საბუთი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო მრავალ დეტალზეა საუბარი. ჯაფარიძეთა ოჯახის წევრის მკვლელობის გამო აღნიშნული ფეოდალური სახლის მიერ შევიწროვებული სვანები აცხადებდნენ: „... აღარც გაგვიშვით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგვიშვით, შვიდს წელინადსა ასე ვიყუენით, რომე სრულიად სვანეთის ქუეყანასა საზიარებელს ველარ ვიშოვებდით და არცა ვის მარილის გემო გვინახავს. მერმე მიგვჭირდა და აღარა ღონე გვქონდა. შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თჳითოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით. ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გვახლდა, გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავკიდეთ ღვინო და წამოვედით... წინათ თქუენ დაგვხვდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და

[603] ვრცლად იხილეთ: თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ. 1938, გვ. 281-316.

გარეყენიძე მოგვეწივნეს, გავიყავით წინა უკანა და დაგვჭოცეთ და ამოგვწყვიტეთ. რვაასის კაცისგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცნი დაგვჭოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღვინო ეკიდა, მისის საპალნით წაგვართვით. ამას გარეთ სხუა მრავალი მტრობა გვიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით. ამისი ღონე ვერ დავდევით, რომ გზა გვეშოვნა. ასი სვანი დვალეთისკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდა წავედით... მერმე შინისკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით, დაგვხვდით გლოლას და ჭიორსა შუაზედან... ჴელთა დაგვცარცვეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშვით, სხუა ყუელა ტყუეთ წამოასხით... ღონე არა გვქონდა, დავიჴსენით თავი და თვითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ... ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სვანეთი არის, თორმეტი წელიწადსა ასრე შენყვდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერცა გურიისაკენ".[604]

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეებში თავისუფალი სვანეთის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყოფილა საქართველოს ბარის რეგიონებთან კავშირი. ბარის რაიონებთან ეკონომიკურ ურთიერთობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რომ გარდაუვალი საფრთხის მიუხედავად, სვანები ჯერ ლეჩხუმში ჩასულან 400 საპალნე, ანუ ტვირთისმზიდავი ცხენით, შემდეგ 100 მათგანი დვალეთის გზით ფარულად კახეთში წასულა „საჯამაგიროდ". სვანები კახეთში „საჯამაგიროდ", ანუ სამუშაოდ რომ მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში არ მიდიოდნენ და ამ პროცესს მუდმივი ხასიათი ჰქონია, ეს კარგად ჩანს ამავე საბუთის სხვა ადგილას – მეფისა და სახელმწიფო მოხელეთა გადაწყვეტილებით, სვანებს მოკლული ჯაფარიძის სისხლში ამავე საგვარეულოსათვის გადაუციათ მნიშვნელოვანი ქონება, მათ შორის „ვერცხლის ტაშტი, წურწუმა, კახთა მეფის ნაპარევი".[605] როგორც ჩანს, სვანეთიდან კახეთში „საჯამაგიროდ" მოსახლეობა იმდენად ხშირად დადიოდა, რომ სამეფო კარიდანაც კი მოუხერხებიათ გარკვეული ნივთების მოპარვა. საბუთიდან ვიგებთ, რომ კახეთის გარდა, სვანეთიდან მოსახლეობა სამცხესა და გურიაშიც დადიოდა „საჯამაგიროდ", საიდანაც მარილთან და სხვა პროდუქტებთან ერთად დიდი რაოდენობით ღვინოსაც იძენდნენ. როგორც ვნახეთ, ლეჩხუმში ერთ ჯერზე მათ 400 საპალნე (60 000 ლიტრი) ღვინო შეუძენიათ. ამდენად, საბუთი სრული სიცხადით გადმოგვცემს მთის რეგიონების მცხოვრებთა საჭიროებებს და ბარის რაიონებთან ეკონომიკური კავშირების აუცი-

[604] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. I, გვ. 126-128.

[605] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ნ. I. გვ. 130.

ლებლობის ფაქტს.[606]

იქიდან გამომდინარე, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შესუსტებული კავშირების პირობებში, ქვეყნის კუთხეებს შორის მსგავსი ურთიერთობები ჯერ კიდევ არსებობდა, ადვილი წარმოსადგენია, ამ ურთიერთობების მასშტაბი რამდენად დიდი იქნებოდა XI-XIII საუკუნეებში. მართლაც, ქვეყნის უწყვეტი ეკონომიკური განვითარების, საქალაქო ცხოვრების აღმავლობისა და პოლიტიკური ერთიანობის პირობებში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ინტენსიური კავშირ-ურთიერთობები უცილობლად საგულისხმევია. შესაძლებელია, კლასიკური გაგებით, საშინაო ბაზარი სრულად ფორმირებული არ იყო, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობები მაღალ ნიშნულზეა სავარაუდებელი.

ამდენად, XII-XIII საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების დაწინაურების პარალელურად, ხელოსნობა, საგარეო და საშინაო ვაჭრობა სათანადოდ იყო განვითარებული. შესაბამისად, ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება სწორედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ეფუძნებოდა.

XIII საუკუნის შუა ხანებიდან კი ქვეყნის ეკონომიკური ვითარება ეტაპობრივად უარესდებოდა, რამაც, სხვა გარემოებებთან ერთად, ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლას შეუწყო ხელი.

ერთიანი ქართული მონარქიის სახელმწიფო შემოსავლები

ფეოდალური ქართული სახელმწიფოს, ისე როგორც თანადროული ეპოქის სხვა ქვეყნების შემოსავლები, ძირითადად, იკრიბებოდა ყმა-გლეხთა გადასახადებიდან, ქალაქის მოსახლეობიდან, საბაჟოებიდან, მონოპოლიებიდან და მსგავსი სახის სხვა მუხლებიდან. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ქართული სახელმწიფოს შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოხარკე ქვეყნებიდან მიღებულ ხარკსაც. ცხადია, გადასახადების ნაწილი ნატურალური პროდუქტებით იკრიბებოდა, ნაწილი კი – ფულის სახით.

სამწუხაროდ, ინფორმაციის ნაკლებობა არ გვაძლევს საშუალებას ცალ-ცალკე დეტალურად განვიხილოთ ამა თუ იმ სახის გადასახადის ოდენობა. თუმცა გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს საერთო შემოსავლებისა და მონღოლებისათვის გადახდილი ხარკის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XIV საუკუნის I ნახევრის

[606] საქართველოს რეგიონების ეკონომიკური კავშირების შესახებ, ასევე, იხილეთ: რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია — 100. თბ. 2016, გვ. 392-421.

ავტორი ჰამდალაჰ ყაზვინი, რომელიც ილხანთა სახელმწიფოს საფინანსო უწყების დიდი მოხელე იყო და, შესაბამისად, ხელი მიუწვდებოდა საგადასახადო ნუსხებზე.[607]

ავტორი 1339/1340 წლებში დაწერილი ნაშრომის „გულთა სიამეს" მეექვსე კარში, რომლის სათაურია „აფხაზ(ეთ)-ის და საქართველოს ქალაქთა ხსენება", გადმოგვცემს: „... მისი საზღვრები არანს, არმენიას და რუმს ეკვრის. სახელმწიფო შემოსავალი ამ ქვეყნისა იქაური მეფეების დროს დაახლოვებით ეხლანდელ ხუთას თუმანს შეადგენდა, ხოლო ამჟამად ას ოცი თუმანი და ორი ათასი დინარია. საქართველოს და აფხაზეთის სატახტო ქალაქი ტფილისია...".[608]

ჰამდალაჰ ყაზვინი თავისი ეპოქის სხვა ქვეყნების შემოსავლების შესახებ დასძენდა, რომ აღნიშნული თანხები მონღოლურ საგადასახადო დავთრებში ყოფილა ჩაწერილი („სწერია დავთარში"). აქედან გამომდინარე, 120 თუმანი და 2000 დინარი მონღოლებისათვის გადასახდელ ხარკს წარმოადგენდა.

ამდენად, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, მონღოლთა ბატონობამდე საქართველოს სამეფოს სახელმწიფო შემოსავლები შეადგენდა 500 მონღოლურ თუმანს, ხოლო მონღოლთათვის გადახდილი ხარკის ოდენობა – 120 თუმანს და 2000 დინარს.

აღნიშნულ ცნობას თავდაპირველად ყურადღება ვ. ბარტოლდმა მიაქცია. მისი განმარტებით, მონღოლური თუმანი 10 000 ვერცხლის დინარს შეიცავდა, დინარი კი – 6 დირჰემს. ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) საფინანსო რეფორმის შედეგად, დინარის წონად 3 მისხალი განისაზღვრა, ხოლო აბუ-საიდის (1316-1335 წწ.) მმართველობის დროს ორ მისხლამდე შემცირდა. ერთი სიტყვით, ყაზან ყაენის დროს 1 მონღოლური თუმანი შეიცავდა 60 000 დირჰემს,[609] ანუ შემცირებული წონის იმავე ოდენობის თეთრს/დრამას.

ვ. ბარტოლდი 1 დინარს 1911 წლის რუსული 75 კაპიკის ეკვივალენტად მიიჩნევდა და დასძენდა, რომ მონღოლებამდე საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები უდრიდა 3 750 000 რუსულ მანეთს (რუბლს), ხოლო ილხანებისათვის გადახდილი ხარკი – 901 500 მანეთს (რუბლს).[610]

ამდენად, ვ. ბარტოლდის მიხედვით, ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებად დასახელებული 500

---

607 რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება). ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 198.

608 ისთაბრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 23.

609 В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети Мануче. СПб. 1911, გვ. 17-19.

610 В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, გვ. 23.

თუმანი შეიცავდა 5 000 000 დინარს (500×10 000=5 000 000).

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობების მიხედვით, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების შემოსავლები და ხარკის ოდენობა დაახლოებით ასე გამოიყურება[611]:

ქვეყანა	მონღოლთა ბატონობამდე სახელმწიფო შემოსავლები	მონღოლური სახელმწიფო გადასახადები/ ხარკი
არაბეთის ერაყი	3000 თუმანი, ანუ 30 000 000 დინარი	300 თუმანი, ანუ 3 000 000 დინარი
ირანის ერაყი (ჩრდილო-დასავლეთ ირანი)	2520 თუმანი, ანუ 25 200 000 დინარი	235 თუმანი და 1600 დინარი, ანუ სულ 2 351 600 დინარი
აზერბაიჯანი	2000 თუმანი, ანუ 20 000 000 დინარი	216 თუმანი და 400 დინარი, ანუ 2 160 400 დინარი
ფარსი	1050 თუმანი, ანუ 10 500 000 დინარი	287 თუმანი და 1200 დინარი, ანუ სულ 2 871 200 დინარი
რუმი	1500 თუმანი, ანუ 15 000 000 დინარი	330 თუმანი, ანუ 3 300 000 დინარი
საქართველო	500 თუმანი, ანუ 5 000 000 დინარი	120 თუმანი და 2000 დინარი, ანუ სულ 1 202 000 დინარი
არანი და მუღანი	300 თუმანი, ანუ 3 000 000 დინარი	30 თუმანი და 3000 დინარი, ანუ სულ 303 000 დინარი
შირვანი	100 თუმანი, ანუ 1 000 000 დინარი	11 თუმანი და 3000 დინარი, ანუ სულ 113 000 დინარი
გუშთასფი	100 თუმანი, ანუ 1 000 000 დინარი	118 500 დინარი
დიდი არმენია	200 თუმანი, ანუ 2 000 000 დინარი	39 თუმანი, ანუ 390 000 დინარი

[611] ცხრილი შედგენილია ი. პეტრუშევსკის ნაშრომის მიხედვით. იხ.: И. П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков. Москва-Ленинград, 1960, გვ. 98-99.

დიარბექრი და დიარრაბბია (ზემო შუამდინარეთი)	1000 თუმანი, ანუ 10 000 000 დინარი	1 925 000 დინარი
ქურთისტანი	200 თუმანი, ანუ 2 000 000 დინარი	20 თუმანი და 1500 დინარი, ანუ სულ 201 500 დინარი
ხუზისტანი	300 თუმანი, ანუ 3 000 000 დინარი	32 თუმანი და 5000 დინარი, ანუ სულ 325 000 დინარი
შებანგარა	200 თუმანი, ანუ 2 000 000 დინარი	26 თუმანი და 6100 დინარი, ანუ სულ 266 100 დინარი
ქირმანი	88 თუმანი, ანუ 880 000 დინარი	67 თუმანი და 6500 დინარი, ანუ სულ 676 500 დინარი
სულ	10 058 თუმანი, ანუ 100 580 000 დინარი[612]	1920 თუმანი და 3800 დინარი, ანუ სულ 19 203 800 დინარი[613]

როგორც ვხედავთ, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, მთლიანი რეგიონის ქვეყნების შემოსავლები მონღოლებამდელ ეპოქაში 10 000 თუმანს აღემატებოდა, ხოლო საკუთრივ ილხანთა სახელმწიფოს შემოსავლები 2000 თუმანს აღწევდა.

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობითვე ირკვევა, რომ ყაზან ყაენამდე ილხანთა სახელმწიფოს საერთო შემოსავლები შეადგენდა 1700 თუმანს, ხოლო ყაზანის დროს – 2100 თუმანს, აბუ-საიდის დროს კი – ამის ნახევარს.[614] შესაბამისად, როგორც რ. კიკნაძე შენიშნავს, ავტორის მიერ ილხანთა შემოსავლად ნაჩვენები დაახლ. 2000 თუმანი არა მისი ეპოქის რეალობას, არამედ უფრო ადრეული ხანის – ყაზანის და ოლჯაითუს (1304-1316 წწ.) მმართველობის პერიოდის – შემოსავლებს წარმოადგენდა.[615]

[612] პეტრუშევსკის ნაჩვენები აქვს მხოლოდ ვერცხლის დინარები. რეალურად ჩამოთვლილი ქვეყნების შემოსავლის ჯამი შეადგენს 130 000 000 ვერცხლის დინარზე მეტს.

[613] რ. კიკნაძის გამოანგარიშებით, მონღოლთა შემოსავლები უდრიდა 19 765 880 დინარს, ანუ ზემოთ დასახელებულ ციფრზე მცირედით მეტს. იხ.: რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 23.

[614] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 202.

[615] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 204.

ჰამდალაჰ ყაზვინის მიხედვით, დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოზე დიდი შემოსავლები რეგიონის მხოლოდ 5 სახელმწიფოსა თუ პროვინციას ჰქონია. ასევე სულ რამდენიმე ქვეყანა და პროვინცია იხდიდა საქართველოზე მეტ მონღოლურ გადასახადებს.

აღნიშნულ ცნობას ქართულმა ისტორიოგრაფიამ გარკვეული ყურადღება დაუთმო. ივ. ჯავახიშვილის, კ. გრიგოლიას, ვ. დონდუას, ვ. გაბაშვილის, დ. კაციტაძის და სხვა ავტორების აზრით, ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ დასახელებული 500 თუმანი, ანუ 5 000 000 დინარი საქართველოს პოლიტიკური ძლიერების, ანუ ე.წ. „ოქროს ხანის" სახელმწიფო შემოსავალს წარმოადგენდა.[616] გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ, ს. კაკაბაძე 500 თუმანს XIII საუკუნის II ნახევარში საქართველოს მიერ მონღოლებისათვის გადასახდელი ხარკის ოდენობად მიიჩნევდა, ხოლო 120 თუმანს და 2000 დინარს – 1330-იანი წლების ხარკად,[617] რ. კიკნაძის აზრით კი, დასახელებული 500 თუმანი „დიდი თურქობის" ეპოქაში სელჩუკებისათვის გადასახდელ ხარკი იყო.[618]

დასახელებულ ავტორთაგან საკითხს ვრცლად მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი შეეხო თავის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ შრომაში, რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.[619]

---

[616] იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983, გვ. 392; ვ. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, გვ. 206; დ. კაციტაძე. XIV საუკუნის საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან. თსუ შრომები. ტ. 121, გვ. 253; ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი. თბ. 1967, გვ. 141-145; კ. გრიგოლია. ქართული რენესანსი რუსთველის ეპოქისა. კრებ. შოთა რუსთაველი. თბ. 1968, გვ. 38.

[617] ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, გვ. 273-274.

[618] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 196-208.

[619] ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობას შეეხო ივ. ჯავახიშვილი 1930 წელს გამოცემულ საქართველოს ეკონომიური ისტორიის I ნიგნში, რომელშიც მხოლოდ წყაროს მნიშვნელობაზეა მსჯელობა (იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 115-118). მოგვიანებით, 1940 წელს, ივ. ჯავახიშვილის თანაავტორობით შედგენილ ნაშრომში ძალიან მოკლედ განხილულია დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები, რაც შედარებულია მეზობელი სახელმწიფოების შემოსავლებთან (იხ.: ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე. საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე. თბ. 1940, გვ. 173). იგივე ტექსტი შეტანილია ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით 1943 წელს გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოში (იხ.: ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. I. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ. 1943, გვ. 217) და ქართველი ერის ისტორიის II ნიგნის დამატებაში (იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, გვ. 392). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიური ისტორიის გარდა, ყველა დასახელებული ნაშრომი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.
დასახელებულ გამოცემებში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც შენიშნა ვ. დონდუამ – საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების შემოსავლების შედარებისას,

ივ. ჯავახიშვილი თავდაპირველად მონღოლთა დავთარში გატარებულ საქართველოს გადასახდელ 120 თუმანს და 2000 დინარს ეხება და აღნიშნავს, რომ ეს თანხა იყო არა სახელმწიფო შემოსავალი, არამედ ხარკი.

ავტორი, ასევე დეტალურად განიხილავს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო შემოსავალს – 500 თუმანს. მისი აზრით, რადგან საქართველოს მხოლოდ 3 მოხარკე ქვეყნის – არანის, ხლათის და შირვანის ყოველწლიური შემოსავალი მონღოლებამდე 300, 200 და 100 თუმანს, ანუ ჯამურად 600 თუმანს შეადგენდა, საქართველოს შემოსავალში, ანუ 500 თუმანში ჰამდალაჰ ყაზვინს მოხარკე ქვეყნების გადახდილი ხარკი არ უნდა მიეთვალა. ამდენად, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ 500 თუმანი საქართველოს შემოსავალი იყო მოხარკე ქვეყნების გადასახადების გარეშე.

500 თუმნის ოდენობის შესახებ კი ავტორი აღნიშნავს, რომ ბარტოლდის ანგარიშით, ის წარმოადგენდა 30 000 000 ვერცხლის დრამას. თუმცა ჯუვეინის ცნობაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ XIII საუკუნეში 1 მონღოლურ თუმანში 1000 ბალიში ითვლებოდა, ხოლო ბალიში 75 ვერცხლის ოთხდანგიან (დაახლ. 3 გრ.) მონეტას შეიცავდა. მოცემული პირობის გათვალისწინებით (1 მონღოლური თუმანი=75 000 ოთხდანგიან დირჰემს/დრამას), ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი დამოუკიდებლობის დროს, მოხარკე ქვეყნების გადასახდელი ხარკის გარეშე, 37 500 000 ვერცხლის ოთხდანგიან მონეტას შეადგენდა.[620]

რ. კიკნაძე მიიჩნევს, რომ, რადგან აბუ-საიდის მმართველობის დროს დინარის წონა დაახლ. 13 გრამიდან 2 მისხლამდე, ანუ 9 გრამამდე შემცირდა, ჰამდალაჰ ყაზვინის დასახელებული 500 თუმანი უნდა შეადგენდეს არა ბარტოლდის გამოანგარიშებულ თანხას, არამედ ერთი მესამედით ნაკლებს და ის, როგორც აღინიშნა, უნდა

საქართველოს შემთხვევაში, ცნობა მოხმობილია მონღოლებამდელი ეპოქიდან, ხოლო მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში, აღებულია XIV საუკუნის მონაცემები. რეალურად ჰამდალაჰ ყაზვინი მოგვითხრობს, რომ აბუ-საიდის მმართველობის ეპოქაში, მაგალითად, რუმის გადასახადები უდრიდა 330 თუმანს, ხოლო სელჩუკების დროს მათი სახელმწიფოს შემოსავლები შეადგენდა 1500 თუმანს. ჯავახიშვილს კი შედარებული აქვს ილხანთა სახელმწიფოში რუმის გადასახდელი თანხა და დამოუკიდებელი საქართველოს შემოსავლები. იმავე პირობით არის შედარებული არაბეთის ერაყის და სხვა რეგიონების შემოსავლები ქართულთან (იხ.: ე. დონდუა. საისტორიო ძიებანი, გვ. 141-145).

ჩვენი აზრით, ივ. ჯავახიშვილის თანაავტორობით შედგენილ ნაშრომებში დაშვებული უზუსტობა რედაქტირების შედეგი უნდა იყოს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, რომელშიც ხელნაწერი სახით მოცემულია ვრცელი გამოკვლევა (№ 310) ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობების შესახებ.

[620] იხ.: ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 310.

ყოფილიყო არა საქართველოს შემოსავალი, არამედ XI საუკუნის მიწურულში ქართველების მიერ სელჩუკებისათვის გადახდილი ხარკი.[621]

აღნიშნული მოსაზრება სავსებით სამართლიანად საეჭვოდ მიიჩნია გ. ჯაფარიძემ. მისი აზრით, XI საუკუნის ბოლოს ქართული სახელმწიფო დასახელებული ოდენობის ხარკის გადახდას ვერ შეძლებდა. გამოთქმული მოსაზრება კიდევ უფრო საეჭვოდ გამოიყურება იმ ფონზე, რომ მეზობელი შირვანის სათურქო ხარკი შეადგენდა მხოლოდ 70 ათას დინარს, რომელიც მოგვიანებით 40 ათასამდე შეუმცირებიათ. ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით გ. ჯაფარიძის შენიშვნას და დავძენთ, რომ თავად ჰამდალაჰ ყაზვინის ნაშრომის შინაარსი არავითარ საფუძველს არ გვაძლევს 500 თუმნის სელჩუკებისათვის გადასახდელ ხარკად გაიგივების შესახებ.

გ. ჯაფარიძე იქვე შენიშნავს, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ დასახელებული თანხა, თავის მხრივ, არ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების შესახებ.[622]

ასეთია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ჰამდალაჰ ყაზვინის საყურადღებო ცნობებთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, ირანელი ავტორის მონაცემები, მისი საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, სანდოდ უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, ირანელი ავტორის დასახელებული ფულადი ოდენობები შესაბამისობაშია ლოგიკასთან და, ამავე დროს, სრულებით არ ცვლის ზოგად წარმოდგენას, თუნდაც თამარის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების შესახებ. კერძოდ, როგორც ჰამდალაჰ ყაზვინი გადმოგვცემს, დამოუკიდებლობის ეპოქაში ქართული სახელმწიფოს შემოსავლები 5-ჯერ აღემატებოდა, მაგალითად, შირვანის, ხოლო 2,5-ჯერ დიდი არმენიის, ანუ შაჰ-არმენთა სახელმწიფოს შემოსავლებს. ასევე სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ რუმის შემოსავლები 3-ჯერ უფრო დიდი ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებზე, რადგან რუმი საქართველოსთან შედარებით, ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა და აკონტროლებდა სტრატეგიულ სავაჭრო გზებს. ვფიქრობთ, იმდროინდელი პოლიტიკური კონტექსტიც ადასტურებს ყოველივე ზემოთქმულს – ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაშქრობა სწორედ რუმის სულთანმა რუქნ ად-დინმა (1196-1204 წწ.) წამოიწყო და არა პირიქით, ხოლო ბასიანის ბრძოლაში მისი დამარცხება

---

[621] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის შესახებ), გვ. 196-208.

[622] გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს.-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 11-12, სქოლიო 3.

იმიტომ იყო რეზონანსული მოვლენა, რომ ქართველებმა უძლიერეს მოწინააღმდეგეს სძლიეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ყაზან-ყაენის მმართველობის დროს, ჰამდალაჰ ყაზვინისავე ცნობით, ილხანთა სახელმწიფოს შემოსავლები დაახლ. 2000 მონღოლურ თუმანს შეადგენდა, მასზე რამდენჯერმე მცირე საქართველოს შემოსავლები კიდევ უფრო სოლიდურად გამოიყურება. ერთი სიტყვით, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობებში ეჭვის შესატანად ნაკლები საფუძველი გვაქვს.

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, დასახელებულ 500 თუმანში არ უნდა იგულისხმებოდეს მოხარკე ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკი, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია.

ასევე ზემოთ უკვე ითქვა, რომ ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, საქართველოს შემოსავლების შემთხვევაში, 1 მონღოლურ თუმანში ყაზანის რეფორმამდელი, ანუ 75 000 ოთხდანგიანი დრამა უნდა იგულისხმებოდეს. რ. კიკნაძის აზრით კი, ჰამდალაჰ ყაზვინს მხედველობაში უნდა ჰქონოდა აბუ-საიდის მმართველობის დროინდელი მკვეთრად შემცირებული მონეტები.

რადგან კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ჰამდალაჰ ყაზვინი ყაზან ყაენის დროინდელი დავთრებით ხელმძღვანელობდა და არა აბუ-საიდის ეპოქის შემოსავლებით (სწორედ ამიტომ იყო ილხანთა შემოსავლების ოდენობა ნაჩვენები ძველი მონაცემებით და არა აბუ-საიდის დროინდელი დავთრების მიხედვით, რასაც რ. კიკნაძეც შენიშნავდა[623]), ვფიქრობთ, გამოცდილ ფინანსისტს არ უნდა გასჭირვებოდა არც ნაშრომის დაწერის პერიოდის – XIV საუკუნის 30-იან წლების და არც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე არსებული ფულის ყაზან ყაენის მოჭრილი მონეტების კურსზე გადაყვანა. ამდენად, ამ შემთხვევაში მისაღები უნდა იყოს ვ. ბარტოლდისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, 1 მონღოლური თუმანი შეადგენდა 10 000 დინარს, ხოლო დინარი – 6 სამდანგიან დრამას.

საბოლოოდ მოცემული მსჯელობის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის თანახმად, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი ქართული მონარქიის სახელმწიფო შემოსავლების ოდენობა, დიდი ალბათობით, მოხარკე ქვეყნების ხარკის გამოკლებით, შეადგენდა 500 თუმანს, ანუ 30 000 000 სამდანგიან (დაახლ. 2,15-გრამიან) დირჰემს. აღნიშნული მონეტების 3-გრამიან დრამებში გადაყვანის შემთხვევაში, მივიღებთ 21 500 000 დრამას. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს შემოსავლები XII-XIII საუკუნეების

[623] იხ.: რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის შესახებ), გვ. 204.

მიჯნაზე, მოხარკეთა ხარკის გამოკლებით, შეადგენდა 21 500 000 დრამას.

21 500 000 ოთხდანგიანი დრამა კი დაახლ. იმავე ოდენობის სირმა-აბაზის, ხოლო მინალთუნებისა და XIX საუკუნის დასაწყისის რუსული ფულის გათვალისწინებით, 4 300 000 მინალთუნის/რუბლის (მანეთის) ეკვივალენტური იყო. თანადროულ ოქროს მონეტებზე გადაყვანის შემთხვევაში კი, 21 500 000 ოთხდანგიანი დრამა, 1:11 შეფარდებით, 2 000 000-მდე პერპერას/ოქროს დინარის ტოლფასი გამოდის. მოხარკე ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკის ჩათვლით, საქართველოს საერთო სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, დიდი ალბათობით, დასახელებულ სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ ფულადი შემოსავლები არ უნდა იგულისხმებოდეს და მასში გადასახადების სახით შეკრებილი ნატურალური პროდუქტების ღირებულებაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

შედარებისათვის, XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიის მთლიანი ხარჯები 5 895 000 ნომისმას შეადგენდა,[624] ხოლო, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 000 000 ოქროს ფრანკს, 1311 წელს საფრანგეთის შემოსავლები კი 3 000 000 ფრანკს ითვლიდა.[625] როგორც ზემოთ ვნახეთ, რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს შემოსავლები მონღოლებამდელ ეპოქაში 1500 თუმანს, ანუ დაახლ. 5-6 მილიონ ოქროს დინარს/პერპერას უდრიდა. ამდენად, ერთიანი ქართული მონარქიის საერთო შემოსავლები, მოხარკე ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკის ჩათვლით, დიდად არ ჩამოუვარდებოდა იმ ეპოქის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შემოსავლებს, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს.

***

აქვე შევეხებით საქართველოს მიერ მონღოლებისათვის გადახდილ ხარკის ოდენობასაც. როგორც ცნობილია, 1242 წლის საზავო პირობების მიხედვით, საქართველოს ყოველწლიურად 40-50 ათასი პერპერას გადახდა დაეკისრა.[626] დასახელებული ოდენობის თანხით

---

[624] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულატურა საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2012, გვ. 153; W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford, 1997, გვ. 575-577.

[625] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, გვ. 392.

[626] პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. თარგმ. გ. ქიქოძისა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. II. თბ. 1942, გვ. 30; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 24; ბ.

ამ პერიოდში დიდი და გამორჩეული სასახლის აგება იყო შესაძლებელი.[627] შესაბამისად, 50 000 პერპერა, ანუ დაახლ. 550 000-600 000 დრამა, ხარკის პირობაზე, არცთუ დიდ თანხას წარმოადგენდა.

მოგვიანებით ვითარება შეიცვალა – XIII საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებული აღწერის შედეგად, მონღოლებისათვის გადასახდელი ხარკის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.[628] როგორც ვნახეთ, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, საქართველო, სავარაუდოდ, ყაზან ყაენის მმართველობის დროს 120 თუმანსა და 2000 დინარს იხდიდა, რაც 7 212 000 სამდანგიანი მონეტის, ანუ დაახლ. 5 170 000 დრამის (დრამა=3 გრ.) ტოლფასია. 5 170 000 დრამა კი შეესაბამებოდა XIX საუკუნის დასაწყისის 1 მილიონზე ცოტა მეტ რუსულ რუბლს (იმავე ოდენობის მინალთუნს). ამრიგად, თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, ყაზან ყაენის მმართველობის დროს საქართველოს გადასახდელი მონღოლური ხარკი თითქმის ათჯერ გაზრდილა.[629]

ალ-მაზანდარანის მიერ შედგენილ სახელმწიფო ფინანსების წარმოების სახელმძღვანელოში, რომელშიც შეტანილია საგადასახადო დავთრები, ნაჩვენებია, რომ 1349/1350 წელს საქართველომ ხარკის სახით გადაიხადა 40 თუმანი.[630] 40 თუმანი კი წარმოადგენდა საკმაოდ სოლიდურ თანხას – 2 400 000 დირჰემს.[631]

ლომინაძე. მონღოლებთან დაზავება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 550.

627 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 294-295.

628 იხ.: ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 558-569.

629 არ არის ცნობილი მონღოლური აღწერის ჩატარებიდან ყაზან ყაენამდე ქართველები ანალოგიური ოდენობის ხარკს იხდიდნენ თუ უფრო მეტს. გრიგოლ აკანელის გადმოცემით, დავთარში შეყვანილები სხვადასხვა გადასახადის სახით, ჯამში, 60 თეთრს იხდიდნენ (გროგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1961, გვ. 31; ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა, გვ. 566.). XIII საუკუნის 60 თეთრი დაახლ. 50 დრამას ან გვიანდელ 1 თუმანს უდრის. დასახელებული ოდენობის თანხა ერთი კომლისათვის ძალიან მაღალია. როგორც ცნობილია, აღნიშნული ეპოქის საქართველოს მოსახლეობა 800 000 კომლამდე იყარაუდება (ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 55; ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა, გვ. 566). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ, დიდი ალბათობით, მონღოლურ ხარკს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არ იხდიდა, ხოლო ეკლესიის ყმები და ზოგიერთი კატეგორიის გლეხი (მაგალითად, მთიელები და სხვ.) გადასახადებისაგან გათავისუფლებულები იყვნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონღოლური ხარკის გადამხდელი იყო დაახლ. 400 000 კომლი. ერთი კომლის მიერ 60 თეთრის/დირჰემის გადახდის შემთხვევაში, საქართველოში შეკრებილი მონღოლური გადასახადების ჯამი გამოდის 24 000 000 თეთრი. ამდენად, ან თითოეული კომლის გადასახადია გაზვიადებულად ნაჩვენები, ანდაც საქართველოს მონღოლური აღწერის შემდგომ პერიოდში ყაზანის ეპოქის დაწესებულ გადასახადზე დაახლ. 3,7-ჯერ მეტი ხარკი ჰქონია შეწერილი.

630 რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის შესახებ), გვ. 197.

631 უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში, არ ვიცით მონღოლური თუმანი ყაზანის ეპო-

***

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მტრის შემოსევების შედეგად დაქცეული ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეთა აღსადგენად ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) მიერ დაწესებულ მალის გადასახადზე. როგორც ცნობილია, ალექსანდრე დიდმა თემურ ლენგისა და თურქმანების შემოსევების შედეგად დანგრეული ნაგებობების აღსადგენად, 1425 წლიდან 1440 წლამდე კომლის თავს 40 თეთრის გადასახადი დააწესა.[632] როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრე დიდის მოჭრილი მონეტების საშუალო წონა 0,35 გრამს შეადგენდა. დიდი ალბათობით, დაწესებული გადასახადი სწორედ 40 ადგილობრივ თეთრს გულისხმობდა.[633] თავის მხრივ, 40 თეთრი იწონიდა 14 გრამ ვერცხლს, რაც X საუკუნის მიწურულს მოჭრილი დაახლ. 5 დრამის, ან XVIII საუკუნის II ნახევრის 1 მინალთუნის (5 აბაზი) ტოლფასი იყო. იმისათვის, რომ აღნიშნული გადასახადის საერთო ოდენობა მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ, საჭიროა, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინება. როგორც ცნობილია, XIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყანაში 800 ათას ოჯახამდე ივარაუდება. XV საუკუნეში კი მათი რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირებულიყო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გადასახადებს, ძირითადად, სრულფუძიანი გლეხები იხდიდნენ, ხოლო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ღარიბები, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა, სამღვდელოება, ფეოდალები და სხვ.) გათავისუფლებული იყო ამა თუ იმ სახის გადასახადისაგან. თუ ჩავთვლით, რომ ალექსანდრე დიდის მეფობის დროს ქვეყანაში 200 000 გადასახადის გადამხდელი ოჯახი მაინც ცხოვრობდა, გამოდის, რომ წლის განმავლობაში დაახლოებით 1 მილიონი დრამა შეგროვდებოდა. რადგან ვიცით, რომ აღნიშნული გადასახადი 15 წლის განმავლობაში იყო დაწესებული, სახელმწიფოს დაზიანებული ნაგებობების აღსადგენად, სულ ცოტა, 15 000 000 დრამის რესურსი გაუჩნდებოდა. იმის გამო, რომ სიდიდით გამორჩეული ტაძრების აგებასა და მოხატ-

---

ქის დინარებით იანგარიშებოდა, თუ ნონადაკლებული მონეტებით.

[632] ბ. ლომინაძე. საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ლონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I დიდი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 725.

[633] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ პერიოდში ადგილობრივი მონეტების წონის მკვეთრი შემცირების პირობებში, თეთრში უნდა იგულისხმებოდეს აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფული – თანგა, კონკრეტულად შირვანული თანგა. შირვანული თანგის წონა კი იმ დროისათვის 3 გრამს აჭარბებდა. შესაბამისად, 40 თანგა ერთი ხარის ან ორი ძროხის ტოლფასი იყო. მსგავსი ოდენობის დამატებითი გადასახადის დაწესება ძალზე საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან ფეოდალური და სახელმწიფო გადასახადების პარალელურად მოსახლეობის ქვედა ფენები დასახელებულ თანხას ვერ გაიღებდნენ.

ვა-შემკობას 800 ათასიდან 1 მილიონ დრამამდე ესაჭიროებოდა,[634] დასახელებული თანხით მნიშვნელოვანი საქმიანობის შესრულება იქნებოდა შესაძლებელი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ აღდგენა, თავდაპირველ მშენებლობასთან შედარებით, ნაკლებ დანახარჯებს უკავშირდებოდა და, ამავე დროს, ყველა აღსადგენი ნაგებობა გრანდიოზულ შენობას არ წარმოადგენდა, მაშინ ნათელი გახდება 15 000 000 დრამად ასობით ნაგებობის აღდგენა მოხერხდებოდა.

რაღა თქმა უნდა, დასახელებულ სპეციფიკურ გადასახადთან შედარებით, რომელიც წელიწადში დაახლ. 1 000 000 დრამის ოდენობით იკრიბებოდა, ქვეყნის საერთო შემოსავლები რამდენჯერმე დიდი იქნებოდა. შესაბამისად, XV საუკუნის I ნახევარში საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები, სულ მცირე, 5 მილიონი დრამა მაინც უნდა ვივარაუდოთ. აღნიშნული ეპოქის საქართველოში მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ მთავრები. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით შემოსავლები უკვე ადგილობრივ მთავრებსა და ე.წ. „პროვინციის მეფეებს“ რჩებოდათ, რის გამოც მცირდებოდა ერთიანი სამეფო ხაზინა.

XV საუკუნის შუა ხანების საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიორგი სფრანძესი. ავტორი გადმოგვცემს, რომ გაერთიანებული საქართველოს ბოლო მეფე – გიორგი VIII (1446-1466 წწ.) თანახმა ყოფილა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე XI-ის (1449-1453 წწ.) საცოლედ დანიშნული საკუთარი ქალიშვილისათვის 65 000 ოქროს ფული გაეტანებინა, ხოლო ყოველწლიურად 5000 ოქრო მიეცა – „... მე მოსურნე ვარ ამ ქორწინების, ჩემს ქალიშვილს საჩუქრად ვაძლევ 50 000 ოქროს და ვკისრულობ ვუგზავნო მას 5000 ოქრო ყოველწლიურად“.[635]

როგორც რ. ქებულაძე შენიშნავს, აღნიშნულ ეპოქაში ბიზანტიურ ოქროს მონეტებს უპირატესობა დაკარგული ჰქონდა, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, საუბარი უნდა იყოს ვენეციურ დუკატებზე, რომლის საშუალო წონა 3,5 გრამი იყო.[636] გვიანდელი მონაცემების

---

[634] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 295-302.

[635] იხ.: რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1971, გვ. 18. მცირედით განსხვავებული ციფრები – 56 000 და 3000 აქვს მოცემული ივ. ჯავახიშვილს. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 274. ანალოგიური თარგმანია გეორგიკაში. იხ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VIII. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1970, გვ. 66.

[636] რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეე-

გათვალისწინებით (ტურნეფორის და ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით), ფლური (ოქროს მონეტა) საშუალოდ 7 აბაზს უტოლდებოდა (აბაზი=7,5 გრ.).[637] ვახტანგის ეპოქის აბაზს კი 2,5 დრამის წონა ჰქონდა. შესაბამისად, 50 000 ათასი დუკატი დაახლ. 875 000 დრამას უდრიდა. ამდენად, პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურების მიუხედავად, XV საუკუნის შუა ხანებში საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ ჰქონია შესაძლებლობა, რომ დასახელებული ოდენობის თანხა გაეღო.

განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე 1477 წელს, როდესაც უზუნ ჰასანის მოთხოვნილი 16 000 დუკატის გადახდა ქართველ მეფე-მთავრებს – ბაგრატ VI-ს (1446-1478 წწ.) და ყვარყვარე ათაბაგს (1451-1498 წწ.) გასჭირვებიათ. იტალიელი ელჩების – იოსაფატ ბარბაროს და ჯოვანი მარიო ანჯიოლელოს ცნობების მიხედვით, მათ დამპყრობლისათვის ფულის ნაცვლად, 4 მონღოლური ოქროს ბალიში შეუთავაზებიათ. უზუნ ჰასანს კი იოსაფატ ბარბაროსათვის დაუვალებია ბალიშების შეფასება. ევროპელ ელჩს ოქროს ბალიშების ღირებულება ქართველების სასარგებლოდ შეუფასებია, მაგრამ უზუნ ჰასანს შეთავაზება არ მიუღია და საომარი მოქმედებები განუახლებია. საბოლოოდ, ქართველი მეფე-მთავრები იძულებულნი გამხდარან, რომ 16 000 დუკატი გადაეხადათ.[638]

ევროპელი ელჩების აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი ქართული სამეფო-სამთავროების უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.[639] ეჭვგარეშეა, რომ ე.წ. „ოქროს ხანასთან" შედარებით, პოლიტიკური დაშლილობის ფონზე, დასუსტებული ქვეყნის შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირებული იქნებოდა, მაგრამ გადაჭარბებულად მიგვაჩნია შეფასება, რომ ქვეყანას 16 000 დუკატის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა უზუნ ჰასანის შემოსევის ახლო ხანებში, კერძოდ, 1475-1478 წლებში, ათონის ქართველთა მონასტრისადმი სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს შეწირულობა – სამცხის მთავარმა გარდაცვლილი შვილის ბაჰადურის სულის მოსახსენებლად მონასტერს უზუნ ჰასანის მოთხოვნილ თანხაზე მეტი 20 000 ოთმანური ფლური („ოცი ათასისა ოთ-

---

ბში, გვ. 19-27.

[637] იხ.: ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486.

[638] ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფო-სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 742-743.

[639] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 406-407; ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფო-სამთავროებად, გვ. 747.

მანურისა, რომელიმე ფლურად და რომელი[მე] თეთრად") შესწირა. მზეჭაბუკ ათაბაგმა კი 1498 წელს თავისი ძმის ხსოვნისათვის 25 500 ფლური („ზოგი ფლურად, ზოგი თეთრად") გაიღო.[640] „ოთმანურ ფლურში" უნდა იგულისხმებოდეს 3,5-გრამიანი ოქროს მონეტები – ალთუნები.[641] როგორც ვხედავთ, XV საუკუნის ბოლო მეოთხედში სამცხე-საათაბაგოს მთავრებს ათონის ქართველთა მონასტრისათვის 45 500 ფლური შეუწირავთ, რაც წინა საუკუნეებში მოჭრილი დაახლ. 800 000-მდე ოთხდანგიან დრამის ეკვივალენტური იყო. როგორც ჩანს, სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას კვლავ ჰქონდა მტკიცე ეკონომიკური საფუძვლები.

[640] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 185-187; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 407.

[641] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 90-91; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1982, გვ. 24-26.

ქალაქები და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევრის საქართველოში

საქართველოს ეკონომიკის განვითარება, როგორც ვნახეთ, XIII საუკუნის შუა ხანებიდან შეფერხდა. მონღოლთა ბატონობის, თემურ-ლენგისა თუ თურქმანების შემოსევების, ასევე შავი ჭირის ეპიდემიის შედეგად საქართველოში საქალაქო ცხოვრება ეტაპობრივად ეცემოდა. კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა XV საუკუნის მიწურულსა და XVI-XVII საუკუნეებში, რაც ქვეყნის ირგვლივ მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებსა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლას უკავშირდებოდა.

მას შემდეგ, რაც შავ ზღვაზე ოსმალეთის იმპერია გაბატონდა, საქართველომ, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა, დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა. XVI საუკუნიდან ირან-ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გადანაწილებამ არათუ შეაფერხა საგარეო ვაჭრობა, არამედ დაირღვა საშინაო ბაზარიც – ქვეყნის ორი ნაწილი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთმანეთისაგან გათიშული აღმოჩნდა, რამაც განსაკუთრებით დააზარალა ნაკლებნაყოფიერი მიწის მქონე დასავლეთ საქართველო. XVI საუკუნის II ნახევარში ოსმალეთის იმპერიამ მოახდინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია. დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალციხის საფაშო, რამაც კიდევ უფრო გაართულა ზოგადი მდგომარეობა. მართალია, ოსმალთაგან დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირები სრულად არ შეწყვეტილა, თუმცა საბაჟო სისტემა აფერხებდა ამ ურთიერთობას. მომდევნო პერიოდში კი ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე ეკონომიკური ვითარების გაუარესება თვალშისაცემი გახდა.

თავის მხრივ, ქართლისა და კახეთის სამეფოები დროთა განმავლობაში ეკონომიკურად ირანზე დამოკიდებული ქვეყნები ხდებოდნენ.

ნეგატიური მოვლენების ფონზე ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა კახეთის სამეფო, სადაც XVI საუკუნის განმავლობაში მშვიდობა იყო. კახეთის სამეფოს დროებითი სტაბილურობა ადგილობრივი მეფეების პოლიტიკით იყო განპირობებული, რაც აგრესორ სახელმწიფოებისათვის გადახდილ მცირე ხარკსა და მორჩილების აღთქმაში გამოიხატებოდა. აღნიშნული ეპოქის კახეთში განვითარდა მეაბრეშუმეობა, რომელიც ექსპორტის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენდა. კახეთიდან, ასევე გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ენდრო, ღვინო და სხვა პროდუქტები. ვაჭრობა

მიმდინარეობდა როგორც ირანთან, ისე მეზობელ რეგიონებთან და სავარაუდოდ რუსეთის პროვინციებთანაც, რადგან სწორედ ამ დროს დაამყარეს მჭიდრო დიპლომატიური კავშირები კახეთის მეფეებმა – ლევანმა (1518/20-1574 წწ.) და ალექსანდრე II-მ (1574-1605 წწ.) – რუსეთთან. შედეგად, XVI საუკუნეში კახეთის სამეფოში განვითარდა ახლად ჩამოყალიბებული ქალაქები: გრემი, ზაგემი (ბაზარი) და ყარაღაჯი. განსაკუთრებით დაწინაურდა ქალაქი გრემი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად იქცა. ძველი ქალაქი თელავი კი კვლავ ინარჩუნებდა კახეთის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას.[642]



სავაჭრო-სახელოსნო დანიშნულების ნაგებობები – ჯულბაქები. გრემის ნაქალაქარი. რესტავრირებული



აბანოები. გრემის ნაქალაქარი. რესტავრირებული


კახეთის აღმავლობა დროებითი მოვლენა იყო, რადგან, როგორც ცნობილია, XVII საუკუნის დასაწყისში, შაჰ-აბას I-ის (1587-1629 წწ.) შემოსევების გამო, სამეფო ძალიან დაზარალდა, ხოლო

642 შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 146-148.

დასახელებულმა ქალაქებმა არსებობა შეწყვიტა. XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში კახეთში მხოლოდ თელავი მიიჩნეოდა მცირე ქალაქად.

XVI საუკუნეში ქართლის სამეფო დიდ წინააღმდეგობას უწევდა ირანელ და ოსმალო დამპყრობლებს. გამუდმებული ომების შედეგად, შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ქალაქების ნაწილმა კი არსებობა შეწყვიტა. აღნიშნული საუკუნის მიწურულისათვის თბილისში 10 000 მცხოვრებზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.[643]

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლის სამეფოში ეკონომიკური კუთხით შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა. გაიზარდა თბილისის მოსახლეობა.



თბილისი XVII საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში. ჟან შარდენის მიხედვით

ქართლის მეორე ქალაქი იყო გორი. მცირე ქალაქების სტატუსს ინარჩუნებდა სურამი და ალი.[644] მათ გარდა, აღსანიშნავია, როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) მიერ აგებული „მეფის ქალაქი“, ანუ ქართლის ახალქალაქი[645] და ცხინვალი, რომელსაც ვახუშტი ქალაქად მოიხსენიებს.[646]


ქართლის სამეფოს შედარებით მშვიდობიანი პერიოდი როსტომ ხანის მმართველობას უკავშირდება, როდესაც მოქმედებდა ე.წ. კომპრომისული შეთანხმება ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. ასეთ ვითარებაში ირანი უარს ამბობდა ქართლისა და კახეთის სამეფოების სრულ მოსპობასა და ირანულ სახანოებად გადაქცევაზე,

643 შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 137.

644 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 295.

645 შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 226.

646 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 370.



ქალაქი გორი. XVII საუკუნის შუა ხანებში. კასტელის ალბომიდან

ხოლო ქართლის სამეფო ტახტი კვლავ ბაგრატიონი მეფეების ხელში რჩებოდა. თუმცა ტახტის დაუფლებისათვის აუცილებელი პირობა ისლამის მიღება გახდა. ქართლის მეფეები შაჰის დანიშნულ „გურჯისტანის ვალებად“ (შაჰის ნაცვლებად) მიიჩნეოდნენ. ამ პერიოდში თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ციხეებში ირანული გარნიზონები იდგა. აღნიშნული გარნიზონი, ერთი მხრივ, ირანის აღმოსავლეთ საქართველოზე ბატონობას უზრუნველყოფდა, მეორე მხრივ კი, ის დაღესტნელთა თუ სხვა მტერთან ბრძოლისას ქართველი მუსლიმი მეფეების ერთგვარ დამხმარე ძალას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ირანისათვის გარკვეული ხარკის გადახდა ევალებოდა, ნადირ შაჰის მძარცველური საგადასახადო პოლიტიკის გატარებამდე ეს ხარკი დიდი არ იყო. მეტიც, ქართლისა და კახეთის მეფეებს ირანის შაჰისაგან, უმეტესწილად, დანიშნული ჰქონდათ სოლიდური ჯამაგირი, რაც ქართული სამეფოების საერთო შემოსავლებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

ამდენად, დროთა განმავლობაში ქართლისა და კახეთის სამეფოები როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად ირანზე დამოკიდებული ქვეყნები გახდნენ. საშინაო თუ საგარეო მტერთან დაპირისპირების დროს ქართველი მეფეების ერთგვარ დასაყრდენად იქცა ირანის შაჰების მხარდაჭერა. აღმოსავლეთ საქართველო ირანის ეკონომიკური ორგანიზმის პროვინციული ნაწილი ხდებოდა, რის შედეგადაც სავაჭრო და სხვა სახის კავშირები, ძირითადად, ირანის ქალაქებთან ხორციელდებოდა. ასეთ პირობებში მშვიდობიანობის დროსაც კი საქალაქო ცხოვრების კარდინალური გაუმჯობესება შეუძლებელი იყო.

ერთგვარ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს XVIII საუკუნის

დასაწყისი, როდესაც ვახტანგ VI-მ საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის გარკვეული ღონისძიებები გაატარა – სახელმწიფო მფარველობდა მდიდარ მოქალაქეებს; შეადგინეს „საკუთრების ქალაქური წესი“, რომლის თანახმადაც უმემკვიდრეოდ გადაშენებული მოქალაქის ქონება აღარ გადაეცემოდა სიუზერენს, არამედ რჩებოდა მის ნათესავს; ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, სავაჭრო გზებზე აიგო ქარვასლები და სავაჭრო სახლები;[647] ვახტანგის მმართველობიდან თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე ბაგრატიონი მმართველების სახელები განთავსდა, რაც ეკონომიკური თავისუფლებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქართლის სამეფოში ვაჭრობა შედარებით გაფართოვდა, გაიზარდა ხელოსნური წარმოება, მათ შორის საფეიქრო საქმიანობა. ამ პერიოდის თბილისში 200-მდე სავაჭრო-სახელოსნო დუქანი იყო. „დასტურლამალიდან“ ვიგებთ, რომ სამღებროები, აბანოები, ასევე სხვადასხვა საქონელზე ვაჭრობის მონოპოლიური უფლება (მაგ., არყით ვაჭრობის უფლება) იჯარით გაიცემოდა, რაც ხელს უწყობდა კერძო კაპიტალის დაგროვებას.

ეპიზოდური წარმატება მოკლე ხანში დასრულდა. 1724-1747 წლებში, „ოსმალობა-ყიზილბაშობისა“ და გახშირებული ლეკიანობის ფონზე, აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც საქალაქო ცხოვრებაზეც აისახა.

განსახილველი ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში, მდიდარი ტრადიციის წყალობით, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ სოფლის მეურნეობა ინარჩუნებდა მდგრადობას და წარმოების ამ სფეროში გარკვეული პროგრესიც შეინიშნებოდა. თუმცა საგარეო და საშინაო გართულებებისა და მოსახლეობის ეტაპობრივად შემცირების კვალდაკვალ, სოფლის მეურნეობაც ზარალდებოდა, ხოლო საქალაქო ცხოვრების რეგრესი საერთო სურათს ამძიმებდა. მართალია, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან შექმნილი ეკონომიკური რეალობა ქართლისა და კახეთის მოსახლეობისათვის ფიზიკური არსებობის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ევროპულ განვითარებას თითქმის სრულად მოწყვეტილი ქვეყანა ვერ პროგრესირებდა და თვისობრივად ერთ საფეხურზე რჩებოდა. შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ვითარება ევროპის სახელმწიფოებში არსებული რეალობას თვალშისაცემად ჩამორჩა.

[647] მ. ქიქოძე. სამეურნეო ცხოვრების ნინსვლა XVIII ს. პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 390-393.

***

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ საქართველოში. თუ X-XIV საუკუნეების დასავლეთ საქართველოში ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყნის სხვა მხარეებში არსებული ვითარების ანალოგიური იყო, რითაც დასტურდება გაერთიანებული ქართული სამეფოს ეკონომიკური კონსოლიდაცია, XVI-XVIII საუკუნეებში განსხვავებულ რეალობას ვხვდებით. აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში საგანგაშო სახე მიიღო ადამიანებით ვაჭრობამ, რაც, დიდწილად, ეკონომიკური პრობლემებით იყო განპირობებული.

XV საუკუნის ბოლო მეოთხედში ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა ის გზები, რომლებიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძველი სავაჭრო გზა თანდათან მოიშალა და დამყარდა კავშირ-ურთიერთობის ახალი სისტემა.[648] შედეგად, საქართველო თითქმის მთლიანად მოწყდა ახალ საერთაშორისო სავაჭრო გზებს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახა.

ვინაიდან 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, დაირღვა ქვეყნის ორ ნაწილს შორის ეკონომიკური და სხვა სახის კავშირ-ურთიერთობები.

შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ქვეყნებთან ვაჭრობა ევროპელებს ამიერიდან მხოლოდ ოსმალთა მეშვეობით შეეძლოთ. ყველა გზა, რომელთა საშუალებითაც დასავლეთ საქართველო საგარეო ვაჭრობას ახორციელებდა, ოსმალთა ხელში გადავიდა.[649] ამ პერიოდში ოსმალეთი სრულად აკონტროლებდა დასავლეთ საქართველოდან გამავალ გზებზე არსებულ საბაჟო სისტემას.

საბაჟოებზე შექმნილ ვითარებას კარგად ასახავს ჟან შარდენის ცნობები. ავტორის გადმოცემით ერთ-ერთი ოსმალური საბაჟო, რომელიც გონიოში მდებარეობდა, ცნობილი ყოფილა თავისი სიმკაცრით. შარდენი საბაჟოს „ყაჩაღების ბუნაგს“ უწოდებდა და აღნიშნავდა: „... ჩემგან წაიღეს ოცდაორი პისტოლი ოქროთი და ყველაფერი ის, რაც მოეწონათ იმ წვრილმანი ნივთებიდან, რომლებიც ჩანთაში მქონდა... მე ვუპასუხე, რომ... უსამართლოდ აიღო ბაჟი ჩემი ფულიდან, რადგან არც ვერცხლზე და არც ოქროზე ბაჟი არ

---

[648] ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 87.

[649] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 163-164.

არის დაწესებული. მან მიპასუხა, რომ მე ვცდები, რომ უსამართლოდ არ მომქცევია და გონიოში უგამონაკლისოდ ყველაფერზე ახდევინებენ ბაჟს...". მოგვიანებით შარდენს კიდევ გადაახდევინეს ასი დუკატი.[650] ცხადია, მსავსი ვითარება იქნებოდა სხვა საბაჟოებზეც.

ასეთ პირობებში დასავლეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა სრულად დაექვემდებარა ოსმალეთის ინტერესებს და ადგილობრივი ვაჭრებისათვის დაიხურა საგარეო ბაზრები. პროცესმა საგრძნობლად დააქვეითა როგორც საგარეო ვაჭრობა, ისე ქვეყნის შიგნით არსებული აღებმიცემობა. დასავლეთ საქართველოსათვის პირველადი მოთხოვნილების საქონლის მიწოდება ოსმალეთის პოლიტიკურ ნებაზე გახდა დამოკიდებული. მაგალითად, ხშირად იქმნებოდა მარილის დეფიციტი. იყო შემთხვევები, როცა ქართველი მეფე-მთავრები ხარკს იმ პირობით იხდიდნენ, თუ ოსმალები გემებით მარილსა და სხვა პირველადი მოთხოვნილების ნივთებს შეიტანდნენ ქვეყანაში.[651]

ოსმალეთი დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დაუძლურებით, რათა მოსახლეობისთვის შემოსავლების მიღების უმთავრეს საშუალებად ადამიანებით ვაჭრობა ქცეულიყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, პრობლემას ქმნიდა ის ფაქტი, რომ კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში ნაკლებად მოჰყავდათ ფეოდალური ეპოქის მთავარი პროდუქტი – ხორბალი. ქვეყნის ამ ნაწილში მნიშვნელოვნად შემცირდა აღმოსავლეთ საქართველოდან ხორბლისა და სხვა პროდუქციის შეზიდვა, ხოლო ადგილობრივი პროდუქცია თითქმის აღარ იყიდებოდა ქართლ-კახეთში. პარალელურად შესუსტდა დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ირანსა და მცირე აზიასთან.[652] მართალია, არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ქუთაისში ოსმალეთიდან, ქართლიდან და ირანიდან შედიან ვაჭრები, ასევე ადგილობრივი ვაჭრებიც სტუმრობენ აღნიშნულ ქვეყნებს, თუმცა ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმერეთში შეტანილ საქონელზე და არა ექსპორტზე.[653]

ზოგადად, წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში გარე სამყაროსთან და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსთან დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან შეზღუდული იყო. თუ რამდენად დაირღვა კავშირ-ურთიერთობები ქვეყნის ორ ნაწილს შორის, ამას ნათლად ასახავს შარდენის ცნობები. ფრანგი მოგზაური და კომერსანტი სამეგრელოდან ქა-

---

[650] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 261-263.

[651] ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური რუკა XVI-XVII სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 229; С. А. Белокуров. Материалы для русской истории. Москва, 1888. გვ. 323.

[652] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 163.

[653] იხ.: არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 14-15.

რთლში გაემგზავრა არა უფრო მოკლე გზით, იმერეთზე გავლით, არამედ გონიოსა და ახალციხის გავლით, სადაც წინასწარ იცოდა, რომ მოუწევდა „თავისი სიმკაცრით“ ცნობილი საბაჟოს გავლა.[654] ხოლო, როდესაც თბილისიდან სამეგრელოში გამგზავრებას აპირებდა, მისი სიტყვებით: „გვეგონა ცხენებს ვერ ვიშოვიდით ქირით, რადგან სამეგრელოში არავის უნდოდა წამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ფულის წყალობით, ორი გამყოლი ვიშოვეთ, რომელთაც აღვუთქვით, რომ ავუნაზღაურებდით ცხენებისა და ბარგი-ბარხანის საფასურს, თუ რაიმე ხიფათი შეგვექმნებოდა...“. ჩხარში მისვლის შემდეგ კი ქართველ გამყოლებს გზის გაგრძელებაზე კვლავ უარი განუცხადებიათ. საბოლოოდ, ერთ-ერთ გამყოლს წერილობითი საბუთი მოუთხოვია, რომელშიც ჩაუწერიათ, რომ მოგზაურობის დროს თუ გამყოლები ტყვედ ჩავარდებოდნენ, შარდენს უნდა გამოეხსნა ისინი, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში, მათი ცოლებისათვის ოთხმოც-ოთხმოცი ეკიუ გადაეხადა.[655]

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების შემცირებაზე, ასევე მიუთითებს, XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგის მიერ შედგენილი „დასტურლამალი“, რომელიც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, თბილისში შეტანილი საქონლის საბაჟო გადასახადებსაც ეხება. ნიშანდობლივია, რომ „დასტურლამალში“ ზოგიერთი პროდუქციის წარმომავლობაზეც არის მითითება. მაგალითად, აღნიშნულია „თავრეზის ფარჩა“, „ურდვარის ფარჩა“, „გელაქნური“, „ჩვენის მოქალაქის (ანუ ადგილობრივების – ა. თ.) აბრეშუმი და ფარჩა“. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოდან შეტანილ პროდუქციას, ასეთი საერთოდ არ მოიხსენება, ბაჟი განსაზღვრულია მხოლოდ ტყვის შეყვანისათვის – „ქართველმან, თათარმან, სომეხმან, თუ რამაც რჯულმან იმერეთს, რომ ტყვე იყიდონ, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევენ. და თუ ქართლში გადმოიყვანა და აქ გაყიდა, ან აქაურმან ერთმანერთს მიყიდეს, სამს მინალთუნს მსყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველი ბატონს ვერ დააკლებს“.[656]

დასავლეთ საქართველოდან შეტანილი პროდუქცია არ ჩანს არც გორის საბაჟო გადასახადებში, სამაგიეროდ, აქაც ვხვდებით „თავრიზის საპალნეს“ და „ურდრავის საპალნეს“.[657] ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოდან რომელიმე პროდუქტის დიდი რაოდე-

[654] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 260-266.

[655] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 277, 281.

[656] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 284-286.

[657] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 287.

ნობით შეზიდვის შემთხვევაში, ის აისახებოდა თბილისის ან გორის საბაჟო ტარიფებში.

აგრეთვე, საინტერესოა, 1736 წლის „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა". აქაც იკვეთება თბილისის საგარეო ვაჭრობის სურათი, საიდანაც ჩანს, რომ ინტენსიური ვაჭრობა მიმდინარეობდა ირანისა და ოსმალეთის ქალაქებთან („რაც მოქალაქემ განჯიდამ აბრეშუმი მოიტანოს აზრუმისაკენ წაიღოს.., ლილა თავრეზის.., ალვანს აბრეშუმზედ" და სხვ.[658]). დასავლეთ საქართველოს პროდუქცია არც ამ შემთხვევაშია აღნიშნული.

ერთი სიტყვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში სავაჭრო კავშირები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მეტად სუსტი ჩანს.

აღმოსავლეთ საქართველოსთან იძულებით კავშირის გაწყვეტის და ქვეყნის შიგნით მიმდინარე გაუთავებელი დაპირისპირებების ფონზე, ოსმალებმა რეალურად მიაღწიეს მიზანს – ქვეყნის ეკონომიკა უკიდურესად დასუსტდა, ხოლო საქალაქო ცხოვრება დაეცა. XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნეში ქუთაისიც კი უმნიშვნელო ქალაქად იქცა. დასავლეთ საქართველოში მცირე ქალაქებს თუ დაბებს წარმოადგენდა ჩხარი, ჩიხორი, რუხი და სხვ.,[659] თუმცა დროთა განმავლობაში დასახელებული მიზეზების შედეგად, აღნიშნული მცირე ქალაქებიც ნადგურდებოდა. რაც შეეხება ბათუმს, ფოთსა და სოხუმს, ოსმალების მიერ გენუელების სავაჭრო ფაქტორიის – კაფას – დაკავების შემდეგ ამ ქალაქებმაც დაკარგეს ფუნქცია და ციხეებად ქცეულ ქალაქებში ოსმალური გარნიზონი ჩადგა.

საქალაქო ცხოვრების დაცემის გამო სხვადასხვა ადგილებში – წიფურიაში, ილორში, ბედიაში, კორცხელში,[660] ხონსა[661] და სხვ. – იმართებოდა პერიოდული ბაზრობები, სადაც მოსახლეობა თავის პროდუქციას ასაღებდა. აღნიშნულ ბაზრობებზე ვაჭრობა, ძირითადად, პროდუქტების გაცვლითი სახით ხორციელდებოდა.

დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დასუსტების პირობებში „ტყვის სყიდვას" ფართო გასაქანი მიეცა. როგორც ცნობილია, XVI-XVIII საუკუნეებში ადამიანებით ვაჭრობამ საგანგაშო ხასიათი მიიღო, ოსმალეთის ბაზრები ყოველწლიურად ივსებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობით.

დასავლეთ საქართველოს ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არქანჯელო ლამბერტი. ის აღნიშ-

---

[658] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 393.

[659] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 178.

[660] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 168-169.

[661] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 153.

ნავს: „კოლხიდა, რამდენადაც წინად იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთა ხშირი მსვლელობა ჰქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და ვაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შუა ჩადგა ოსმალეთი, რომელმაც თავის ბარბაროსობით და მტარვალობით ვაჭრებსა და ცნობის მოყვარეთა გზა შეუკრა ამ ქვეყნისაკენ და აქაურები გააუბედურა და მოუსპო მათ ყოველივე ის, რაც საზოგადოდ უცხო ქვეყნელებს იზიდავს და უღვივებს სურვილს სხვა ქვეყნების დათვალიერებისა და გაცნობისას".[662]

თუ რა მასშტაბის უარყოფითი გავლენა ჰქონდა ოსმალეთის ეკონომიკურ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე, ამის საჩვენებლად საინტერესოა სხვადასხვა პროდუქციის ფასებზე დაკვირვება.

XVI-XVIII საუკუნეებში შედგენილ დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრების მიხედვით, მცირე მოცულობის პირუტყვის ღირებულება 8-15 გრამი ვერცხლი ყოფილა, რაც იმდროინდელ ფასებთან შედარებით, ძალიან დაბალია.[663] იმავე სახის წყაროების მონაცემებით, ცხვარი დაახლ. 10 თეთრად,[664] ანუ 7 გრამ ვერცხლად ფასობდა. დასავლეთ საქართველოში ცხვრის ღირებულება ოსმალეთში არსებულ ფასებთან შედარებით, დაახლ. 7-ჯერ, ხოლო, გარკვეულ შემთხვევებში, 18-ჯერ ნაკლები იყო.[665]

ცხვრის ღირებულების მსგავსად, დასავლეთ საქართველოში ძროხის და ხარის ფასიც დიდად ჩამორჩებოდა არა მარტო ოსმალეთში, არამედ მეზობელ ქართლში არსებულ ფასებსაც. დასავლეთ საქართველოში აღნიშნული შინაური ცხოველები, აღმოსავლეთ საქართველოს ფასებთან შედარებით, სამჯერ და მეტჯერ იაფი იყო.[666]

ზოგადად, შუა საუკუნეებში საშუალო ღირსების ცხენის ღირებულება დაახლ. 500-900 გრამ ვერცხლს შეადგენდა.[667] განსახილველი ეპოქის დასავლეთ საქართველოში კი ცხენის ფასი 65-135 გრამ ვერცხლს უდრიდა. როგორც ვხედავთ, ისევე როგორც ცხვრის, ძროხის თუ ხარის შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში ცხენი, თავის პოტენციურ ფასთან შედარებით, ძალიან იაფი ყოფილა.[668]

---

662 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 3.

663 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 120-123.

664 XVI საუკუნეში იმერეთის მეფეების – ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) და გიორგი II-ის (1565-1585 წწ.) მოჭრილის ვერცხლი მონეტები საშუალოდ 0,7 გრამს იწონიდა. იხ.: ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 153-156.

665 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 123-124.

666 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 124-125.

667 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 78-85.

668 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 126.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან გაყიდულ ადამიანებს უფრო ნაკლები ღირებულება ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო ღირსების ცხენს. შარდენის ცნობით, შავიზღვისპირეთში ქართველი ტყვეების საშუალო ფასი 15 ეკიუ ყოფილა („მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ. ორმოცზე მეტი ხნისა – რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები – ცამეტიდან თვრამეტ წლამდე – ოცი ეკიუ, სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები – თორმეტად, ბავშვები – სამ ან ოთხ ეკიუდ").[669] 15 ეკიუ 1 თუმანზე ცოტა მეტი ღირებულების იყო და მისი წონა დაახლ. 450 გრამ ვერცხლს უდრიდა.[670]

გარდა ზემოთ დასახელებული პროდუქციის ფასებისა, ჩვენთვის ცნობილია XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში თაფლის ფასიც. რუსი ელჩის – ალექსი იევლევის 1650-1652 წლებში იმერეთში ელჩობის საანგარიშო აღწერილობაში საინტერესო ინფორმაციაა დაცული თაფლის ფასის შესახებ – „უცეცხლო თაფლი უზომოდ იაფია, რუსული ფუთი აბაზად და ნაკლებადაც შეიძლება იყიდო, აბაზი ორ ჩვენს გრივნას უდრის".[671] აღნიშნული ცნობის თანახმად, XVII საუკუნის შუა ხანების იმერეთში 16 კგ. თაფლის ფასი ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი ან უფრო ნაკლები, ხოლო 1 კგ.-ის – მაქსიმუმ 0,5 გრამი ვერცხლი. ამავე ელჩობის მეორე მონაწილე, ტოლოჩანოვი, თაფლის კიდევ უფრო დაბალ ფასს გვისახელებს – „სუფთა თხიერი თაფლი (წონით) გირვანქაზე ნაკლები მეოთხედი კაპიკი ღირს".[672] ერთი სიტყვით, იმერეთში თაფლი ძალიან იაფი ყოფილა. XVII საუკუნის ოსმალეთში კი 1 კგ.-ის ფასი, სულ ცოტა, 5 გრამი ვერცხლი იყო.[673] ლოგიკურია, რომ დასავლეთ საქართველოში (სადაც საქალაქო ცხოვრება ეტაპობრივად უკუსვლას განიცდიდა), სტამბულთან და ოსმალეთის ცენტრალურ პროვინციებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება დაბალი ყოფილიყო, მაგრამ რუსი ელჩების მიერ მითითებული ფასი დამაფიქრებლად და ალოგიკურად მცირეა.

დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებული თაფლის ღირე-

---

669 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 212.

670 ტურნეფორის ცნობით, 12,5 ეკიუ ერთ თუმანს უდრიდა. იხ.: ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

671 ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170.

672 ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 151.

673 А. Д. Новичев. История Турции. Том I. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.). Ленинград, 1963, გვ. 122; ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 126-127.

ბულება დიდად ჩამორჩებოდა XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ თაფლის ფასსაც. თბილისში 1 ლიტრა, ანუ, თანამედროვე მეტრული სისტემით, 3,6 კგ. თაფლი 3,5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.) ღირდა.[674] შესაბამისად, 1 კგ.-ის ფასი ყოფილა 2,8 გრამი ვერცხლი, ანუ დასავლეთ საქართველოში თაფლის ფასზე დაახლ. 5,5-ჯერ ძვირი.

დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით თაფლს აწარმოებდნენ, რომელიც ოსმალეთში ექსპორტზეც გადიოდა, თუმცა მოსახლეობა მას მინიმალურ ფასად ყიდდა.

ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში სანთლის ღირებულებაც 2-3-ჯერ ნაკლები ყოფილა.[675]

ჟან შარდენი გონიო-ახალციხის გზის მონაკვეთში ღვინის მეტად დაბალ ფასზე გვაწვდის ცნობას. მისი გადმოცემის მიხედვით, 1 ლიტრი ღვინის ღირებულება 0,20 გრამ ვერცხლს უდრიდა, რაც 2-3-ჯერ დაბალია აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ფასზე.[676]

ერთი სიტყვით, XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება ძალიან მცირე იყო.

როგორც პირველ თავში აღინიშნა, XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში ყველა დასახელებული პროდუქტი უხვად მოიპოვებოდა. უცხოელი ავტორების – კასტელის, ჯუდიჩეს, ლამბერტის, შარდენის, იევლევის, ტოლოჩანოვის და ა.შ. – გადმოცემით, მოსახლეობის ყველა ფენას, მათ შორის გლეხებსაც, სხვადასხვა შინაური ცხოველი თუ ფრინველი – ცხენი, ხარ-კამეჩი, ძროხა, თხა, ცხვარი, ბატი, ქათამი და იხვი – მრავლად ჰყავდა.[677] დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, მეცხოველეობა იმდენად განვითარებული იყო, რომ ყველა მოსახლე ცხენსაც კი ფლობდა.[678] ქვეყანაში, ასევე უხვად ყოფილა თაფლიც, რომელიც განსაკუთრებული თვისებებითაც გამოირჩეოდა.[679]

---

[674] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 70.

[675] ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ, 128.

[676] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 270-271; ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 71, 128.

[677] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 202-203; დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 53; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 13; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 115; ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

[678] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 202-203.

[679] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 124; ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 745; არქანჯელო ლამბერტი.

წყაროებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული, მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ყურძენი.[680]

მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და მევენახეობის განვითარებაზე მიუთითებს XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრებიც. დაბეგვრის ინდექსის სიდიდე სწორედ აღნიშნული პროდუქციის სიუხვის მანიშნებელია.

ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი მრავლად მოიპოვებოდა, პრობლემას წარმოადგენდა მხოლოდ მათი რეალიზაცია და ალოგიკურად დაბალი ფასები.

დასავლეთ საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო საქონელს – აბრეშუმსაც ამზადებდნენ, მაგრამ მისი ფასიც საგრძნობლად დაბალი იყო. რუსი ელჩის – იევლევის ცნობით, „იმერეთში და სადადიანოში ყაჭი ყველა ქალაქშია გავრცელებული (მეაბრეშუმეობა) და ყოველი ადამიანი თავისას ჰყიდის, ვის როგორც შეუძლია. ყაჭი იაფია, ფუთს თექვსმეტ ან ჩვიდმეტ ოქროთ იყიდიან და იმერეთიდან მისი გადმოტანა მთებზე ადამიანს ფეხით შეუძლია".[681] მეორე რუსი ელჩი – ტოლოჩანოვიც აღნიშნავს, რომ „აბრეშუმი ყოველ სახლში მოჰყავთ".[682]

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმი იმდენად იაფი ღირდა, რომ ალექსი იევლევი, გზის არარსებობის მიუხედავად, მისი რუსეთში გატანის პერსპექტივას განიხილავდა.

სხვა ადგილობრივი საქონლის ფასებიც ძალიან დაბალი ყოფილა. როგორც შარდენი აღნიშნავს, „ყოველ წელს აქ მოდის თორმეტიოდე იალქნიანი გემი კონსტანტინოპოლიდან და კაფადან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდან, ირისიდან, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში იტვირთება – ტყვეების გარდა – აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავებით, კვერნის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილითა და თაფლით. სამეგრელოში თაფლი საუცხოოა. აქ ორგვარი თაფლია – ყვითელი და თეთრი... თურქები დიდ მოგებას ღებულობენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით – ოთხ ეკიუდ ყიდიან იმას, რაშიაც ერთი ეკიუ აქვთ მიცემული".[683]

სამეგრელოს აღწერა, გვ. 214-215.

[680] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 110-111.

[681] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170.

[682] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

[683] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123-

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის არქანჯელო ლამბერტი: „მეგრელებისაგან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავს, სელის თესლს, ბზის ხეებს და ტყავებს. ბზის ხეებში ოსმალები ძალიან იგებენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდზე მეტი ღირს... სხვა საქონელშიც დიდი მოგება აქვთ".[684]

ამდენად, დასავლეთ საქართველოში არსებულ საექსპორტო პროდუქციას ძალიან დაბალი ფასი ჰქონდა, ხოლო ზოგიერთი პროდუქტის – ცხენის, ხარ-კამეჩის, ცხვრის, ძროხის, ღვინის და ა.შ. – ექსპორტის შემთხვევები წყაროებში საერთოდ არ გვხვდება.

ერთი მხრივ, თუ დამპყრობლების მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა განაპირობებდა ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის სიიაფეს, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში ვხვდებით იმპორტული პროდუქციის სიძვირეს. ალექსი იევლევი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ „ქუთაისიდან სადადიანოს საზღვრამდე ცხენით ნახევარი დღის სავალია. ხოლო შავ ზღვამდე მდინარე რიონით და ხმელეთით ორი დღის სავალია. ქუთაისში ვაჭრები თურქეთიდან, სპარსეთიდან, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ყოველგვარი საქონლით მოდიან სხვადასხვა ხალხი თურქები, ებრაელები, სპარსელები, სომხები, აზოველები და მოაქვთ ირანული ხავერდები, ატლასები, აბრეშუმის ქსოვილები, აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილები, ყალამქარი და ყოველგვარი თეთრი თუ ფერადი ფარჩა. მხოლოდ რუსეთზე უფრო იაფი არ არის".[685]

ერთი სიტყვით, იმერეთში და, ცხადია, მთლიანად დასავლეთ საქართველოში, იმპორტული საქონელი, ადგილობრივი პროდუქციისაგან განსხვავებით, ძვირად ფასობდა, როგორც ჩანს, თვითღირებულებაზე მეტად, რადგან რუსი ელჩის დაკვირვებით, იმერეთში მეზობელი ქვეყნებიდან შეტანილი იმპორტული პროდუქცია, მინიმუმ, რუსეთში არსებული ფასების ტოლი ყოფილა. რუსეთში იმავე საქონლის ფასი, ლოგიკურად, იმერეთთან შედარებით, გზის სიშორის გათვალისწინებით, ძვირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩანს, ხელოვნური ბარიერების, ანუ ოსმალური საბაჟო სისტემისა და მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით, დასავლეთ საქართველოში იმპორტული საქონელი საკმაოდ ძვირად ფასობდა, ხოლო ადგილობრივი, თუნდაც მაღალი ხარისხის საექსპორტო პროდუქცია – ძალიან იაფად.

124.

[684] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 169.

[685] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 169-170.

ამ მხრივ საინტერესოა შარდენის მონათხრობი: „ანაკლიაში ცხოვრების დროს საჭმელის ნაკლებობა არ განმიცდია. ფრინველის, გარეული მტრედების, ღორისა და თხის შოვნა შეიძლებოდა. ჩემი მსახურები ყოველივე ამას იღებდნენ ტილოს, ნემსების, საკმეველის, სავარცხლების და დანების სანაცვლოდ. სურსათი საკმაოდ იაფი იყო. ღვინო უხვად გვქონდა... მხოლოდ პური გვაკლდა. ანაკლიაში ცხოვრობდა ერთი წარჩინებული ქალბატონი... მას მცირედი საჩუქარი მივართვი. მადლობის ნიშნად და კიდევ ახალი საჩუქრების მისაღებად ეს ქალბატონი ყოველდღიურად მიგზავნიდა ნახევარ გირვანქა პურს სხვა სურსათთან ერთად. მაგალითად, ერთხელ გამომიგზავნა გარეული ღორი, მეორედ – ცვილის ნაჭერი, შემდეგ თაფლი, ხოხობი. მიგზავნიდა რა ამ მოსაკითხებს, ყოველდღე მთხოვდა რაიმე წვრილმანს, დანას, მაკრატელს, ბაბთას, ქაღალდს...“.[686]

შარდენის აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი პროდუქცია ძალიან იაფი ყოფილა, ხოლო იმპორტირებული, ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი – ძალიან ძვირი.

ერთ ადგილას შარდენი იმპორტული პროდუქციის ფასების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის, მისი გადმოცემით: „მსახურმა... ძღვენი ამ ხალხს გადასცა. იგი შედგებოდა გენუის მაკარონისაგან, ბაფთების, ქაღალდის, ნემსების, დანების ქარქაშებისა და საკმაოდ ლამაზი მაკრატლისაგან. ყველაფერი ეს ღირდა ოცდასამი თუ ოცდაოთხი ფრანკი. მაგრამ სამეგრელოში იგი სამოც ფრანკზე მეტი ეღირებოდა“.[687] როგორც ირკვევა, უცხოური ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი სამეგრელოსა და, ცხადია, მთლიანად დასავლეთ საქართველოში თვითღირებულებაზე დაახლოებით სამჯერ უფრო ძვირად ფასობდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დასავლეთ საქართველოში ხორბალი, ქართლთან შედარებით, ორჯერ ძვირად ფასობდა, რაც ირან-ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განაწილების შედეგი იყო. ცხადია, ქართლ-კახეთიდან ხორბლის ექსპორტი დასავლეთ საქართველოში შეზღუდულად ხორციელდებოდა, საბაჟო ბარიერები კი მის ფასს აორმაგებდა.

ჩვენ არ გვაქვს ამ ეპოქის დასავლეთ საქართველოში მთავარი მარცვლეული პროდუქტის – ღომის – ფასის შესახებ ცნობები, თუმცა, მისი ღირებულებაც დაბალი იქნებოდა.

ამდენად, ოსმალთა სავაჭრო იზოლაციის პირობებში დასავლეთ

---

[686] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 216.

[687] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 221.

საქართველოს საექსპორტო პროდუქცია ძალზე იაფად იყიდებოდა, ზოგიერთი პროდუქტი საერთოდ არ გადიოდა ქვეყნიდან. სწორედ მოცემული გარემოება ახალისებდა „ტყვეთა სყიდვას“. რომ არა სავაჭრო იზოლაცია, ადგილობრივი ფეოდალები თუ სხვა ფენის წარმომადგენლები საკუთარ შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეავსებდნენ, თუნდაც ცხენებისა და სხვა ჭარბი პროდუქციის ექსპორტით.

შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ადგილობრივი საკვები პროდუქციის სიიაფეს ხელი უნდა შეეწყო მოსახლეობის იოლი ცხოვრებისათვის, მაგრამ ეს ასე არ იყო. ჯერ ერთი, ოსმალური ხარკი, ფეოდალური თუ სახელმწიფო ფულადი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის ქვედა ფენებს და, რაც მთავარია, მარილი და სხვა პირველადი მოხმარების იმპორტული პროდუქცია ძალიან ძვირი ღირდა. შესაბამისად, იაფი ადგილობრივი პროდუქციის პირობებში მოსახლეობას ფულადი შემოსავლები თითქმის არ ჰქონდა და თავის გატანა ძალიან უჭირდა.

როგორც აღინიშნა, მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი იყო უცხოეთიდან შემოტანილი ძვირადღირებული ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი. უცხოელი ავტორები ადგილობრივთა სიღარიბის საჩვენებლად ხაზს უსვამდნენ მოსახლეობის ტანისამოსს. შარდენის ცნობით, ქვედა ფენის წარმომადგენლები „ზამთარში ატარებენ ბეწვის ქუდს. ისინი ისეთი საწყალობელნი და გაჭირვებულნი არიან, რომ წვიმის დროს არახჩინს ან ქუდს ჯიბეში იდებენ, რომ არ გაუფუჭდეთ... ტანზე აცვიათ პატარა, მუხლებამდე ჩამოშვებული პერანგი, რომელიც ვიწრო შარვალში აქვთ ჩატანებული. უარესი ჩაცმულობა ქვეყნიერებაზე არ არსებობს... ღარიბი ხალხი თითქმის შიშველი დადის... უმრავლესობა სხეულის დასაფარად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს... თითქმის ყველა ფეხშიშველი დადის...“.[688]

ერთი სიტყვით, ზოგიერთი ადგილობრივი პროდუქტი საერთოდ არ გადიოდა ექსპორტზე, ხოლო რაც იყიდებოდა – ცვილი, თაფლი, ხე-ტყე, ტყავი და სხვა – იმდენად იაფად, რომ მოსახლეობას აქედან მიზერული შემოსავალი რჩებოდა. ასეთ პირობებში ადგილობრივ ბაზარზეც აღარ საღდებოდა ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს: „რაც შეეხება ჩვეულებრივ სანოვაგეს, რომელიც ყველას მუდამ ესაჭიროება, მისი არც მყიდველი და არც გამყიდველი არ მოიპოვება, რადგან დიდებულისათვის მათ ყმებს მუდამ დღე მოაქვთ ყოველივე საჭირო სანოვაგე. სხვა წოდების ხალხიც არ ყიდულობს სანოვაგეს, რადგან, რაც სჭირია, ყოველივე სახლში აქვს, მაგალითად, ყველი საკუთარი ძროხისგან

[688] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 119.

აქვს, მწვანილი თავის ბახჩიდან, კვერცხები თავის ქათმებისაგან, და თუ ხორცი უნდა, დაჰკლავს თავის ძროხას, ღორს, ქათმებს... და ცხვრებს. ამრიგად ყოველ დღე რაც ესაჭიროება უყიდლად აქვს".[689]

მართლაც, თუ XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საგადასახდო დავთრებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ, საშუალოდ, ერთი კომლი გლეხი ბატონყმურ გადასახადს იხდიდა შემდეგი ოდენობით: დაახლ. ერთ ურემ ღომს, ერთ ან ორ საკლავს, ზოგიერთ შემთხვევაში, ძროხას, რამდენიმე ქათამს, რამდენიმე კოკა ღვინოს და ა.შ.[690] ჩანს, სურსათ-სანოვაგის მხრივ, დასავლეთ საქართველოში არათუ სავალალო მდგომარეობა იყო, არამედ მოსახლეობას ჭარბი პროდუქციაც ჰქონდა, პრობლემას წარმოადგენდა მისი რეალიზაცია და იმპორტირებული პირველადი საჭიროების ნივთების (ტანისამოსი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, მარილი და ა.შ.) სიძვირე.

თანადროული პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში ქვედა ფენების სამოსი არცთუ ხელმიუწვდომელი ყოფილა და დაახლოებით 1-2 ცხვრის ან ძროხის მეოთხედი ფასით შესაძლებელი იყო მისი შეძენა.[691] თუ გავითვალისწინებთ უცხოელი ავტორების ცნობებს და საგადასახადო დავთრების მონაცემებს დასავლეთ საქართველოში შინაური პირუტყვის სიმრავლის შესახებ, ცხადი გახდება, რომ ნორმალურ ვითარებში მოსახლეობისათვის მინიმალური ტანისამოსის შეძენა განსაკუთრებულად პრობლემატური არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შექმნილი სპეციფიკური ეკონომიკური რეალობა იწვევდა საყოველთაო სიდუხჭირეს. ზოგადი ეკონომიკური დეგრადაციის ფონზე ფეოდალები მათთვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად კიდევ უფრო აძლიერებდნენ ყმა-გლეხებზე ზეწოლას, რის გამოც მდგომარეობა რთულდებოდა.

სწორედ შექმნილი ეკონომიკური რეალობა აიძულებდა მოსახლეობას, რათა დამატებით შემოსავლებზე ეზრუნა. ასეთ საშუალებად კი მხოლოდ ადამიანების გაყიდვა რჩებოდა. ამ ვითარებას დეტალურად აღწერენ უცხოელი ავტორები. შარდენის თქმით, „ყოველწლიურად სამი ათასი კაცი მიჰყავთ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ ქსოვილებზე, იარაღსა და სხვა საქონელზე ცვლიან".[692]

მოცემულ რეალობას ზუსტად ეხმაურება XVII საუკუნის I მესამედში მამია გურიელის მიერ დადებული ფიცი „ტყვეთა სყიდვის" აკრძალვასთან დაკავშირებით. დავით გარეჯის ნათლისმცემლის

---

[689] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 167.

[690] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-342, 358-480.

[691] იხ.: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 101-118.

[692] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123.

უდაბნოდან გურიაში მივლინებული ბესარიონი გურიელს „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას სთხოვდა. გურიელი კი აღნიშნავდა: „დღეს ამას აქეთ, ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოდ, რომ მოიხმარებოდეს ან სასმელ-საჭმელში და ჩვენ აღარ გავსყიდით... რაც ხვანთქარისა და ვეზირისა მართებულება და საგრძნობელი შემოგვივარდეს, რომ მტრისაგან არ ვიჩაგრებოდეთ ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ ამ ქვეყნის ტყუეზედ“.[693]

როგორც ვხედავთ, გურიელის განცხადებით, ტყვეები იყიდებოდა სხვადასხვა საჭიროებისა და ოსმალური ხარკისათვის. ის პირობას დებდა, რომ ტყვეებს პირადი საჭიროებისათვის აღარ გაყიდდნენ, მაგრამ იმავე პირობას ვერ იძლეოდა ოსმალური ხარკის, „ხვანთქრისა და ვეზირის მართებულების“ შემთხვევაში.

სწორედ მოცემული ვითარების სიმძიმეს ითვალისწინებდა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.), როდესაც ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზის აღდგენას ცდილობდა. მას სურდა, რომ ადგილობრივი აბრეშუმი და სხვა საქონელი ვენეციელ ვაჭრებს გაეტანათ სამეგრელოდან. მისი პროექტით თუ აღნიშნული გზა ამოქმედდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა შედარებით იაფად ირანული პროდუქციის ევროპაში გადაზიდვაც. ხოლო რომის პაპ ურბან VIII-თან გაგზავნილი წერილით ევროპიდან შალისა და აბრეშუმის მქსოველი ხელოსნების გამოგზავნას ითხოვდა, რომლებიც ადგილობრივებს შესაბამის ხელობას ასწავლიდნენ.[694]

ლევან დადიანის წამოყენებულ პროექტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ის არ შემოიფარგლებოდა უბრალო სავაჭრო ურთიერთობებით. სწორედ მსგავს პროექტს შეეძლო მოცემული იზოლაციის დაძლევა, მაგრამ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნულ წამოწყებას შედეგი არ მოუტანია.[695]

XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში პროდუქციის ფასების განხილვა შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა – XVI საუკუნის შუა ხანებიდან აშკარაა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების კლების ტენდენცია, მისი უკიდურეს ნიშნულამდე დაყვანა და იმ-

---

693 მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში. თბ. 1982, გვ. 314.

694 ილ. ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ. 1990, გვ. 111-117.

695 აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლევან დადიანის მიერ ჩხარისა და ჩიხორის ებრაელი და სომეხი ვაჭრების აყრით და მათი რუხში ჩასახლებით სამეგრელოს სამთავროს ეკონომიკური მდგომარეობა დროებით უმჯობესდებოდა, მაგრამ ამით მძიმდებოდა ზოგადი ვითარება, რადგან იმერეთის აღმოსავლეთით არსებული მცირე სავაჭრო პუნქტების გაუნადგურება კიდევ უფრო ასუსტებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ისედაც შემცირებულ სავაჭრო კონტაქტებს.

პორტული, პირველადი მოხმარებისათვის საჭირო საქონელზე ფასების ზრდა. ყოველივე ეს დაკავშირებული იყო ოსმალეთის პოლიტიკასთან. პროცესი მყარდებოდა დასავლეთ საქართველოს მეზობლად ოსმალეთის იმპერიის გაბატონების კვალდაკვალ და ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო. შექმნილი ეკონომიკური რეალობა გაგრძელდა XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში. იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ ფართო ხასიათი მიიღო და მის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა, სწორედ მოცემული ეკონომიკური ვითარება განაპირობებდა.

ოსმალეთის სახელმწიფომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეებში მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო ძალები განალაგა. თუ XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალური გარნიზონები მხოლოდ ქუთაისსა და სოხუმში იდგნენ, 1723 წლიდან დაიკავეს ციხისძირის, ქობულეთის, სეფის, გრიგოლეთისა და ანაკლიის ციხეები. გაამაგრეს ბათუმის, ჩაქვის, ფოთის, ბიჭვინთისა და ანაკოფიის ციხეები. გაიზარდა ჯარისკაცთა რაოდენობა ქუთაისის (500 იანიჩარი) და ბაღდადის ციხეებში (100 იანიჩარი). საერთო ჯამში, დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ათასკაციანი ჯარი ჩადგა. ოსმალური გარნიზონები, ძირითადად, ქართველი მაჰმადიანებისაგან შედგებოდა. მათთვის საჭირო გახდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან პურის, ხორცპროდუქტებისა და სხვა საკვების შეძენა. მეციხოვნეებსა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის აქტიური სავაჭრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა.[696] ჯარის გამოკვების აუცილებლობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად, დაირღვა ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის არსი – ამჯერად ოსმალები მოსახლეობისაგან, ტყვეების გარდა, უკვე საკვებ პროდუქტებსაც იძენდნენ.

ამდენად, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, დასავლეთ საქართველოში ოსმალური გარნიზონების შეყვანა თუ რაოდენობის გაზრდა მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე დადებითად აისახა და ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ მოიმატა.[697]

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, კვლავ მძიმე რჩებოდა. ოსმალური გარნიზონების ქვეყანაში შესვლით თუ, ერთი მხრივ, გარკვეულ პროდუქციაზე ფასები იმატებდა, მეორე მხრივ,

---

[696] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII ს. I ნახევარში. საქართველოს არქივის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 455-464.

[697] იხ.: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 134-135.

იგივე ძალა „ტყვეთა სყიდვისა" და ოსმალური ხარკის შეკრების გარანტორად გამოდიოდა. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ვითარება „ტყვეთა სყიდვის" აკრძალვისა და ქვეყნის პოლიტიკური გათავისუფლების საშუალებას არ იძლეოდა.

ამდენად, XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის I ნახევარში ქართულ სამეფო-სამთავროებში ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა, რისი ძირითადი მიზეზიც ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა და ქვეყნის ევროპისაგან იზოლაცია გახდა. მდგომარეობას ამძიმებდა დაღესტნელ მთიელთა მძარცველური შემოსევები და შინააშლილობებიც. დასახელებულ ეპოქაში თუ აღმოსავლეთ საქართველოში რეალური პროგრესის არარსებობის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად ასატანი ვითარება იყო, დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის გამო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და „ტყვეთა სყიდვამ" დიდი მასშტაბები შეიძინა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ადამიანების ვაჭრობით მიღებული შემოსავლით ახერხებდა თავის გატანას. დასავლეთ საქართველოს პერიფერიებში კი, განსაკუთრებით აფხაზეთის სამთავროში, კიდევ უფრო დამძიმდა ეკონომიკური მდგომარეობა. რაც შეეხება ოსმალეთის მიერ უშუალოდ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოს, მართალია, რეგიონის მოსახლება ქართლის სამეფოსთან ეკონომიკურ კავშირებს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა, თუმცა ეტაპობრივ რეგრესს განიცდიდა როგორც საქალაქო ცხოვრება, ისე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი.

XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების სახელმწიფო შემოსავლები

XVI საუკუნიდან შემცირდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შემოსავლები. შარდენის ცნობით, XVII საუკუნის 70-იან წლებში „სამეგრელოს მთავრის წლიური შემოსავალი ოცი ათას ეკიუს აღწევს. ამ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბაჟი სამეგრელოში შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე, ადამიანების გაყიდვა და თვითნებურად შენერილი გადასახადები. მთავარი მთელ შემოსავალს ინახავს სკივრებში, რადგან მას არც ერთი დენიეს დახარჯვა არ უხდება. ქვეშევრდომები მთავარს უსასყიდლოდ ემსახურებიან, სამამულო დომენი კი იმდენ სურსათ-სანოვაგეს იძლევა, რომ მთელ მის კარს ყოფნის და რჩება კიდეც".[698]

რადგან აღნიშნულ ეპოქაში 12,5 ეკიუ 1 თუმნის ეკვივალენტუ-

[698] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 126.

რი იყო,[699] სამეგრელოს მთავრის შემოსავალი ადგილობრივი ფულით 1600 თუმანს, ანუ 80 000 აბაზს უდრიდა. სირმა-აბაზის ან ოთხდანგიანი დრამის წონის გათვალისწინებით კი, დასახელებული თანხა 4000 თუმანს, ანუ 200 000 სირმა-აბაზს (40 000 მინალთუნი/რუსული რუბლი) შეესაბამებოდა. როგორც შარდენი აღნიშნავდა, მთავრის დომენი ნატურალური პროდუქტების სახით დამატებით შემოსავლებსაც იძლეოდა, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამეგრელოს სამთავროს შემოსავლები ადამიანების გაყიდვით მიღებული თანხებითაც ივსებოდა.

ანალოგიურად რთული მდომარეობა იკვეთება იმერეთის სამეფოში. მართალია, აღნიშნული ეპოქის იმერეთის სამეფოს შემოსავლების შესახებ დაზუსტებული მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ჟან შარდენი: „... გენათელთან მოვიდა იმერეთის მიერ თბილისში გაგზავნილი ერთი აზნაური, რომელმაც დედოფალს მოახსენა, თუ რა წარმატებით შეასრულა მეფის დავალება. ეს აზნაური გაეგზავნათ რვა ათასი ეკიუს სასესხებლად, რისთვისაც გირაოდ სამეფო გვირგვინი გაეტანებინათ. ეს არის ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი, რომლის ღირებულება, ალბათ, ოთხი ათასი პისტოლი იქნება, მაგრამ ფულის სესხება ამ გირაოთი არავინ მოისურვა. საქართველოს მთავარმა (ქართლის მეფე – ა. თ.) შეიტყო თუ არა, რომ იმერეთის მეფე და დედოფალი გასაჭირში არიანო, მათ საჩუქრები გამოუგზავნა: მეფეს – სამი ცხენი, იარაღი და ათასი ეკიუ ფულად; დედოფალს – ოქრონაქსოვი და მოვერცხლილი ფარჩა, ატლასი, თავთა და ხუთასი ეკიუ".[700]

როგორც ვხედავთ, საგარეო და საშინაო გართულებების გამო იმერეთის მეფე 8000 ეკიუს, ანუ იმდროინდელი 640 თუმნის (გვიანდელი 16 000 მინალთუნი/რუბლი) სანაცვლოდ, სამეფო გვირგვინს აგირავებდა, რაც ხაზს უსვამს დასავლეთ საქართველოს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას. დიდი ალბათობით, იმავე ეპოქის იმერეთის სამეფოს შემოსავლები, სამეგრელოს სამთავროს შემოსავლების მსგავსად, 40 000 მინალთუნის/რუბლის ფარგლებში იქნებოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოგვიანო ხანის, XIX საუკუნის დასაწყისის, იმერეთის სამეფოს სახელმწიფო შემოსავლები სნორედ 40 000 მინალთუნამდე/რუბლამდე აღწევდა.[701] ამდენად, XVII-XVIII საუკუნეებში სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს

---

699 ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

700 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 285-286.

701 მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 21-26.

ყოველწლიური შემოსავლების საერთო ჯამი დაახლ. 80 000 მინალთუნს, ანუ 400 000 სირმა-აბაზს/დრამას უდრიდა, რაც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი ქართული მონარქიის შემოსავლებზე 50-ჯერ და მეტჯერ ნაკლები (21 500 000:400 000=53,75) თანხა იყო.

როგორც შარდენის მონათხრობიდან ვიგებთ, სახელმწიფო შემოსავლების თვალსაზრისით, შედარებით უკეთესი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოში, რადგან ქართლის მეფეს იმერეთის მეფისა და დედოფლისათვის 1500 ეკიუ და ძვირადღირებული საჩუქრები გაუგზავნია.

XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ქართლის მეფის შემოსავლების შესახებ ცნობებს გვაწვდის ტურნეფორი. მისი გადმოცემით, „საქართველოს (ქართლის – ა. თ.) მეფის ყოველწლიური შემოსავალი ადგილობრივი ფულის ერთეულით ექვსას თუმანს აჭარბებს... მეფის შემოსავალია სპარსეთის ხელმწიფისაგან მიღებული ჯამაგირიც სამასი თუმანის ოდენობით, აგრეთვე, თბილისის საბაჟოდან და შემოტანილი არყისა და ნესვისაგან მიღებული თანხა, რაც მთლიანად დაახლოებით ხუთას თუმანს შეადგენს. გარდა ამისა, იგი გარკვეულ თანხას იღებს იმ მიზეზით, რომ თბილისში გამვლელ წარჩინებულ პირებს უნდა გაუმასპინძლდეს. ცხვარი, ცვილი, კარაქი და ღვინო ამ ქვეყანაში უხვადაა. მეფე თითოეული კომლისაგან წელიწადში ერთ ცხვარს იღებს, რაც შეადგენს ორმოც ათას ცხვარს, რადგან საქართველოში სამოცი ათასი კომლია, ხოლო ცხვარი მხოლოდ ორმოც ათასს ჰყავს. რაც შეეხება ღვინოს, მეფეს იგი გადასახადის სახით ოთხი ათასი საპალნე შემოსდის, რაც ორმოც ბათმანს შედგენს, ბათმანი კი ექვსი ოყაა“.[702]

როგორც ვხედავთ, ტურნეფორი შემოსავლებიდან უპირველესად 600 თუმანს ასახელებს, რომელიც, ჩვენი აზრით, სასურსათო, ანუ „კოდის პურის“ გადასახადიდან შეკრებილი პროდუქციის საფასური უნდა იყოს.[703] მისი ცნობით, საბაჟოებიდან და იჯარებიდან მეფის შემოსავლები 500 თუმანს შეადგენდა. რაც შეეხება თბილისში შეკრებილ გარკვეულ თანხას, რომლის ოდენობას ავტორი არ უთითებს, ეს ქალაქის მოსახლეობის გადასახადებს (მალი და მახტა) უნდა წარმოადგენდეს, რომლის ოდენობა დაახლ. 300 თუმანი იყო. ხოლო 4000 საპალნე (ამ შემთხვევაში დაახლ. 1 200 000 ლიტრი) ღვინის ღირებულება საშუალოდ 1600 თუმანს შეადგენდა. ორმოცი ათას ცხვრის გადასახადს კი, ვერც „დასტურლამალში“ და ვერც სხვა წყაროში ვხვდებით. ჩვენი აზრით, დასახელებულ გადასახადში

[702] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

[703] რადგან აღნიშნულ ეპოქაში თავადები დიდი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდნენ, ლოგიკურია, რომ „კოდის პურის“ გადასახადიდან მხოლოდ აღნიშნული თანხის ღირებულების მარცვლეული შეკრებილიყო.

უნდა იგულისხმებოდეს ე.წ. „სამასპინძლო“, რომელიც, ძირითადად, პირუტყვის სახით გროვდებოდა.[704] აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ტურნეფორი ქართლის მოსახლეობის შესახებ აშკარად გადაჭარბებულ ციფრს გვაწვდის, რის შედეგადაც, დასახელებული გადასახადიც გაზრდილად არის ნაჩვენები. ჩვენი აზრით, „სამასპინძლო“ გადასახადიდან არა 40 000 ცხვრის ღირებულების თანხა – დაახლ. 1500 თუმანი, არამედ უფრო ნაკლები – საშუალოდ 700 თუმანი შეგროვდებოდა.

ამდენად, ტურნეფორის ცნობის ანალიზის მიხედვით, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის მეფის საერთო შემოსავალი დაახლ. 3700 თუმანს, ანუ 37 000 მინალთუნს შეადგენდა, რაც სირმა-აბაზის წონის გათვალისწინებით, დაახლ. 90 000 მინალთუნის/რუბლის (450 000 სირმა-აბაზი) ტოლფასი იყო.

ამდენად, გვიანფეოდალურ ხანაში საქალაქო ცხოვრების დაქვეითების, საერთაშორისო ვაჭრობის დაკნინებისა და სხვა ურაყოფითი ფაქტორების შედეგად ქართული სამეფო-სამთავროების შემოსავლები დაბალ ნიშნულზე იყო.

[704] გადასახადის სახეობების შესახებ იხილეთ: ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში.

1740-იანი წლების მიწურულს ქართლისა და კახეთის სამეფოებმა ირანის ბატონობას თავი დააღწიეს. მამა-შვილის, თეიმურაზ II-ის (ქართლის მეფე 1744-1762 წწ.) და ერეკლე II-ის (კახეთის მეფე 1744-1761 წწ.; ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წწ.) მმართველობის შედეგად, აღმოსავლეთ საქართველო ფაქტობრივად გაერთიანდა, ხოლო თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წელს, ქართლ-კახეთი ოფიციალურად ერთ სამეფოდ გამოცხადდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი ვითარება სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდწილად, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის გატარებულმა ღონისძიებებმა განაპირობა.

აღნიშნული ღონისძიებებიდან უპირველესად ვაჭრობის სტიმულირებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს შევეხებით.

ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებები ვაჭრობის განვითარებისათვის

გვიანფეოდალურ ეპოქაში ვაჭრობას როგორც ქართულ ქალაქებში, ისე მთლიანად კავკასიის რეგიონში, ძირითადად, სომეხი, მუსლიმი და ებრაელი ვაჭრები ეწეოდნენ. მათგან სომხურ სავაჭრო კაპიტალს აშკარა უპირატესობა ჰქონდა.[705] XVIII საუკუნის 30-იან წლებში კი თბილისიდან და სხვა ქართული ქალაქებიდან მათი დიდი ნაწილი რუსეთის ქალაქებსა (ყიზლარსა და მოზდოკში) და ირანის სხვადასხვა პროვინციაში გადასახლდა. ვაჭრების ქვეყნიდან გადინება შემდეგი ვითარებით იყო განპირობებული: აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე მათი უსაფრთხოება და ქონების ხელშეუხებლობა გარანტირებული აღარ იყო; პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ვახტანგ VI-ის ქვეშევრდომ ვაჭრებს შეუწყდათ ირანში ვაჭრობის შეღავათიანი საბაჟო ტარიფი. ისინი ირანის ქა-

[705] ვიანიდან შუა საუკუნეებში ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც მმართველი ფენა – ფეოდალები, ისე გლეხები, ფეოდალური ურთიერთობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობასთან იყვნენ დაკავშირებულები (ფეოდალები – მიწის მფლობელები, გლეხები – მიწათმოქმედები), ვაჭრობას უმთავრესად სომხური ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენლები ეწეოდნენ. მათი სავაჭრო საქმიანობაში მასობრივი ჩართვა იმ ისტორიული რეალობის შედეგი უნდა იყოს, რაც სომხური სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე სხადასხვა ქვეყანაში მიგრაციასთან იყო დაკავშირებული. საქართველოსა თუ სხვა ქვეყნებში იმიგრირებული სომხები სწორედ სავაჭრო საქმიანობით ირჩენდნენ თავს. დროთა განმავლობაში საქალაქო ცხოვრებაში მათი როლი ძლიერდებოდა.

ლაქებში გადასახლებით ამ უფლებას ავტომატურად იბრუნებდნენ. მათთვის კიდევ უფრო მიმზიდველი იყო სამხრეთ რუსეთის ქალაქებში დამკვიდრება, რადგან რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლით, ერთი მხრივ, ავტომატურად იღებდნენ ირანის ბაზრებზე პრივილეგიებს,[706] რაც ირან-რუსეთის ხელშეკრულებებით იყო გაფორმებული, მეორე მხრივ კი, მათ ირან-რუსეთის მზარდ ტვირთბრუნვაში აქტიური როლის შესრულების შესაძლებლობა ეძლეოდათ.

ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის ირანის ბატონობისაგან გათავისუფლების პირველ ხანებში ვაჭრობის მხრივ ქვეყანაში არცთუ დამაიმედებელი რეალობა იყო. აღნიშნულ ვითარებას და ერეკლე II-ის ვაჭრობის გაფართოებისაკენ სწრაფვას კარგად ასახავს ყირიმში მყოფი საფრანგეთის კონსული პეისონელი, რომელიც გადმოგვცემს: „ქართველები ეხლა (იგულისხმება XVIII საუკუნის 50-იანი წლები) ძალიან მოკლებული არიან ფულს, ამიტომ ისინი სიამოვნებით შეხვდებიან ვაჭრობის დამკვიდრებას, რომელიც დაატრიალებს მათში ძალიან დიდ ფულს".[707]

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო გახდა ქვეყანაში ვაჭრების მოზიდვა. მათი საქართველოში გადმოსახლება კი სტაბილურობისა და ავტორიტეტის განმტკიცების გარეშე შეუძლებელი იყო. ერეკლე II-მ წარმატებული სამხედრო ოპერაციების წყალობით სწორედ ასეთი ავტორიტეტი მოიპოვა: XVIII საუკუნის შუა ხანებიდან მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ყველა სახანომ ქართლ-კახეთის უზენაესობა აღიარა, ხოლო ერევნის, განჯის და ნახჭევანის სახანოები ქართული სამეფოს მოხარკე ქვეყნებად იქცა. მოცემული ვითარება ირანის მმართველმა ქერიმ ხანმაც ცნო.[708]

ამდენად, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფო რეგიონში ყველაზე მიმზიდველ ქვეყანად მიიჩნეოდა. შედეგად, სამხრეთ კავკასიელმა ვაჭრებმა ერეკლეს ქვეშევრდომობაში შესვლა დაიწყეს.

ერეკლე II-მ ვაჭართა მოსაზიდად გამოსცა სპეციალური „მანიფესტი სომხებისადმი", „რომლითაც იგი სპარსეთის სხვადასხვა პროვინციებში გაფანტულ სომხებს, „ურჯულოთა მიერ წამებულ ხალხს", თავის ქვეყანაში თავმოყრისაკენ მოუწოდებდა და „თავისუფლებრივ ცხოვრებასა" და „მონაგებთა" ხელისუფლებას და ქა-

706 თბილისის ისტორია, გვ. 261-262.

707 ს. კაკაბაძე. საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, გვ. 120.

708 ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). თბ. 1983, გვ. 75-79.

რთველი ერის თანაბარ პატივს და სიყვარულს ჰპირდებოდა“.[709]

ამავე დროს, ვაჭრობის სტიმულირებისათვის სამეფო კარმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა – ერეკლე II-მ ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით დაარღვია ფეოდალური კონსერვატულობა და ვაჭრები, რომლებსაც დიდი კაპიტალი ჰქონდათ, თავადთა და აზნაურთა რანგში აიყვანა. ეკონომიკური ნიშნით ვაჭართა ფენის წარმომადგენლებისათვის უმაღლესი წოდების მინიჭების ფაქტები ერთეული შემთხვევებით არ შემოიფარგლებოდა. მეფემ XVIII საუკუნის II ნახევარში თავადის წოდებები მიანიჭა აბიმელიქოვს, ბებუთაშვილს, არლუთაშვილს, ინდოეთში მყოფ სომეხ დიდვაჭარს შაჰამირიანს და სხვებს. აზნაურები გახდნენ ივანგულოვი, არშიევი, მელიქოვი, შახოვი და ა.შ. ხშირად მათ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდა.[710] შედეგად, მახლობელ ქვეყნებში მცხოვრები ვაჭრებისათვის ქართლ-კახეთის სამეფო კიდევ უფრო მიმზიდველი ხდებოდა.

აღნიშნულ პერიოდში პეისონელმა საფრანგეთის მთავრობის წინაშე, რომელსაც უკვე გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა ოსმალეთთან, აღძრა საკითხი სპარსეთის ბაზრისაკენ გზის გაკვლევის შესახებ. მისი პროექტის მიხედვით, თბილისში, როგორც სპარსეთთან დამაკავშირებელ ყველაზე უფრო მოსახერხებელ ქალაქში, უნდა შექმნილიყო მთავარი სავაჭრო კანტორა და ფრანგი ვაჭრები იქიდან დაკავშირებოდნენ სპარსეთის ქალაქებს – „თბილისის მდებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტე-გასაღებად“.[711] პეისონელის გეგმით უნდა ამოქმედებულიყო შემდეგი სავაჭრო მარშრუტი: ბათუმი-ახალციხე-თბილისი – აქედან ერთი განშტოება გაემართებოდა განჯა-შემახის და მეორე კი ერევან-თავრიზისა და არზრუმის მიმართულებით.

რაღა თქმა უნდა, ასეთი გეგმა ერეკლე II-ისათვის მისაღები იქნებოდა. როგორც ჩანს, მეფე ამ იდეის მიმართ გარკვეულ იმედებს ამყარებდა, რადგან მან 1763 წელს მოახდინა კათოლიკე ბერების სრული რეაბილიტაცია, რომელთა უფლებებიც კათალიკოს ანტონი I-ის ქვეყნიდან გაძევების შემდეგ შელახული იყო. შედეგად, ევროპულ სავაჭრო კაპიტალს საქართველოში გააქტიურების საშუალება მიეცა.[712] თუმცა პეისონელის პროექტს რეალური ქმედება არ მოჰყოლია. შესაბამისად, ამ მიმართულებით სატრანზიტო ხიდის

---

[709] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. II, გვ. 212.

[710] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 32-34.

[711] ს. კაკაბაძე. საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, გვ. 119.

[712] ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), გვ. 80.

ფუნქცია ვერც თბილისმა შეასრულა და ევროპულმა კაპიტალმაც ვერ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. აღნიშნულმა მაგისტრალმა სამხრეთით – ირანი-ბაღდადი-ალეპო-ხმელთაშუა ზღვა – გადაინაცვლა.[713].

იმის გამო, რომ საქართველოს გავლით ევროპასა და აზიის დამაკავშირებელი გზის აღდგენის საკითხი მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს სურვილზე არ იყო დამოკიდებული და მის ამოქმედებას საერთაშორისო პოლიტიკის ცვლილებები ესაჭიროებოდა, სამეფო კარმა აქცენტი სხვა მიმართულებაზე გადაიტანა. მთავარ საზრუნავად იქცა ის ფაქტი, რომ თბილისი გამხდარიყო კავკასიის მასშტაბით ძირითადი სავაჭრო ცენტრი, რომელიც ირან-რუსეთის საქონელგაცვლაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა. წარმატების მიღწევა აქაც საკმაოდ რთული იყო, რადგან რუსეთსა და ირანს შორის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები კასპიის ზღვით წარმოებდა. ასევე პოპულარული იყო ბაქო-დარუბანდ-ყიზლარის გზა. იმისათვის, რომ თბილისი რეგიონალური მასშტაბით მაინც გადაქცეულიყო მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად, სამეფო კარმა პირველი ნაბიჯი 1750 წელს გადადგა – გახსნა დარიალის, იგივე „ოსეთის“ გზა, რომელიც თბილისსა და სხვა ქართულ ქალაქებს მოზდოკთან აკავშირებდა.

რუსეთთან დამაკავშირებელი გზის გახსნა თავდაპირველად ეფექტური არ აღმოჩნდა. ის უსაფრთხოდ არ ითვლებოდა. ერეკლე II-მ ამ გზის პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. მან „ოსეთის“ გზით შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე შეღავათიანი საბაჟო ტარიფი დააწესა.[714] ასევე დაიწყო ზრუნვა საქარავნო გზის კეთილმოწყობისათვის. იაკობ რაინეგსის გადმოცემით, გზის გასწვრივ ჩარჭობილი იყო მაჩვენებლები – მაღალი ბოძები, „ერთმანეთის ახლოს, რათა, როცა ყველა გზა თოვლით იკეტება, ქარავნებს შეეძლოთ მათი საშუალებით გზის გაკვლევა“.[715] ერეკლე II-მ გზის უსაფრთხოებაც უზრუნველყო. ამ გზის გახსნით რუსეთის იმპერიაც ყოფილა დაინტერესებული (ცხადია, არა მარტო სავაჭრო მიზნებით) და უსაფრთხოებას ჩრდილოეთ კავკასიაში თავად უზრუნველყოფდა. იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ „მრავალი წლის მანძილზე ამ მთების ველური მოსახლეობა იყო შიშის ზარის დამცემი ყოვლისშემძლე გამბედავი ვაჭრებისათვის. მოკვლა, ძარცვა, ტყვეობა და ვაჭრობის საწინააღმდეგო სიძნელეების შექმნა გზაზე იყო ამ ხალხის ყველაზე ბეჯითი

[713] თბილისის ისტორია, გვ. 355.

[714] Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II, გვ. 1136.

[715] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 152.

საქმიანობა. მაგრამ რუსული მმართველობისა და, სახელდობრ, გენერალ ფაბრიციანის საზრიანმა გულმოდგინებამ ბოლო მოუღო მათ ყაჩაღობას. ახლა კავკასიონის გზები იმდენად უსაფრთხოა, რომ იქ, სადაც ასი კაციც კი ვერ გაივლიდა, ახლა ორი კაზაკიც ძალზე თამამად მოგზაურობს".[716] როგორც წყაროებიდან ირკვევა, დარიალის გზაზე მიმოსვლა მოკლე ხანში გააქტიურდა, 1771 წელს კი ერეკლე II-ის ბრძანებით შეღავათიანი ბაჟი გაუქმდა.[717] ჩანს, ამის საჭიროება აღარ არსებობდა.

გარდა დასახელებული მაგისტრალისა, მნიშვნელოვან სავაჭრო არტერიას წარმოადგენდა ძველი ტრადიციული საქარავანო მარშრუტები, რომელთა საშუალებით თბილისი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ ირანის ქალაქებს სტამბულთან აკავშირებდა.

ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა ლეკების გამუდმებული თავდასხმები. მდგომარეობის გამოსასწორებლად ერეკლე II-მ ენერგიული ნაბიჯები გადადგა. „ნოქარი ჯარი", „მორიგე ჯარი", „მორიგე ყარაული", ლეკთა ჯარების მდევრობის კუთხობრივი სისტემა, ასეულობით რესტავრირებული და ახლად აშენებული ციხე-სიმაგრე ქვეყანაში უსაფრთხოების განმტკიცებას და ლეკთა თარეშის ალაგმვას ემსახურებოდა. ამ ღონისძიებებმა ქვეყანას მეტ-ნაკლები წარმატება მოუტანა და XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან შედარებით მშვიდობა დამყარდა. რაინეგსი ხაზს უსვამდა საუკუნეების განმავლობაში დაღესტნელ მთიელთა თავდასხმების წინააღმდეგ ქართველთა მედგარ ბრძოლას და აღნიშნავდა: „მაინც საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა შესუსტდებოდა, რომ მეფე ერეკლეს ხან ბრძოლით, ხან დაპირებებითა და ძღვენით ბოლო არ მოეღო ამ გამჩანაგებელთა (ლეკების – ა. თ.) თავდასხმებისათვის".[718]

სავაჭრო გზების დაცვა სხვა მიმართულებითაც აქტუალური იყო. იგივე ავტორი ქართლ-კახეთის სამეფოს დასავლეთ საზღვრის შესახებ მიუთითებდა: „თუმცა აკისკას (ახალციხე – ა. თ.) მთები ქართლისათვის კარგი კედელია, მაინც მეფე ერეკლე არასოდეს არ ტოვებს ამ საზღვრებს დაუცველად, რათა თურქთა თავდასხმა არ დაუშვას, ასევე უზრუნველყოს მოგზაურთა და ვაჭართა უსაფრთხოება, რომლებსაც ქართლიდან იმერეთში და უკან მიმოაქვთ სურსათი".[719] ახალციხისა და ქუთაისის გზასთან ერთად დაცული იყო სხვა საქარავნო გზებიც.

---

[716] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 154.

[717] Акты, собраные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II, გვ. 1136.

[718] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 147.

[719] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 148.

ვაჭრობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო საბაჟო სისტემის მოწესრიგება. ერეკლე II-მ მტკიცედ განსაზღვრა საბაჟო ტარიფი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედებდა ფეოდალური საბაჟოები, XVIII საუკუნის II ნახევარში საშინაო თუ საგარეო ვაჭრობისათვის არსებული ყველა საქარავნო გზა და ქალაქები მეფის სახასო მამულში მდებარეობდა. შედეგად, ქვეყანაში საბაჟო კონტროლს, ძირითადად, სამეფო კარი ახორციელებდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებით ერეკლე II-ის მიერ შემოღებული პროგრესული საკანონმდებლო აქტები – აღადგინა ვახტანგ VI-ის დროინდელი „საკუთრების ქალაური წესი", რომლის მიხედვითაც უშვილოდ გარდაცვლილი მოქალაქის ქონება მის თუნდაც შორეულ ნათესავს გადაეცემოდა; სპეციალური ბრძანებებით განსაზღვრა ქალაქის მოურავის, მელიქ-მამასახლისის და სხვა მოხელეების უფლება-მოვალეობები.[720]

სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებასა და დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განმტკიცებაზე დადებითად მოქმედებდა აგრეთვე სამონეტო რეფორმა – 1760-იანი წლებიდან თბილისის ზარაფხანა საბოლოოდ გათავისუფლდა ირანის გავლენისაგან და ერეკლე II-მ დიდი რაოდენობით საკუთარი მონეტების – „სირმა-ვერცხლის" – მოჭრა დაიწყო, რომელიც მაღალი სინჯის ვერცხლისაგან იჭრებოდა და კავკასიის რეგიონის მასშტაბით ძალიან პოპულარული ფული გახდა. ვერცხლის სხვადასხვა ნომინალთან ერთად კვლავ იჭრებოდა სპილენძის მონეტებიც, რომლებსაც ხურდა ფულის ფუნქცია ჰქონდა.

ერეკლე II ყველანაირად ცდილობდა საკუთარი ქვეყნის ვაჭართა უფლებების დაცვას. ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ერეკლე II-ის ქვეშევრდომ ვაჭრებს რუსეთში სხვადასხვა მიზეზით ჩამორთმეული თანხა და სავაჭრო საქონელი მისი შუამდგომლობით დაუბრუნეს. ვაჭართა ინტერესების დაცვის მრავალი ფაქტი წყაროებით დასტურდება.[721] 1783 წლის ტრაქტატის დადების დროსაც, გაითვალისწინა მათი ინტერესები და ქართლ-კახეთში მცხოვრები ვაჭრები უფლებრივად რუს ვაჭრებს გაუთანაბრა. შედეგად, მათ მიიღეს იგივე პრივილეგიები, რომლებითაც ირანში რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ვაჭართა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვაჭრობის მასშტაბები კი ეტაპობრივად ფართოვდებოდა. უკვე XVIII საუკუნის

---

[720] იხ.: მ. დუმბაძე. „ბატონყმური რიგის" დაცვა. ბრძოლა სამეფო შემოსავლის გაზრდისა და ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 527.

[721] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 36.

70-იანი წლებიდან კავკასიის რეგიონში მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს, ძირითადად, ერეკლეს ქვეშევრდომი ვაჭრები წარმართავდნენ.

საგარეო ვაჭრობა

თბილისი თანდათანობით კავკასიაში მთავარი სავაჭრო ცენტრი ხდებოდა. შედეგად, საქართველოს მეზობელი რეგიონების ეკონომიკურ ცხოვრებაში თბილისელი (და სხვა ქართული ქალაქების) ვაჭრების როლი ფართოვდებოდა. XVIII საუკუნის II ნახევარში ამ მხრივ საქართველოზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული აღმოჩნდა კავკასიის მთიანეთი, რომელიც ქართული პროდუქციისათვის ერთ-ერთ მთავარ გასაღების არეალად გადაიქცა.

მთიელებთან ვაჭრობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოში მყოფი რუსი მოხელეები. როდესაც ბურნაშოვი ახასიათებდა საქართველოს საგარეო ვაჭრობას, განსაკუთრებით გამოყოფდა მის საქონელბრუნვას მთიელ და ირანელ (იგულისხმება მუსლიმური სახანოები) მეზობლებთან „... დიდი ვაჭრობა აქვთ მთიელ და სპარსელ ახლო მეზობლებთან მათი ხელსაქმით, ე. ი. სპილენძის ჭურჭლით, მოჩითული, შელებილი და თეთრი ბამბის ქსოვილებით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა და ხანჯლებით, რკინის წვრილმანი საქონლით, ლაბადებით, ქუდებითა და ფეხსაცმლით: ვინაიდან ამ საჭიროების გამო თითქმის ყველა კავკასიელი ხალხები და ყველა მეზობლები თბილისელი სომხების შრომისმოყვარეობით სარგებლობენ".[722] წყაროებიდან ირკვევა, რომ ვაჭრობის მიზნით ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსახლეობა თბილისსა და თელავს რეგულარულად სტუმრობდა. მთიელები სავაჭროდ მოდიოდნენ დიდ ჯგუფებად, ზოგჯერ 500 და მეტი კაციც კი.[723] მათ ჩამოჰქონდათ ადგილობრივი ნაწარმი: მაუდი, ნაბდები, იარაღი, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვა. უმეტესწილად, მათთან ვაჭრობა გაცვლითი ფორმით მიმდინარეობდა. მაშინაც კი, როცა მთიელები თავის ნაწარმს ფულზე ყიდდნენ, ამ ფულით ისევ მათთვის საჭირო და უცხო ნაწარმს იძენდნენ.[724]

ვაჭრობის ასეთი ფორმა ძალზე მომგებიანი იყო ქართული მხარისათვის. რუსი მოხელის ზუბოვის ინფორმაცია მნიშვნელოვანი წყაროა იმის განსასაზღვრად, თუ რა მოგებას იძლეოდა ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან ვაჭრობა: „ამიერკავკასიის მხარის ბევრი

[722] С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, გვ. 2-3.

[723] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 112.

[724] თბილისის ისტორია, გვ. 357.

ვაჭარი სწავლობს რა მთიელთა სხვადასხვა ენებს, მიდის ყველაზე დაშორებულ ხეობებში და სარგებლობს რა სტუმართმოყვარეობის სიწმინდით, ეწევა ვაჭრობას თითქმის დაუჯერებელი მოგებით, აწვდის რა მთიელებს საგნებს, რომლებიც მათთვის უკვე აუცილებელი გამხდარან". ავტორი ჩამოთვლის იმ საქონელსაც, რომელიც ვაჭრებს მიჰქონდათ კავკასიის მთიელებთან. ესენია: ფერადი აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, საბნები, ყავა, პილპილი, ნუგბარი, სურნელოვანი საპონი, ქიშმიში, ნიგოზი, ფინიკი, ზეთისხილი, ფერუმარილი, ბლის ხის ჩიბუხები, ქარვა, სავარცხლები, დიდი რაოდენობით უნაგირები, ყოველგვარი იარაღი, ტყვია, ფოლადი, ტყავი, ნალები, ნამგლები, მაუდი, ჩარდახები, თამბაქო, მარილი, ღვინო და სხვ.[725] საინტერესოა ერთ-ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ძველ დროს ინგუშეთში საქართველო ჩითების ქვეყნად ითვლებოდა.[726]

XVIII საუკუნის II ნახევარში ერეკლეს ქვეშევრდომი ვაჭრები გაცხოველებულ ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმულნი როგორც მეზობელ სახანოებთან, ისე ირანთან, ოსმალეთთან, ბუხარასთან და ინდოეთთანაც კი. საქართველოდან გადიოდა მატყლი, ტყავეულობა, აბრეშუმის ნაწარმი, სპილენძის ნაკეთობები, ენდრო, ერბო, თაფლი, ღვინო და სხვა. კიდევ უფრო მეტი პროდუქცია ამ ქვეყნებიდან შემოდიოდა. კომერცია ძალზე დიდ მასშტაბებს აღწევდა. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობის თანახმად, თბილისელ ვაჭრებს ერევნიდან ყოველწლიურად 70 000 ფუთი ნედლი ბამბა შემოჰქონდათ,[727] რომლისგანაც მილიონობით არშინი ქსოვილი მზადდებოდა.[728]

ბურნაშოვი აღნიშნავდა, რომ ერეკლე II-ის ქვეშევრდომი ვაჭრები „მიემგზავრებიან სპარსეთსა და ინდოეთში – რუსეთიდან ჩამოტანილი არც თუ დიდი რაოდენობის საქონლით; ხოლო იქედან ქარავნებით იღებენ აბრეშუმის, ბამბის სპარსულ და ინდურ ქსოვილებს, ასევე ფაიფურის ჭურჭელს".[729]

როგორც აღინიშნა, თბილისზე გადიოდა ირანსა და ოსმალეთს შორის დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა. პეისონელის ცნობით, თბილისზე გაჰქონდათ ტრანზიტული საქონელი ირანიდან კონსტანტინოპოლში, ალეპოსა და სმირნაში და, პირიქით, ამ ქალაქებიდან

---

[725] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 117.

[726] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 112.

[727] М. К. Рожкова. Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия. Москва, 1949. გვ. 111.

[728] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 297.

[729] С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, გვ. 2-3.

ირანში. კონსტანტინოპოლიდან მოჰქონდათ ევროპული საქონელი: ევროპის ქვეყნებში დამზადებული ოქროქსოვილი, ყავა, შაქარი და სხვ. თბილისიდან კონსტანტინოპოლში გაჰქონდათ აბრეშუმი, ენდრო, მატყლი, ტყავი და სხვ.

პეისონელის ცნობითვე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში ყოველთვიურად სხვადასხვა საქონლით დატვირთული 150-200 ურემი მიდიოდა ერევნის, თავრიზისა და არზრუმის მიმართულებით.[730] 70-იანი წლებიდან კი ირან-ოსმალეთთან ტვირთბრუნვა კიდევ უფრო გაიზარდა და წელიწადში 1 მილიონ მინალთუნს გასცდა.[731]

დარიალის გზის გახსნიდან მოკლე ხანში გააქტიურდა რუსეთთან ვაჭრობა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ამ პროცესმა ინტენსიური სახე მიიღო. ქართველი ვაჭრები მუდმივად მოგზაურობენ რუსეთის ქალაქებში. ისინი სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებენ არა მარტო ასტრახანში, მოზდოკსა და ყიზლარში, არამედ ნიჟნი-ნოვგოროდსა და მოსკოვში. ამის დამადასტურებელი მრავალი ცნობა მოგვეპოვება. მაგალითად, 1780 წლის აპრილში მოზდოკში ერთდროულად ჩასულა თბილისელი ვაჭრების ქარავნები, რომელთაც დიდი რაოდენობით ტყავი, ქსოვილები და სხვა პროდუქცია ჩაუტანიათ.[732]

სხვადასხვა ცნობით მტკიცდება, რომ საქართველოდან რუსეთში სოლიდური ოდენობის ბამბის ქსოვილები გაედინებოდა. მოზდოკის საბაჟო უწყისებსა და სხვა საარქივო მასალაზე დაყრდნობით დგინდება, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის ტექსტილის ნაწარმით ვაჭრობა რუსეთთან აღემატებოდა ამ სახეობის ნაწარმით ირანის საექსპორტო ვაჭრობას რუსეთში.[733] აღნიშნულ ეპოქაში რუსეთის ბაზრებზე იმერული პროდუქციაც იყიდებოდა.[734]

სავაჭრო ურთიერთობათა მნიშვნელოვან წარმატებებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქართველი ვაჭრები, ერთი მხრივ, მაქსიმალურად იყენებდნენ ადგილობრივი მრეწველობის შესაძლებლო-

730 ს. კაკაბაძე. საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, გვ. 121.

731 ვხცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 43-45.

732 მ. სამსონაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მინურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. № 1. თბ. 1972, გვ. 24.

733 მ. სამსონაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მინურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, გვ. 31.

734 მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 149-150.

ბებს და, შესაბამისად, ექსპორტს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა მათ სავაჭრო ოპერაციებში, ხოლო, მეორე მხრივ, არ კმაყოფილდებოდნენ ამით და ფართო საშუამავლო ვაჭრობას ეწეოდნენ მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ რეგიონებს შორის.[735]

საქონელგაცვლაში საკმაოდ მსხვილ კაპიტალს ვხედავთ. მაგალითად, 1800 წელს თბილისელ ვაჭარ დიმიტრის ინდოეთიდან ჩამოუტანია 20 ათას მინალთუნამდე ღირებულების სხვადასხვა ქსოვილი და ძვირფასი ქვები. ჩამოტანილი საქონლის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ რეალიზაციის მიზნით შეისყიდა ვაჭარმა აღა ზურაბოვმა, ხოლო მეორე ნაწილი კი ტვირთის ჩამომტანს ადგილზე გაუყიდია; 1775 წელს ასტრახანს მიმავალი ჩაძირული გემი ასტრახანელი და თბილისელი ვაჭრების ნახევარი მილიონი რუბლის/მანეთის ღირებულების საქონლით ყოფილა დატვირთული;[736] 1806 წელს თავადმა ნ. ამილახვარმა სასამართლოში აღძრა საქმე თავად აბამელიქოვის წინააღმდეგ, რაც 1,6 მილიონ მინალთუნამდე სავაჭრო საქონელს (ძვირფასეულობას) ეხებოდა.[737]

ვაჭრობის გაფართოებას მოჰყვა სავაჭრო „ამხანაგობების" შექმნა, რომელებშიც რამდენიმე ვაჭარი ერთიანდებოდა. „ამხანაგობის" წევრები თბილისში, ირანის და რუსეთის ქალაქებში იყვნენ გაფანტულნი და ფართო სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდნენ.[738] სავაჭრო „ამხანაგობების" შექმნა იმდენად შორს წავიდა, რომ მას კანონმდებლობაში სპეციალური მუხლები დაეთმო. მაგალითად, „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნის" 5 მუხლი სავაჭრო „ამხანაგობას" ეთმობა, რომლებშიც განსაზღვრულია წევრების უფლებები, ურთიერთშეთანხმებები და ა.შ.[739]

სწორედ „ამხანაგობების" საშუალებით ხორციელდებოდა სატრანზიტო ვაჭრობა. ბევრ ქართველ ვაჭარსა თუ სავაჭრო კომპანიას თავისი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდა ირანის სხვადასხვა სავაჭრო ცენტრში. იქიდან იღებდნენ სავაჭრო საქონელს და შემდეგ რუსეთის ბაზრებზე გაჰქონდათ, რისთვისაც იყენებდნენ არა მხოლოდ „ოსეთის" გზას, არამედ ბაქო-დარუბანდ-ყიზლარის გზასა და კასპიის ზღვას.

ქართველი ვაჭრების საშუალებით ფართო სატრანზიტო ვაჭრობას ადასტურებს გორელი ვაჭრების – ჯულაბაშვილების – დავთარ-

---

735 თბილისის ისტორია, გვ. 360.

736 თბილისის ისტორია, გვ. 358-359.

737 მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 70.

738 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 282-286.

739 ი. დოლიძე. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ. 1960, გვ. 54-56.

იც. ეს ვაჭრები დადიოდნენ ისპაჰანში, თავრიზში, გილანში, მეშჰედში, რეშთში, ასევე შემახაში, დარუბანდში, სტამბოლში და რუსეთში (როგორც დარიალის გზით, ისე კასპიის ზღვით ასტრახანში).[740]

საბოლოოდ უნდა აღიშნოს, რომ სამეფო ხელისუფლების გატარებული ღონისძიებების შედეგად, ვაჭრობამ საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიაღწია. თბილისში, გორსა და სხვა ქალაქებში ჩამოყალიბდა მდიდარ ვაჭართა ფენა. XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ერეკლე II-ის ქვეშევრდომი ვაჭრები რეგიონის მასშტაბით ვაჭრობის წარმმართველ ძირითად ძალად იქცნენ. შესაბამისად, ირანიდან რუსეთის სამხრეთის ქალაქებში (ყიზლარი, მოზდოკი, ასტრახანი) და, პირიქით, თბილისელ და ქართლ-კახეთის სხვა ქალაქების ვაჭრებს გადაჰქონდათ დიდი რაოდენობით საქონელი.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფომ თავი დააღწია ირანის ეკონომიკაზე დამოკიდებულებას. ქვეყანა ჩაერთო რეგიონალურ ვაჭრობაში, რამაც განვითარების მეტი შესაძლებლობები გააჩინა. ამავე დროს, სტამბულისა თუ რუსეთის ქალაქების გავლით ქვეყანაში დიდი რაოდენობით ევროპული პროდუქცია შემოდიოდა. ისტორიულ საბუთებში ბევრ მონაცემს ვხვდებით ევროპულ ქვეყნებში დამზადებულ ძვირადღირებული საგნების ფართო მოხმარებაში გავრცელების შესახებ, ისეთების როგორიცაა „თოფი ფრანგული", „დამბაჩა ფრანგული", „დურბინ{დ}ი",[741] „ფრანგული თითბრის მაყაში (სანთლის დასადები, შანდალის ნაწილი)", „ვენგრული ქათიბი",[742] „ისპანის (ესპანური) წინდა", ქოლგა, შლაპა, „რუსული სტამბა" (სტამბურად ნაბეჭდი წიგნი), „რუსული ვარაყის ქაღალდი" და სხვ.[743]

ვაჭრობის განვითარების პარალელურად აღმოსავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება დაწინაურდა. რუსეთთან დამაკავშირებელი გზის გახსნამ გამოიწვია ქალაქების – დუშეთის, ანანურის და ახალგორის წარმოქმნა და განვითარება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური კავშირების აღდგენასთან ერთად გამოცოცხლდა იმერეთსა და რაჭასთან დამაკავშირებელ გზებზე არსებული ქალაქები – ცხინვალი და სურამი. XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში კახეთში წარმოიქმნა მეორე ქალაქი – სიღნაღი, რომელსაც მეფის ბრძანებით ქვითკირის გალავანი შემოავლეს.

---

[740] დ. მეგრელაძე. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 35. თბ. 1963, გვ. 207-232.

[741] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 275-276.

[742] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 81-82.

[743] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 227, 256-271; ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 54.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები მოსახლეობის რაოდენობით, რა თქმა უნდა, მკვეთრად ჩამოუვარდებოდა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფოს ქალაქებს, მაგრამ ქვეყნის იმდროინდელი მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, ქალაქების მაცხოვრებლები არცთუ მცირე კონტიგენტს წარმოადგენდნენ. აღნიშნული პერიოდის თბილისში 30 ათასამდე მოსახლე იყო, თელავში – 740 კომლი, ანუ დაახლ. 3500 მოსახლე, გორში 500 კომლი, ანუ დაახლ. 2500-3000 მოსახლე, სურამში 200 კომლი, ანუ დაახლ. 1000 მოსახლე, ცხინვალში 130 კომლი, ანუ 700 მოსახლე, სიღნაღში, დუშეთში, ანანურსა და ახალგორში დაახლ. 100-150 კომლი, ანუ თითოეულ დასახელებულ ქალაქში, საშუალოდ, 500-800 მოსახლე. საერთო ჯამში, XVIII საუკუნის ბოლო მესამედში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში სულ 40 000-მდე ადამიანი ცხოვრობდა, რაც იმდროინდელი ქართლ-კახეთის საერთო მოსახლეობის (270 000-300 000) დაახლ. 13-15%-ს შეადგენდა.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ვაჭრობის მასშტაბები ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა, რამაც საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება გამოიწვია.

მოქალაქეების კაპიტალი, სავახშო კაპიტალი და სესხების პროცენტის ოდენობა

სავაჭრო ოპერაციების გაფართოვების შედეგად ვაჭართა ნაწილს სოლიდური ფულადი კაპიტალი დაუგროვდა. XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში თბილისელ მოქალაქეთა კაპიტალის ოდენობის შესახებ, გარკვეული ცნობები მოგვეპოვება. XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თბლისში მცხოვრები 8 მოქალაქე 5000 თუმანზე, ანუ 50 000 რუსულ რუბლზე/მინალთუნზე (მანეთზე) მეტ კაპიტალს ფლობდა, 61 მოქალაქეს კი 10 000 რუბლზე მეტი, ხოლო 120 მოქალაქეს 1000 რუბლზე მეტი თანხა ჰქონდა.[744] აშკარაა, რომ პირველი კატეგორიის ზოგიერთი მოქალაქის კაპიტალი 50 000 მინალთუნზე რამდენჯერმე დიდი იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეპოქისათვის 50 000 მინალთუნი ძალიან დიდ თანხას წარმოადგენდა. დასახელებული ოდენობის თანხით 200-მდე ყმა-გლეხისა და მათ მფობელობაში არსებული სრული საკომლო მამულის შეძენა შეიძლებოდა.[745] შესაბამისად, პირველი კატეგორიის

[744] სეა. ფონდი 16. საბუთი 3512. მართალია, საბუთი XIX საუკუნის I მესამედის ვითარებას ასახავს, მაგრამ ანალოგიური ოდენობის კაპიტალია სავარაუდებელი XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისშიც.

[745] ცხადია შეფასება პირობითია, რადგან მოქალაქეს მსგავსი რაოდენობის ყმა-მამულის

მოქალაქეთა კაპიტალი დიდად აღარ ჩამოუვარდებოდა თანადროული ეპოქის დიდ ფეოდალთა უძრავი ქონების ღირებულებას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოქალაქეებზე მეტ კაპიტალს ფეოდალთა ის კატეგორია (თუმანიშვილები, ყორჩანაშვილები, აბამელიქოვი, ამატუნი და სხვ.) ფლობდა, რომლებიც ფეოდალურ მფლობელობაზე მეტად სავაჭრო საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი.

XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში სავაჭრო კაპიტალის გაფართოებისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პარალელურად სავახშო-საკრედიტო ოპერაციების მასშტაბებიც გაიზარდა. სესხებს გლეხები და ფეოდალები, ძირითადად, დავალიანების დასაფარად იღებდნენ, თუმცა აღნიშნულ ეპოქაში ხშირი იყო ფულის გასესხების პროგრესული ფორმებიც, როდესაც მსესხებლად გამოდიოდნენ მსხვილი ვაჭრები ან სავაჭრო „ამხანაგობები“, კრედიტის პროცენტი კი სავაჭრო კაპიტალის მოგებით იფარებოდა. ერთი სიტყვით, ვაჭრები უმეტესწილად სესხს საბრუნავი საშუალების შესავსებად იღებდნენ.[746]

აღნიშნული ეპოქის სავახშო კაპიტალის ოდენობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, საინტერესოა ისტორიულ საბუთებში დაფიქსირებული მონაცემები. ერთ-ერთი საბუთიდან, რომელიც იოსებ და აღალუა ყორღანაშვილების ქონების ნუსხას წარმოადგენს, დასტურდება, რომ მათ სხვადასხვა პირზე თამასუქით[747] გაცემული ჰქონდათ 2000 თუმანზე, ანუ 20 000 მინალთუნზე მეტი თანხა.[748] ქვეყანაში სავახშო კაპიტალი იმდენად განვითარდა, რომ XVIII საუკუნის მიწურულს, იოანე ბატონიშვილი თავისი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების შექმნასაც ითვალისწინებდა.[749]

კაპიტალის ზრდასა და ხელმისაწვდომობას ადასტურებს სესხების პროცენტის ოდენობაც, რომელიც წინა ეპოქებთან შედარებით აშკარა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, ფულის გასესხების შემთხვევაში, სარგებლის ოდენობა 20 პროცენტით განისაზ-

---

შეძენის უფლება არ ჰქონდა.

[746] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 58-59.

[747] თამასუქი – სასესხო ხელშეკრულება, ხელწერილი, რომელშიც განსაზღვრული იყო სესხის ოდენობა, პროცენტი და სხვა დეტალები. თამასუქს, გამსესხებელისა და მსესხებელის გარდა, მოწმეებიც ანერდნენ ხელს.

[748] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 375-379.

[749] იოანე ბაგრატიონი. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ. 1957, გვ. 43.

ღვრებოდა, ვახტანგ VI-მ კი მის მიერ შედგენილი სამართალის წიგნის მიხედვით კანონიერ წლიურ პროცენტად 12-30% დაანესა.[750]

ისტორიული საბუთების მიხედვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში ფულის გასესხების შემთხვევაში, უმეტესად, 1 თუმანზე 1 აბაზი, ანუ წლიურად 24% აიღებოდა.[751] სესხების სარგებელი ზოგჯერ თუმანზე თვეში 2 აბაზითაც, ანუ წლიური 48%-ით განისაზღვრებოდა.[752] იშვიათ შემთხვევაში ვხვდებით თუმნის 3 შაურად, ანუ 18%-ად გასესხების ფაქტებს.[753]

XVIII საუკუნის II ნახევრის თამასუქის წიგნებიდან ჩანს, რომ თბილისში, გირაოს უზრუნველყოფის შემთხვევებში, თუ გირაოს გარეშე, სესხების უმეტესობა 1 თუმანზე თვეში 2 შაურის სარგებლის პირობით, ანუ წლიურ 12%-ად გაიცემოდა. ვხვდებით უფრო ნაკლებ პროცენტის – თუმანზე 1,5 შაურის მიღების ფაქტებსაც (წლიურ 9%-ის),[754] ასევე თუმანზე 3 შაურის (წლიურ 18%-ის), 1 აბაზის (წლიურ 24%-ის) და მეტი სარგებლის მიღების შემთხვევებსაც,[755] მაგრამ საბუთებში უმეტესად, სწორედ 12%-ია მითითებული.[756]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევრში, კაპიტალის ზრდის შედეგად, სესხების პროცენტის განაკვეთი აშკარად შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.

საშინაო ბაზარის ჩამოყალიბება

XVIII საუკუნის II ნახევარში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებამ და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია საშინაო ბაზრის განმტკიცება. ამ პერიოდში შეინიშნება ფეოდალების ქალაქისაკენ სწრაფვა. XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში 70-ზე მეტი თავადი და მრავალი აზნაური სახლობდა,[757] ხოლო თავის ფეოდალურ მამულებში მცხოვრები თავად-აზნაურები მჭიდროდ დაუკავშირდნენ ქალაქს. იოსებ შაგუბატოვის გადმოცემით, „კეთილშობილი გვარიშვილები იმერეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან, ასევე, აღალარები ყაზახიდან, შამშადილუსა და ბორჩალოს დისტანციებიდან ტფილისელი ვაჭრებისაგან და მედუქნეებისაგან ყიდ-

---

750 ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 278-279.

751 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 9, 13, 15, 25, 30.

752 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 22.

753 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 13, 24.

754 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 105.

755 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 42, 44, 47, 48, 52, 57, 64.

756 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 37, 45, 54, 55, 56, 61, 59, 60, 67, 70, 72, 73, 74, 80, 84, 87, 96, 97, 101, 102, 104, 107, 109, 110, 114, 121, 131, 133, 141.

757 თბილისის ისტორია, გვ. 364.

ულობენ მრავალი სახის შემოტანილ საქონელს, რომელსაც იყენებს ორივე სქესი სამოსად, სარტყელად და სხვ."[758]

ისტორიული საბუთებიდან ვიგებთ, რომ დასახელებულ ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა ყველა ის პროდუქტი თუ ნივთი, რომლებსაც იმდროინდელი ადამიანი მოიხმარდა.[759] სოფლის მეურნეობის პროდუქტების გარდა, შიდა ბაზარი მარაგდებოდა ადგილობრივი ხელოსნობის ნაწარმითაც.

თავად-აზნაურებთან ერთად, ბაზართან მჭიდრო კავშირს ავლენენ გლეხებიც, რომლებიც ქალაქებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისა და საჭირო ნივთების შესაძენად სტუმრობდნენ. იოსებ შაგუბატოვი დეტალურად აღწერს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა როგორც გასაყიდ, ისე მათ მიერ თბილისის ბაზარზე შეძენილ პროდუქციას. ავტორი შიდა ქართლის და კახეთის მოსახლეობის შესახებ აღნიშნავს: „... ტფილისში ჩამოტანილი გასაყიდი საქონლის ნაცვლად ფულს ცოტას იღებენ, უფრო მეტად მიაქვთ საქონელი: ლეკური ნაბდები, ხარები და სხვა, რაც მათ მაზრებში ან საერთოდ არ არის, ან ძალიან ცუდია. ქიზიყელი და კახელი გლეხები კი ჩამოტანილი ღვინის სანაცვლოდ ბევრ ფულს იღებენ. ამასთან, მსხვილფეხა საქონელის – ხარების – გარდა, იმავე საქონელს ყიდულობენ, რომელსაც ქართლელები".[760] მართალია, მონათხრობში XIX საუკუნის დასაწყისის ვითარებაა ასახული, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარშიც ანალოგიური სურათია სავარაუდებელი.

შაგუბატოვისავე გადმოცემით, განსახილველ ეპოქაში საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებისა და შინაგანი ინტეგრაციის პროცესი იმდენად შორს იყო წასული, რომ ღარიბი მოსახლეობაც კი მცირე სავაჭრო საქონელის რეალიზაციის მიზნით ხშირად სტუმრობდა თბილისს – „მოდიან ტფილისში მთიულები, ფშაველები და ხევსურები. ზოგიერთ მათგანს ჩამოაქვს ლობიო ლიტრა 20-ად (20 კაპიკად, ანუ აბაზად – ავტ.), ქათმები და მამლები – 10-ად (10 კაპიკად, ანუ ორ შაურად – ავტ.) და სხვა წვრილმანი. ყველაფერ ამას ცვლიან მარილსა და ბამბეულის ნაწარმზე. ტფილისისკენ მათ სავარაუდოდ

---

[758] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 37.

[759] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 17.

[760] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 37.

4 დღის გზა მაინც აქვთ გასავლელი. მათი ტანსაცმელი და სხვა აღკაზმულობა ცხენზე ან ჯორზეა აკიდებული. ერთი სიტყვით, მათ მიერ ჩამოტანილი საგნები ვერცხლით 10 მანეთისა ძლივს იქნება. გლეხებს ჩამოაქვთ ტყეში შეგროვილი 1-2 საპალნე წაბლი, სელის ძაფი, საკმაოდ სქელი ტილო. ყოველივეს ჰყიდიან ფულზე, სამაგიეროდ ყიდულობენ ბამბეულის ქსოვილს, გამოყვანილ თევზს, წელას, ხიზილალას და მარილს. იმერლების აღკაზმულობის ღირებულებაც კი 10 მანეთს ბევრად არ აღემატება. ამ წვრილმანი და უმნიშვნელო ვაჭრობისათვისაც კი დიდი სიამოვნებით მიდიან ტფილისში... მათ მოგების სურვილი იმდენად არ იზიდავს, რამდენადაც ცნობისმოყვარეობა“.[761]

მთლიანი ქვეყნის მასშტაბით საშინაო ბაზრის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის კავშირების აღდგენას, რაც სწორედ XVIII საუკუნის II ნახევარში გახდა შესაძლებელი. გარდა იმისა, რომ დროთა განმავლობაში ოსმალეთის სახელმწიფო ძალას კარგავდა, რაც ეკონომიკური მარწუხების შესუსტებას განაპირობებდა, ამ პერიოდში ქართლ-კახეთში მიმდინარე ცვლილებებმა, როგორც აღმოჩნდა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ქართლი და კახეთი ირანის ბატონობისაგან გათავისუფლდა, დაირღვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ირან-ოსმალეთის განაწილების უკვე ტრადიციულად ქცეული სურათი. ამჯერად, დასავლეთ საქართველოს მეზობლად ირანისაგან დამოუკიდებელი ქართლ-კახეთი იყო, რამაც ლოგიკურად გამოიწვია კიდეც ეკონომიკური იზოლაციისაგან თავის დაღწევა.

როგორც ცნობილია, ქართლისა და კახეთის მეფეებმა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, მჭიდრო სამხედრო პოლიტიკური კავშირი დაამყარეს სოლომონ I-თან, რაც 1758 წელს გორში მეგობრობისა და ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით გაფორმდა.[762] აღნიშნული კავშირის პარალელურად სოლომონმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ტყვეებით ვაჭრობას. ამავდროულად, ქართლ-კახეთის საბაჟოებთან დაკავშირებულ საბუთებში აღარ იხსენიება „ტყვის ბაჟი“. ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოში სრულად აიკრძალა იმერეთიდან ტყვედ გაყიდული ადამიანების გადაყვანა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური გათიშულობა წარსულს ჩაბარდა. XVIII

[761] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 38.

[762] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 639.

საუკუნის მიწურულის საბაჟო ტარიფებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოდან დიდი რაოდენობით პროდუქცია შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოში. რუსეთის მოხელეების მიერ 1801 წელს შედგენილი საბაჟო ტარიფის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, სრულად ასახავს XVIII საუკუნის II ნახევრის რეალობას, თბილისში იმერეთიდან შედიოდა სხვადასხვა საქონელი და, რაც მთავარია, მოქმედებდა მფარველობითი საბაჟო ტარიფი – თუ ირანიდან და ოსმალეთიდან შეზიდული საქონელი იბეგრებოდა 10%-ით, იმერეთიდან – 5%-ით; შეღავათი იყო დაწესებული თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გატანილ პროდუქციაზე და ამ შემთხვევაში, ბაჟის ოდენობა 4%-ით შემოიფარგლებოდა, მაშინ, როდესაც ირან-ოსმალეთში გატანილი პროდუქცია 15%-ით იბეგრებოდა.[763]

კიდევ უფრო მეტი შეღავათი არსებობდა იმერული საქონლის შიდა ქართლში რეალიზაციის შემთხვევაში. გორში დასავლეთ საქართველოდან შეტანილ პროდუქციაზე ბაჟი 2%-ით განისაზღვრებოდა,[764] ხოლო ადგილობრივის მიერ მიტანილი იმერული საქონელი საერთოდ გათავისუფლებული იყო საბაჟო გადასახადისაგან.[765]

წყაროებით დასტურდება, რომ ქართლსა და იმერეთს შორის სავაჭრო ქარავნები თითქმის ყოველდღე მოძრაობდნენ. სურამის აღწერისას იაკობ რაინეგსი გადმოგვცემს, რომ ის „ერთადერთი ქალაქია იბერიასა (იმერეთს – ა. თ.) და ქართლს შორის, ამიტომ იქ საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობაა“.[766] პ. ციციანოვი აღნიშნავდა, რომ სავაჭრო ქარავნები ქართლსა და იმერეთს შორის თითქმის ყოველდღე მიმოდიოდნენ.[767] გიულდენშტედტის გადმოცემით, იმერეთის ბაზრებზე იყიდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებული სხვადასხვა საქონელი, მათ შორის ქსოვილები, სამოსი, თევზეული და სხვ.[768]

XIX საუკუნის დასაწყისში რუსი მოხელეების ჩვენებებიდან კარგად ჩანს ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს სავაჭრო კავშირ-ურთიერთობების ინტენსივობა – საკარანტინო სამსახურის ინსპექტორი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ხოვენისადმი

---

[763] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 189-197.

[764] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 195.

[765] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 52.

[766] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა, გვ. 148.

[767] Акты, собраные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II, გვ. 241.

[768] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 153-155.

გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ „...ბევრი ისეთია, რომ ქალაქ ქუთაისიდან და იმერეთიდან მიმოდიან სოფლებში, ეწევიან ვაჭრობას, არიგებენ ფულს, და თვითნებურად ჩამოდიან თბილისში“.[769] მოხელე ითხოვდა პასუხს, უნდა შეეჩერებინათ თუ არა იმერელი ვაჭრების მიმოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში.

ასევე საბუთებში ვხვდებით იმერული ღვინისა და სხვა პროდუქციის აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური შეზიდვის ფაქტებს. 1802 წლის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ ქალაქ გორში „ჩამოსულთაგან აქ დუქნები არავის არ აქვს, გარდა იმერლებისა“.[770]

XIX საუკუნის 10-იან წლებში თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვი დეტალურად აღწერს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობას. მისი გადმოცემით, თბილისიდან დასავლეთ საქართველოში შეჰქონდათ „აბრეშუმისა და ბამბეულის სხვადასხვაგვარი საქონელი, ბამბა, მატყლი, რკინა, შაბი, ცისფერი საღებავი, ჭიაფერა, ენდრო, მარილი, ფეხსაცმლის ლანჩი, სხვადასხვა ფერის თხის ტყავი, რომლისაგან კერავენ ჩექმებს, მაღალყელიან ფეხსაცმელს და სხვა, ცხენის მოსართავი, ლარი, ბრინჯი, ხახვი, შაქარი, ჩაი, გამოყვანილი და შებოლილი სხვადასხვა ხარისხის ზურგიელი, ხიზილალა და სხვა“; დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში კი შედიოდა „მელიის, კვერნის, თეთრყელიანი, იშვიათად კი შავი მელიის, წავის, თახვის ბეწვი და მუსკუსი, ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ნართი, სხვადასხვა ფერის ვიწრო და იშვიათი თაფთა, რომელსაც ართავენ კანაფისაგან, ცვილი, ცუდი ხარისხის სპილენძი, ცხვრის ტყავი, სქელი და იშვიათი ტილო, სელის სქელი ძაფი, გამოყვანილი და შებოლილი ზურგიელი, ხილიდან მხოლოდ წაბლი შემოდიოდა, რითაც მდიდარია იქაური ტყეები“.[771]

აღნიშნული ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში იმერეთიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც გადმოჰყავდათ, რისი დამადასტურებელი ცნობები ისტორიულ საბუთებშია დაფიქსირებული.[772]

ისტორიული საბუთებიდანვე დასტურდება XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ინტენსიური კავშირები თბილისსა და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოსთან.

---

[769] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 54.

[770] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 51.

[771] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29-30.

[772] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 363.

იმერეთის და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ყველა ფენის წარმომადგენლები აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ.[773] ინტეგრაცია იმდენად შორს წასულა, რომ იმერეთიდან ქართლ-კახეთში გადასული მოსახლეობის ჩადენილ კანონდარღვევებზე საეკლესიო დიკასტერიას სპეციალური განკარგულებაც კი გამოუცია. როგორც 1784 წლის 1 ნოემბრის დიკასტერიის მიერ ნეკრესელი ეპისკოპოსისადმი გაგზავნილი უწყებიდან ირკვევა, „იმერელნი და სხუანი უცხოს ქუეყნიდამ გარდმოცვივნულნი იქ თავეანთ ქუეყანას სჯულიერს მეუღლეს და შვილებს უშუებენ და აქ ჩვენს ქუეყანაში სხვას ცოლს ირთვენ“.[774]

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა სრულფასოვანი კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის.

როგორც წინა თავში აღინიშნა, ოსმალეთის ეკონომიკურ იზოლაციაში მოქცეულ დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი ჭარბი პროდუქცია ვერ საღდებოდა და მათი ღირებულება ძალიან დაბალი იყო. შედეგად, მოსახლეობის ძირითად შემოსავლის წყაროს ტყვეებით, ანუ ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენდა. საინტერესოა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური კავშირების აღდგენის ფონზე, როგორ შეიცვალა ადგილობრივი პროდუქციის ფასები.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასავლეთ საქართველოში არსებული ფასების შესახებ საინტერესოა გიულდენშტედტის ცნობები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში არსებულ ფასებთან შედარებით ცხვრის ღირებულება 2,5-ჯერ გაზრდილა. ცხენის ღირებულება კი 30-40 მანეთს (3-4 თუმანს) შეადგენდა, რაც წინა ეპოქის ფასთან შედარებით, საშუალოდ 4-5-ჯერად ზრდას ნიშნავდა.[775]

ანალოგიური სურათს ვხვდებით 1808 წლის სოლომონ II-ის მიერ გაცემულ ერთ-ერთ საბუთში, რომელშიც მოცემულია ფასების ნიხრი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული დოკუმენტის შედგენის წინაპირობა ადგილობრივი პროდუქციის გაძვირება გამხდარა. მეფეს სიძვირის გამო პირველადი მოხმარების საქონელზე ზღვრული ფასები დაუწესებია.[776]

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პერიოდში ხორბლის ღირებულება იმავე ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ფასის იდენტური ყოფილა. ისიც აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის

---

773 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 8-13.

774 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 949-950.

775 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 153-155.

776 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 261-263.

დასაწყისში ღომსა და ხორბალს თანაბარი ფასი ჰქონია, რაც მიანიშნებს ფაქტზე, რომ ხორბალი ქართლ-კახეთიდან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შედიოდა დასავლეთ საქართველოში. დასახელებული წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში მარილი, ტანისამოსი და სხვა პროდუქცია უკვე აღმოსავლეთ საქართველოდან შედიოდა და შედარებით დაბალი ღირებულება ჰქონდა.[777]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, წინა ეპოქასთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სულ მცირე, 3-ჯერ გაძვირდა, ხოლო ხორბალი, მარილი და სხვა იმპორტირებული პირველადი მოთხოვნილების საქონელი გაიაფდა. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველომ თავი დააღწია ოსმალეთის ეკონომიკურ იზოლაციას, აღდგა სრულფასოვანი კავშირი ქართლ-კახეთთან, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზეც აისახა. ამიერიდან დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას საკუთარი ჭარბი პროდუქტების რეალიზაციით შეეძლოთ თავის გატანა. „ტყვეთა სყიდვა" უკვე აღარ წარმოადგენდა უკიდურეს საჭიორებას. შესაბამისად, შექმნილი ეკონომიკური ვითარება დადებითად მოქმედებდა ტყვეებით ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე, რისთვისაც თავგამოდებით იბრძოდა სოლომონ I. მართალია, XVIII საუკუნის II ნახევარში ტყვეებით ვაჭრობის სრულად აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, თუმცა სამეფო ხელისუფლებამ ხელშესახებ შედეგს მიაღწია და მნიშვნელოვნად შეკვეცა მისი მასშტაბები.

ქვეყნის ორ ნაწილს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის აღდგენის ფონზე XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში დასავლეთ საქართველოში შეინიშნება საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება – თუკი XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ოსმალური გარნიზონისაგან ახლად გათავისუფლებულ ქუთაისში მხოლოდ 50-მდე ოჯახი ცხოვრობდა,[778] 1804 წლისათვის ქალაქში ასამდე სავაჭრო დუქანი ფუნქციონირებდა და მოსახლეობა 350 კომლს აღემატებოდა.[779] ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მიწურულისათვის სასურველ განვითარების დონესთან მიახლოებული იყო. რა თქმა უნდა, თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ჩამორჩენა ჯერ კიდევ დიდი იყო, თუმცა ფაქტია, რომ ოსმალეთის იზოლაციური პოლიტიკის დასრულებამ დადებითი შედეგი გამოიღო.

---

[777] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 138-140.

[778] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 139-143.

[779] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. თბ. 1979, გვ. 33-34.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში აშკარაა საშინაო ბაზარის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს რეგიონებს შორის ეკონომიკურ ინტეგრაციის გაღრმავებას.

ხელოსნური წარმოება XVIII საუკუნის II ნახევარში

მიუხედავად იმისა, რომ გვიანფეოდალურ ეპოქაში საქალაქო ცხოვრების მასშტაბები ჩამოუვარდებოდა X-XIII საუკუნეების დონეს, ხელოსნური წარმოება ქვეყანაში მაინც განვითარებული იყო. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის მრავალი დარგის არსებობა წყაროებით დასტურდება.

ხელოსნური წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა XVIII საუკუნის II ნახევარში. ამ პერიოდში თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში ხელოსნობის 60-მდე დარგს მისდევდნენ. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე სხვადასხვა წვრილ სპეციალობად იყოფოდა. ასე მაგალითად, მკერავები იყოფოდნენ სპეციალისტებად კავკასიური, ქართული და ევროპული ტანისამოსის მიხედვით.[780]

აღნიშნული ეპოქის თბილისში ხელოსნობის შესახებ მდიდარ სურათს გვიხატავს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“. ამ ნაწარმოების მიხედვით, თბილისში ვხვდებით ოქრომჭედლებს – „მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, ეგრეთვე ოქროის დაწყობილი და სხვა სამკაული“; მექოშეებს – „ყოველი დუქანი სავსე ქოშით და მაშიით“; სარაჯებს – „რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად“; ყაზაზებს – ძაფითა და ზონარით; ყაჯარდუზებს – ყაჯრებით (ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, მძიმედ ნაკერი ქსოვილი, რომელიც ცხენის უნაგირის ქვეშ თავსდებოდა); მექუდეებს – თავისი მრავალი პროდუქციით; ბაზაზებს – მრავალი სხვადასხვაგვარი ფარჩით, მაუდით, სკალატით, ჩითით და ლეინით; მკერვალებს – შეკერილი ტანისამოსით; მეთევზეებსა და ბაყლებს – სხვადასხვაგვარი სურსათ-სანოვაგით; ყასაბებს – რკინის ჩანგლებზე ჩამოკიდებული ხორცით; მეჩონგურეებს – „დუქნები... სავსე ჩონგურით და დაირითა“; ალაფებს – „სადაც პურს ჰყიდდენ და აცხობდენ“; მეჭურჭლეებს – მრავალი ჭურჭლით; ნალბანდებს – ლუსმანით და ნალით; სირაჯებს – „დიდროანის რუმბებით და ტიკებით, ღვინოები და არაყი“; მექვაბეებს – „მრავალი ქვაბი და სპილენძის ჭურჭელი“; ჩილინდრებს – „კლიტები და გასაღებნი მრავალნი“; ხარაზებს – „მრავალი ნაღა, ჩექმა და სხვა ფეხთსაცმელი“; ქურქჩებს – სხვადასხვაგვარი ბეწვეულით; ლილახანას – „დიდროანის ქვევრებით სავსე“; მეჩახმახეებს; მეთოფეებს; ხმლის მკეთებლებს; შუაბაზარში

[780] გ. აკოფაშვილი. ვაჭრობის, მრეწველობის და საქალაქო ცხოვრების განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 540.

მეწვრილმანეებს – „დანა, მაკრატელი, ნემსი, სარკე, ჭიქები, ამდენი სურნელი და სხვა ნამგლები და ესდენი შაქრი" და სხვ.[781]

თბილისელი და სხვა ქალაქში მცხოვრები ხელოსნები ტრადიციულ დარგებთან ერთად დროთა განმავლობაში სხვადასხვა ახალ საქმიანობასაც ითვისებდნენ. მაგალითად, XVIII საუკუნის II ნახევარში ხელოსნები ჩახმახის თოფებსა და დამბაჩებს აწყობდნენ, იცოდნენ ხიშტის დამზადება, ცეცხლსასროლ იარაღზე მისი მიმაგრება და ა.შ.[782]

თბილისელი ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი. ამქრებს ცალ-ცალკე ქმნიდნენ ხუროები, კალატოზები, მეწვრილმანეები, მექვაბეები, ნალბანდები, მეჩახმახეები და სხვა ხელობის ოსტატები და მათი შეგირდები. ამქარს ასნაფიც ეწოდებოდა. ამქარს ხელმძღვანელობდა ამქრის თავი, ანუ უსტაბაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში დარგის მიხედვით იწოდებოდა ბაზაზბაშად, სირაჯბაშად და ა.შ. XVIII საუკუნის II ნახევარში ამქრის წევრებს უსტაბაშის კანდიდატურის წამოყენების უფლება ჰქონდათ. საბოლოოდ უსტაბაშს მეფეები ამტკიცებდნენ.[783]

ზოგადად, ტერმინები – ასნაფი, ამქარი არაბულ-ირანულია. ამქრული ორგანიზაციები წყაროებით XVII საუკუნიდან დასტურდება, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში „ცეხური ორგანიზაციები" აღნიშნული ტერმინების დამკვიდრებამდე IX-X[784] ან X-XI საუკუნეებისათვის უკვე არსებობდა.[785] „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" ზოგიერთი დარგის ხელოსანთა მოხსენების საფუძველზე, მეცნიერთა ნაწილი ამქრულ ორგანიზაციებს VI საუკუნის რეალობადაც მიიჩნევს.[786] ბოლო პერიოდში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში გვიანფეოდალურ ხანაში, კერძოდ, XVII საუკუნის მიწურულიდან უნდა ჩამოყალიბებულიყო, ხოლო მისი შემდგომი განვითარება ერეკლე II-ის რეფორმთან იყო დაკავშირებული.[787]

---

[781] იოანე ბაგრატიონი. კალმასობა. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტ. I, გვ. 193-195.

[782] ა. თაბუაშვილი. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადებისა და ფასების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X, გვ. 276-278; 301-303.

[783] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 90-91.

[784] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოში, გვ. 7.

[785] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 515.

[786] გ. გამყრელიძე. ამქართა წარმოშობის საკითხისათვის. მოამბე. № 6. თბ. 1941, გვ. 556-557; კ. კუცია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVII სს. თბ. 1976, გვ. 133.

[787] იხ.: ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 152-165.
ავტორის შეფასებით, რადგან დასავლეთ ევროპაში მსგავსი ორგანიზაციები XII-XIV საუ-

ქართულ ქალაქებში არსებულ სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებას ქულბაქი ეწოდებოდა, სადაც მზადდებოდა და იყიდებოდა პროდუქცია. XVIII საუკუნეში ტერმინი ქულბაქი დუქანით შეიცვალა.[788] თბილისში ერთი ხელობის ხელოსან-ვაჭრების დუქნები გვერდიგვერდ იყო განლაგებული და, ამდენად, ერთი სპეციალობის წარმომადგენლები ერთ რიგს ქმნიდნენ (მაგალითად, ნალბანდების რიგი, სირაჯხანა და ა.შ.). ამქრული კორპორაციის წევრები ნედლეულის შესყიდვის თუ დამზადებული პროდუქციის გაყიდვის დროს უსტაბაშის ორგანიზებით შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „დასტურლამალის" მიხედვით XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში 200-მდე დუქანი იყო. XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში კი მათი რიცხვი 500-ს აჭარბებდა. დუქნების ნახევარზე მეტი სახელოსნოებზე მოდიოდა.[789]

თბილისის გარდა, სავაჭრო-სახელოსნო ქულბაქები/დუქნები იყო XVIII საუკუნის ყველა ქართულ ქალაქში: გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ქუთაისში და სხვ. მაგალითად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, როგორც აღინიშნა, ქუთაისში ასამდე დუქანი იყო,[790] გორში კი, ადგილობრივების გარდა, დუქნები იმერლებსაც ჰქონდათ.[791]

თბილისში დუქნების ფართობი საშუალოდ 15-30 კვ. მეტრს შეადგენდა,[792] მათი ღირებულება კი 10 თუმნიდან 50 თუმნამდე მერყეობდა, ზოგიერთი მათგანის ფასი კი 80 თუმანიც ყოფილა.[793]

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ხელოსნური წარმოება მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

კუნეებიდან დასტურდება და მათი ფორმირების საფუძველი თვითმმართველი ქალაქები, ასევე გლეხების პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესი იყო, ხოლო საქართველოში ქალაქები მეფესა და დიდებულებს ეკუთვნოდა, ამქრული ორგანიზაციები იმ პერიოდში ვერ წარმოიქმნებოდა.

[788] სავაჭრო-სახელოსნო დანესებულებას XVII საუკუნეშიც ქულბაქი ეწოდება. იხ.: სეა. ფონდი 1450. დავთ. 17. საბ. 9. წყაროებში ტერმინი დუქანი XVIII საუკუნიდან ჩანს.

[789] თბილისის ისტორია, გვ. 352.

[790] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 34.
უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, ქუთაისის გარდა, დუქნები იყო დასავლეთ საქართველოს შედარებით დიდ დასახლებებშიც – ფოთში, რუხში, ხონში და ა.შ. იხ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 650-651.

[791] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 51.

[792] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 650-651.

[793] იხ.: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 269-272.

მანუფაქტურული წარმოების განვითარება

XV-XVIII საუკუნეებში, როგორც აღინიშნა, საგარეო და საშინაო პრობლემების კვალდაკვალ ქართული სამეფო-სამთავროები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამორჩა ევროპულ დონეს. შედეგად, საქართველოში მანუფაქტურული ტიპის საწარმოები მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში გაჩნდა.

გარდა იმისა, რომ მანუფაქტურული საწარმოები საქართველოში დაგვიანებით შეიქმნა, მისი ჩამოყალიბება სპეციფიკური გარემოებით იყო განპირობებული.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლ-კახეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ერთი შეხედვით, ქვეყანას ნორმალური განვითარების შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ქვეყნის წინსვლა დამოკიდებული იყო შემდეგ პირობებზე: I. ლეკთა გახშირებული თარეშის აღკვეთა, რაც თავისთავად ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, რადგან ბარის მოსახლეობაზე თავდასხმა დაღესტნელ მთიელთა ცხოვრებისეულ ნორმად იყო ქცეული; II. ირან-ოსმალეთის აგრესიის მოგერიება და მონაპოვრის (განჯა, ერევანი) შენარჩუნება; III. მკაცრი საშინაო პოლიტიკის გატარება. მკაცრი საშინაო პოლიტიკა ერეკლე II-ს არა მხოლოდ ქვეყნის უკეთესი მოწყობისა და „აბსოლუტური ტენდენციებისათვის" სჭირდებოდა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობდა პირველი ორი ამოცანის გადაჭრას, არამედ მისთვის პრაგმატული მნიშვნელობაც ჰქონდა – ერეკლე II, როგორც კახეთის სამეფო სახლის წევრი, ქართლის თავადების გარკვეულ წრეში უზურპატორად მოიაზრებოდა. ამიტომაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა თავადთა უფლებების შეკვეცის ხარჯზე ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას.

ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემათა გადასაჭრელად ერეკლე II-ს უპირველესად ძლიერი სამხედრო ძალა ესაჭიროებოდა. ფეოდალური ლაშქარი ამ ამოცანებისათვის გამოუსადეგარი იყო. ასეთი სამხედრო ძალით მეფე ვერც საგარეო პრობლემებს გადაწყვეტდა და ვერც მკაცრ საშინაო პოლიტიკას გაატარებდა, რადგან ის სათავადოთა სისტემის პირმშოს წარმოადგენდა. საყრდენი ძალის შექმნისთვის კი მტკიცე ფინანსური ბაზა იყო საჭირო.

XVIII საუკუნის შუა ხანებში სახელმწიფო შემოსავლების მკვეთრი გაზრდა შეუძლებელი ჩანდა, რადგან „ოსმალობის" და „ყიზილბაშობის" შედეგად ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები უკიდურესად დაბალი იყო. პაპუნა ორბელიანის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ დასახელებული საუკუნის 50-იან წლებში სამეფოს შემოსავლები ძალიან მცირე ყოფილა – შირვანის მფლობელის, აჯი-ჩალაბის თავდახმის მოსაგერიებლად, „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თვისსა

სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარს".[794] როგორც ვხედავთ, ჯარის დასაქირავებლად მეფეებს საკუთარი ოქროსა და ვერცხლის ნივთებიდან უწევდათ ფულის მოჭრა.

ეკონომიკური მდგომარეობის ამ ნიშნულიდან ზედნაშენური განვითარებით ქვეყანას XVIII საუკუნის I მეოთხედის დონემდე მისაღწევადაც გარკვეული დრო სჭირდებოდა, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემების გადაჭრა საერთოდ უტოპიური ჩანდა.

მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დასრულდა რუსეთიდან საგარეო სესხის მიღების მცდელობები, ერეკლე II-ისათვის ნათელი გახდა, რომ საჭირო ფინანსური ბაზა მხოლოდ შინაგანი რესურსების მაქსიმალური მობილიზების ხარჯზე უნდა შეექმნა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო შემოსავლების მოძიების ერთადერთ ალტერნატივად სამეფოს მესვეურების მიერ უკვე კარგად შესწავლილი რუსეთის იმპერიის მაგალითის გაზიარება მოიაზრებოდა. შესაბამისად, ერეკლე II-მ ეკონომიკური მაჩვენებლების ასამაღლებლად ფორსირებულ მეთოდს მიმართა, რაც სწრაფი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკური ბერკეტების სახელმწიფო კონტროლზე აყვანაში გამოიხატებოდა. ანალოგიური გზა განვლეს პეტრე I-ის რუსეთმა და ცენტრალური ევროპის გარკვეულმა ქვეყნებმა. ამ ქვეყნებში დამყარდა „აბსოლუტიზმის" განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც „აბსოლუტიზმის აღმოსავლეთ ევროპული მოდელი" შეიძლება ვუწოდოთ.[795]

---

[794] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 196.

[795] „აბსოლუტიზმი" – ეს არის აბსოლუტური მონარქია, ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი უკანასკნელი ფორმა. აბსოლუტური მონარქიის დროს მეფე დგას ყველა კანონზე მაღლა. მონარქის ხელში თავმოყრილია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ამ დროს ქვეყანა მკაცრად ცენტრალიზებულია. „აბსოლუტიზმი" დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში XV საუკუნის დამლევსა და XVI საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. განვითარების მწვერვალს კი XVI საუკუნის მინურულსა და XVII საუკუნეში მიაღწია. ამ დროისათვის დასავლეთ ევროპის ეკონომიკურმა განვითარებამ შეარყია ფეოდალიზმის საფუძვლები. გაუქმდა ბატონყმობა. წარმოიშვა ბურჟუაზია. მეფის ხელისუფლება ნოდებრიობასა და ბურჟუაზიას შორის ლავირებდა და მათი ურთიერთობების ერთგვარ მომწესრიგებელ ძალას წარმოადგენდა. განსხვავებული მდგომარეობა იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. დასავლეთისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკური პოტენციალი არ იძლეოდა გარანტიას, რომ განვითარების ყველაზე პროგრესული სახელმწიფო მმართველობის ფორმა – „აბსოლუტიზმი" – დაემყარებინათ. აქ ბატონყმობა და ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა ელემენტები ყოფიერებაში ჯერ კიდევ მყარად იყო გაბატონებული. პეტრე I-ის დროიდან რუსეთში დამყარდა აბსოლუტური მონარქია. მისი უმთავრესი თავისებურება ის იყო, რომ ის წარმოიქმნა და თავისი მომდევნო განვითარება პოვა ბატონყმობის პირობებში. რუსეთი XVIII საუკუნის დასაწყისში ტიპურ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ამიტომაც სუსტი ბურჟუაზიული წარმონაქმნები ჩასახვისთანავე სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული. XIX საუკუნის II ნახევრამდე პოლიტიკური ბატონობა მხოლოდ თავად-აზნაურთა პრეროგატი-

იმის გამო, რომ კერძო მანუფაქტურული საწარმოები იმდროინდელ რეალობაში არ არსებობდა და, როგორც აღინიშნა, ზედნაშენური პრინციპით (რაც კერძო სავაჭრო კაპიტალის დაგროვებას, გაფართოებას, მის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევას და სხვა ეტაპებს გულისხმობდა) მისი განვითარება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა, ხოლო სახელმწიფოს დამატებითი ფინანსები ესაჭიროებოდა, ერეკლე II-ის ინიციატივით სახელმწიფო გახდა მრეწველობის განვითარების წარმმართველი ძალა. შესაბამისად, სახელმწიფო ამ მიმართულებით ნოვატორად იქცა და შემოსავლების გასაზრდელად სახელმწიფო საწარმოების შექმნა დაიწყო.

ამდენად, ერეკლე II ვაჭრობის ხელშეწყობისა თუ მფარველობის პარალელურად მრეწველობის განვითარების ფორსირებულ მეთოდს დაადგა და მსხვილი სახელწიფო საწარმოები დაარსა. ქართლ-კახეთის სამეფოში მანუფაქტურული საწარმოები სწორედ მოცემულ ვითარებაში შეიქმნა.

ყოველივე ზემოთქმულს ცალსახად ადასტურებს იმდროინდელი მემატიანე – ომან ხერხეულიძე, რომლის გადმოცემითაც „... გარნა ეგრეთცა სიმხნითა თვისითა ვერა რომელმან მძლავრმან დაიმორჩილა ირაკლი მეფე პყრობადცა თავისუფლებისაგან და მარადის ჰბრძოდა ოსმალთა და ლეკთა, ვინათგან ჰბრძოდა მძლავრი ვინმე ხელმწიფე და არა აქვნდა პირდაპირი ძალი, არცა ჯარითა და არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდე არა რა აქვნდა პირისპირი თანასწორობა. მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მინა ოქროსა და ვე{რ}ცხლისა, რომელმანცა იპოვა სომხითის მამულსა შ(ორი)ს ახტალას... და მოიყუანნა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი მცნობელნი ჯავარისანი, გამომდნობელნი ოქროსა და ვე{რ}ცხლისა მიწისანი, ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა, ისარგებლა მით ფრიად“.[796]

ომან ხერხეულიძის მონათხრობი სამთამადნო წარმოების

ვას წარმოადგენდა. კაპიტალიზმის ნელი განვითარების პირობებში, XVIII საუკუნეში ეკატერინე II-ის რუსეთში, ფრიდრიხ II-ის პრუსიაში, იოზეფ II-ის ავსტრიაში „აბსოლუტიზმმა“ მიიღო „განათლებული აბსოლუტიზმის“ ფორმა (იხ. Е. Тарле. Падение абсолютизма в Западной Европе и России. Петроград, 1923; Н. Кареев. Западно-европейская абсолютная монархия XVI, XVII и XVIII вековъ. СПб. 1908). დასახელებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიკური პროგრესისათვის ფორსირებულ მეთოდს მიმართეს, რაც გამოიხატა სამრეწველო ინდუსტრიის განვითარებაში სახელმწიფო სექტორის დომინანტობით. ასეთმა განსაკუთრებულმა ქმედებებმა აამაღლა ეკონომიკური მაჩვენებლები და აღნიშნულ ქვეყნებს მიეცა ცენტრალური ხელისუფლების მოხელეთა გაზრდის და აბსოლუტური მონარქიების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ქართლ-კახეთის სამეფოში მანუფაქტურების გაჩენა და თითქმის ნულოვანი ნიშნულიდან ეკონომიკის სწრაფი გამოცოცხლება, ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნულ სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარებით მოხდა.

[796] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 66.

წამოწყებას ეხება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი 1763 წელს გადაიდგა და ერეკლე II-ის ინიციატივით ახტალის ვერცხლის და დამბლუღის სპილენძის სადნობმა „ქარხნებმა" დაიწყეს ფუნქციონირება. 1770 წელს კი მწყობრში ჩადგა ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის სადნობი „ქარხნები".[797]

დასახელებული საწარმოები სამეფო ხელისუფლების დიდი ძალისხმევის შედეგად ამუშავდა. კერძოდ, ერეკლე II-მ XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მრავალი საჩუქრისა და დაპირების წყალობით, თურქეთიდან, გიუმიშხანეს პროვინციიდან, ბერძენ მადნისმწარმოებელ ოსტატთა 800 ოჯახი ჩამოასახლა,[798] რომლებმაც აამოქმედეს აღნიშნული წარმოება.

მეფესა და ბერძენ „მადანჩებს", ანუ მადნისმწარმოებელ ოსტატებს შორის შემდეგი სახის ხელშეკრულება დაიდო: ახტალის საწარმოდან მიღებულ ოქროს ბერძნები მთლიანად მეფეს აძლევდნენ, ხოლო ვერცხლიდან – 25%-ს. დარჩენილი ვერცხლის 75% ბერძენ ოსტატებს თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის აბაზების სახით უბრუნებდათ.

ალავერდის ქარხნიდან მიღებული სპილენძის 12% მეფეს ერგებოდა. ამ შემთხვევაში ბერძნები მადანს მთლიანად საკუთარი ხარჯებით აწარმოებდნენ. ბერძენ მადნისმწარმოებლებს სახელმწიფომ პრივილეგიები მიანიჭა – ისინი სპილენძითა და ტყვიით ვაჭრობის დროს საბაჟო მოსაკრებლისაგან გათავისუფლდნენ და არ ევალებოდათ სამხედრო სამსახური.[799]

ახტალის ქარხანაში ბერძნებთან ერთად დაქირავებული მუშებიც მუშაობდნენ. ამასთანავე, მეფე საბერველთა დაბერვისა და სხვა საქმიანობისათვის 120-150 კაცს ქირაობდა.

ვერცხლის მადანი ბერძნებს წერაქვებისა და ბურღების საშუალებით ამოჰქონდათ. მადნის ამოსაღებად ბერძნები დაქირავებულ მუშებსაც იყენებდნენ. ამოღებული მადნის სადნობში მისატანად და მის გასარჩევად ბერძნები მახლობელ სოფლებში ბავშვებს ქირაობდნენ. ბავშვები მადანს ტყავის ტომრებით ეზიდებოდნენ. ამ სამუშაოსთვის მათ 6 თვეში 10-დან 20 მინალთუნამდე (მანეთამდე) უხდიდნენ, დამატებით კი ორ ხელ ტანისამოსს აძლევდნენ. ძირითად სამუშაოს ბერძნები ასრულებდნენ.[800] სულ საწარმოში 1200-1300 კაცი მუშაობდა.

„გამორჩეული მადანი (ნიგვზის კაკლების ოდენა) ბერძნებს მიჰ-

[797] დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1966, გვ. 10.

[798] დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა..., გვ. 9.

[799] დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა..., გვ. 10-11.

[800] დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა..., გვ. 12-13.

ქონდათ მაღაროებთან ახლო მოწყობილ ქარხანაში. აქ ცილინდრის-მაგვარ საწვავ ღუმლებში ხდებოდა მადნის გამოწვა 10-12 დღე-ღამეში. ამ დროში გამოიწვებოდა 300-დან 500-მდე ფუთი მადანი. ამ სამუშაოს ბერძნები ზოგჯერ თვითონ ასრულებდნენ, ზოგჯერ დაქირავებული მუშები, რომელთაც დღეში 20 კაპიკს (ანუ 1 აბაზს – ა. თ.) უხდიდნენ.

შემდეგ ხდებოდა გამომწვარი მადნის გამოდნობა სათანადო სადნობ ღუმელებში. მადნის გამოდნობისათვის შენაერთში ურევდნენ სხვადასხვა მასალას (მურდასანგს, ნედლ ცემენტს, წიდას). 100 ფუთი გამომწვარი მადნისაგან (გამოდნობის შემდეგ) იღებდნენ 10-12 ფუთ ვერცხლისფერ ტყვიას.

შემდეგი პროცესი იყო ტყვიისაგან ვერცხლის გამოცალკევება. ეს ხდებოდა ღია ჯამში, რომელშიც თავსდებოდა 50 ფუთამდე ტყვია. ბერვის შედეგად ტყვია ძირს მიედინებოდა, ზემოთ რჩებოდა ვერცხლი. 50 ფუთი ტყვიისაგან ღებულობდნენ 1-დან 1,5 ლიტრამდე (8-12 გირვანქა) ვერცხლს".[801]

ახტალის „ქარხნიდან" 1763 წლიდან 1785 წლამდე (ომარ ხანის შემოსევამდე) წელიწადში იღებდნენ 150, 200, 300 და მეტ ლიტრა ვერცხლს. ერთი ლიტრა ვერცხლიდან კი 46 მისხალი ოქრო გამოდიოდა.[802] ვინაიდან, ერთი მისხალი 4,6 გრამს იწონიდა,[803] გამოდის, რომ 300 ლიტრა, ანუ დაახლ. 1100 კგ. ვერცხლიდან 60 კგ.-ზე მეტ ოქროს იღებდნენ.

ახტალის ვერცხლის გამოსადნობი „ქარხანა" წლიურად დაახლ. 150 000 მინალთუნის პროდუქციას უშვებდა. შესაბამისად, როგორც წარმოებული პროდუქციის მოცულობით, ისე დაქირავებული მუშების რაოდენობით მთელ კავკასიის რეგიონში უპრეცედენტო მასშტაბის საწარმოდ ითვლებოდა.

არანაკლები სიმძლავრის იყო ალავერდის სპილენძის სადნობი „ქარხანა". საწარმოში ბერძენი ოსტატები „ამხანაგობებში" ერთიანდებოდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში სამ „ამხანაგობას", რომელშიც 46 ოსტატი იყო გაერთიანებული, 170 მუშა ჰყავდა დაქირავებული. ბერძენები მუშებს ყაზახიდან, ქართლიდან, იმერეთიდან და ჯავახეთიდან ქირაობდნენ. აღნიშნულ პერიოდში, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის გამო, წარმოება მკვეთრად შემცირებული იყო. ეჭვგარეშეა, რომ 1795 წლამდე წარმოება ერთიორად დიდი მასშტაბის იქნებოდა. შესაბამისად, ოსტატებისა და მუშების საერთო რაოდენობაც 600-700 კაცით განისაზღვრებოდა.

---

801 დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრენველობა..., გვ. 13.

802 დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრენველობა..., გვ. 14.

803 გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 47.

სპილენძის მადანს ახტალის „ქარხანაში“ აპრობირებული მეთოდის მსგავსად ამუშავებდნენ. ერთ ღუმელში 4-5 დღე-ღამის განმავლობაში 500 ფუთ მადანს ადნობდნენ. აქედან იღებდნენ 88 ფუთამდე შავ სპილენძს, რომელსაც ბრძმედებში წმენდნენ. 10 ფუთი შავი სპილენძისგან 7,5 ფუთი დაწმენდილი სპილენძი გამოდიოდა.

ომარ-ხანის შემოსევამდე ალავერდის სპილენძის ქარხნიდან წლიურად, საშუალოდ, 10-15 ათას ფუთ სუფთა სპილენძს იღებდნენ, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 100-150 ათას მინალთუნს/მანეთს შეადგენდა.[804]

ჩვენ არ მოგვეპოვება დეტალური ცნობები შამბლუღისა და დამბლუღის „ქარხნების“ წარმოების მოცულობის შესახებ, თუმცა წყაროებით დასტურდება, რომ ერეკლე II-ის მეფობის დროს ორივე საწარმო მოქმედი იყო.

ამდენად, მხოლოდ ახტალისა და ალავერდის საწარმოები წლიურად დაახლ. 300 000 მინალთუნის პროდუქციას უშვებდა, ხოლო შამბლუღისა და დამბლუღის „ქარხნების“ გათვალისწინებით მოპოვებული მადნის საერთო ღირებულება 350 000 მინალთუნი მაინც იქნებოდა. მუშათა და ოსტატთა საერთო რაოდენობა კი 2000 კაცს აჭარბებდა.[805] ინტენსიური მუშაობის დროს სამეფო ხაზინის შემოსავალი საშუალოდ 80 000 მინალთუნზე მეტი იყო. გარდა ფულადი შემოსავლისა, ახტალის ქარხნიდან სახელმწიფო იღებდა ტყვიის დიდ მარაგს, რომელიც სამხედრო წარმოებისა თუ სხვა საჭიროებისათვის გამოიყენებოდა.

დასახელებული საწარმოების შექმნა ქვეყნის ეკონომიკაზე სხვა მხრივაც დადებითად მოქმედებდა – დიდი ოდენობით ძვირფასი ლითონის გამოდნობის შედეგად თბილისის ზარაფხანა კიდევ უფრო დიდი დატვირთვით ამუშავდა, რამაც ქვეყანაში ფულის მასის ზრდა გამოიწვია; საწარმოებში სხვადასხვა კუთხიდან მონაცვლეობით გამოსული გლეხები მუშაობდნენ, რომლებიც ხელფასის სახით ფულად შემოსავალს იღებდნენ; რამდენიმე ასეული ბერძენი ოსტატის სოლიდური ფულადი კაპიტალიც ქართულ ბაზარზე ტრიალებდა. ყოველივე ეს ქვეყანაში ნატურალური მეურნეობის რღვევასა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას უწყობდა ხელს.

სამეფო კარი საწარმოების ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებაზეც ზრუნავდა. დავით ბატონიშვილის მიერ რუსეთის იმპერიის მოხელის მუსინ-პუშკინისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ იაკობ რაინეგსის დახმარებით მადნებში წყლის მექანი-

---

[804] დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა..., გვ. 15-17.

[805] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 75.

კური საბერველი მოუწყვიათ, თუმცა წარმოების დონის ამაღლების მხრივ გერმანელ სწავლულს მეტი სიახლე ვერ დაუნერგავს – „... მართალია, მან მოახერხა ისე, რომ წყლის საშუალებით ბორბლებს მოძრაობაში მოჰყავდათ საბერველი და ადამიანის ხელი საჭირო აღარ იყო. მაგრამ, მიუხედავად მისი საკმაო გათვითცნობიერებისა გადადნობის ამ საქმეში, ღუმელების სრულყოფა ვერ შესძლო. ბერძენმა ოსტატებმა, რომლებიც ყოველთვის მუშაობდნენ ჩვენს ქარხნებში, საქმით დაამტკიცეს, რომ მას არ შეეძლო კარგად დნობა".[806]

როგორც წყაროებიდან ირკვევა, სამეფო ხელისუფლების მიზანი ოსტატთა ადგილობრივი კადრების მომზადებაც ყოფილა, რომელიც ქართველი გლეხებისაგან უნდა დაკომპლექტებულიყო. ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1775 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებული ერეკლე II-ის წერილი კათალიკოსის სახლთუხუცეს ამილბარისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „მადანჩად მისაბარებელი შაგირდები ქართლსა და კახეთში შევაწერეთ. კახეთს გარდა ქართლსა და ქალაქში, რაც მისის უწმინდესობის ძმის კ{ათალიკო}ზის (იგულისხმება ანტონ I – ა. თ.) ყმა არის ამათ ექვსი კაცი აწერიათ. ამის იას{ა}ული შენა ხარ. რომელიც სახლის კაციანი კაცი იყოს იმისთანა გამოიყვანე, ოცის წლიდამ მოკიდებული ოცდაათწლამდინ რომ იყოს, ამგვარი უნდა გამოვიდეს. იმ შაგირდებს თითო ხელი ტანისამოსი, თითო წამოსასხამი ნაბადი, თითო თოფი, და იარაღი, ხუთხუთი მინალთუნი თეთრი უნდა მისცეთ. ამაზე ნურავინ დაბრკოლდება. ეს სარწმუნოების ერთგულებაც არის და თავის ქვეყნისაც. ეს რომ ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს (იგულისხმება მადნის წარმოება – ა. თ.) მტრისაგან ჩვენის ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია. რომელიც ამ ხელობას ისწავლის თავის ოჯახს გაამდიდრებს. ჯერ ამის გემო არ იციან, თვარემ ამის სწავლისათვის კიდეც შემოგვეხვეწებიან. წელიწადში ერთი ოსტატი სამოცს, ოთხმოც თუმანს მოიგებს და ამის უკეთესი მოგება გლეხის კაცისათვის სხვა რა უნდა...".[807]

ამ წერილში კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ მეფე „ზემოდან ძალდატანებით" ცდილობდა წარმოების მოწყობა-გაფართოებას. წარმოების მოწყობისათვის ჯერ საზოგადოებრივი განწყობა რომ არ არსებობდა, ეს ნათლად იკვეთება მეფის სიტყვებიდან – „ჯერ ამის გემო არ იციან, თვარემ ამის სწავლისათვის კიდეც შემოგვეხვეწებიან". წერილი ლაკონურად ხსნის სამეფო კარის გეგმასაც – „მტრისგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია". როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ს ეკონომიკის განვითარება და მყარი ფინანსური შემოსავლები ქვეყნის თავდაცვის გარანტად წარმოედგინა.

---

[806] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 39.

[807] ხეც. Hd-3688; დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა..., გვ. 19.

ახტალის „ქარხნის“ შესახებ 1790 წელს შედგენილ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საწარმოებში დეტალური ფინანსური ანგარიშგება მიმდინარეობდა, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტად აისახებოდა ყველა შემოსავალი და გასავალი.[808]

უნდა აღინიშნოს, რომ თანადროული ეპოქის უცხოელი ავტორების შეფასებით საწარმოები ტექნოლოგიური თვალსაზრისით ევროპულ ანალოგებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.[809] მიუხედავად ამისა, გამოშვებული პროდუქციის ოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ რუსული მმართველობის დროს კოლოსალური დანახარჯების მიუხედავად წარმოება ერეკლეს დროინდელ კონდიციებს მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში დაუბრუნდა.[810]

ახტალისა და ალავერდის „ქარხნები“ 1785 წელს ომარ-ხანმა, ხოლო 1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა აოხრა. სამეფო კარმა ორივე ჯერზე მოახერხა მათი აღდგენა, თუმცა წარმოების მოცულობამ მოიკლო.

როგორც ირკვევა, ბოლნისთან და ქვემო ქართლის სხვა ადგილებში რკინის მადნებსაც ამუშავებდნენ, რასაც მოწმობს როგორც საბაჟო ტარიფები, ისე გიულდენშტედტის ცნობები.[811] რკინის წარმოების ფორმებისა და ოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს. თუმცა, ცხადია, რომ მოპოვებული მადანი ადგილობრივ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რადგან ქართლ-კახეთის სამეფოში დიდი რაოდენობით რკინა რუსეთიდან და ირანიდან შემოჰქონდათ.

გიულდენშტედტის გადმოცემით ერეკლე II დიდი ინტერესით ეცნობოდა სხვადასხვა მინერალის დამუშავების წესს და ცდილობდა ახალი წარმოების დანერგვას – ერეკლე „ხშირად მიხმობდა კარზე, მაჩვენებდა ხოლმე მინერალებს, ეცნობოდა მათი დამუშავების ხერხებს“.[812]

როგორც ჩანს, ერეკლე II-ის ინიციატივას გარკვეული შედეგი ამ მხრივაც გამოუღია და 1780-იან წლებში გოგირდის საწარმო ამოქმედებულა – „ახტალის ოქროს გამოსავალისა და ხარჯის წიგნში“ აღნიშნულია: „მის უმაღლესობას ოქმით გოგირდის მადნის მუშაობა უბრძანებია“.[813] თუმცა, საწარმოს მდებარეობისა და დამზადებული პროდუქციის ოდენობის შესახებ, ისევე როგორც სხვა მინერალების

---

808 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 85-100.

809 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 229.

810 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. თბ. 1958, გვ. 419.

811 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 73, 77, 81.

812 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 7.

813 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 99.

დამუშავებასთან დაკავშირებით, ცნობები არ გვაქვს.

გარდა ზემოთ დასახელებული საწარმოებისა, XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ამოქმედდა სხვა სახელმწიფო „ქარხნებიც". მათი აბსოლუტური უმრავლესობა თბილისში მდებარეობდა. სამეფო კარის ორგანიზებით შექმნილი ერთ-ერთი ასეთი მანუფაქტურული ტიპის საწარმო იყო ლითონის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც ახტალა-ალავერდის სამთამადნო წარმოების ბაზაზე აშენდა. ლითონჩამოსასხმელ საწარმოში დამზადებული პროდუქციის ერთი ნაწილი სამხედრო მრეწველობას ხმარდებოდა, მეორე ნაწილი, ძირითადად, სპილენძის ჭურჭლის დასამზადებლად იყო განკუთვნილი, დარჩენილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ლითონი ზოდების სახით უცხოეთის ბაზრებზე გადიოდა.[814]

ლითონჩამოსასხმელი წარმოების ბაზაზე შეიქმნა ე.წ. „ჭურჭლეულის ქარხანა", რომლის შესახებაც ალექსანდრე ამილახვარი „გეორგიანულ ისტორიაში" მოგვითხრობს. მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილე ამილახვარი, რომელიც თბილისიდან გაპარვას აპირებდა, 1770 წლის ამბების გადმოცემისას წერს: „... მწუხრის ზარები დარეკეს, როცა ქალაქის კარიბჭესთან მივედი. მცველებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ასე გვიან შორ გზას გავუდგებოდი. ლაპარაკი ჩამოვაგდე შავ ჭირზე, რომელიც ქალაქში მძვინვარებდა. – ჩვენი ცოდვების დასასჯელად ესეც ცოტააო, მიპასუხეს. სხვათა შორის ვიკითხე, კიდევ მუშაობს თუ არა ჭურჭლეულობის ქარხანა, რომელიც ქალაქ გარეთაა, ცოტა რამ მინდა ვიყიდო მეთქი. მიპასუხეს, იქ მუშაობა არ შეწყვეტილა, ყველაფერის შოვნა შეიძლებაო. ამის შემდეგ ქარხნისაკენ გავწიე, მაგრამ იქვე ბენიამინესკენ გადაუხვიე...".[815]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული საწარმო 1770 წელს უკვე ფუნქციონირებდა. რადგან ამილახვარი შიდა ქართლში მიემგზავრებოდა, ამიტომ ის თბილისიდან „დილმის კარით" გავიდოდა. შესაბამისად, „ქარხანა" ქალაქის კედლის გარეთ, დასავლეთის მხარეს ლოკალიზდება.

ლითონჩამომსხმელი წარმოების ბაზაზე აშენდა აგრეთვე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საწარმო – ზარბაზნების, მორტირებისა და ყუმბარების „ქარხანა".[816] იოსებ დელაპორტის,[817] ბურნაშოვისა[818] თუ სხვა ავტორების ცნობებით,

---

814 თბილისის ისტორია, გვ. 347.

815 ალექსანდრე ამილახვარი. გეორგიანული ისტორია. თარგმნილი გ. ქიქოძის მიერ. მნათობი. № 8. თბ. 1939, გვ. 150.

816 თბილისის ისტორია. I, გვ. 348.

817 ხეც. H-609, 93r.

818 С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, გვ. 7.

ასევე დავით ბატონიშვილის წერილით მუსინ-პუშკინისადმი[819] და რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი საარტილერიო წიგნის მინაწერით[820] ირკვევა, რომ 1770-იანი წლების შუა ხანებიდან აღნიშნულ საწარმოში ევროპული კალიბრის ზარბაზნებს ამზადებდნენ.

ზარბაზნების „ქარხანა" მარაგდებოდა ალავერდიდან სპილენძით, ახტალიდან – ტყვიით, რუსეთიდან – ფოლადით. „ქარხანა" სამხედრო უწყების დაქვემდებარებაში იყო და ემსახურებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. მისი ამოქმედებიდან მალევე ერეკლე II-ის ხელში აღმოჩნდა რეგიონში ყველაზე მძლავრი შეიარაღება – საველე არტილერია. პარალელურად კი დააარსა მუდმივი ჯარის ნაირსახეობა – საარტილერიო ბატარეა.[821]

ერეკლე II-ის ნებართვითა და ხელშეწყობით მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა 1770 წელს თოფისწამლის „ფაბრიკა" ააგო. საწარმოში დიდი რაოდენობით თოფისწამალს ამზადებდნენ. საწარმო გიულდენშტედტს მოუნახულებია. ავტორი წარმოების პროცესის შესახებ მოგვითხრობს: „18 თებერვალს დავათვალიერე თოფისწამლის ფაბრიკა; იქ გამოყენებული (წამლის) შემადგენელი ნაწილების პროპორცია შემდეგია: 13 ციტრა ანუ ნაწილი გვარჯილა, 2 ნაწილი ანუ ციტრა გოგირდი და 2 ნაწილი ანუ ციტრა ნახშირი ტირიფისა ან თხილისა. ასეთ შემადგენლობას ნაყავენ მთელი დღე კაკლის-ხის სანაყში, რომელსაც შიგნიდან აქვს ოდნავ კონუსისებური ფორმა, ზევით არის 10 დუიმი სიგანისა და 12 დუიმი სიღრმისა, აქვს გრანიტის კონუსური ფილთაქვა, რომლითაც მთელი დღე ნაყავენ. ეს ფილთაქვა ზევით იწევა ღერძის მეშვეობით, რომელიც ფეხით მოყავთ მოძრაობაში. შემდეგ წამალი იფხვნება სპილენძის როფში, რომლის სიგანეა ფუტი, სიმაღლე 2 დუიმი და ფსკერი აქვს ჩახვრეტილი. ერთი ციტრა წამალი რუსულ ფულზე ღირს 12-15 კაპიკი".[822]

როგორც ვხედავთ, საწარმოში მუშაობა არცთუ პრიმიტიული წესის მიხედვით მიმდინარეობდა. დავით ბატონიშვილის წერილიდან ირკვევა, რომ იაკობ რაინეგსს XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში თოფისწამლის „ფაბრიკისათვის" სანაყის ახალი მოდელი აუგია. ჩანს, წარმოებაში გარკვეული სიახლე დანერგილა.[823] თოფისწამალზე იმდროინდელი დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საწარმო წლიურად რამდენიმე ათეული ათასი მინალთუნის პროდუქციას უშ-

[819] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 39.

[820] ხეც. S-167.

[821] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 146-154.

[822] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 15.

[823] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 39.

ვებდა.

სხვა სახელმწიფო საწარმოებიდან გამოსაყოფია ზარაფხანა და სტამბა. XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისის ზარაფხანაში ყოველწლიურად ასი ათასობით ვერცხლისა და სპილენძის ნომინალი იჭრებოდა. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს კუთვნილი ვერცხლისა და სპილენძის მარაგით იჭრებოდა მონეტები, ზარაფხანაში საკუთარი მეტალის მიტანა, ტრადიციულად, ნებისმიერ პირს შეეძლო. მოჭრილი ფულიდან სამეფო ხაზინაში გარკვეული პროცენტი რჩებოდა. იაზიკოვის ცნობით, 1770-იან წლებში ზარაფხანიდან მეფის შემოსავალი ყოველწლიურად 30 000 რუბლს/მინალთუნს შეადგენდა.[824]

რაც შეეხება სტამბას, როგორც ცნობილია, საქართველოში მისი დაარსება ვახტანგ VI-ის სახელს უკავშირდება. ვახტანგის ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კი თბილისის სტამბამ მუშაობა შეწყვიტა. მისი აღდგენა მხოლოდ 1749 წელს მოხერხდა.

საგამომცემლო საქმიანობისათვის გარდამტეხი აღმოჩნდა 1780-1782 წლები. ამ პერიოდში ერეკლე II-მ კონსტანტინოპოლიდან თანამედროვე სტამბის მოწყობილობები გამოიწერა, რისთვისაც იმდროისთვის საკმაოდ დიდი თანხა – 20 000 მინალთუნი გაიღო. ასევე მოიწვია სასტამბო ხელობის სპეციალისტები. მათ ახალი ნუსხური და მხედრული შრიფტი ჩამოასხეს. შედეგად, თბილისის სტამბა გაუმჯობესებული ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში სტამბის მუშაკთა შორის იხსენებიან: „ღრამატიკის კანონსა ზედა გამმართუელი“, „პრობის მმართეული“, „მესტამბე“, „მესტამბეთა უხუცესი“, „ზედა მდგომელი“, „სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი“, „დაზგის მმართველი“, „პლაკის მჭრელი“, „ბეჭდის მომჭრელი“, „გამგებელი და ზედამხედუელი ბეჭდისა“, „ბეჭდის მმართველი“, „ბეჭდის მომჭრელი ოსტატი“, „სტამბის მეურნეობის გამგე“, „ასოს მომჭრელი“, „მბეჭდავი“, „მხატვარი“, „მწერალი“, „ჩამკითხველი“, „მომსახურე სტამბისა“, „ბეჭდვასა ზედა მწე“, „ნაკლების შემსრულებელი“ და სხვ.[825] როგორც ვხედავთ, თბილისის სტამბაში შრომა დანაწილებული ყოფილა და ის ტიპურ მანუფაქტურულ საწარმოს წარმოადგენდა.

სტამბა იჯარით გაიცემოდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში სტამბის მოიჯარადრე ქრისტეფორე კეჟერაშვილი იყო. 1785-1795 წლებში თბილისის სტამბაში 10 000-ზე მეტი წიგნი დაიბეჭდა, რაც რამდენიმე ათეული ათასი მინალთუნის ღირებულების იყო.[826] აღა-

---

[824] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Т. I, გვ. 187.

[825] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VII. ქართული სტამბის ნიგნი 1629-1979. თბ. 1984, გვ. 358-359.

[826] წიგნების ფასების შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის

მაჰმად ხანის შემოსევამ სტამბა გაანადგურა. მისი აღდგენა 1799 წელს მოხერხდა.

აღნიშნული ეპოქის თბილისში შედარებით მცირე მასშტაბების სხვა სახელმწიფო საწარმოებიც ფუნქციონირებდა. მათ შორის აღსანიშნავია „მარილსახდელი", თამბაქოს, მინის, საპნის და სხვა „ქარხნები". სახელმწიფო აღნიშნულ მანუფაქტურულ საწარმოებს კერძო პირებზე იჯარით გასცემდა. ამგვარი მიდგომით სამეფო კარი ხელს უწყობდა კერძო ინიციატივებს, რომ მათაც შეექმნათ მსგავსი, შედარებით მსხვილი საწარმოები.

ამდენად, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოში სახელმწიფოს მიერ გარკვეული რაოდენობის მანუფაქტურული ტიპის საწარმო დაარსდა, რაც საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებისათვის სიახლეს წარმოადგენდა. როგორც აღინიშნა, საწარმოებში დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა.

სახელმწიფო საწარმოების დაარსების პარალელურად კერძო კაპიტალიც გააქტიურადა, რასაც შედეგად მოჰყვა თანხების სამრეწველო საქმიანობაში დაბანდება და შუა საუკუნეების სახელოსნოების გამსხვილების პროცესი. წყაროებით დასტურდება, რომ მოქალაქე იოანე პენტელაშვილს თიხის ჭურჭლის „ქარხანა" ეკუთვნოდა, გლახა გაბაშვილს – აგურის „ქარხანა", აზნაურ იოსებ ყორღანაშვილს – ზეთსახდელი „ქარხანა" და სხვ.[827] XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის თბილისში ტყავის დამამუშავებელი წვრილი სახელოსნოებიც მანუფაქტურულ საწარმოებად გადაკეთდა.[828]

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის პროცესი განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობაში შეიმჩნევა. ამ პერიოდში თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში მნიშვნელოვნად განვითარდა საფეიქრო წარმოება, უმეტესად კი – ბამბის ქსოვილების დამზადება. დასახელებულ პროდუქციას, ძირითადად, მანუფაქტურული ტიპის მცირე საწარმოებში ამზადებდნენ, რასაც არაერთი ავტორის ცნობა ადასტურებს: გიულდენშტედტის მონათხრობით, ხონის ბაზარზე იყიდებოდა „ბამბის წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალთა ზედატანისათვის და სახიანი

საქართველოში, გვ. 166-183.

[827] გ. აკოფაშვილი. ვაჭრობის, მრეწველობის და საქალაქო ცხოვრების განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 550.

[828] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 36.

ბამბის ქსოვილები ქვედატანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან";[829] ბურნაშოვის გადმოცემით, თბილისში „არის აბრეშუმისა და ბამბის მცირე ხელის ფაბრიკები, უკანასკნელი მეტად ბევრი";[830] ტუჩკოვის მიხედვით, თბილისის ფაბრიკებში „ჩინებულად ამზადებენ სხვადასხვა სახის, ფერისა და მოხატულობის აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, რომელთა ნახატი კარგია, ხოლო საღებავი ერთობ მაგარი და ცოცხალი";[831] იოსებ შაგუბატოვიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მანუფაქტურული ნაწარმიდან გამოირჩევა აბრეშუმისაგან დამზადებული მოვი, რომლითაც კერავენ პერანგებს და ახალუხებს, სხვადასხვა ფერის დარაიას და სხვა".[832]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გარკვეული ოდენობის ბამბა მოჰყავდათ და მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ, თბილისში ფართოდ განვითარებულ საფეიქრო წარმოებას ადგილობრივი ნედლეული ვერ აკმაყოფილებდა. შედეგად, ქვეყანაში დიდი რაოდენობით ნედლი ბამბა და აბრეშუმი შემოჰქონდათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისელი ვაჭრები ერევნიდან ყოველწლიურად 70 000 ფუთი ნედლი ბამბის (ადგილობრივი და ირანული) იმპორტს ახორციელებდნენ, რომლისგანაც 10 მილიონზე მეტი არშინი (არშინი – დაახლ. 1 მეტრი) ქსოვილი მზადდებოდა.

ქართული საფეიქრო წარმოების განვითარებას ისიც უწყობდა ხელს, რომ გასაღების არეალი მეტად გაფართოვდა და მოიცავდა როგორც ადგილობრივ ბაზარს, ისე კავკასიის მთიანეთს, მეზობელ სახანოებსა და რუსეთის სამხრეთ გუბერნიებს.

საფეიქრო წარმოების განვითარების მანიშნებელია აგრეთვე XVIII საუკუნის 70-იან წლებში შემოღებული „საბეჭდავის"/„ბეჭდის" გადასახადი, რაც თავისი შინაარსით ტექსტილის აქციზს წარმოადგენდა. გადასახადის აღება ქსოვილზე ბეჭედის დასმით აღინიშნებოდა და მისი შეკრების უფლება იჯარით გაიცემოდა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში თბილისის „საბეჭდავის" იჯარიდან სახელმწიფო 5000 მინალთუნის შემოსავალს იღებდა,[833] კახეთში (1804-1807 წლების მონაცემებით) კი – 1350 რუბლს/მინალთუნს, ხოლო გორში – დაახლ. 770 რუბლს/მინალთუნს. გარკვეუ-

[829] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 153.

[830] С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, გვ. 2.

[831] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 244.

[832] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 36.

[833] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 88-89.

ლი ოდენობის თანხა გროვდებოდა ცხინვალსა და სხვა მცირე ქალაქებშიც.[834] საერთო ჯამში მთელი ქართლ-კახეთის მასშტაბით „საბეჭდავის"/„ბეჭდის" იჯარებიდან სულ მცირე 8 000 მინალთუნი იკრიბებოდა. თუ გავითვალისწინებთ გადასახადის შეკრების ორგანიზების ხარჯებსა და მოიჯარადრეების მოგებას, მაშინ ნათელი გახდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანი მოსაკრებელი 20 000 მინალთუნამდე მიაღწევდა. რადგან 1 თოფი, ანუ 10 არშინი (10 მეტრი) წითელი და თეთრი ფერის ქსოვილის აქციზის გადასახადი საშუალოდ 1 შაური (5 კაპიკი[835]) იყო, გამოდის, რომ ქართლ-კახეთში 400 000 თოფ, ანუ 4 მილიონ აღნიშნული ფერების ქსოვილს ამზადებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის გარეთ „საბეჭდავის" მოსაკრებელი შედარებით მცირე იყო, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ თეთრად და წითლად შეღებილი ქსოვილის საერთო რაოდენობა კიდევ უფრო მეტი ყოფილიყო.

თეთრი და წითელი ფერის ქსოვილის გარდა, მნიშვნელოვანი ნაწილი ლილით იღებებოდა და მასზე „საბეჭდავის" მოსაკრებელი არ ვრცელდებოდა. ლურჯად ღებვისათვის მხოლოდ სამღებრო გადასახადი იყო დაწესებული. ლილით შეღებილი ქსოვილი მომწვანო, ცისფერ, ლურჯ, მუქ ლურჯ და მოშავო ფერს იღებდა. გლეხები დაბალი ფასის გამო სწორედ აღნიშნულ ფერად შეღებილ სამოსს იძენდნენ. შესაბამისად, ლილით შეღებილი ქსოვილის ოდენობა აჭარბებდა კიდეც სხვა ფერის ქსოვილებს.[836] ამდენად, თუ ლურჯად შეღებილ ქსოვილსაც გავითვალისწინებთ, ქართლ-კახეთის სამეფოში დამზადებული ქსოვილის საერთო რაოდენობა 500 000 თოფზე, ანუ 5 მილიონ მეტრზე გაცილებით მეტი იქნებოდა.

აღნიშნული ოდენობის ქსოვილი 10 მილიონზე მეტი ადამიანის სამოსისათვის იყო საკმარისი. დამზადებული ქსოვილის საბაზრო ღირებულება 1 მილიონ მინალთუნს აღემატებოდა.[837] მცირე სახელოსნოების ნაწარმის გამოკლებით, მხოლოდ მანუფაქტურულ საწარმოებში დამზადებული პროდუქციის ღირებულება 0,5 მილიონ მინალთუნს გადააჭარბებდა.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში საფეიქრო წარმოებამ საკმაოდ დიდ მასშტაბს მიაღწია.

---

834 მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 293.

835 მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 295.

836 ნ. ბერძენიშვილი. სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 6. ტფილისი, 1937, გვ. 469.

837 ქსოვილის ფასების შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 101-116.

დარგის განვითარების პარალელურად ქართლ-კახეთის სამეფოში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამღებროების რაოდენობაც. განსახილველ პერიოდში ქართლ-კახეთში 50-60 სამღებრო მოქმედებდა. თბილისისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოქმედი შედარებით დიდი სამღებროები მანუფაქტურული ტიპის საწარმოები იყო და დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა.[838] თბილისის სამღებრო დედოფლის საკუთრებას წარმოადგენდა და მისი წლიური საიჯარო ფასი 5000-7000 მინალთუნს შეადგენდა, ყველა სამღებროს საიჯარო ფასი კი 2000 თუმანზე, ანუ 20 000 მინალთუნზე მეტი იყო.[839] ცხადია, მათი წლიური ბრუნვა საიჯარო ფასზე 2-3-ჯერ დიდი იქნებოდა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნის 70-80-იან წლებსა და 90-იანი წლების დასაწყისში კაპიტალისტური ტიპის საწარმოებში 3 ათასამდე ადამიანი იყო დასაქმებული და დიდი ოდენობით პროდუქცია მზადდებოდა. როგორც აღინიშნა, მხოლოდ სამთამადნო და საფეიქრო „ფაბრიკა-ქარხნები" 1 მილიონამდე მინალთუნის ღირებულების ნაწარმს უშვებდა, ხოლო ზარბაზნების, თოფისწამლის, ჭურჭლეულის, აგურისა და სხვა, შედარებით, მცირე „ქარხნების", ასევე სტამბის გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება 1 მილიონ მინალთუნს აღემატებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო შემოსავლები

ამჯერად მოკლედ განვიხილავთ ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლებს. ერეკლე II-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ქვეყანაში სახელმწიფო შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1770 წლისათვის სამეფოს შემოსავლები 120 000-150 000 მინალთუნი, ანუ 600 000-750 000 სირმა-აბაზი იყო,[840] 1780-იან წლებში 400 000 მინალთუნს/რუბლს, ანუ 2 მილიონ აბაზს შეადგენდა.[841]

აღნიშნული პერიოდის ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავლები შემდეგი მუხლებიდან ივსებოდა: საბაჟო მოსაკრებლიდან და მონოპოლიებიდან – დაახლ. 80 000 მინალთუნი; სამთამადნო წარ-

---

[838] ნ. ბერძენიშვილი. სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 6, გვ. 440-441.

[839] ნ. ბერძენიშვილი. სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, გვ. 445.

[840] 1770 წლის სტატისტიკური ცნობის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლები 10 000-12 000 თუმანი ყოფილა (იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 422), ხოლო რუსი მოხელის, კაპიტან იაზიკოვის გადმოცემით – 150 000 რუბლი/მინალთუნი (იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Т. I, გვ. 187).

[841] С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, გვ. 5.

მოებიდან – დაახლ. 80 000 მინალთუნი; ზარაფხანისადნ – 30 000 მინალთუნი; ხელოსანთა გადასახადებიდან – დაახლ. 20 000 მინალთუნი; სამღებროებიდან – დაახლ. 10 000 მინალთუნი; ერევნისა და განჯის სახანოების ხარკიდან – 40 000 მინალთუნი; ქალაქის მოსახლეობის გადასახადებიდან (მალი და მახტა) – 15 000 მინალთუნი; სახასო და საფეოდალო ყმა-გლების სხვადასხვა გადასახადიდან – დაახლ. 100 000-110 000 მინალთუნი; ყაზახ-ბორჩალო-ბაიდარის ფულადი და სასურსათო გადასახადებიდან – 35 000 მინალთუნი; სხვადასხვა სახის (ჯარიმები, მამულის კონფისკაცია, სამხედრო ნადავლი და ა.შ.) შემოსავლიდან – დაახლ. 10 000 მინალთუნი.[842]

სახელმწიფო შემოსავლების ზრდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ განაპირობა. შესაბამისად, სავაჭრო-სამრეწველო სექტორიდან მიღებული შემოსავლები ფეოდალური სახელმწიფოს კვალობაზე უჩვეულოდ მაღალი იყო და საერთო ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შეადგენდა.

ირანის მმართველის აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად, მართალია, მნიშვნელოვნად შემცირდა სამეფოს შემოსავლები, მაგრამ კრიტიკულ დონემდე არ ჩამოსულა – 1800 წელს 240 000 მინალთუნს შეადგენდა.[843] როგორც ვხედავთ, ირანის მმართველის მიერ ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიუხედავად, 1800 წლისათვის ქვეყნის შემოსავლები თითქმის ორჯერ აჭარბებდა 1770 წლის მაჩვენებლებს. აღნიშნული ფაქტით დასტურდება, რომ საგარეო მტრისაგან მიყენებული ზიანისა და საშინაო გართულებების ფონზე, ქვეყნის ეკონომიკა სტაბილურობას ინარჩუნებდა.

საინტერესოა ქართლ-კახეთის სამეფოსა და თანადროული რუსეთის იმპერიის შემოსავლების შედარებაც. XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლ. 40 მილიონი რუბლი იყო.[844] რუსეთის მოსახლეობა კი 30 მილიონს აღწევდა. მოსახლეობის ოდენობის მიხედვით დაანგარიშების შემთხვევაში სახელმწიფო შემოსავლები 1 მოსახლეზე დაახლ. 1,3 რუბლს შეადგენდა. მსგავს სურათს ვხვდებით ქართლ-კახეთის სამეფოშიც – 300 000 ათასი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში 1 მოსახლეზე შემოსავალი ანალოგიური ოდენობის (დაახლ. 1,3 მინალთუნი/რუბლი) იყო.

ამდენად, მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, აღ-

---

[842] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 50-117.

[843] Акты, собраные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. I, გვ. 431.

[844] И. Блиох. Финансы России XIX столетия. Т. I. СПБ. 1882, გვ. 52.

ნიშნული ეპოქის ქართლ-კახეთისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო შემოსავლები, 1 სულ მოსახლეზე დაანგარიშებით, თითქმის თანაბარი ყოფილა. მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში იმპერიის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ქართლ-კახეთის – შემცირდა, მაგრამ წარმოდგენილი მონაცემებით დასტურდება, რომ რთული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ქართლ-კახეთის ზოგადი ეკონომიკური განვითარება რუსეთის იმპერიის დონეს კარდინალურად არ ჩამორჩებოდა. პრობლემას წარმოადგენდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მტრულ სახელმწიფოთა რკალში მოქცეულ პატარა ქართულ სამეფოს საერთო შემოსავლები სრულად ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევების დაძლევას.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის მიწურულს უდიდესი ქვეყნების გარემოცვაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს სისუსტე, არა იმდენად ეკონომიკური ჩამორჩენილობით, არამედ მისი სიმცირით იყო განპირობებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როგორც ქართლ-კახეთის სამეფო, ისე რეგიონის დიდი ქვეყნები (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით, დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს – ქართლ-კახეთის სამეფოსთან შედარებით, მათი შემოსავლები მცირე იყო. გარკვეული პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, იმერეთის სამეფოს შემოსავლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ 40 000 მინალთუნს შეადგენდა.[845] ანალოგიურად მცირე შემოსავლები ჰქონდათ სამთავროებსაც.

***

ამჯერად მოკლედ შევაფასებთ XVIII საუკუნის II ნახევრის ეკონომიკური განვითარების ზოგად ტენდენციებს. როგორც ლიტერატურის მიმოხილვისას აღინიშნა, განსახილველი პერიოდის საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ სრულიად მიუღებელია რუსეთის იმპერიის ეპოქისა და საბჭოური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენლის შეფასება, თითქოს ქართული სახელმწიფოს ეკო-

[845] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 21-26.

ნომიკურმა ორგანიზმმა XVIII საუკუნის მიწურულში ყველა შესაძლებლობა ამოწურა. ზემოთ წარმოდგენილი ფაქტებით დასტურდება, რომ მსგავსი მოსაზრება რეალობას აცდენილია. მისი დამკვიდრების მცდელობა კი იმპერიის მიერ ქართული სამეფოების გაუქმების გამართლების სურვილით იყო ნაკარნახევი.

დღეისათვის გაზიარებული მოსაზრების თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოში მანუფაქტურული საწარმოების ჩასახვა, დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტები და სხვა კაპიტალისტური ელემენტები ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევის დასაწყისის მანიშნებელია. თუმცა, ხაზგასმით აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ დანერგილი სიახლეები ქვეყნის ეკონომიკაზე თვალსაჩინო გავლენას ჯერ კიდევ ვერ ახდენდა, ვინაიდან საერთო წარმოებაში კაპიტალისტურ საწარმოებს შედარებით მცირე ადგილი ეკავა და თავისი მასშტაბებით წვრილ ხელოსნურ წარმოებას საგრძნობლად ჩამორჩებოდა.[846]

არსებული მოსაზრების მიუხედავად, XVIII საუკუნის 70-90-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების სიღრმისეული შეფასება სხვაგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა. კერძოდ, მანუფაქტურული ტიპის საწარმოების როლი მთლიან შიდა პროდუქციაში იმაზე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ეს არსებული შეფასებებით არის ნაჩვენები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კაპიტალისტური სახის საწარმოები წლიურად 1 მილიონ მინალთუნზე მეტი ღირებულების პროდუქციას ამზადებდა, რაც რამდენჯერმე აღემატებოდა იმდროინდელი ხელოსნური წარმოების საერთო გამოშვებას. ამავე დროს, აღნიშნული საწარმოებიდან სახელმწიფო 100 000 მინალთუნზე მეტ შემოსავალს იღებდა, მაშინ როდესაც თბილისის ხელოსნური ნაწარმი მაქსიმუმ 20 000 მინალთუნით იბეგრებოდა.[847]

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში მანუფაქტურული წარმოება პროდუქციის გამოშვების მხრივ არა თუ წვრილ ხელოსნობას უსწრებდა, არამედ უკვე სოფლის მეურნეობასაც კი უწევდა კონკურენციას. როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში დაახლ. 115 მილიონ კგ. (≈3,2 მილიონი კოდი) მარცვლეულსა და დაახლ. 35 მილიონ ლიტრ (≈10 მილიონი თუნგი) ღვინოს აწარმოებდნენ. ორივე პროდუქცი-

[846] იხ.: თბილისის ისტორია. I, გვ. 351; შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, 249-250; გ. აკოფაშვილი. ვაჭრობის, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თ. IV, გვ. 553.

[847] ხელოსნური წარმოების სახელმწიფო დაბეგვრის შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 89-99.

ის იმდროინდელი საბაზრო ღირებულება, საშუალოდ, 3,5 მილიონ მინალთუნს შეადგენდა. იქიდან გამომდინარე, რომ ფეოდალურ ხანაში სოფლის მეურნეების დაახლოებით 70% მარცვლეულის წარმოებასა და მევენახეობა-მეღვინეობაზე მოდიოდა, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წლიური ღირებულება დაახლ. 5 მილიონი მინალთუნით უნდა განისაზღვროს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბაზარზე სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მხოლოდ 20-25% გადიოდა. შესაბამისად, XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში მანუფაქტურული წარმოების მოცულობა ბაზარზე გატანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას უტოლდებოდა.

ამდენად, კაპიტალისტური სახის საწარმოებში გამოშვებულმა პროდუქციამ ქართლ-კახეთის სამეფოში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. პრობლემა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბის სიმცირე იყო, რის გამოც შედარებით განვითარებული წარმოებაც კი, დიდი ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებთან შედარებით, მოკრძალებულად გამოიყურებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მანუფაქტურული საწარმოები არც მომუშავეთა რიცხოვნობით ჩამორჩებოდა წვრილ ხელოსნობას – XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში დაახლ. 2000 ხელოსანი იყო,[848] მაშინ როდესაც, XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში მხოლოდ ვერცხლისა და სპილენძის გამოსადნობ საწარმოებში მუშაობდა იმავე ოდენობის ადამიანი. მართალია, ყველა მათგანი დაქირავებული არ იყო და საწარმოებში 800 ბერძენი ოსტატიც მუშაობდა, მაგრამ ეს გარემოება საერთო სურათს არ ცვლის. ყველა მანუფაქტურულ საწარმოს პერსონალის რიცხოვნობა კი აშკარად აღემატებოდა ხელოსანთა რაოდენობას.

ზოგადად, დაქირავების ფაქტები თუ კაპიტალისტური წარმოების სხვა ელემენტები ქვეყანაში საკმაოდ შორს იყო წასული. აღნიშნულ მოსაზრებას იჯარის პრაქტიკის მასობრივად დანერგვაც ადასტურებს. იჯარის გამოყენების ფაქტებს „დასტურლამალშიც“ ვხვდებით (მაგალითად, „არაყხანის“, „დაბაღხანის“, „ყაფანის“, აბანოს და სხვა იჯარები),[849] თუმცა XVIII საუკუნის II ნახევარში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. აღნიშნულ პერიოდში, საწარმოებთან ერთად, მრავალი საქმიანობის აღსრულებაც კერძო პირებზე თუ „ამხანაგობებზე“ საიჯარო წესით გაიცემოდა. წყაროებით დგინდება, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისის საბაჟო გა-

[848] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 170-187.

[849] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 267, 283, 284, 314, 317, 319.

დასახადებსაც კი, არა სახელმწიფო მოხელეები, არამედ მოიჯარადრეები კრებდნენ. იჯარის წესით გაიცემოდა, ასევე გორის საბაჟო თუ სხვა სახის მოსაკრებელის შეკრების უფლებაც.[850] იჯარას ერთი წლით იღებდა ის პირი თუ „ამხანაგობა", რომელიც სახელმწიფოს მეტ საიჯარო თანხას შესთავაზებდა. მსგავსი პრაქტიკის დანერგვა, ერთი მხრივ, ამცირებდა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან კორუფციის ფაქტებს, მეორე მხრივ, საწარმოთა მართვა თუ გადასახადების შეგროვება ეფექტიანად მიმდინარეობდა.

სხადასხვა საწარმოსა თუ მოსაკრებელის იჯარის წესით გაცემის პრაქტიკის დანერგვა ზრდიდა დაქირავებულთა რიცხვს, რადგან მოიჯარადრეები ამა თუ იმ საქმიანობას სწორედ დაქირავებული ადამიანების საშუალებით წარმართავდნენ.

აღნიშნულ პერიოდში გახშირდა სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტებიც.[851] ამავე დროს, სახელმწიფო ნაგებობების მშენებლობაზეც კი თბილისსა და რეგიონებში, უმეტეს შემთხვევებში, დაქირავებული მუშა-ხელოსნები მუშაობდნენ.[852]

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თბილისში დაქირავებული შრომის შემთხვევებმა იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ იმ პერიოდისათვის ურბანიზაციის პროცესიც კი შეინიშნება. წყაროებში მოხსენებული რეგიონებიდან თბილისში სამუშაოდ ჩასული მუშა-ხელოსნები – „მთიულის მუშა", „იმერელი მუშა", „იმერელი ხურო"[853] – სწორედ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მათი რიცხვი არც თუ მცირე ყოფილა, რადან 1804 წელს რუსეთის მთავრობამ თბილისსა და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ იმერეთიდან უნებართვოდ ჩამოსულ 3000 ადამიანს მიაკვლია, რომლთა უმეტესობა ყველდღიური შრომით ირჩნედა თავს.[854]

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში საგრძნობლად იმატა დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტებმა. შედეგად, მათი საქმიანობის დეტალები კანონმდებლობითაც განისაზღვრა.[855]

---

850 იჯარების ჩამონათვალი მოცემულია ქართლის სახლთუხუცესის იოანე ორბელიანის პავლე ციციანოვისათვის წარდგენილ მოხსენებაში. იხ.: მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკე. I (26). თბ. 1948, გვ. 2-3.

851 იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ, 29-44.

852 იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 93-94.

853 იხ.: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 290.

854 მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 307.

855 დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა.

ყოფით ცხოვრებაში კაპიტალისტური ელემენტების ეტაპობრივი დანერგვის პარალელურად გარკვეულ ცვლილებებს ვხვდებით სოციალურ წყობასა და სახელმწიფო მმართველობაში – როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში მასობრივი სახე მიიღო სათავადო სახლების გაყოფის პროცესმა; დიდი კაპიტალის მფლობელ ვაჭრებს თავადისა და აზნაურის წოდება მიენიჭათ; გაჩნდა მემამულე-რაციონალისტების ფენა, რომელთა მეურნეობა რაციონალურ საფუძველზე იყო მოწყობილი;[856] ხელისუფლების ხელშეწყობით წარმოიქმნა თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა ფენა, რომელთა რიცხვი 1000 ოჯახს აჭარბებდა;[857] სოციალურად თავისუფალთა კატეგორიაში გადიოდა ასეულობით ბერძენი მადნის მომპოვებელი ოსტატი და მათი ოჯახები; გაიზარდა თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ თავისუფალ მოქალაქეთა რაოდენობა; ამავე დროს, სახელმწიფო მოხელეების დიდ ნაწილს, მათ შორის სამხედრო უწყების წარმომადგენლებს, ფულადი ანაზღაურება (ჯამაგირი) ჰქონდათ დანიშნული.[858]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარება დროდადრო სხვადასხვა მიზეზით ფერხდებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით დამაზიანებელი აღმოჩნდა აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა (1795 წ.), რომლის დროსაც განადგურდა როგორც დედაქალაქი, ისე ვერცხლისა და სპილენძის საწარმოები. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები სწრაფად დაუბრუნდა 1795 წლამდელ ნიშნულს, რისი დამადასტურებელიც სწორედ საიჯარო ფასებია – 1801 წელს თითქმის ყველა იჯარის ფასი ან გაუტოლდა წინანდელ მდგომარეობას, ანდაც მცირედით ჩამორჩებოდა მას.[859]

ამდენად, XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ თვალშისაცემი ხდება კაპიტალისტური ელემენტები.[860] რა თქმა

აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბ. 1959, გვ. 317.

[856] Г. Натадзе. К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. Сб. История Классовой борьбы в Закавказье, გვ. 123-152; გ. აკოფაშვილი. გლეხური და საბატონო მეურნეობის განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 533-539.

[857] Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II, გვ. 288; მ. დუმბაძე. თავისუფალ მიწისმფლობელ-მოლაშქრეთა ფენის ნარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 555-559.

[858] სახელმწიფო მოხელეების ხელფასების შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში, გვ. 237-248.

[859] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 112-117.

[860] ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ვინაიდან რუსეთის იმპერიის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესებში საქართველოში მრენველობის მფარველობა არ შედიოდა, მანუფაქტურული სანარმოების უმეტესობა XIX საუკუნის პირველ ოცნლეულში

უნდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ფეოდალური ჩამორჩენილობის საბოლოო დაძლევას და ქვეყნის ევროპულ განვითარებასთან მიახლოებას. თუმცა, დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ ირანი-ოსმალეთის გარემოცვის შედეგად შექმნილი ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლა და განვითარების ახალ გზაზე დადგომა შეძლო.

მართალია, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა, მაგრამ აღნიშნულ ეპოქაში ქვეყანამ ოსმალეთის იზოლაცია დაძლია და „ტყვეთა სყიდვის" მასშტაბებიც მნიშვნელოვნად შეამცირა.

განადგურდა. მსგავსი წარმოების ნელი ტემპით განვითარება მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. ერთ-ერთი იშვიათი დარგი, რომელიც 1800-1810-იან წლებში ვითარდებოდა საფეიქრო მრეწველობა იყო, თუმცა 1821-1831 წლებში, რუსეთის ხელისუფლების მიერ დანესებული შეღავათიანი ტრანზიტის პირობებში, დიდი რაოდენობით უცხოური ნაწარმის შემოსვლის შედეგად ადგილობრივი მრეწველობა დაეცა. დარგის განვითარება ვეღარც შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმების შემდეგ მოხერხდა, რადგან ამჯერად რუსულმა მანუფაქტურულმა ნაწარმმა შეზღუდა ადგილობრივი წარმოება (იხ.: მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 153-168). შესაბამისად, XIX საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოს შემდგომი ეკონომიკური განვითარება, არა იმდენად რუსეთის იმპერიის ძალისხმევას, არამედ ახალი ეპოქის ბუნებრივ რეალობას უკავშირდება.

დასკვნის მაგიერ

შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს საქართველოსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებობდა ქალაქები, სადაც ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და ძირითადად მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს. ასეთ პირობებში მიწის დამუშავება და იქიდან მოწეული მოსავალი სიმდიდრის დაგროვების უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, შუა საუკუნეების საქართველოში მიწა იყო წარმოების ძირითადი საშუალება.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მიწა მთლიანად მეფეს, საერო ფეოდალებსა და ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნოდათ. მიწისმფლობელებს, ანუ ფეოდალურ ფენას ექვემდებარებოდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც. საერთო სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივი სარგებლობის უფლებით გლეხებს ჰქონდათ გადაცემული. გლეხის სამეურნეო ერთეულს საგლეხო ფუძე/საკომლო ეწოდებოდა, რომელიც დაახლ. 11-12 დღიურ სახნავ-სათეს მიწასა (5,5-6 ჰა.) და ერთ ვენახს (0,3-0,5 ჰა.) მოიცავდა. მათ სარგებლობაში არსებული მიწების მესაკუთრედაც, რაღა თქმა უნდა, მეფე, ეკლესია და ფეოდალები გვევლინებიან. მიწის სოლიდური ნაწილი მეფის, საერო ფეოდალებისა და ეკლესია-მონასტრების პირად მეურნეობას (ზვარ-ხოდაბუნები) წარმოადგენდა, რომელსაც გლეხების შრომითი ბეგარის საშუალებით ამუშავებდნენ. ამდენად, სახნავ-სათესი მიწის ფონდი, ძირითადად, წვრილ საგლეხო ფუძესა და ფეოდალთა პირად მეურნეობაში იყო მოქცეული.

იმის გამო, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მოსახლეობის კვების რაციონში უმთავრეს პროდუქტს პური წარმოადგენდა (ერთი სრულწლოვანი მამაკაცისათვის დღეში დაახლ. 1,5 კგ. პური იყო გათვალისწინებული), სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდეს ნაწილზე მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ. შესაბამისად, აღნიშნულ კულტურებს მიწის სავარგულების დაახლ. 60-70% ეკავა.

საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლეულის თუ სხვა მარცვლეულის (ქრთილი, ქერი, შვრია, ჭვავი და სხვ.) წარმოება ოდითგანვე მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რაც, ნაყოფიერ მიწებთან ერთად, სახვნელი იარაღის მუდმივ გაუმჯობესებასა და სარწყავი სისტემების აგებას უკავშირდებოდა. XVIII საუკუნის მონაცემებით, აღმოსავლეთ საქართველოში მოსავლიანობა რვაჯერადი იყო და 1

დღიური (0,5 ჰა.) მიწიდან 600 კილოგრამ მარცვლეულს იღებდნენ, რაც იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების საქართველოში მარცვლეულის საერთო მოსავლიანობაზე ინფორმაცია არ გვაქვს. შედარებით გვიანდელი მონაცემები კი ასე გამოიყურება: XVI საუკუნის მიწურულს სამცხე-საათაბაგოში 74 მილიონ კგ.-ზე მეტი მარცვლეული მოჰყავდათ, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისის ქართლ-კახეთში – 115 მილიონ კგ.-ზე მეტი. შესაბამისად, საქართველოს მარცვლეულის პროდუქტების მხრივ თვითკმარ ქვეყანას წარმოადგენდა. ამასთან, საქართველოში ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ღირებულება, სხვა ქვეყნებში არსებულ ფასთან შედარებით, დაბალი იყო. დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევების, ქვეყნის დახარკვისა და მოუსავლიანი წლების გამო ქვეყანაში დროდადრო პროდუქციის დეფიციტი იქმნებოდა და ფასიც იმატებდა, თუმცა მსგავსი ფაქტები სისტემურ ხასიათს არ ატარებდა. სწორედ დიდი დოვლათი უზრუნველყოფდა უზარმაზარ სახელმწიფოთა აგრესიის პირობებში პატარა ქვეყნის თავდადებულ ბრძოლას, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ეროვნული იდენტობის შენარჩუნება.

იქიდან გამომდინარე, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ხორბალი ნაკლებად ხარობდა, ძირითადად, საკვებად დაბალი ღირსების მარცვლეული – ღომი მოჰყავდათ. XVII საუკუნიდან კი სიმინდსაც თესავდნენ. ფასების დინამიკა მოწმობს, რომ ქართული სახელმწიფოს ერთიანობის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთიდან და სამცხე-საათაბაგოდან დიდი რაოდენობით ხორბალი შეჰქონდათ. XVI-XVIII საუკუნეებში კი ხორბალი დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად გაძვირდა, რაც განპირობებული იყო საქართველოს მხარეებს შორის ეკონომიკური კავშირის განყვეტით. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კავშირები XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა, რამაც ხორბლის ფასების გათანაბრებაც გამოიწვია.

ფეოდალური ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობაში მარცვლეული კულტურების წარმოების შემდეგ მთავარი ადგილი მევენახეობა-მეღვინეობას ეკავა, რაც მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ღვინის როლით იყო განპირობებული. ძველ საქართველოში ღვინო არა მარტო დღესასწაულებსა და სალხინო თუ სამგლოვიარო სუფრაზე გამოიყენებოდა, არამედ პირველადი მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ღვინო იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას მოიხმარდნენ სამხედრო მობილიზაციის პირობებშიც კი. მცირე რაოდენობით ღვინო იმდროინდელი კვების რაციონის უმთავრესი

კომპონენტი იყო და ყველა მამაკაცი ყოველდღიურად 1 ლიტრამდე ღვინოს მოიხმარდა. შესაბამისად, გლეხების მცირე ზომის ვენახებსა და ფეოდალების ზვრებში დიდი ოდენობით ღვინოს მოიწევდნენ, რომლის დიდი ნაწილი პირადი მოხმარებისთვის გამოიყენებოდა, ნაწილი კი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში იყიდებოდა. ღვინო საექსპორტო საქონელიც იყო. ივ. ჯავახიშვილის კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ძველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ვაზის ჯიშები 420-ს აღწევდა. განსხვავებული ნიადაგისა და კლიმატური პირობების შესაბამისი მრავალი ჯიში გამოიყვანეს, რამაც ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ვაზის გაშენება განაპირობა.

სხვადასხვა სახის მონაცემით ირკვევა, რომ ფეოდალური ხანის საქართველოში მოსავლიანობა ეტაპობრივად იზრდებოდა და 1 ვენახიდან XII-XIII საუკუნეებში თუ 800 ლიტრამდე ღვინოს მოიწევდნენ, XVIII საუკუნეში – 1200 ლიტრზე მეტს. XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი, ქვეყანაში დაახლ. 50 მილიონი ლიტრ ღვინოს აწარმოებდნენ. ყოველივე ეს კი დარგის მაღალგანვითარებასა და მუდმივ პროგრესზე მეტყველებს.

ფეოდალური ხანის საქართველოში ინტენსიური მეურნეობის სხვა დარგებიც სათანადოდ იყო განვითარებული. მოჰყავდათ პარკოსანი კულტურები – ცერცვი, ოსპი, ბარდა და მუხუდო, ხოლო XVII საუკუნიდან – ლობიო. ასევე გავრცელებული იყო ბრინჯის კულტურა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში IX საუკუნიდან ირანიდან უნდა შემოსულიყო, დასავლეთ საქართველოში კი – უფრო ადრე. საქართველოს ზოგიერთ მხარეში უძველესი დროიდან ინტენსიურად მოჰყავდათ სამრეწველო დანიშნულების მცენარეები – სელი, კანაფი, ბამბა.

საქართველოში ბოსტნეულიდან გავრცელებული იყო ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, პრასი, ბოლოკი, ოხრახუში, სტაფილო, მაკედონი, კიტრი, კომბოსტო, ლახანა, წიწაკა, ძირა, მდოგვი, ცერეცო, ჭარხალი, კვახი, პიტნა, თალგამი, მხალი, სატაცური, ღანძილი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი და სხვ. დასახელებული კულტურებიდან ზოგიერთი უძველესი ეპოქიდანვე მოჰყავდათ საქართველოში, ზოგი კი შედარებით გვიან შემოსულა.

ქვეყანაში მრავლად იყო ხეხილის ბაღები. გავრცელებული იყო სხვადასხვა სახეობის ხილი, მათ შორის ატამი, კომში, ვაშლი, ბროწეული, ხურმის ხე, თუთა, ყურძენი, ლელვი, მსხალი, ნიგოზი, ნუში, ალუჩა, ქლიავი, ბალი, შინდი, ბროწეული, მაყვალი, ზღმარტლი, ფინიკი, თურინჯი, ნარინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, წაბლი, თხილი, უნაბი, მარწყვი, ნესვი, საზამთრო და ა.შ.

მოსახლეობა დიდი რაოდენობით ენდროსაც მოიპოვებდა, რომ-

ლისაგანაც წითელი საღებავი მზადდებოდა და საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა.

ცალკე აღსანიშნავია მესაქონლეობა, რომელიც ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარი დარგი იყო. ძველ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ცხენების, ისე სხვა შინაური ცხოველების, მათ შორის ხარ-კამეჩების, ძროხების, ცხვრების, თხების და ღორების მოშენებას. ქვეყნის ყველა მხარეში განვითარებული იყო ასევე მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეთევზეობა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ.

ამდენად, ფეოდალური ხანის საქართველოში სოფლის მეურნეობა სათანადოდ იყო განვითარებული. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ XVI-XVIII საუკუნეებში, ქვეყნის პოლიტიკური ვითარების განსაკუთრებული გაუარესების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი არათუ მოიშალა, არამედ პროგრესიც კი განიცადა.

სოფლის მეურნეობის ეტაპობრივი პროგრესი, თავის მხრივ, მწარმოებელი ფენისა და საწარმოო საშუალების – გლეხების და მიწის – ფასის ზრდას განაპირობებდა. გლეხისა და მის სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი მიწების საბაზრო ღირებულება XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე საშუალოდ 2,5-3-ჯერ გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ზრდას კი ფეოდალური გადასახადების გადიდება მოჰყვა. ასევე მოიმატა საგადასახადო საწყაობმაც. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა ფეოდალების ქონებაც.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს კარგად ასახავს „სისხლის ფასები“ – ბექა-აღბუღას (XIII-XIV სს.) და ვახტანგის (XVIII ს. დასაწყისი) სამართლის წიგნების მონაცემებით, XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე გლეხების, მსახურებისა და ფეოდალების „სისხლის ფასებმა“, ანუ ვერგელდის ოდენობამ საშუალოდ სამჯერ მოიმატა. აღნიშნული ფაქტით დასტურდება, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებელი დაახლ. 2-3-ჯერ გაიზარდა.

სასოფლო-სამეურნეო სფეროს პროგრესის მიუხედავად, ზოგადი განვითარების ტემპი დაბალი იყო, რაც ძირითადად საქალაქო ცხოვრების განვითარების შეფერხებით იყო გამოწვეული. შესაბამისად, XIX საუკუნის დასაწყისამდე, ანუ რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობამდე, ისევე როგორც შემდგომ რამდენიმე ათწლეულში, ფეოდალური მეურნეობის არსი თვისებრივად არ შეცვლილა.

თუ სოფლის მეურნეობაში გარკვეულ პროგრესთან გვაქვს საქმე, რაც გლეხებისა და ფეოდალების „სისხლის ფასებზეც“ აისახა,

საპირისპირო ვითარებას ვხვდებით ვაჭრების შემთხვევაში. დასახელებული სამართლის ძეგლების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე ვაჭრების „სისხლის ფასები" მცირედით, მაგრამ მაინც კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ვაჭართა „სისხლის ფასების" დინამიკა საქალაქო ცხოვრების რეგრესის მანიშნებელია, რამაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური პროგრესი მნიშვნელოვნად შეაფერხა.

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში ქვეყნების ეკონომიკაში წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას ეკავა და ქალაქების ხვერდითი წილიც შედარებით ნაკლები იყო, ფეოდალური ჩამორჩენილობის დაძლევა საბოლოოდ სწორედ ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ფეოდალურ ეპოქაშიც ქვეყნის განვითარება-დაქვეითების ინდიკატორად, დიდწილად, საქალაქო ცხოვრების დონე მიიჩნევა.

ქართული ქალაქების განვითარებისა თუ დაკნინების ისტორია რამდენიმე ეტაპად იყოფა. ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების საქართველოში საქალაქო ცხოვრება, გარკვეული ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, აღმავალი ნიშნით გამოირჩეოდა. საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების დამკვიდრებას ანტიკური ეპოქის ქალაქების უმრავლესობის დაკნინება არ გამოუწვევია. ძველი ქალაქები – მცხეთა, ურბნისი, ქუთაისი, ციხე-გოჯი და სხვა, ისევ რჩებოდა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად. თუმცა ქალაქების ეკონომიკაში კიდევ უფრო გაიზარდა სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი, რაც ფეოდალიზმის გაბატონებით იყო გამოწვეული.

საქართველოში საქალაქო ცხოვრება განსაკუთრებით IX-X საუკუნეებში ე.წ. „ახალქალაქობის ეპოქაში" დაწინაურდა. ამ პერიოდში წარმოიქმნა ჯავახეთის ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, ოლთისი, თელავი და სხვა ქალაქები. ამავე პერიოდიდან განვითარდა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში დაარსებული ქალაქი არტანუჯი, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა.

V საუკუნიდან განსაკუთრებით დაწინაურდა თბილისი, რომელიც XIII საუკუნის შუა ხანებამდე მუდმივად ვითარდებოდა. თბილისის ზრდა-განვითარების პარალელურად, საქართველოს სხვა ქალაქების აღმავლობა აშკარად შეინიშნებოდა XI-XIII საუკუნეებში. შედეგად, ქვეყნის მოსახლეობაში გაიზარდა ქალაქად მცხოვრებლების ხვედრითი წილი. ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანაში შემდეგი ქართული ქალაქები ფუნქციონირებდა: თბილისი, რუსთავი, გორი, ატენი, უფლისციხე, ჟინვანი, სურამი, ალი, ზოვრეთი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრჴე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, ხორნაბუჯი,

თელავი, ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათუმი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსე. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების შედეგად საქართველოს სამეფოში მოექცა სომხეთის, რანისა და შირვანის ქალაქებიც, მათ შორის ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიც იყო: ანისი, დვინი და კარი, ანუ ყარსი, შამქორი და ყაბალა.

ამდენად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალურ საქართველოში საქალაქო ცხოვრებამ განვითარების პიკს მიაღწია. შედეგად, ვაჭრობა და ხელოსნობა დაწინაურდა. აღნიშნული ეპოქის ქართულ ქალაქებში ხელოსნობის მრავალი დარგი იყო განვითარებული. საქართველოს ქალაქები ჩართული იყო არა მხოლოდ საშინაო ვაჭრობაში, არამედ საქარავნო გზებით უკავშირდებოდა ბიზანტიას, ირანს, რუსეთს და სხვა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებს.

ამავე პერიოდში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის ზოგიერთი ქალაქის უშუალოდ ქართული სამეფოს შემადგენლობაში შეყვანით, ხოლო ზოგიერთ მათგანზე გავლენის მოპოვებით, ქართველმა მეფეებმა ბარდავი-დვინი-ანისი-ყარსი-არზრუმზე გამავალი გზისა და რეგიონის მასშტაბით არსებული სხვა საქარავნო გზების გაკონტროლება შეძლეს.

XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური განვითარების შედეგად, მნიშვნელოვნად გამყარდა ქართული სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა. ერთიანი ქართული მონარქიის საერთო შემოსავლები, მოხარკე ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკის ჩათვლით, დიდად არ ჩამოუვარდებოდა იმ ეპოქის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, მათ შორის ბიზანტიის, ინგლისისა და საფრანგეთის შემოსავლებს, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს.

ფეოდალური ურთიერთობების პირობაზე განვითარების პიკში მყოფი ქართული ქალაქებისა და, ზოგადად, ეკონომიკის შეფერხება ჯერ ჯალალ ედ-დინის 1225 წლის შემოსევამ, შემდეგ მონღოლთა ქვეყანაში გაბატონებამ გამოიწვია. საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩავარდა XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე თემურ ლენგის შემოსევების დროს. ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, რის შედეგადაც ზოგიერთი ქალაქი საერთოდ განადგურდა, ხოლო მეორე ნაწილი დაკნინდა, უმეტესი მათგანი ამ პერიოდში ფუნქციონირებას განაგრძობდა. XIII-XV საუკუნეებში გენუელთა სავაჭრო ფაქტორია კაფასთან საზღვაო ვაჭრობის შედეგად ქართული ქალაქები – ცხუმი, ფოთი და ბათუმი, გარკვეულწილად, ვითარდებოდა. საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, ერთგვარ სტაბილურობას ინარჩუნებდა ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი. შედეგად, XV საუკუნის II ნახევარში კახეთში წარმოიქმნა ქალაქები: გრემი, ზაგემი და ყარაღაჯი. კახეთის მსგავსად,

გარკვეულწილად, ნორმალური ეკონომიკური ვითარება იყო სამცხე-საათაბაგოშიც. მართალია, XIII-XV საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქალაქებიც დაზარალდა, თუმცა ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, თმოგვი და სხვა ქალაქები არსებობას განაგრძობდა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ XV საუკუნეში საქართველოში კვლავ ფუნქციონირებდა ქალაქები: თბილისი, გორი, ატენი, ალი, მძოვრეთი, ჟინვანი, გრემი, ზაგემი, ყარაღაჯი, თელავი, ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, არტაანი, თმოგვი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, სოხუმი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნისათვის ქართულ ქალაქებში მოსახლეობა შემცირდა, ეკონომიკურ საქმიანობაში მათი როლი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა XV საუკუნის მიწურულსა და XVI-XVII საუკუნეებში, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლასა და ქვეყნის ირგვლივ მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებს უკავშირდებოდა.

მას შემდეგ, რაც შავ ზღვაზე ოსმალეთის იმპერია გაბატონდა, საქართველომ, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა, დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა. XVI საუკუნიდან ირან-ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გადანაწილებამ არათუ შეაფერხა საგარეო ვაჭრობა, არამედ დაირღვა საშინაო ბაზარიც – ქვეყნის ორი ნაწილი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთმანეთისაგან გათიშული აღმოჩნდა, რამაც განსაკუთრებით დააზარალა ნაკლებნაყოფიერი მიწის მქონე დასავლეთ საქართველო. შედეგად, XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება უკიდურესად დაკნინდა. ოსმალეთის ეკონომიკური იზოლაციის პირობებში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ადამიანებით ვაჭრობამ – „ტყვეთა სყიდვამ“ საგანგაშო ხასიათი მიიღო, რაც ეკონომიკური პრობლემებით იყო განპირობებული.

მდგომარეობა გართულდა ოსმალეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ სამცხე-საათაბაგოშიც. მართალია, დასახელებულ რეგიონსა და ქართლს შორის ეკონომიკური კავშირები სრულად არ შეწყვეტილა, თუმცა ამ ურთიერთობას ოსმალური საბაჟო სისტემა აფერხებდა. დროთა განმავლობაში კი ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე ეკონომიკური ვითარების გაუარესება თვალშისაცემი გახდა.

თავის მხრივ, ქართლისა და კახეთის სამეფოები ეკონომიკურად ირანზე დამოკიდებულ ქვეყნებად გადაიქცა, რის შედეგადაც სავაჭრო და სხვა სახის კავშირები, ძირითადად, ირანის ქალაქებთან ხორციელდებოდა. XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში ქართლში ოთხი ძირითადი ქალაქი – თბილისი, გორი, სურამი და ალი

– იყო. XV საუკუნიდან დაწინაურებული კახეთის ქალაქები, როგორც ცნობილია, შაჰ-აბას I-ის შემოსევების შედეგად განადგურდა. XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში კახეთში მხოლოდ თელავი მიიჩნეოდა მცირე ქალაქად.

დასახელებული ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში, მდიდარი ტრადიციის წყალობით, მხოლოდ სოფლის მეურნეობა ინარჩუნებდა მდგრადობას და წარმოების ამ სფეროში გარკვეული პროგრესიც შეინიშნებოდა. თუმცა საგარეო და საშინაო გართულებების, ასევე დაღესტნელ მთიელთა გახშირებული მძარცველური თავდასხმების კვალდაკვალ, სოფლის მეურნეობაც მნიშვნელოვნად ზარალდებოდა, ხოლო საქალაქო ცხოვრების რეგრესი საერთო სურათს კიდევ უფრო ამძიმებდა. მცირდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც. ირანთან კომპრომისული შეთანხმებით (XVII ს. 30-იანი წწ.) შექმნილი ეკონომიკური ვითარება, მართალია, ქართლისა და კახეთის მოსახლეობისათვის ფიზიკური გადარჩენის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ევროპულ განვითარებას თითქმის სრულად მოწყვეტილი ქვეყანა პროგრესს ვერ განიცდიდა და თვისებრივად ერთ საფეხურზე რჩებოდა. შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ვითარება ევროპის სახელმწიფოებში არსებულ რეალობას შესამჩნევად ჩამორჩა. შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ქართულ სამეფო-სამთავროების სახელმწიფო შემოსავლებიც მნიშვნელოვნად შემცირდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი ვითარება XVIII საუკუნის II ნახევარში შეიქმნა, რაც ქართლ-კახეთის ირანისაგან გათავისუფლებითა და ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებებით იყო განპირობებული.

ერეკლე II-მ ვაჭრობის განვითარებისათვის პროგრესული კანონები შემოიღო, ასევე მტკიცედ განსაზღვრა საბაჟო ტარიფი. ამავე დროს, მან ქვეყანაში მოიწვია სპარსეთის სხვადასხვა პროვინციაში მცხოვრები სომეხი და სხვა ეროვნების ვაჭრები, რომლებსაც მფარველობასა და უსაფრთხოებას ჰპირდებოდა. ვაჭრობის სტიმულირებისათვის მეფემ დაარღვია ფეოდალური კონსერვატულობა, ერთგვარად უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და ვაჭრები, რომელთაც დიდი კაპიტალი ჰქონდათ, აიყვანა თავადთა და აზნაურთა რანგში. გატარებული პოლიტიკის შედეგად, სამხრეთ კავკასიელი ვაჭრების დიდი ნაწილი ერეკლე II-ის მფარველობაში შევიდა.

რაკი საქართველოზე გავლით ევროპასა და აზიის დამაკავშირებელი გზის აღდგენა ქართლ-კახეთის სამეფოს შესაძლებლობებს აღემატებოდა, სამეფო კარმა აქცენტი სხვა მიმართულებაზე გადაიტანა – 1750 წელს გაიხსნა დარიალის, იგივე „ოსეთის“ გზა. ერეკლე II-მ ამ გზის პოპულარიზაციის მიზნით შემოტანილ თუ გატანილ

საქონელზე შეღავათიანი საბაჟო ტარიფი დააწესა. ასევე დაიწყო ზრუნვა საქარავნო გზის კეთილმოწყობისათვის. მოკლე ხანში ერეკლეს ქვეშევრდომი ვაჭრები ირან-რუსეთის ტვირთბრუნვაში ერთერთი ძირითადი აქტორები გახდნენ. შედეგად, რეგიონის მასშტაბით იზრდებოდა თბილისის როლი. გარდა დასახელებული მაგისტრალისა, მნიშვნელოვან სავაჭრო არტერიას წარმოადგენდა ძველი ტრადიციული საქარავანო მარშრუტები, რომელთა საშუალებით თბილისი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ ირანის ქალაქებს სტამბულთან აკავშირებდა.

სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებასა და დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განმტკიცებაზე დადებითად მოქმედებდა აგრეთვე სამონეტო რეფორმა – 1760-იანი წლებიდან თბილისის ზარაფხანა საბოლოოდ გათავისუფლდა ირანის გავლენისაგან და ერეკლე II-მ დიდი რაოდენობით საკუთარი მონეტების მოჭრა დაიწყო.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკა განვითარდა, რაც ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების გაუმჯობესებას. რუსეთთან დამაკავშირებელი გზის გახსნამ განაპირობა ქალაქების — დუშეთის, ანანურის და ახალგორის წარმოქმნა და განვითარება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური კავშირების განმტკიცების შედეგად, დაწინაურდა იმერეთსა და რაჭასთან დამაკავშირებელ გზებზე არსებული ქალაქები – ცხინვალი და სურამი. კახეთში წარმოიქმნა ქალაქი სიღნაღი, რომელსაც მეფის ბრძანებით ქვითკირის გალავანი შემოავლეს.

XVIII საუკუნის II ნახევარში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებამ და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია საშინაო ბაზრის განმტკიცება. ისტორიული საბუთებიდან ვიგებთ, რომ დასახელებულ ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა ყველა ის პროდუქტი თუ ნივთი, რომლებსაც იმდროინდელი ადამიანი მოიხმარდა. ამასთანავე, ერთმანეთს დაუკავშირდა ქვეყნის სხვადსხვა კუთხე.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დასავლეთ საქართველოსთან. გარდა იმისა, რომ დროთა განმავლობაში ოსმალეთის სახელმწიფო ძალას კარგავდა, რაც ეკონომიკური მარწუხების შესუსტებას განაპირობებდა, ქართლ-კახეთის ირანის ბატონობისაგან გათავისუფლებით დაირღვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ირან-ოსმალეთის განაწილების უკვე ტრადიციად ქცეული სურათი. დასავლეთ საქართველოს მეზობელი ამჯერად ირანისაგან დამოუკიდებელი ქართლ-კახეთი იყო, რამაც ეკონომიკური იზოლაციისაგან თავის დაღწევა განაპირობა. ქვეყნის ორ მხარეს შორის

ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობის სტიმულირებისათვის ერეკლე II-მ დასავლეთ საქართველოსთან ვაჭრობის შელავათიანი საბაჟო ტარიფი დააწესა. შედეგად, როგორც წყაროებით დასტურდება, ქართლსა და იმერეთს შორის სავაჭრო ქარავნები თითქმის ყოველდღე მოძრაობდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ხელოსნური წარმოების 60-მდე დარგს მისდევდნენ. ხელოსნები ტრადიციულ დარგებთან (მჭედლობა, მშენებლობა, საფეიქრო საქმიანობა და სხვა) ერთად, დროთა განმავლობაში სხვადასხვა ახალ საქმიანობას ითვისებდნენ. მაგალითად, XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისელი და სხვა ქალაქების ხელოსნები ჩახმახის თოფ-დამბაჩებს აწყობდნენ, იცოდნენ ხიშტის დამზადება, ცეცხლსასროლ იარაღზე მისი დაყენება და ა.შ. თბილისელი ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებული. ამქრებს ცალ-ცალკე ქმნიდნენ ხუროები, კალატოზები, მეწვრილმანეები, მექვაბეები, ნალბანდები, მეჩახმახეები და სხვა ხელობის ოსტატები. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის 70-90-იან წლებამდე სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებების – დუქნების რიცხვი 200-დან 500-მდე გაიზარდა, რომელთა ნახევარზე მეტი სახელოსნოებზე მოდიოდა. თბილისის გარდა, სავაჭრო-სახელოსნო დუქნები იყო ყველა ქართულ ქალაქში: გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ქუთაისში და სხვ.

XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთში შეიქმნა მანუფაქტურული ტიპის საწარმოებიც, რომლებიც ასევე ერეკლე II-ის ეკონომიკურ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. იმის გამო, რომ ქართული სამეფო-სამთავროები განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპულ დონეს და წარმოების პროგრესული ფორმები ბუნებრივად ვერ ვითარდებოდა, ერეკლე II-მ ეკონომიკური განვითარების ფორსირებულ მეთოდს მიმართა, რაც ეკონომიკური ბერკეტების სახელმწიფო კონტროლზე აყვანაში გამოიხატებოდა.

ვაჭრობის აღორძინებისა და მფარველობის პარალელურად სამეფო ხელისუფლებამ მრეწველობის განვითარებისთვის დაიწყო ზრუნვა. შედეგად, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან დაარსდა მანუფაქტურული ტიპის რამდენიმე სახელმწიფო საწარმო, რომლებშიც დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა. მანუფაქტურებში დიდი რაოდენობით პროდუქციას ამზადებდნენ. ამ პერიოდში გაიხსნა ახტალის ვერცხლისა და ალავერდის სპილენძის გამოსადნობი „ქარხნები“. ასევე ამოქმედდა შამბლულისა და დამბლულის სპილენძსადნობი საწარმოები. ამ „ქარხნებში“ 2000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული და დიდი ოდენობით ვერცხლისა და სპილენძის მადანს მოიპოვებდნენ.

ამავე პერიოდში თბილისში აშენდა ზარბაზნების, მორტირებისა და ყუმბარების დასამზადებელი „ქარხანა“. აიგო თოფისწამლის,

ჭურჭლეულის, მინის, მარილსახდელი, საპნის და სხვა „ქარხნები“, გადაიარაღდა სტამბაც. სახელმწიფო საწარმოების უმეტესობა კერძო პირებზე იჯარის წესით გაიცემოდა, რაც კერძო სავაჭრო კაპიტალს სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის სტიმულს აძლევდა. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საფეიქრო მრეწველობაში. ზოგადად, ქართლ-კახეთის სამეფოში წელიწადში 5 000 000 არშინზე (არშინი – დაახლ. 1 მეტრი) მეტი ქსოვილი მზადდებოდა. აღნიშნული ქსოვილის დიდ ნაწილს სწორედ კერძო მანუფაქტურული საწარმოები უშვებდა. საფეიქრო მრეწველობის განვითარების შედეგად გაფართოვდა თბილისის მთავარი სამღებროც, რომელიც იმ პერიოდისათვის უკვე მანუფაქტურული ტიპის საწარმო იყო. თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში დამზადებული ქსოვილი, ქართლ-კახეთის გარდა, დასავლეთ საქართველოში, მეზობელ სახანოებში, ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში იყიდებოდა.

ეკონომიკური აქტიურობის ფონზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა სავაჭრო კაპიტალი, ხოლო სესხების პროცენტი შემცირდა. იზრდებოდა დაქირავებული შრომის ფაქტები, რაც არა მხოლოდ ქალაქებში დასტურდება, არამედ – სოფლადაც. გახშირდა ბატონყმობისგან გლეხების გათავისუფლების შემთხვევებიც.

ამდენად, კაპიტალისტური საწარმოების შექმნისა და ეკონომიკურ ცხოვრებაში სხვა მრავალი ახლებური მიდგომის დანერგვის შედეგად ქვეყანა ვითარდებოდა. ამავე დროს, გაიზარდა სახელმწიფო შემოსავლები.

ქართლ-კახეთის სამეფოს შეუქცევად ეკონომიკურ განვითარებაზე ის ფაქტიც მოწმობს, რომ 1795 წელს ირანის მმართველის აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის განადგურების მიუხედავად, ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების ძველ ნიშნულთან დაბრუნება სწრაფად შეძლო.

მართალია, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა, თუმცა აღნიშნულ ეპოქაში ქვეყანამ ოსმალეთის იზოლაცია დაძლია და „ტყვეთა სყიდვის“ მასშტაბებიც მნიშვნელოვნად შეამცირა.

განსახილველი ეპოქის ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების მიუხედავად, ქვეყანა კვლავ დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, თუმცა კაპიტალისტური ელემენტების ეტაპობრივი დამკვიდრება წინაპირობებს ქმნიდა ფეოდალური ურთიერთობის დასაძლევად. ამდენად, დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ ირანი-ოსმალეთის გარემოცვის შედეგად შექმნილი ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლა და განვითარების ახალ გზაზე დადგომა შეძლო.

ECONOMIC HISTORY OF FEUDAL GEORGIA

SUMMARY

The present book discusses issues of economic history of the feudal Georgia. It should be noted that we still do not have a work (monograph), which discusses the economic history of Georgia of this period in chronological and thematic frame. The present publication is, to some extent, aims at correcting this shortcoming.

The monograph presents all the main issues, the introduction of which will allow the reader to perceive the general state of economic history of Georgia in the feudal period.

The beginning of the work is devoted to a general overview of the sources and scholarly literature reflecting the economic history of Georgia. Particular attention is paid to the importance of historical documents preserved in the Georgian and foreign archives as well as the information in the Georgian and foreign narrative sources, including the Life of Kartli, hagiographic works, and Arabic, Persian, Armenian, and European sources.

The book takes into consideration the ideas currently present in the Georgian historiography. Discussions on the need to study the economic conditions of Georgia's past began in the 19th century. Ilia Tchavtchavadze was interested in this subject and considered the study of the country's economic past as an important task. The basis for the scholarly study of the economic history of Georgia was laid down by Ivane Javakhishvili, who devoted several important works to this topic. Many representatives of the Soviet historiography were also interested in studying various topics belonging to the economic history of Georgia. They played a major role in the study of this subject. However, they conducted a study of socio-economic history from Marxist perspective. Consequently, the advantage was given to bringing the class struggle to the forefront of discussion. As a result, some issues in the economic history of Georgia remained unexplored, and some disputed issues were resolved taking into account the ideological factors of the Soviet period. Recently, not much has been written about the economic history of Georgia.

In order to find out the nuances of economic history of Georgia, as well as of any other country, it is necessary to take into account the data of

the money and weight-units of that time. Accordingly, based on scholarly works, numismatic and metrological data, including the distribution of silver (dram/tetri/abazi), gold (drakhkan/flur) and copper coins in Georgia, are briefly reviewed in the monograph. Special attention is given to medieval liter (libra) in Georgia, which increased from 327 grams to 3,6 kilograms from the 9th century to the end of 18th century. The relatively large measures based on the liter system, kabitsi (10-17,8 kg.), kodi (18-36 kg.), grivi (100 kg.), kharvari (300-360 kg.), koka (10-36 kg.) and measurments of land and length are also discussed here.

The main part of the work is divided by thematic and chronological principles. In particular, after a general overview of the sources, literature, money system, and measurments units, the topics are given in two thematic chapters. Chapter I is devoted to agriculture, chapter II to cities and the general economic situation at that time. In turn, each issue is reviewed through specific field, which are given in a chronological order.

***

Agriculture was the leading branch of production in medieval Georgia. Although at that time there were cities in Georgia and other developed countries, where trade and craftsmanship were widespread, the vast majority of the population lived in rural areas and mainly survived through agriculture. Under such conditions, cultivation of land and harvests emanating from it were a major source of wealth. Consequently, land was the main means of production in medieval Georgia.

During the period of developed feudalism, the land belonged to the Georgian king, secular feudal lords and church-monasteries. Most of the population – peasants – also belonged to them. Most of the agricultural lands were given to the peasants with the right for permanent use. The peasant's agricultural unit can be roughly translated as the „peasant base", which was approximately an arable land of 5,5-6 ha. and also included one vineyard (0,3-0,5 ha). Surely, the king, the feudal lords, and the church were also the owners of the lands the peasants used. A considerable part of the land belonged to the king, secular feudal lords, and churches/monasteries, which were cultivated through the peasants' labor tax. Thus, the arable land fund was mainly concentrated in the small „peasant base" and in the personal farms of the feudal lords.

Since bread was the main product in the diet (about 1,5 kg of bread per day was necessary for one adult man) of the population in medieval Georgia, cereals were grown on the most of agricultural lands. Accordingly, these

crops occupied approximately 60-70% of the cultivated land.

The production of wheat or other corns on the territory of Georgia was quite developed for centuries. This, together with fertile lands, was the result of constant improvement of plowing weapons and construction of irrigation systems. According to the data of the 18th century, the harvest in Eastern Georgia was 8 seeds produced for each sown seed and 600 kilograms of grain were taken from 1 daily (0,5 ha) land, which is one of the highest number in the world at that time.

We have no information on the overall agricultural yield from pre-feudal and feudal Georgia. Relatively late data gives the following information: at the end of the 16th century, more than 74 million kg. of cereals was grown in Samtskhe-Saatabago; and more than 115 million kg. in Kartli-Kakheti at the beginning of the 19th century. Accordingly, Georgia self-sufficient in terms of grain products. At the same time, the price of wheat and other cereals was lower in Georgia than in other countries. Due to the devastating invasions, the collapse of the country, there was a shortage of products in the country from time to time and the price increased, although such facts did not seem systemic. It was the great wealth that ensured the longevity of a small country in the face of aggression from large states. This wealth, among other factors, led to the preservation of national identity.

Based on the fact that in the coastal zone of western Georgia, wheat was less plentiful, mainly low-grain cereals - ghomi was cultivated. Corn (maize) was cultivated since the 17th century. The dynamics of prices testify that in the era of the unity of the Georgian state, large quantities of wheat were imported from Kartli-Kakheti and Samtskhe-Saatabago to western Georgia. In the 16th-18th centuries, wheat became more expensive in western Georgia due to the severance of economic ties between the two parts of the state. The economic ties of western and eastern Georgia were restored in the second half of the 18th century, which led to an equalization of wheat prices.

In the feudal Georgia, after the production of cereals, the main place belonged to viticulture and winemaking, which was due to the role of wine in the daily life of the population. In ancient Georgia, wine was used not only for holidays and funeral banquets, but also for primary consumption. Wine was so important that it was consumed even during military mobilization. Small amounts of wine were main components of the diet at the time, and men usually drank up to 1 liter of wine per day. Consequently, large quantities of wine were brought to the peasants' small vineyards and feudal lords, much of which was used for personal consumption and some for sale in Tbilisi and other Georgian cities. Wine was also an export commodity. Iv. Javakhishvili's research confirms that there were 420 indigenous grape varieties spread in different parts of ancient Georgia. In feudal Georgia, dif-

ferent landscape and climate conditions led to the appearance of many grape varieties.

According to various sources, the harvest in feudal Georgia was increased gradually, and if in the 12th-13th centuries up to 800 liters of wine was produced from one vineyard, in the 18th century – the figure stood at more than 1200 liters. According to the statistics of the beginning of the 19th century, the country produced around 50 million liters of wine. All this indicates the high development and constant progress of this specific field.

Other branches of intensive farming in Georgia during the feudal era were also properly developed. Legumes – broad bean, lentils, peas, chickpea and from the 17th century – beans. Rice cultivation was also widespread, which should have originated in eastern Georgia from Iran in the 9th century, while much earlier in western Georgia. In some parts of Georgia, other plants such as flax, hemp, cotton were intensively cultivated since ancient times.

Other plants were available in Georgia: eggplant, onions, garlic, carrots, cucumbers, cabbage, peppers, mustard etc. Some of the named crops were brought to Georgia from ancient times, while others came relatively late. There were many orchards in the country. Various types of fruits were common, including peaches, apples, pomegranates, mulberries, grapes, figs, pears, walnuts, lemon, olive, chestnut etc.

As it is known, production of silk was developed in many regions of Georgia. Residents also obtained large quantities of madder from which red paint was made and exported abroad.

Additionally, cattle breeding was one of the main sectors of the Georgian economy during the feudal era. In ancient Georgia, great importance was given to the breeding of horses and other domestic animals, including bulls, cows, sheep, goats, and pigs. Beekeeping and fishing were developed in all parts of the country.

Thus, agriculture in Georgia was properly developed in the feudal era. It is also noteworthy that in the 16th-18th centuries, despite the deterioration of the political situation in the country, various sectors of agriculture not only did not collapse, but even progressed.

The gradual progress of agriculture, in turn, led to an increase in the price of the producer layer and the productive means - the peasants and the land. The market value of arable lands in the possession of peasants increased by an average of 2,5-3 times from the 11th century to the 18th century. The increase in labor productivity was followed by an increase in feudal taxes. Consequently, the property/wealth of the feudal lords also expanded over time.

According to law books of Beka-Agbugha (13th-14th cc.) and Vakhtang

(early 18th c.) there was a steady growth of labor productivity. This proves the idea that the economy related to agricultural activities increased approximately for 2-3 times.

Despite the progress of the agricultural sector, the general pace of economic development was low. Consequently, before the beginning of the 19th century, i.e. before the conquest of the Georgian kingdoms by the Russian Empire, as well as in the next few decades, the essence of feudal economy did not change much.

If there was some progress in agriculture, which is reflected in the „blood prices" (fines imposed for crime) of peasants and feudal lords, the opposite is seen in the case of traders. According to the mentioned law books, from the 13th-14th centuries until the 18th century, the „blood prices" of merchants were slowly declining. This was an indication of the decline of urban life that significantly hampered the country's overall economic progress.

Although agriculture played a leading role in the economies of the countries in the Middle Ages, the share of cities was relatively small, to overcome feudal backwardness eventually depended on the development of cities and urban life. Therefore, even in the feudal era, the level of urban life is considered to be an indicator of the development and decline of the country.

The history of the development and decline of Georgian cities is divided into several stages. In pre-feudal and developed feudal epochs, urban life in Georgia, despite some obstacles, was generally marked by a steady growth. The establishment of feudal relations in Georgia did not lead to the decline of the cities of the ancient era. The old cities – Mtskheta, Urbnisi, Ruisi, Kutaisi, Tsikhe-Goji and others, still remained as trade and workshop centers. However, the share of agriculture in the economies of cities grew further because of the predominance of feudalism.

Urban life in Georgia, developed especially in the 9th-10th centuries when Akhalkalaki, Akhaltsikhe, Tmogvi, Oltsi, Telavi and other cities were formed. In the same era, the city of Artanuji, founded during the Vakhtang Gorgasali (5th c.) period, attained its prominence through its location on an important trade route.

Tbilisi was especially advanced from the 5th century and was steadily developing until the middle of the 13th century. Along with the growth and development of Tbilisi, the rise of other cities in Georgia was observed in the 11th-13th centuries. As a result, the share of urban residents in the country's population has increased. During the united Georgian monarchy, the following Georgian cities existed: Tbilisi, Rustavi, Gori, Ateni, Uplistsikhe, Zhinvani, Surami, Ali, Zovreti, Dmanisi, Artanuji, Akhalkalaki, Akhaltsikhe, Baraleti, Tmogvi, Oltisi, Samshvilde, Khunani, Khornabuji, Telavi, Kutaisi,

Vardtsikhe, Shorapani, Petra, Batumi, Poti, Tskhumi, Bichvinta, Nicopsis. In the 12th and early the 13th centuries, as a result of the country's political strength, the cities of Armenia, Rani, and Shirvan, including Ani, Dvin, and Kari (Kars), Shamkori, and Kabala, became part of the Georgian kingdom.

Thus, in the 12th and early the 13th centuries, urban life in feudal Georgia reached its peak. As a result, craftsmanship and trade developed. Many fields of craftsmanship were developed in the Georgian cities of the mentioned epoch. Georgian cities were involved not only in domestic trade but were also connected through caravan routes to Byzantium, Iran, Russia, and other nearby or distant lands.

In the 12th and the early 13th centuries, some cities of the great economic importance were incorporated into the Georgian Kingdom, and some of them were indirectly controlled by Georgian kings. including Barda-Dvin-Ani-Kars and the other caravan roads of regional importance.

As a result of economic development in the 12th and early 13th centuries, the revenues of the Georgian state increased significantly. The total revenues of the Georgian monarchy, including the tribute paid by the vassal states, did not fall far short of the revenues of the world's leading countries of the era, including Byzantium, England, and France.

Jalal al-Din's 1225 invasion, then the Mongols' domination over Georgia caused decline of the Georgian cities and the economy in general. Georgia's economy fell into an even more difficult position during the invasions of Timur-Lang at the turn of the 14th-15th centuries. Despite these disruptive factors, some cities to be completely destroyed and others be degraded, most of them continued to function during this period. In the14th-15th centuries, Georgian cities – Tskhumi, Poti and Batumi – developed to some extent as a result of maritime trade with Genoa. Against the background of the deteriorating economic situation, the eastern part of the country remained somewhat stable. As a result, in the second half of the 15th century, the following cities emerged in Kakheti: Gremi, Zagemi and Karaghaji. Like Kakheti, the economic situation in Samtskhe-Javakheti was somewhat normal. It is true that during the 13th-15th centuries the cities of south-western Georgia were also affected, but Akhaltsikhe, Akhalkalaki, Artanuji, Tmogvi and other cities continued to exist.

Finally, in the 15th century, the following cities functioned in Georgia: Tbilisi, Gori, Ateni, Ali, Mdzovreti, Zhinvani, Gremi, Zagemi, Karaghaji, Telavi, Akhaltsikhe, Akhalkalaki, Artanuji, Artaani, Tmogvi, Kutaisi, Batumi, Poti, Sokhumi etc. Although the population in Georgian cities declined by the 15th century, their role in economic activity was still significant.

An even more difficult situation came to be at the end of the 15th century and in the 16th-17th centuries. This was related to the disintegration of the

united Georgian state into kingdoms and the ongoing geopolitical changes near the country's borders.

After the Ottoman Empire dominated the Black Sea, Georgia, as a link between Europe and Asia, lost its strategic importance. Since the 16th century, the division of Georgia by Iranians and the Ottomans into eastern and western parts not only hampered foreign trade, but also disrupted the domestic market. Two parts of the country, eastern and western Georgia, were torn apart. As a result, urban life in western Georgia declined sharply in the 17th-18th centuries. Under the conditions of Ottoman economic isolation, slave trade in western Georgia reached an alarming level. This developments was caused by economic problems.

The situation worsened in Samtskhe-Javakheti, occupied by the Ottoman Empire. Although economic ties between above mentioned regions and Kartli were not completely severed, the Ottoman customs system hampered this relationship. Over time, the deteriorating economic situation in the Akhaltsikhe vilayet became quite noticeable.

As to the kingdoms of Kartli and Kakheti, they became economically dependent on Iran, as a result of which trade and other relations were mainly with the cities of Iran. In the 17th century and the first half of the 18th century, there were four main cities in Kartli – Tbilisi, Gori, Surami and Ali. The cities of Kakheti, which were advanced since the 15th century, were destroyed by the invasions of Shah Abbas I. In the 17th and first half of the 18th centuries only Telavi was considered a small town in Kakheti.

In eastern Georgia of the discussed era, thanks to the rich traditions, as mentioned above, only agriculture was sustainable and some progress was made in this area. However, in the wake of foreign and domestic disturbances, as well as the increasing number of invasions by Dagestani mountaineers, agriculture was also severely damaged, and the decline of urban life made the overall picture even worse. The population was declining. The economic situation created as a result of the compromise agreement with Iran (1730s) may have allowed physical existence for the people of Kartli and Kakheti, but the country, which was almost completely cut off from the European technological development, could not progress. As a result, the economic and social situation in eastern Georgia lagged far behind what was in European countries. Against the background of the difficult economic situation, the state revenues of the Georgian kingdoms also decreased significantly.

The favorable situation for economic development in Eastern Georgia was created in the second half of the 18th century. This mainly was conditioned by the liberation of Kartli-Kakheti from Iran and the reforms implemented by Erekle II.

Erekle II introduced progressive laws for the development of trade re-

lations as well as established a firm customs tariff. At the same time, he invited Armenian merchants and those living in various provinces of Iran to his kingdom, promising them protection and security. To stimulate trade, the king broke with feudal conservatism, took an unprecedented step, and advanced traders as princes and nobles. As a result, a large part of the South Caucasian merchants came under the protection of Erekle II.

As the restoration of the road connecting Europe and Asia through Georgia exceeded the capabilities of the Kingdom of Kartli-Kakheti, the king shifted his attention to another direction. In 1750, the Dariali or the „Ossetian road" was opened. Erekle II set a preferential customs tariff on imported or exported goods in order to popularize this road. Also, care was taken to improve the caravan routes. Soon Erekle's subordinate merchants became one of the main actors in the Iran-Russia trade turnover. As a result, the role of Tbilisi was grew throughout the region. In addition to the named highway, an important trading artery was the old traditional caravan route through which Tbilisi connected the cities of the eastern part of the South Caucasus and northern Iran with Istanbul.

Monetary reform also had a positive effect on deepening trade relations and strengthening independent economic policies. Since the 1760s, the Tbilisi Mint became independent from the Iranian vassalage and Erekle II started to issue large quantities of his own coins.

As a result of the implemented measures, the economy of Eastern Georgia developed from the 60s of the 18th century contributing to the improvement of urban life. The opening of the road connecting Russia led to the establishment and development of Dusheti, Ananuri and Akhalgori. As a result of the strengthening of economic ties between western and eastern Georgia, the cities on the roads connecting Imereti and Racha – Tskhinvali and Surami – developed significantly. The city of Sighnaghi developed in Kakheti, which, by the order of the king, was surrounded by defensive wall.

The revival of urban life in the second half of the 18th century and the development of monetary and commodity relations led to the strengthening of the domestic market. We see in the historical documents that in the discussed era, all the products or items that were consumed by the people were traded in the cities of Eastern Georgia. Different corners of the country were connected to each other.

In the second half of the 18th century, trade and economic ties between Eastern and Western parts of Georgia were restored. In addition to the loss of Ottoman state power over time, which weakened economic ties, the traditionally divided western and eastern Georgia between Iranian and the Ottoman ceased to exist by the liberation of Kartli-Kakheti from Iranian domination. Kartli-Kakheti, independent of Iran, helped to escape economic

isolation. In order to stimulate intensive economic relations between the two sides of the country, Erekle II set a preferential customs tariff for trade with Western Georgia. As a result, according to sources, trade caravans between Kartli and Imereti were moving almost every day.

In the second half of the 18th century, about 60 fields of craftsmanship production were pursued in Tbilisi and cities of Eastern Georgia. Craftsmen, along with traditional industries (blacksmithing, construction, textile, etc.), over time have mastered various new activities. For example, artisans from Tbilisi and other cities in the second half of the 18th century were producing different parts of firearms. Tbilisi artisans were united in various guilds. From the beginning of the 18th century to the 70-90s of the same century, the number of trade and craftsmanship shops increased from 200 to 500. Apart from Tbilisi, there were shops in all Georgian cities: Gori, Telavi, Sighnaghi, Dusheti, Kutaisi, etc.

In the second half of the 18th century, manufacturing-type enterprises were established in Kartli-Kakheti, which was also connected with the economic policy pursued by Erekle II. Since the Georgian kingdoms were significantly behind the European level in development and the progressive forms of production could not develop naturally, Erekle II resorted to the forced economic development, which manifested itself in the state control over existing economic tools.

Simultaneously with the revival and patronage of trade, the royal government began to take care for the development of industry. As a result, from the 1770's onwards, several state-owned manufacturing enterprises were established to employ hired laborers. Manufacturers produced a large number of products. During this period, Akhtala silver and Alaverdi copper smelters were opened. Shamblugh and Damblughi copper smelters also started to operate. More than 2000 people were employed in these factories and a large amount of silver and copper ore was mined.

At the same time, a „factory" for producing cannons, mortars and grenades was built in Tbilisi. Additionally, gunpowder, utensils, glass, salt, soap and other factories were opened; the printing house was re-equipped. Most state-owned enterprises were leased to private individuals, which encouraged private trading capital to become industrial capital. This process has become particularly noticeable in the textile industry. In general, Kartli-Kakheti produced more than 5 000 000 arshins (arshin – approximately 101 centimeters) of fabric per year. Most of this fabric was produced by private manufacturing companies. As a result of the development of the textile industry, the main dye-house of Tbilisi was expanded, which at that time was already a manufacturing enterprise. In addition to Kartli-Kakheti, fabrics made in Tbilisi and other cities in eastern Georgia were sold in western

Georgia, neighboring khanates, the North Caucasus, and Russia.

Against the background of economic activity, trade capital expanded significantly, and the interest rate on loans decreased. The hired labor was growing, which is confirmed not only in the cities, but also in the countryside. Cases of peasants' escape from serfdom also increased.

Thus, as a result of the creation of capitalist enterprises and the introduction of many other innovative approaches into the country's economic life, the kingdom developed economically. At the same time, government revenues increased.

The growing economic development of the Kingdom of Kartli-Kakheti is reflected by the fact that in 1795, despite the destruction of Tbilisi by the Iranian ruler Agha Mohammad Khan, the country was able to quickly return to the old level of economic development.

Although the economic situation in western Georgia remained difficult, the country overcame the isolation from the Ottomans and significantly reduced the scale of slave trade.

When assessing the economic situation of the Kingdom of Kartli-Kakheti in the discussed period, it should be noted that despite the economic development, the country was still far behind the western European countries, although the gradual establishment of capitalist elements was a precondition for finally overcoming feudal elements. At the same time, it is unacceptable (as is seen in the modern historiography) to assume that the economy of the Georgian state at the end of the 18th century exhausted all possibilities and was doomed to failure. Such assessments are untrue and are dictated by the willingness to justify the need for the abolition of the Georgian kingdoms by the Russian Empire in the early 19th century.

Apolon Tabuashvili

ECONOMIC HISTORY OF FEUDAL GEORGIA

დიზაინი და
დაკაბადონება

მანუჩარ გუნცაძე

შპს „გამომცემლობა კოლორი“
მის.: ე. ბაღდავაძის ქ. №20

შენიშვნებისთვის